

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



ნათია აფლაძე

სოციალური კაპიტალი, როგორც პირდაპირი უცხოური  
ინვესტიციების დეტერმინანტი

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი  
შოთა შაბურიშვილი

თბილისი  
2019

## შინაარსი

|                                                                                                            |     |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| შესავალი.....                                                                                              | 7   |
| თავი 1. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე სოციალური კაპიტალის<br>ზემოქმედების კვლევის საფუძვლები.....          | 20  |
| 1.1 სოციალური კაპიტალის კონცეფცია.....                                                                     | 20  |
| 1.2 სოციალური კაპიტალის შეფასების მეთოდები.....                                                            | 38  |
| 1.4. სოციალური კაპიტალის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე ზემოქმედების<br>მექანიზმი.....                      | 59  |
| <br>                                                                                                       |     |
| თავი 2. სოციალური კაპიტალისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების<br>სტრუქტურა და დინამიკა საქართველოში..... | 74  |
| 2.1 სოციალური კაპიტალის სტრუქტურა საქართველოში.....                                                        | 74  |
| 2.2 ნეგატიური სოციალური კაპიტალი საქართველოში.....                                                         | 93  |
| 2.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა და დინამიკა<br>საქართველოში.....                             | 115 |
| <br>                                                                                                       |     |
| თავი 3. კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა ანალიზი.....                                                      | 145 |
| 3.1. კვლევის მეთოდოლოგია.....                                                                              | 145 |
| 3.2. ჰიპოთეზების შემოწმება.....                                                                            | 151 |
| დასკვნა.....                                                                                               | 170 |
| გამოყენებული ლიტერატურა.....                                                                               | 181 |

## ცხრილების ნუსხა

|                                                                                                                                |     |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| ცხრილი 1. სოციალური კაპიტალის ფორმირების დონეები .....                                                                         | 34  |
| ცხრილი 2. სოციალური კაპიტალის გაზომვის საფუძვლები .....                                                                        | 41  |
| ცხრილი 3. პუი-ს თეორიები და ავტორები .....                                                                                     | 58  |
| ცხრილი 4. ძირითადი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში .....                                                                       | 119 |
| ცხრილი 5. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ევროკავშირიდან .....                                                                  | 122 |
| ცხრილი 6. სოციალური კაპიტალი ნიდერლანდებში .....                                                                               | 127 |
| ცხრილი 7. სოციალური კაპიტალი ჩეხეთში .....                                                                                     | 128 |
| ცხრილი 8. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დსთ-ს წევრი ქვეყნებიდან .....                                                         | 130 |
| ცხრილი 9. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დანარჩენი ქვეყნებიდან .....                                                           | 135 |
| ცხრილი 10. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი მთლიან შიდა<br>პროდუქტში პოსტსაბჭოთა ქვეყნებში .....                           | 151 |
| ცხრილი 11. სოციალური კაპიტალი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში .....                                                                      | 152 |
| ცხრილი 12. სოციალური კაპიტალისა და პუი-ს ურთიერთკავშირი პოსტსაბჭოთა<br>ქვეყნებში .....                                         | 153 |
| ცხრილი 13. სოციალური კაპიტალისა და პუი-ს ურთიერთკავშირი დროითი<br>ლაგის გათვალისწინებით .....                                  | 154 |
| ცხრილი 14. პიროვნული თავისუფლების მაჩვენებლები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში<br>.....                                                  | 156 |
| ცხრილი 15. სოციალური კაპიტალისა და პიროვნული თავისუფლების<br>ურთიერთკავშირი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში .....                        | 157 |
| ცხრილი 16. დაცულობა/უსაფრთხოება პოსტ საბჭოთა ქვეყნებში .....                                                                   | 159 |
| ცხრილი 17. სოციალური კაპიტალის, დაცულობა-უსაფრთხოებისა და პიროვნული<br>თავისუფლების ურთიერთკავშირი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ..... | 160 |
| ცხრილი 18. პიროვნული თავისუფლების, დაცულობა/უსაფრთხოებისა და პუი-ს<br>ურთიერთკავშირი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში .....               | 162 |
| ცხრილი 19. დანაშაულის დონე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში .....                                                                         | 164 |

|                                                                                                                         |     |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| <b>ცხრილი 20.</b> დანაშაულის დონისა და პუი-ს ურთიერთკავშირი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში .....                                 | 165 |
| <b>ცხრილი 21.</b> სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში .....                                         | 166 |
| <b>ცხრილი 22.</b> სოციალური კაპიტალისა და სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემის ურთიერთკავშირი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ..... | 167 |
| <b>ცხრილი 23.</b> პუი-ს და სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემის ურთიერთკავშირი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში .....                | 169 |

## დიაგრამების ნუსხა

|                                                                                                                    |     |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| დიაგრამა 1. საკუთრების ფორმებსა და სოციალურ კაპიტალს შორის კავშირი .....                                           | 43  |
| დიაგრამა 2. საქართველოში ლეგატუმის მსოფლიო კეთილდღეობის ინდექსი .....                                              | 78  |
| დიაგრამა 3. ლეგატუმის ინდექსში შემავალი ინდიკატორები .....                                                         | 79  |
| დიაგრამა 4. კორუფციის აღქმის ინდექსის (CPI) დინამიკა საქართველოში .....                                            | 96  |
| დიაგრამა 5. გამოკითხვის შედეგები ნეპოტიზმსა და კრონიზმზე საჯარო და კერძო სექტორებში .....                          | 101 |
| დიაგრამა 6. დანაშაულისა და პუის ზრდის დინამიკა საქართველოში .....                                                  | 111 |
| დიაგრამა 7. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები .....                                                                   | 116 |
| დიაგრამა 8. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით .....                                    | 117 |
| დიაგრამა 9. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით დინამიკაში .....            | 118 |
| დიაგრამა 10. საქართველოში უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი .....                                                | 120 |
| დიაგრამა 11. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან საქართველოში .....                     | 121 |
| დიაგრამა 12. გაერთიანებული სამეფოს მიერ საქართველოში განხორციელებული პუი ეკონომიკის სექტორების მიხედვით .....      | 123 |
| დიაგრამა 13. ნიდერლანდების მიერ საქართველოში განხორციელებული პუი ეკონომიკის სექტორების მიხედვით .....              | 124 |
| დიაგრამა 14. ჩეხეთის მიერ საქართველოში განხორციელებული პუი ეკონომიკის სექტორების მიხედვით .....                    | 125 |
| დიაგრამა 15. შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები “დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის” რეგიონიდან ..... | 129 |
| დიაგრამა 16. აზერბაიჯანის მიერ საქართველოში განხორციელებული პუი ეკონომიკის სექტორების მიხედვით .....               | 131 |

|                                                                                                                              |     |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| დიაგრამა 17. ინვესტიციები რუსეთიდან .....                                                                                    | 132 |
| დიაგრამა 18. რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული პუი ეკონომიკის<br>სექტორების მიხედვით .....                           | 133 |
| დიაგრამა 19. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები „დანარჩენი ქვეყნებიდან“ .....                                                    | 136 |
| დიაგრამა 20. თურქეთის მიერ საქართველოში განხორციელებული პუი<br>ეკონომიკის სექტორების მიხედვით .....                          | 137 |
| დიაგრამა 21. არაბეთის გაერთიანებული ემირატების მიერ საქართველოში<br>განხორციელებული პუი ეკონომიკის სექტორების მიხედვით ..... | 138 |
| დიაგრამა 22. პუი აშშ-დან .....                                                                                               | 139 |
| დიაგრამა 23. აშშ-ს მიერ საქართველოში განხორციელებული პუი ეკონომიკის<br>სექტორების მიხედვით .....                             | 140 |
| დიაგრამა 24. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საერთაშორისო<br>ორგანიზაციებიდან .....                                           | 142 |
| დიაგრამა 25. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით .....                                                        | 143 |

# შესავალი

## საკვლევი თემის აქტუალობა

საზოგადოების სოციალურ პრობლემებზე ეკონომიკური მეცნიერების ყურადღების გამახვილება, ეკონომიკურ განვითარებაში ადამიანის და სოციალური ფაქტორების როლის ახლებური გააზრება, პირველ რიგში, გლობალიზაციას უკავშირდება. თანამედროვე კომპანიები ერთდროულად მრავალ ბაზარზე საქმიანობენ, რისთვისაც მათ ესაჭიროებათ კონკურენციის შესახებ ფართო ცოდნა და მის საფუძველზე კონკურენტული უპირატესობის მოპოვების გზების დადგენა. ცალკეული კორპორაციული გადაწყვეტილებისათვის აუცილებელია გლობალური პრობლემების შესახებ წარმოდგენა, ასევე, გააზრება იმ შიგა ეკონომიკური და პოლიტიკური ტენდენციებისა, რომლებიც ფირმის სამოქმედო ქვეყნებში მიმდინარეობს. ეს ტენდენციები ზემოქმედებს არა მარტო ბიზნესის მოცულობაზე, კონკურენტულ სტრატეგიაზე, არამედ განსაზღვრავს მოცემული საქმიანობის განხორციელების მიზანშეწონილობას.

გლობალიზაციის ყოვლისმომცველი პროცესი აახლოებს ეროვნული კულტურების, ეკონომიკური სისტემების, სახელმწიფოების გამყოფ საზღვრებს და უშუალოდ ზემოქმედებს ეკონომიკაში ადამიანური, ფიზიკური და სოციალური კაპიტალის დაგროვებაზე. ლოკალური ბაზრების გლობალურ მასშტაბებამდე გაფართოების მიუხედავად, პირადი კონტაქტების და სოციალური ქსელების როლი ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაში არ შემცირებულა, პირიქით, სრულიად ახალი დატვირთვა და მნიშვნელობა შეიძინა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქვეყნებმა აქტიურად მიმართეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებას. 1950-1960 წლებში კაპიტალის მოძრაობამ გლობალური ხასიათი შეიძინა, მასში განვითარებადი ქვეყნებიც აქტიურად ჩაერთვნენ რეციპიენტის სახით. ამ პროცესმა მკველვარი ეკონომისტების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო და მრავალი თეორიაც ჩამოყალიბდა. მეცნიერების ყურადღება ძირითადად გადატანილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელი დეტერმინანტების გამოვლენაზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საერთაშორისო ბიზნესის კლასიკური ფორმაა და ის ორი ქვეყნის სუბიექტის მონაწილეობას გულისხმობს, ამიტომ მასზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს დონორი და რეციპიენტი ქვეყნის

საინვესტიციო პოლიტიკა. ასევე, თანამედროვე პირობებში, პუი-ს მოზიდვა დაკავშირებულია ინვესტორსა და ინვესტიციის მიმღებს შორის ურთიერთობასთან, რის შედეგადაც იდება ეკონომიკური გარიგებები, სწორედ ამიტომ, პუი-ზე, როგორც სოციალურ პროცესზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ნდობა, პირადი და საქმიანი ქსელები, ქცევის ნორმები და სტანდარტები, ინვესტორისა და ინვესტიციის მიმღების შეხედულებები, რასაც მათი კულტურა განსაზღვრავს. აღნიშნული ფაქტორების, როგორც პუი-ის დეტერმინანტების გათვალისწინებას მივყავართ სოციალური კაპიტალის ფენომენის განხილვის აქტუალურობასა და აუცილებლობამდე.

საერთაშორისო ორგანიზაციების (ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია, გაეროს კონფერენცია ვაჭრობასა და განვითარებაზე) კვლევები გვიჩვენებს, რომ ეროვნულ ეკონომიკაზე უცხოური ინვესტიციების დადებითი ზემოქმედება სახელწიფოს მკაფიოდ ფორმულირებული და გონივრულად დამუშავებული პოლიტიკის პირობებში მიიღწევა, ხოლო უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ეფექტიანი პოლიტიკის არ არსებობა შეიძლება უარყოფითად აისახოს ქვეყნის კონკურენტუნარიანობასა და ეკონომიკურ ზრდაზე. საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად აუცილებელია ინვესტორს გაუჩნდეს ნდობისა და სტაბილურობის შეგრძნება, ინვესტიციების ზრდის მთავარ მიზეზად მსოფლიო ბანკიც ინვესტორთა ნდობას ასახელებს, ამის დასტურია საქართველოში, 2008 წლის ომის შემდგომი კრიზისი, ინვესტორთა ნდობის შემცირების კვალდაკვალ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 65%-ით შემცირდა ტრანსპორტის, საბანკო და სერვისთან დაკავშირებულ სხვა სექტორებში, ასევე, 50%-ით - მშენებლობისა და მრეწველობის დარგებში.<sup>1</sup>

გლობალიზაცია და ბიზნესის გარემოს მუდმივი ცვალებადობის პირობებში მნიშვნელოვანია საინვესტიციო გარემოს განვითარებაზე პერმანენტული ზრუნვა და მის გასაუმჯობესებლად ახალი გზების ძიება. სამეცნიერო ლიტერატურა განიხილავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სხვადასხვა დეტერმინანტს, თუმცა მწირია კვლევები ისეთ საკითხებზე, რომლებიც მოიცავს სოციოლოგიურ ფაქტორებს.

სოციალური კაპიტალის ცვლადების საფუძვლიანი ანალიზი და საერთაშორისო ბიზნესის კვლევებში ინკორპორირება დღეს განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის, რომელიც ცდილობს გლობალური ბიზნესის

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) (ნანახია 19.05.2017)

სივრცეში სრულფასოვან და კონკურენტუნარიან სუბიექტად ინტეგრირებას. ამ მიმართულებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქვეყნის ორიენტაცია საერთაშორისო საქმიანი ურთიერთობების დივერსიფიკაციაზე, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება. საგარეო ფაქტორი ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობად არის მიჩნეული. ამ თვალსაზრისით კი მეტად მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია საქართველოში სოციალური კაპიტალის არსებული მდგომარეობის შესწავლა, ანალიზი, შეფასება და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება პოტენციური უცხოელი პარტნიორები რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, მსოფლიო ბაზარზე საქმიანობის დიდი გამოცდილების მქონე ტრანსნაციონალური კომპანიები არიან.

სოციალური კაპიტალის კვლევის მნიშვნელოვანი ამოსავალი კომპონენტია მისი არსის და მასზე მოქმედი ცვლადების დაზუსტება. ამ მიზნით უპირველეს ყოვლისა რეკომენდებულია გავაანალიზოთ სხვადასხვა მკვლევარისა და სამეცნიერო ცენტრების მიერ ჩამოყალიბებული შეხედულებები სოციალური კაპიტალისა და პუი-ს ურთიერთქმედების შესახებ.

პუი უშუალოდ განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას, ეკონომიკის არასათანადო ტემპით განვითარებამ და სახელმწიფო შემოსავლების მკვეთრად შემცირებამ შესაძლოა ხელი შეუწეოს სოციალურ დაძაბულობას და საფრთხე დაემუქროს ქვეყნის განვითარებას, სტაბილურობას და ეროვნულ უსაფრთხოებას. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილით მსგავსი არასასურველი შედეგები საჭიროა ქვეყანაში ამაღლდეს ცნობიერების დონე, განხორციელდეს მკაცრი კონტროლი კრიმინალური და თაღლითური ოპერაციების რაოდენობის შესამცირებლად, რაც ინვესტორებს აუმაღლებს ნდობის ხარისხს, ამისათვის საჭიროა როგორც კერძო სექტორის, ასევე სახელმწიფოს მხრიდან აქტიურად განხორციელდეს ცნობიერებისა და მორალური ფასეულობების ასამაღლებელი ღონიძიებები, რათა ქვეყანას აუმაღლდეს რეპუტაცია და უფრო მეტ ინვესტორს გაუჩნდებეს სურვილი განახორციელოს ინვესტიცია ჩვენს ქვეყანაში.

## საკითხის მეცნიერული დამუშავების დონე

საქართველოში აღნიშნულმა პრობლემამ აქტუალურობა ბოლო რამდენიმე წელია შეიძინა, მას შემდეგ რაც მრავალმა ცნობილმა მეცნიერმა და ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ აღმოაჩინა სოციალური კაპიტალის ეკონომიკურ განვითარებაზე ზემოქმედების მექანიზმები. სხვადასხვა მეცნიერი ასევე დაინტერესდა სოციალურ კაპიტალსა და პუის შორის ურთიერთკავშირის გამოვლენით. ქართველ მეცნიერებს შესწავლილი აქვთ პუი-ის სხვადასხვა ასპექტი და მათი მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკისათვის. მაგრამ არსებული გამოკვლევები დაფუძნებულია ტრადიციულ ეკონომიკურ თეორიასა და აზროვნებაზე, მხედველობაში არაა მიღებული ცნობიერი, ნორმატიული და კულტურული ასპექტები. ამიტომ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში სოციალური კაპიტალისა და პუი-ის ურთიერთკავშირის გაანალიზებას მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული დატვირთვა აქვს საქართველოს მასშტაბით და მნიშვნელოვნად გაამდიდრებს ამ საკითხების კვლევის საერთაშორისო გამოცდილებასაც. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და სოციალური კაპიტალის ცალკეული ასპექტები განხილული აქვთ ქართველ მეცნიერებს: თ. შანგელიას,<sup>2</sup> დ. ნარმანიას,<sup>3</sup> შ. შაბურიშვილს,<sup>4</sup> დ. სიხარულიძეს,<sup>5</sup> გ. კიკუტაძეს,<sup>6</sup> გ. ჭარაიას,<sup>7</sup> ლ. ჯამაგიძის<sup>8</sup> და სხვა ქართველ მეცნიერებს.

<sup>2</sup>Shengelia T. (2017) Determination of correlative relations between social capital, trust and motivation in the international company. 6th Business & Management Conference, Geneva. Pages 32-32.

<sup>3</sup>ნარმანია დ. ინსტიტუციონალური ჩარჩო გრძელვადიანი სოციალური დაცვით სარგებლობისათვის, კვლევა „ღია საზოგადოების ინსტიტუტის“ (OSI) ადგილობრივი თვითმმართველობისა და საჯარო სერვისის რეფორმის ინიციატივის პროგრამის ფარგლებში (პოლონეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ესპანეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ლიტვა, სლოვაკეთი, საფრანგეთი, უკრაინა, სერბია, შვედეთი, საქართველო)

<sup>4</sup>Shaburishvili, Sh, Mikaberidze, A Social Capital as a Determinant of Foreign Direct Investments (the Case of Georgia), Problems and Prospects Development of Cooperation Between South-Eastern European Countries Within the Framework of Black Sea Economic Cooperation, Svishtov, 2012. pp. 217-221. <http://jbsec.donnu.edu.ua/article/view/563/580>.

<sup>5</sup>სიხარულიძე დ., ჭარაია გ., OLI პარადიგმა და საქართველოს საინვესტიციო პოზიცია. გლობალიზაცია და ბიზნესი. N5/2018. გვ. 71-78.

<sup>6</sup>Sikharulidze D., Kikutadze V., Location advantage and Georgia's potential to attract FDI, 1st EuroAsian Multidisciplinary Forum, EMF 2013. 24-26 October.

<sup>7</sup>სიხარულიძე დ., ჭარაია გ., OLI პარადიგმა და საქართველოს საინვესტიციო პოზიცია. გლობალიზაცია და ბიზნესი. N5/2018. გვ. 71-78.

<sup>8</sup>ჯამაგიძე ლ. ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2008.

## **კვლევის მიზანი და ამოცანები**

**კვლევის მიზანია** გამოვავლინოთ რა მექანიზმების მეშვეობით ახდენს სოციალური კაპიტალი გავლენას პუი-ზე, დავადგინოთ სოციალური კაპიტალის ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორების მნიშვნელობა პოსტსაბჭოთა ქვეყნებსა და საქართველოში და განვსაზღვროთ, თუ რამდენად შეიძლება პუი-ის მოზიდვის პოლიტიკის სპეციფიკა აიხსნას სოციალური კაპიტალთან დაკავშირებული კონცეფციებით.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომი ფოკუსირებულია შემდეგ ამოცანებზე:

- სოციალური კაპიტალის კონცეფციების ანალიზი;
- სოციალური კაპიტალის შეფასების მეთოდების შესწავლა;
- პუი-ს თეორიების განხილვა;
- სოციალური კაპიტალისა და უცხოური ინვესტიციების ურთიერთქმედების მექანიზმების გამოვლენა;
- საქართველოში სოციალური კაპიტალის სტრუქტურის ანალიზი;
- ნეგატიური სოციალური კაპიტალის სპეციფიკის შესწავლა საქართველოში;
- პუი-ს სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი;
- კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება და ჰიპოთეზების შემოწმება;
- კვლევის შედეგების სისტემატიზაცია და რეკომენდაციების შემუშავება.

## **კვლევის საგანი და ობიექტი**

სადისერტაციო ნაშრომის კვლევს საგანია სოციალური კაპიტალის და მასთან დაკავშირებული კონცეფციების (პიროვნული თავისუფლება, სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემა, დანაშაულის დონე, დაცულობა და უსაფრთხოება) პუი-ზე ზემოქმედების მექანიზმების ეფექტიანობა.

იმისათვის, რომ მაქსიმალურად ავსახოთ საქართველოს, პოსტსაბჭოთა ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებები, კვლევის ობიექტად შევარჩიეთ, ერთი მხრივ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და უშუალოდ საქართველოში შემოსული უცხოური ინვესტიციების წილი მთლიან შიდა პროდუქტში, მათი დინამიკა და სტრუქტურა; მეორე მხრივ, სოციალური კაპიტალი და მასთან მჭიდრო კავშირში მყოფი ისეთი

კონცეფციები, როგორცაა: პიროვნული თავისუფლება, სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემა, დანაშაულის დონე, დაცულობა და უსაფრთხოება. სწორედ ამ ორი მხარის და მათ შორის არსებული ურთიერთკავშირების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვაგლინოთ ის ძირითადი მექანიზმები რომლითაც სოციალური კაპიტალი გავლენას ახდენს პუი-ის ნაკადებზე.

### **თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა**

ეკონომიკური მოვლენებისა და კატეგორიებისადმი სოციალურ კაპიტალთან დაკავშირებული მიდგომები შედარებით ახალია და განსხვავდება ტრადიციული ეკონომიკური თეორიისგან. სოციალური კაპიტალისა და პუი-ის ურთიერთკავშირის შესახებ მეცნიერული გამოკვლევები მცირეა და მათი განზოგადება ნაკლებად სანდო შედეგებს მოგვცემს. თუმცა, ბოლო პერიოდში ზოგადად სოციალური კაპიტალისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირისა და განპირობებულობის საკითხი საერთაშორისო სამეცნიერო წრეების ინტერესს იწვევს. მსოფლიო ბანკის „ინიციატივა სოციალური კაპიტალისთვის“ (Social Capital Initiative) ასაბუთებს, რომ სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებულ სოციალურ კაპიტალს ვხვდებით. ეს ნიშნავს, რომ ყველა ქვეყნისთვის დამახასიათებელია გამორჩეული სოციალური კაპიტალი ეკონომიკურ მაჩვენებლებზე თავისი განსხვავებული ეფექტებით. ამიტომ სხვა ქვეყნებისთვის გამოტანილი დასკვნები მისაღები არ იქნება საქართველოსთვის. თემის მეცნიერული კვლევა ხელს შეუწყობს სოციალური კაპიტალისა და მისი შემადგენელი კომპონენტების პუი-ზე ზემოქმედების ასპექტების მიმართ ახალი თეორიული კონცეფციის ჩამოყალიბებას. აღნიშნული საკითხის კვლევა მნიშვნელოვნად შეავსებს ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში უკვე არსებულ, პუი-ის დეტერმინანტებთან დაკავშირებულ, ტრადიციულ თეორიებსა და მიდგომებს.

## კვლევის ჰიპოთეზა

შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზმა გვაჩვენა, რომ კვლევის მიზნის მისაღწევად მიზანშეწონილია შემდეგი ჰიპოთეზების შემოწმება:

ჰ1: სოციალური კაპიტალის განვითარება ხელს შეუწყობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას;

ჰ2: პიროვნული თავისუფლების მაჩვენებლის გაუმჯობესება სხვა თანაბარ პირობებში იწვევს სოციალური კაპიტალის ზრდას;

ჰ3: პიროვნულ თავისუფლებას, დაცულობა-უსაფრთხოებას და სოციალურ კაპიტალს შორის არსებობს დადებითი კავშირი;

ჰ4: პიროვნულ თავისუფლებას, დაცულობა-უსაფრთხოებასა და პუი-ს შორის არსებობს დადებითი კავშირი;

ჰ5: დანაშაულის დონესა და პუი-ს შორის არსებობს უარყოფითი კავშირი;

ჰ6: პუი-ს მიმღები ქვეყნის გამართული მარეგულირებელი სისტემა დადებითად მოქმედებს სოციალურ კაპიტალზე;

ჰ7: პუი-ს მიმღები ქვეყნის გამართული მარეგულირებელი სისტემა უარყოფითად მოქმედებს პუი-ზე.

## კვლევის მეთოდები

კვლევა დაეფუძნება სოციალური კაპიტალისა და პუი-ის ურთიერთკავშირის შესახებ ცნობილი უცხოელი ავტორების, ავტორიტეტული საერთაშორისო ინსტიტუტების (მსოფლიო ბანკი, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია, ლეგატუმის ინსტიტი) ფუნდამენტურ გამოკვლევებსა და მეთოდებს.

საკითხის სირთულისა და კომპლექსურობის გამო ნაშრომში გამოყენებულია სისტემური, კომპლექსური და დიფერენცირებული მიდგომები, სხვადასხვა სახის – ისტორიულის და ლოგიკურის ერთიანობის, დიალექტიკური, მეცნიერული აბსტრაქციის, პოზიტიურ-ნორმატიული და შედარებითი ანალიზის, ინდუქციისა და დედუქციის, მათემატიკურ-სტატისტიკური და ა.შ. მეთოდები. არსებული თეორიების და წამყვანი მეცნიერების ნაშრომების ანალიზის და სინთეზის შედეგად ჩამოყალიბდა ჰიპოთეზები, რომლებიც შემოწმდა რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით. მიდგომა, რომელსაც ეფუძნება ნაშრომი გულისხმობს არსებული თეორიის (ჰიპოთეზის) ემპირიული კვლევის საშუალებით შემოწმებას.

ამრიგად, ეს კვლევა ატარებს პოზიტიურ ხასიათს, რომელიც გულისხმობს რეალობის არსებობას მკვლევარისგან დამოუკიდებლად.

### ნაშრომის მეცნიერული სიახლე

სოციალური კაპიტალის, პიროვნული თავისუფლების, სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემის, დანაშაულის დონის, დაცულობა - უსაფრთხოებისა და პუი-ს კომპლექსურ ანალიზს ქართულ აკადემიურ წრეებში აქამდე ჯერ არ დათმობია სათანადო ყურადღება, ხოლო მათი ურთიერთკავშირები არცერთ ემპირიულ კვლევაში არ არის წარმოდგენილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის ზოგად მეცნიერულ სიახლეს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სოციალური კაპიტალის, მასზე მოქმედი ცვლადებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კომპლექსური სისტემური ანალიზი წარმოადგენს. კერძოდ:

- გააანალიზებულია და ერთმანეთისგან თვისებრივად გამიჯნულია სოციალური კაპიტალის პუი-ზე ზემოქმედების კონცეფციები;
- დადგენილია, რომ სოციალური კაპიტალი წარმოადგენს პუი-ზე მოქმედ არსებით ფაქტორს;
- გამოვლენილია, რომ სოციალური კაპიტალის ცვლილება პუი-ზე აისახება 6 თვიდან 1 წლამდე პერიოდის შემდეგ. ეს ის დროა, რომელიც აუცილებელია ბიზნეს პარტნიორების და ინსტიტუტების მიმართ ნდობის ჩამოყალიბების, სოციალურ ქსელში გაერთიანების, მათ შორის საქმიანი კავშირ-ურთიერთობების გამყარების, კონკრეტული საინვესტიციო პროექტის მომზადებისა და ამოქმედებისათვის;
- დადგენილია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნები, რომლებსაც აქვთ ძლიერი მოქალაქეობრივი უფლებები და თავისუფლებები ხასიათდებიან სოციალური კაპიტალის მაღალი დონით;
- დასაბუთებულია, რომ სოციალური კაპიტალი ზრდა საჭიროებს ქვეყანაში ადამიანების არჩევანის, გამოხატვის, მოქმედების, რწმენის თავისუფლების უზრუნველყოფას, უმცირესობებისა და იმიგრანტების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების განვითარებას, ასევე ეროვნული უსაფრთხოების დონის ამაღლებასა და პიროვნული დაცულობის ხარისხის სრულყოფაზე მუდმივ ზრუნვას;

- დადგენილია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კრიმინოგენული ფონის გაუმჯობესება, ის თუ რამდენად დაცულია მეწარმე და ზოგადად მოქალაქე ძარცვისა და ქურდობისაგან, პირდაპირ აისახება პუი-ის მოცულობაზე;
- გამოვლენილია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კარგად მართული დემოკრატიული საზოგადოება, ეფექტიანი და მოწესრიგებული მთავრობა, გამართული სამართლებრივი სისტემა, სამართლიანი არჩევნები პირდაპირ კავშირშია სოციალური კაპიტალის ისეთ დეტერმინანტებთან, როგორიცაა: მოხალისეობა, ინდივიდების ან ინსტიტუტების მიმართ ნდობა.

### **კვლევის მოსალოდნელი შედეგები**

განხორციელებული კვლევა შესაძლებლობას მოგვცემს, ჩამოვაყალიბოთ მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრებები საქართველოში სოციალური კაპიტალის განვითარების შესახებ და შევაფასოთ, რამდენად შეუძლია ხელი შეუწყოს მან გლობალურ ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრაციის ხარისხის ამაღლებასა და პუი-ის შემომავალი ნაკადების ზრდას. სადისერტაციო ნაშრომში მიღებული შედეგები, შეავსებს და გააღრმავებს ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებულ თეორიულ ცოდნას გარდამავალ ეკონომიკაში პუი-ის ძირითადი დეტერმინანტების შესახებ. სოციალურ კაპიტალსა და პუი-ს შორის კავშირურთიერთობათა თავისებურებების შესახებ ინფორმაცია საყურადღებო იქნება სამთავრობო დაწესებულებებისათვის პუი-ის მოზიდვის პროგრამების შემუშავებისას. ასეთი პროგრამები შეიძლება მიზნად ისახავდეს ინსტიტუციური და ბიზნეს ქსელების განვითარებას, ინსტიტუტების მიმართ ნდობის ამაღლებას, კრიმინოგენული ფონის გაუმჯობესებაზე ზრუნვას, ნეგატიური სოციალური კაპიტალის შემცირებას, სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემის ეფექტიანობის ამაღლებას და ა.შ.

### ნაშრომის პუბლიკაცია და აპრობაცია

სადისერტაციო ნაშრომი მთლიანად განხილულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესის კათედრაზე (ოქმი №1)

გარდა ამისა, კვლევის შედეგები წარდგენილია შემდეგ საერთაშორისო კონფერენციებზე:

- მე-13 საერთაშორისო კონფერენცია სოციალურ მეცნიერებებში (ICSS XIII), 6-7 ოქტომბერი, 2017, ვენა, ავსტრია, მოხსენება- “სოციალური კაპიტალის ზემოქმედება პუი-ზე საქართველოში”.
- ინფორმატიკის საერთაშორისო სკოლა (ISI) 2018 - ITHEA, 1-7 ივლისი, 2018, ვარნა, ბულგარეთი, მოხსენება – “ინფორმაციული ტექნოლოგიების გავლენა განვითარებადი ქვეყნების სოციალურ კაპიტალსა და პუი-ზე”.

სადისერტაციო ნაშრომის შინაარსის ამსახველი სტატიები გამოქვეყნებულია შემდეგ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში:

1. “Impact of Information Technologies on Social Capital and Foreign Direct Investments in Developing Countries”, mag. Information Theories and Applications, Vol.25, Number 2, Oct. 2018 (ISSN 1310-0513), p.181-189 ;
2. “The Impact of Social Capital on FDI in Georgia”, European Journal of Economics and Business Studies, Sep. Dec. 2017 Vol. 9, Nr. 1 ( ISSN 2411-9571 (Print) ISSN 2411-4073 (online) p.17-24;
3. “შავი ფულის გათეთრების ზემოქმედება სოციალური კაპიტალის ფორმირებასა და პუი-ს მოზიდვაში”, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ფინანსური აღრიცხვა“ (ACCA), იან. 2018, Nr. 1 (252), (ISSN 1512-0805) გვ. 32-36 (თანაავტორი);
4. “სოციალური კაპიტალის ფუნქციონირება საქართველოში: არსებული მდგომარეობა და გამოწვევები”, ეკონომიკა და ბიზნესი, (Nr. 2, 2018, ISSN 1987-5789) გვ. 66-76.

## ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, რვა ქვეთავისა და დასკვნისაგან. ძირითადი ტექტი შეადგენს A4 ფორმატის, კომპიუტერიზე ნაბეჭდ 180 გვერდს. თემას თან ერთვის 225 დასახელების გამოყენებული ლიტერატურის სია.

სადისერტაციო ნაშრომი - „სოციალური კაპიტალი, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელი დეტერმინანტი“ ეძღვნება სოციალური კაპიტალის და მასზე მოქმედი ფაქტორების პუი-სთან ურთიერთქმედების ანალიზს.

შესავალში განხილულია თემის აქტუალობა, საკითხის მეცნიერული დამუშავების დონე, კვლევის მიზანი, ამოცანები, საგანი, ობიექტი და ჰიპოთეზა, საკითხის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, კვლევის მეთოდები, მეცნიერული სიახლე და მოსალოდნელი შედეგები.

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში - “პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე სოციალური კაპიტალის ზემოქმედების კვლევის საფუძვლები”, შესწავლილია სოციალური კაპიტალის კონცეფციასთან დაკავშირებული ცნობილი მეცნიერების მოსაზრებები და შეხედულებები. გაანალიზებულია სტრუქტურული და კოგნიტური სოციალური კაპიტალის ფორმირების მიკრო, მეზო და მაკრო დონეები. აღწერილია შემაკავებელი და გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალის სპეციფიკა. განხილულია სოციალური კაპიტალის შეფასების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები, მისი გაზომვის ხერხები, საკუთრების ფორმებსა და სოციალურ კაპიტალს შორის კავშირი, განხილულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი თეორიები. უცხოელი მეცნიერების ნაშრომების ანალიზზე დაყრდნობით გამოკვეთილია სოციალური კაპიტალის და მასთან დაკავშირებული კონცეფციების (პიროვნული თავისუფლება, სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემა, დანაშაულის დონე, დაცულობა და უსაფრთხოება) პუი-ზე ზემოქმედების მექანიზმი.

მეორე თავია – “სოციალური კაპიტალისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა და დინამიკა საქართველოში”. პირველ პარაგრაფში განხილულია სოციალური კაპიტალის სტრუქტურა, რომელიც არაერთგავროვნებით გამოირჩევა. აღსანიშნავია, რომ სოციალური კაპიტალის დონე საქართველოში არცთუ მაღალ დონეზეა. ლეგატუმის მსოფლიო კეთილდღეობის ინდექსის 2017 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველო

მსოფლიოს 149 ქვეყნიდან 84-ე ადგილზეა, ნიკარაგუასა და გუატემალას შორისაა. მეორე პარაგრაფში შესწავლილია ნეგატიური სოციალური კაპიტალის თავისებურებები საქართველოში. ნეგატიურ სოციალურ კაპიტალში მოიაზრება ყველა ის ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის სოციალურ გაერთიანებებსა და დაჯგუფებებს ეფექტიანად და კეთილსინდისიერად ფუნქციონირებაში. ნეგატიური სოციალური კაპიტალის გამოვლინებებია: კორუფცია, ნეპოტიზმი და კრონიზმი, მექრთამეობა, მექრთამეობა, კოლექტიური ქცევა, დანაშაული და ნეგატიური არაფორმალური კავშირები, რაც გარდამავალ პერიოდში თვალსაჩინო იყო საქართველოში. მესამე პარაგრაფში გაანალიზებულია პუი-ს დინამიკა და სტრუქტურა საქართველოს რეგიონების, ეკონომიკის სექტორების, ძირითადი ინვესტორი ქვეყნების, ქვეყანათა ჯგუფებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიხედვით. შესწავლილია, თუ როგორი სტრუქტურისა და დონის სოციალური კაპიტალის მქონე ქვეყნების წარმომადგენლები ინტერესდებიან საქართველოს საინვესტიციო გარემოთი.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავი მთლიანად ეძღვნება კვლევით ნაწილს, მეთოდოლოგიის განსაზღვრას, მონაცემთა ანალიზს და ჰიპოთეზების შემოწმებას. აღნიშნული თავი წარმოდგენილია ორი პარაგრაფით. პირველ პარაგრაფში, „კვლევის მეთოდოლოგია“ ჩამოყალიბებულია განსაზღვრულია კვლევის მეთოდები და სტრატეგია, ახსნილა კვლევაში გამოყენებული ძირითადი ცვლადები (სოციალური კაპიტალი, პერსონალური თავისუფლება, დაცულობა/უსაფრთხოება, მარეგულირებელი სისტემა, პუი-ს წილი მშპ-ში, დანაშაულის დონე) და მათი წყაროები. 10 პოსტსოციალისტური ქვეყნის მიხედვით შეგროვილი მონაცემების ანალიზისათვის გამოყენებულია პროგრამა “STATA”. მეორე პარაგრაფში, „ჰიპოთეზების შემოწმება“ განხორციელდა ჰიპოთეზების ტესტირება, რის საფუძველზეც გამოტანილ იქნა დასკვნები და შემუშავდა რეკომენდაციები საქართველოში საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად.

დასკვნით ნაწილში შეჯამებულია პრაქტიკული და თეორიული მონაცემების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მიღებული შედეგები. გამოთქმულია ავტორისეული მოსაზრებები საქართველოში სოციალური კაპიტალის, მარეგულირებელი სისტემის ეფექტიანობის, დაცულობა-უსაფრთხოების დონის ამაღლების, ნეგატიური სოციალური კაპიტალის

ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორების აღმოფხვრის, პუი-ს შემომაველი ნაკადების ზრდისა და სტრუქტურის გაუმჯობესების თაობაზე.

# თავი 1. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე სოციალური კაპიტალის ზემოქმედების კვლევის საფუძვლები

## 1.1 სოციალური კაპიტალის კონცეფცია

სოციალურ კაპიტალს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ინდივიდების ყოველდღიურ ცხოვრებაში, იგი განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო 10-15 წლის განმავლობაში, თუმცა მისი არსის შესწავლა და კონცეფციის დამკვიდრება საუკუნეების წინ დაიწყო. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სოციალური კაპიტალი მრავალი მეცნიერის ყურადღების ობიექტს წარმოადგენს.<sup>9</sup>

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, მეცნიერი ალექსის დე ტოკვილი აკვირდებოდა ამერიკულ ცხოვრებას, რის შედეგადაც დაასკვნა, რომ ამერიკელები თავს არიდებდნენ საზოგადოებრივ შეკრებებს, სადაც ხორციელდებოდა ქვეყნის ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემების წამოჭრა და გადაწყვეტის გზებზე მსჯელობა. მისი აზრით, “გამჭვრივალების მაღალი ხარისხი ხელს უწყობს ხალხის ჩართულობისა და აქტივობის დონის ზრდას, რაც აუმჯობესებს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას”.<sup>10</sup>

ტერმინი “სოციალური კაპიტალი” პირველად შემუშავებულ იქნა 1916 წელს, ამერიკაში, ლიდ დჯადსონ ხანიფანის ავტორობით გამოცემულ წიგნში, სადაც იგი საუბრობს სოფლის სკოლებში არსებული პრობლემებისა და მეზობლების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად აღნიშნული წინააღმდეგობების დაძლევის შესახებ.<sup>11</sup> იგი სოციალურ კაპიტალს განსაზღვრავს, როგორც: “არამატერიალური აქტივი, რომელსაც ყოველი ჩვენგანის ყოველდღიურ ცხოვრებაში უდიდესი ადგილი უჭირავს და მოიცავს: კეთილ ნებას, სიმპათიას, სოციალურ ჩართულობას ინდივიდებს შორის, რომლებიც ქმნიან სოციალურ კავშირებს”.<sup>12</sup> მისი აზრით: “მატერიალური კაპიტალს: ფულს, კერძო საკუთრებას და ა.შ

<sup>9</sup> შაბურიშვილი შ., სოციალური კაპიტალის ფორმირების თავისებურებები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო, თბილისი, 28 თებერვალი, 2011. გვ.283-293.

<sup>10</sup> De Tocqueville, A. 1990 [1835-1840]. P. Bradley, ed. Democracy in America. New York: Vintage Classics.

<sup>11</sup> Hanifan, L. J. (1916) "The rural school community center", Annals of the American Academy of Political and Social Science 67: 130-138. Also see Hanifan, L. J. (1920) The Community Center, Boston: Silver Burdett.

<sup>12</sup> Hanifan, L. J. (1916). The rural school community center. Annals of the American Academy of Political and Social Science, 67, 130-138.

ეკარგება ყოველივე ფასეულობა ისეთ საზოგადოებაში, სადაც არ არის განვითარებული სოციალური კაპიტალი. ურთიერთთანადგომის, კეთილი ნების, ნდობის, სამოქალაქო ჩართულობისა და აქტივობის, საერთო სიმპათიის გარეშე მატერიალური აქტივები კარგავს ეფექტიანობას და ამცირებს საერთო სიკეთეს. თუ საზოგადოების წევრები ჩაერთვებიან საზოგადოებრივ აქტივობებში, ისინი მოახდენენ სოციალური კაპიტალის აკუმულირებას, ყოველივე აღნიშნული კი დააკმაყოფილებს როგორც ინდივიდუალურ, ასევე საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს და გააუმჯობესებს ცხოვრების პირობებს”.<sup>13</sup>

სოციოლოგი და ეკონომისტი ჯეინ ჯეიკობსი ჯერ კიდევ 1960 წელს საუბრობდა სოციალური კაპიტალის ღირებულებაზე. იგი თავის სტატიებში საუბრობდა ჯანსაღი და ეფექტიანი კომუნიკაციისა და კავშირების ჩამოყალიბების მნიშვნელობისა და სარგებლიანობის შესახებ.<sup>14</sup>

სოციალური კაპიტალის კონცეფციის შემუშავებასა და დამკვიდრებაში დიდი წვლილი მიუძღვის პიერ ბურდიეს, რომელსაც ეკუთვნის ნაშრომი “პრაქტიკული მოქმედების თეორიის მონახაზი”,<sup>15</sup> მან ტერმინი “სოციალური კაპიტალი” გამოიყენა ეკონომიკური კაპიტალისაგან. აღსანიშნავია ამერიკის სოციოლოგიური ასოციაციის 83-ე პრეზიდენტის - ჯეიმს კოულმანის ღვაწლი, რომელმაც “სოციალური კაპიტალი” ამერიკის აკადემიურ ლექსიკონში შეიტანა.<sup>16</sup> სოციალური კაპიტალის კონცეფციის ფორმირებაში დიდი ადგილი უჭირავს ჰარვარდის პროფესორს - რობერტ პატნემს, რომელმაც არაერთი ნაშრომი მიუძღვნა სოციალური კაპიტალის კვლევას. მან, 30 ათასი ამერიკელის გამოკითხვის შედეგად, დაასკვნა, რომ ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა თავს არიდებს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ჩართულობას, დაბალია მოხალისეობის დონე და ნდობის ხარისხი ერთმანეთის, მთავრობისა და განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობების მიმართ, რომელთა რიცხვმა 1990-იან წლებში საგრძნობლად იმატა ამერიკაში. მის ნაშრომში - “Bowling Alone” აღწერილია, რომ ამერიკაში სოციალური კაპიტალის შემცირება დაიწყო 1950 წლიდან, რაც განსაკუთრებით გამოიხატა სამოქალაქო აქტიურობისა და მოხალისეობის მაჩვენებლის დეგრადაციაში, პატნემის აზრით, ყოველივე აღნიშნული

<sup>13</sup> Hanifan, L. J. (1916) "The rural school community center", *Annals of the American Academy of Political and Social Science* 67: 130-138. Also see Hanifan, L. J. (1920) *The Community Center*, Boston: Silver Burdett.

<sup>14</sup> Jacobs, J (1961). *The Death and Life of Great American Cities*. Random House. p. 138.

<sup>15</sup> Bourdieu P. (1972) , *Outline of a Theory of Practice*, Cambridge University Press, 1977

<sup>16</sup> Coleman, J. S. (1988). Social capital in the creation of human capital. *American Journal of Sociology* 94: 95-120.

ეწინააღმდეგება ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას, სწორედ ამიტომ სოციალური კაპიტალი პოლიტიკური განხილვების აქტუალურ თემად იქცა.<sup>17</sup>

პოლიტიკური მეცნიერების დოქტორმა, რობერტ სალისბერმა სოციალური კაპიტალი მიიჩნია ინტერესთა ჯგუფებისა და სოციუმის ფორმირების აუცილებელ და კრიტიკულ კომპონენტად. აღნიშნული შეხედულება მან ჩამოაყალიბა სტატიაში “ინტერესთა ჯგუფების გაცვლის თეორია” და აღნიშნა, რომ “თუ ინდივიდთა შორის ვერ ხერხდება ეფექტიანი კომუნიკაცია და არ ხდება მათ შორის სარგებლის, ინტერესთა მიმოცვლა და საერთო საქმიანობაში ჩართულობა, ასეთი სოციუმი ვერასდროს დააკმაყოფილებს ძლიერი ქვეყნის ჩამოსაყალიბებლად საჭირო მოთხოვნებს”.<sup>18</sup>

სოციალური კაპიტალის ცნება ასევე განავრცო ამერიკელმა სოციოლოგმა ჯეიმს ქოულმენმა, რომელმაც 1977 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „სოციალური თეორიების საფუძვლები“. მისი აზრით, “სოციალური კაპიტალი მოიაზრებს სოციალური კავშირების, პრინციპების, ნორმების და სტრუქტურების ყველა იმ თავისებურებას, რომლებიც განსაზღვრავს ინდივიდების ურთიერთ თანამშრომლობის ეფექტიანობას”.<sup>19</sup>

მეცნიერი ზუკერი მიიჩნევს, რომ “სოციალური კაპიტალიც საწარმოო კაპიტალია. როგორც კაპიტალის სხვა ფორმები, ისიც საშუალებას იძლევა, მივაღწიოთ გარკვეულ მიზნებს, რომელთა ხორცშესხმაც შეუძლებელია მისი არარსებობის შემთხვევაში, ჯგუფს, რომლის წევრებიც ერთმანეთს ენდობიან, გაცილებით უფრო მეტი შეუძლიათ, ვიდრე ჯგუფს, სადაც ასეთი ნდობა არ არსებობს”.<sup>20</sup>

რობერტ პატნემსა და ლევის ფელდშტეინს ეკუთვნით ნაშრომი სახელწოდებით -“ერთად უკეთესია”, სადაც საუბარია ამერიკული საზოგადოების ერთმანეთთან გაუცხოვებისა და სოციალური სტრუქტურების დეზინტეგრაციაზე. პატნემი და ფელდშტეინი სოციალური კაპიტალის განვითარების ერთადერთ საშუალებად საზოგადოების წევრების გაერთიანებასა და სამოქალაქო აქტივობებში ერთობლივად ჩართვას მიიჩნევენ. ისინი აღწერენ სოციალური

<sup>17</sup> Putnam, R. D. 'Bowling Alone: America's Declining Social Capital', Journal of Democracy 6:1, Jan, [http://muse.jhu.edu/demo/journal\\_of\\_democracy/v006/putnam.html](http://muse.jhu.edu/demo/journal_of_democracy/v006/putnam.html) (ნანახია 25.02.2017)

<sup>18</sup> Salisbury H. R. (1969), “An Exchange Theory of Interest Groups”, Midwest Journal of Political Science, Vol. 13, No. 1 (Feb., 1969), pp. 1-32

<sup>19</sup> Coleman, James S. Foundations of social theory. Cambridge: Harvard University Press. 1990

<sup>20</sup> Zucker, L. (1986). Production of trust: Institutional sources of economic structure, Research in Organization Behavior, 8, 53-111.

კაპიტალის მნიშვნელობას და წარმოაჩენენ ერთად შეკრული სოციუმის განუზომელ ძალას, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერი დაბრკოლების გადალახვა შესაძლებელი. ავტორები ხსნიან, თუ როგორ შეუძლია განვითარებულ სოციალურ კაპიტალსა და შეკრულ საზოგადოებას შეცვალოს თითოეული ინდივიდის ცხოვრება უკეთესობისაკენ.<sup>21</sup>

მეცნიერი გრანოვეტერი და სვედბერგი მიიჩნევენ, რომ “სოციალური კაპიტალი ურთიერთ თანამშრომლობისაკენ უბიძგებს ინდივიდებს და წარმოქმნის „მორალურ რესურსებს“, რომელთა ოდენობაც გამოყენების პროცესში იზრდება, ხოლო მოუხმარებლობის შემთხვევაში – განილევა”.<sup>22</sup>

როდესაც მაღალია ურთიერთდახმარებისა და მხარდაჭერის ხარისხი ინდივიდთა შორის ეს ნიშნავს იმას, რომ უფრო და უფრო მტკიცე ხდება ურთიერთობები და იზრდება სოციალური კაპიტალის დონე. მისი ფორმები: სოციალური ჩართულობა და ურთიერთთანამშრომლობა, მეტად მყარდება გამოყენებისას და მცირდება გამოყენების გარეშე. სოციალური კაპიტალი–ეს არის საერთო ქონება, ფულადი სახით წარმოდგენილი კაპიტალი კი, ძირითადად, კერძო საკუთრების სახით გვხვდება. სხვა საჯარო ფასეულობის მსგავსად, სოციალური კაპიტალი უმეტეს წილად არ არის დაცული და შენახული კონკრეტულ ინდივიდთა მიერ.<sup>23</sup>

სოციალური კაპიტალის, როგორც კონცეფციის, მრავალნაირი გაგება არსებობს. ბურდიე მიიჩნევს, რომ “სოციალური კაპიტალი - ეს არის ნათესაურ და ჯგუფურ კავშირებზე დაფუძნებული რესურსების ერთობლიობა”.<sup>24</sup>

ბურდიე ასევე აღნიშნავს, რომ “სოციალური კაპიტალის ფლობა ჩვეულებრივი მოვლენაა და არ მოიაზრებს ეკონომიკური კაპიტალის ფლობის აუცილებლობას, თუმცა, იგი განკუთვნილია მხოლოდ ელიტარული წრის წარმომადგენელთათვის და იძლევა პრივილეგიების და გავლენის შენარჩუნების საშუალებას, სოციალური კაპიტალი ფარავს მისი მფლობელების სარგებლის მიღების აშკარა სურვილს, რაც ეწინააღმდეგება ღია დემოკრატიული

<sup>21</sup> Putnam, R. D., Feldstein, L. M., (2003). Better together: Restoring the American community. New York: Simon & Schuster.

<sup>22</sup> Swedberg, R. and Granovetter, M. (2001) The Sociology of Economic Life, Cambridge: Westview Press.

<sup>23</sup> Quibria, M.G. (2003), “The Puzzle of Social Capital: A Critical Review,” ERD Working Paper, 40.

<sup>24</sup> Bourdieu, Pierre: Acts of Resistance. Against the New Myths of Our Time. (Transl. by Richard Nice). Cambridge: Polity 1998b.

საზოგადოების პრინციპებს”.<sup>25</sup> მოგვიანებით ბურდიემ ლიტერატურაში შემოიტანა ისეთი ტერმინები, როგორიცაა „სოციალური და კულტურული კაპიტალი“, „აკადემიური ძალაუფლების კაპიტალი“, „სამეცნიერო პრესტიჟის კაპიტალი“, „პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების კაპიტალი“, და „სიმბოლური კაპიტალი“.<sup>26</sup>

კოულმენი მიიჩნევს, რომ “სოციალური კაპიტალი ნდობისა და ურთიერთდახმარების შედეგად ყალიბდება, იგი გამოვლინებას ჰპოვებს პირად ურთიერთობებში მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გაჩენის სახით, სოციალური კაპიტალი არის ინდივიდების უნარი მართონ და გამოიყენონ შეზღუდული რესურსები სხვადასხვა სოციალურ ქსელსა თუ უფრო ფართო სტრუქტურაში წევრობის საფუძველზე”.<sup>27</sup> კოულმენი მიიჩნევს, რომ სოციალური კაპიტალით სარგებლის მიღება შეუძლიათ არა მხოლოდ ელიტური ჯგუფების წარმომადგენლებს, არამედ ნებისმიერ ინდივიდს, მისი წვლილი დიდია არაელიტური ჯგუფების როლის წინ წამოწევაში: “დაბალ ფენასა და მუშათა კლასს შეუძლია ელიტური წრის მსგავსად სარგებლის მიღება სოციალური კაპიტალით”.<sup>28</sup>

პატნემის აზრით, “ფიზიკური კაპიტალი დაკავშირებულია მატერიალურ აქტივებთან, ხოლო ადამიანური კაპიტალი კი თითოეული ინდივიდის პიროვნულ მახასიათებელთან და თვისებებთან, სოციალური კაპიტალი იქმნება ადამიანებს შორის კავშირის საფუძველზე - სოციალური ქსელები, ურთიერთობისა და ნდობის ნორმები”.<sup>29</sup> აღნიშნული შეხედულებით, სოციალური კაპიტალი პირდაპირ კავშირშია „მოქალაქეობრივ ღირსებასთან“.

სოციოლოგი ემანუელ ფერაგინა აღნიშნავს, რომ “სოციალური კაპიტალი გულისხმობს საზოგადოების გაერთიანებას საერთო მიზნის მისაღწევად, განვითარებული სოციალური კაპიტალი წარმოშობს განზოგადოებულ ნდობას და პარალელურად წარმოაჩენს ადამიანს თავისუფალ არჩევანს. სოციალური კაპიტალი წარმოქმნის შეკრულ და ძლიერ სოციუმს”.<sup>30</sup>

<sup>25</sup> Bourdieu, Pierre: Le capital social. Actes de la Recherche en Sciences Sociales 31 (1980), 2-3

<sup>26</sup> Bourdieu, Pierre: In Other Words: Essays Toward a Reflexive Sociology. Cambridge: Polity 1991.

<sup>27</sup> Coleman, J. (1990). Foundation of Social Theory, Cambridge: Harvard University Press

<sup>28</sup> Coleman, J (1988), Social Capital in the Creation of Human Capital, American Journal of Sociology, 94

<sup>29</sup> Putnam, R. D. 'Bowling Alone: America's Declining Social Capital', Journal of Democracy 6:1, Jan, [http://muse.jhu.edu/demo/journal\\_of\\_democracy/v006/putnam.html](http://muse.jhu.edu/demo/journal_of_democracy/v006/putnam.html) (ნანახია 26.03.2017)

<sup>30</sup> Ferragina, E. (2012) Social Capital in Europe: A Comparative Regional Analysis. Cheltenham: Edward Elgar. Books.google.com. Retrieved 2014-04-20.

ამერიკელი მეცნიერი როუზი, თავის სტატიაში “საზოგადოებრივი მოქალაქეობა და მესამე გზა”, მიიჩნევს, რომ “აუცილებელია ისეთი პოლიტიკური ბერკეტების შემუშავება, რომლებიც საზოგადოებას აქცევს მორალურ და პასუხისმგებლობის მქონე სუბიექტებად, რათა ქვეყანამ შეძლოს სოციალურ - ეკონომიკური განვითარება”.<sup>31</sup>

მეცნიერი არეფი მიიჩნევს, რომ “კონსენსუსი ეს არის სოციალური კაპიტალის უმთავრესი ინდიკატორი, რომელშიც მოიაზრება საერთო ინტერესების ქონა და დაინტერესებულ მხარეებს შორის შეთანხმებების ეფექტიანად მიღწევა. კოლექტიური აქტივობის მაჩვენებელი განსაზღვრავს ქვეყანაში სოციალური კაპიტალის დონეს ქვეყანაში”.<sup>32</sup>

მეცნიერებს ედვარდს და ფოლის დიდი წვლილი მიუძღვით ამერიკული ბიჰევიორისტული მეცნიერების სრულყოფასა და სოციალური კაპიტალის, ცივილური საზოგადოებისა და თანამედროვე დემოკრატიის პრინციპების ჩამოყალიბებაში. მათ, სოციალურ კაპიტალთან მიმართებაში, გააკეთეს ორი ძირითადი დაშვება:

1. სოციალური კაპიტალი თანაბრად ხელმისაწვდომი არ არის ყველასთვის, ისევე როგორც კაპიტალის სხვა ფორმები არ არის თანაბრად გადანაწილებული სოციუმის ყველა წევრზე სოციალური, გეოგრაფიული თუ სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე;

2. სოციალური კაპიტალის დონე კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულზე განისაზღვრება მისი სოციო-ეკონომიკური პოზიციითა და რესურსებზე წვდომის ხარისხით.

მათი აზრით, “რაც უფრო შეზღუდულია წვდომა რესურსებზე, მით უფრო დაბალია სოციალური კაპიტალის დონე კონკრეტულ ქვეყანაში”.<sup>33</sup>

მეცნიერმა პორტესმა გააანალიზა სოციალური კაპიტალის ფორმირების დროს შესაძლო შემაფერხებელი ფაქტორების წარმოქმნის ალბათობა და აღნიშნა, რომ “სოციალურ კაპიტალს, როგორც დადებით მოველენას, შესაძლოა თან ახლდეს ოთხი ტიპის ნეგატიური ასპექტი, ესენია: ინდივიდუალური თავისუფლების შეზღუდვა, ქცევის ნორმების დამახინჯება, სოციალური წრეების

<sup>31</sup> Rose, N (2000). "Community Citizenship and the Third Way". American Behavioural Scientist. 43: 1395–1411. doi:10.1177/00027640021955955.

<sup>32</sup> Arefi, M (2003). "Revisiting the Los Angeles Neighborhood Initiative (LANI): Lessons for Planners". Journal of planning education and research. 22 (4): 384. doi:10.1177/0739456x03022004005.

<sup>33</sup> Edwards B. and Foley M. W. (1999), "Administrative Theory & Praxis" Vol. 21, No. 4, Millennium Issue pp. 523-531

საზოგადოების სხვა წევრებისგან გამოყოფა და ჯგუფის წევრების არაკეთილსინდისიერი მიზნით გაერთიანება”.<sup>34</sup>

მეცნიერი ტომას სენდერი სოციალურ კაპიტალს განსაზღვრავს, როგორც “სოციალური კავშირების კოლექტიურ ღირებულებას და ყველა იმ ასპექტს, რომელიც გამომდინარეობს აღნიშნული კავშირებიდან (ნორმები და თანასაკუთრება).<sup>35</sup> ამ თვალთახედვით, სოციალური კაპიტალი გამოკვეთს იმ სარგებელს, რაც მოაქვს ნდობას, თანასაკუთრებას, ინფორმაციის გაცვლასა და კოოპერაციას, იგი ქმნის ღირებულებას სოციუმის იმ წევრებისათვის, რომლებიც ჩაბმულნი არიან სოციალურ კავშირებში, თუმცა ეს სარგებელი ხელმისაწვდომია გარეშე პირებისათვისაც. მაგალითად, თუ ქალაქის დასუფთავებაში მონაწილეობას მიიღებს ყველა მაცხოვრებელი, ეს ხელს შეუწყობს ტურისტების მოზიდვას და საბოლოოდ ეფექტიანი შედეგის მომტანი იქნება მთელი ქვეყნისათვის”.<sup>36</sup>

დევიდ ჰალპერნი ამტკიცებს, რომ “სოციალური კაპიტალის მიმართ გაცხოველებული ინტერესი მომდინარეობს იმ ეკონომიკური სარგებელიდან, რომლის მიღებაც სოციალური კაპიტალის განვითარებითაა შესაძლებელი, ესენია: ფოკუს ჯგუფების ფუნქციონირების გაუმჯობესება, სტრატეგიული ალიანსების ჩამოყალიბება და მათი საქმიანობიდან გაზრდილი ფასეულობის მიღება, გაუმჯობესებული მიწოდების ჯაჭვის ჩამოყალიბება”.<sup>37</sup>

მიჩიგანის უნივერსიტეტის, ორგანიზაციული ქცევის მეცნიერების პროფესორი ბეიკერი მიიჩნევს, რომ “ბაზარზე მოთამაშე სუბიექტები დაინტერესებულნი არიან იმ რესურსით, რომლითაც დაკომპლექტებულია სოციალური სტრუქტურები და ალიანსები, რათა სოციალური კაპიტალის გაუმჯობესებით მიღებული სარგებელი თავიანთი ინტერესების მიხედვით გამოიყენონ”.<sup>38</sup> მას ასევე ეკუთვნის ნაშრომი სახელწოდებით “როგორ მივაღწიოთ წარმატებას სოციალური კაპიტალის დახმარებით”, სადაც იგი აღწერს, თუ როგორ უნდა გავხადოთ პირადი თუ ბიზნეს-კავშირები უფრო ეფექტიანი, როგორ ხდება სოციალური კაპიტალის შეფასება, პრაქტიკაში დანერგვა და გამოყენება

<sup>34</sup> Portes, A. (1998). Social Capital: its origins and applications in modern sociology *Annual Review of Sociology*, 24, 1-24.

<sup>35</sup> Tom Sander". [www.hks.harvard.edu](http://www.hks.harvard.edu). Retrieved 2015-12-02.

<sup>36</sup> Sander, Thomas. "About Social Capital". Saguaro Seminar: Civic Engagement in America. John F. Kennedy School of Government at Harvard University. Retrieved December 2, 2015.

<sup>37</sup> Halpern, D (2005) *Social Capital* Cambridge: Polity Press. p1-2

<sup>38</sup> Baker (1990), *Market Networks and Corporate Behavior*, *American Journal of Sociology* , Am. J. Sociol p. 619

რათა მიღწეულ იქნას სასურველი შედეგი. აღნიშნულ წიგნში ბეიკერი განასხვავებს ადამიანურ და სოციალურ კაპიტალს ერთმანეთისაგან. მისი განმარტებით, ადამიანური კაპიტალი წარმოადგენს იმას თუ “რა იცი”-ანუ რა ცოდნას, უნარ ჩვევებს და გამოცდილებას ფლობს ინდივიდი, ხოლო სოციალური კაპიტალი კი განსაზღვრავს პირადი თუ საქმიანი ქსელების ზომას, ხარისხსა და მრავალფეროვნებას. ბეიკერი ხაზს უსვამს სოციალური კაპიტალის როლს ბიზნეს-საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებაში, მისი აზრით წარმატებული მენეჯერის საიდუმლო გრძელვადიანი კავშირების დამყარებაში იმალება. იგი იძლევა რეკომენდაციას, რომ მენეჯერები არ შემოიფარგლონ მხოლოდ ტექნიკური საკითხების მოგვარებით და მეტი დრო დაუთმონ კავშირების ჩამოყალიბებასა და გამყარებას. მისმა კვლევამ აჩვენა, რომ ისინი, ვინც პარტნიორებისათვის ასოცირდებიან ორგანიზაციასთან, რომლებსაც მათთვის ყველა ბიზნეს-საკითხის მოგვარება შეუძლიათ, არიან უფრო გავლენიანი და წარმატებული თავიანთ საქმიანობაში, ვიდრე ისინი, ვინც მხოლოდ დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებით იფარგლება. ბეიკერი ასევე საუბრობს სტრატეგიული ალიანსების ფორმირებისას სოციალური კაპიტალის როლზე. მისმა დაკვირვებამ გამოავლინა, რომ ალიანსების ჩამოყალიბებისას მონაწილეები უპირატესობას ანიჭებენ პირად და ბიზნეს-კონტაქტებს, რადგან საქმიანობისას უმნიშვნელოვანესია ურთიერთშეთავსებადი ჯგუფების სტრუქტურისა.<sup>39</sup>

პროფესორი სოციოლოგიის დარგში - ნან ლინი სოციალურ კაპიტალს განმარტავს ინდივიდუალური მიდგომიდან გამომდინარე, მისი აზრით: “ინვესტირება სოციალურ კაპიტალსა და კავშირების დამყარებაში გამართლებულია, ვინაიდან მას მოაქვს შემოსავალი და მოგება ბაზარზე”.<sup>40</sup>

მეცნიერი ფრენცის ფუკუიამა განმარტავს, რომ “სოციალური კაპიტალი არის საზოგადო წესების, ნორმებისა და შეთანხმებების ერთობა, რაც საზოგადოების წევრებს ერთმანეთთან თანამშრომლობასა და თანაცხოვრებაში ეხმარება, სოციალური კაპიტალის ჩამოყალიბება ერთჯერადი პროცესი არ არის, იგი იქმნება უწყვეტი ურთიერთქმედების ნიადაგზე და აყალიბებს ცხოვრებისათვის საჭირო ნორმებს, ფასეულობებსა და სტანდარტებს, რომლებიც შემდგომში ამცირებს სახელმწიფო რეგულაციების, იურიდიული კონტრაქტების

<sup>39</sup> Baker, W.E (2000). “Achieving Success Through Social Capital”, University of Michigan Business school Press ISBN: 978-1-118-60259-1

<sup>40</sup> Lin, Nan (2001). Social Capital, Cambridge University Press

გაფორმებისა და სხვა ტრანზაქციის დანახარჯებს.”<sup>41</sup> ფუკუიამას სოციალური კაპიტალის განვითარება სასარგებლოდ მიაჩნია და მისი ფორმირების მექანიზმად გვთავაზობს სოციალურ კავშირებსა და ალიანსებს მიღმა დარჩენილი ინდივიდებისათვის გადასახადის შემოღებას, რათა მათაც გაუჩნდეთ სურვილი გაწევრიანდნენ აღნიშნულ კავშირებში, აღნიშნული თანხით იგი ვარაუდობს ფონდების შექმნას, მოგროვებული თანხა კი განკუთვნილი იქნება საზოგადო კეთილდღეობისათვის და გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის.

მეცნიერები ნაჰაპიეტი და ლოშალი სოციალური კაპიტალის განვითარებას აკავშირებენ ინტელექტუალური კაპიტალის ზრდასთან და თვლიან, რომ “სოციალური კაპიტალის ზრდა განაპირობებს ინტელექტუალური კაპიტალის გაზრდას”.<sup>42</sup>

მეცნიერი გრანოვეტერი აღნიშნავს, რომ “სოციალური კაპიტალის სტრუქტურული პარამეტრები დამოკიდებულია მასში შემავალი ინდივიდების შესაძლებლობაზე - თუ რამდენად აქვთ უნარი დაამყარონ ძლიერი კავშირები სხვა ინდივიდებთან”.<sup>43</sup>

მეცნიერები რობისონი, შმიდი და საილესი სოციალურ კაპიტალს უკავშირებენ ტერმინს – “სიმპათია”, მათი განმარტებით, “თუ სუბიექტებს შორის არსებობს “სიმპათია” და თანაგრძნობა ე.ი მათ შორის ყალიბდება სოციალური კაპიტალი, მისი ერთ - ერთი მთავარი უპირატესობა არის ის, რომ შესაძლებელი ხდება რესურსების ხელმისაწვდომობა შედაგათიანი პირობებით”.<sup>44</sup>

ადამ სმიტმა ჩამოაყალიბა თავისი ნაშრომის პირველი თავი სახელწოდებით - “მორალური სენტიმენტების თეორია”, ადამ სმიტის აზრით, სწორედ მორალური ნორმებისა და წესების ერთობა აყალიბებს სოციალურ კაპიტალს, რასაც საბოლოო ჯამში მივყავართ ლიბერალური საზოგადოების შექმნისკენ.<sup>45</sup> იგი მიიჩნევს, რომ განვითარებული საზოგადოების ფორმირების ერთადერთი გზა სწორედ რომ მორალური და ეთიკური ნორმების ჩამოყალიბებაა.

<sup>41</sup> Fukuyama, F. (1992) *The End of History and the Last Man*, London, Penguin

<sup>42</sup> Nahapiet, J.; Ghoshal, S. (1998). "Social capital, intellectual capital and the organizational advantage". *Academy of Management Review*. 23 (2): 242–266. doi:10.5465/amr.1998.533225. JSTOR 259373

<sup>43</sup> Granovetter, M. S. (1973). "The Strength of Weak Ties". *American Journal of Sociology*. 78 (6): 1360–1380. doi:10.1086/225469.

<sup>44</sup> Robison, L.J.; Schmid, A.A.; Siles, M.E. (2002). "Is Social Capital Really Capital?". *Review of Social Economy*. 60: 1–21. doi:10.1080/00346760110127074.

<sup>45</sup> Smith, A (1790) "Theory of Moral Sentiments": On Morals and Why They Matter to a Liberal Society of Free People and Free Markets, *The Journal of Economic Perspectives*, Vol. 19, No. 3, (Summer, 2005), pp. 109-130

ადღერი და კვონი თვლიან, რომ “სოციალური კაპიტალი დამატებული ღირებულების მქონე კავშირების ქსელია, რომელიც წარმოქმნება მისი შემადგენელი ინდივიდების ურთიერთქმედებისა და რესურსებთან წვდომის შედეგად”.<sup>46</sup>

ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ურთიერთობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კავშირის სტრუქტურას, რაც შემდგომში განსაზღვრავს რესურსებთან და შესაძლებლობებთან წვდომის ხარისხს, რაც უფრო ძლიერია კავშირი ადამიანებს შორის, მით უფრო მაღალია სოციალური კაპიტალის დონე. ამასთანავე, ბურტი ყურადღებას ამახვილებს კონკრეტული ინდივიდის ფუნქციასა და როლზე სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელთა შორის კავშირის ჩამოყალიბებაში.<sup>47</sup>

მეცნიერები დეკერი და უსლანერი ანსკენიან, რომ “სოციალური კაპიტალის დონე ძირეულადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ურთიერთობენ ადამიანები ერთმანეთთან”,<sup>48</sup> მათი აზრით, რაც უფრო მაღალია სოციუმში ინტეგრაციის მაჩვენებელი მით უფრო მაღალია სოციალური კაპიტალის დონეც. დეკერი და უსლანერი ინტეგრაციის მაჩვენებელში გულისხმობენ იმას, თუ:

- აქტუალური საკითხის წამოჭრისას და გამოსავლის მოძიებისას, შეუძლია თუ არა სოციუმს კონსენსუსის მიღწევა და ერთ კონკრეტულ აზრამდე მისვლა;
- საზოგადოება რამდენად გამოხატავს ინტერესს და იღებს მონაწილეობას საერთო პრობლემის გადაჭრაში;
- სოციუმის წევრებს შორის რამდენად უღერდება ერთგვაროვანი მოსაზრებები;
- ახდენს თუ არა საზოგადოება კონკრეტული საკითხის გადაჭრისათვის სამუშაო ძალის ან ფინანსური რესურსების მობილიზაციას.

მეცნიერი ბოქსმენი ქეყენის სოციალურ კაპიტალში განიხილავს “იმ ინდივიდთა ერთობას, რომლებსაც შეუძლიათ და გააჩნიათ სურვილი, რომ საერთო კეთილდღეობისათვის უზრუნველყონ საჭირო რესურსები და გაწიონ

<sup>46</sup> Adler, P. S., & Kwon, S. (2002), Social capital: Prospects for a new concept, *Academy of Management Review*, 27(1): 17–40

<sup>47</sup> Burt, R. (2005), *Brokerage and Closure: An Introduction to Social Capital* (Oxford: Oxford University Press).

<sup>48</sup> Dekker, P., Uslaner, E. M. 2001. ‘Introduction.’ Pp. 1 – 8 in *Social Capital and Participation in Everyday Life*, edited by Eric M. Uslaner. London: Routledge

დახმარება”.<sup>49</sup> მისი აზრით, ყოველი ინდივიდი უნდა აცნობიერებდეს, რომ ნაწილია ერთი მთლიანი მატერიის, რომლის ჰარმონიის დარღვევას და დიზბალანსს თითოეული ჩვენგანისათვის უდიდესი ზიანის მოტანა შეუძლია. ბოქსმენი სამყაროს გლობალურ ჭრილში განიხილავს და ადასტურებს, რომ როგორც ადამიანის ორგანიზმში ერთი ორგანოს მწყობრიდან გამოსვლა იწვევს მთლიანი ორგანიზმისათვის სავალალო შედეგებს, ასევე შეუქმნის დისკომფორტს მთლიან სოციუმს და საერთო კეთილდღეობას თუნდაც ერთი ინდივიდის წინაშე არსებული კრიტიკული პრობლემის გადაუჭრელობა. სწორედ ამიტომაც საჭირო ძალების გაერთიანება და თითოეული ადამიანის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევა, მისი აზრით, ასეთი ნაბიჯებით, საბოლოოდ მივაღწეოთ საერთო კეთილდღეობმდე.

მეცნიერი ლოური მიიჩნევს, რომ სოციალური კაპიტალი ეს არის “საზოგადოების წევრებს შორის ბუნებრივად წარმოშობილი ურთიერთობები, რომელიც მიმართულია სხვა ინდივიდების დასახმარებლად, რათა შეიძინონ თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი უნარ-ჩვევები და თვისებები, ყოველივე აღნიშნული კი დაეხმარება საზოგადოებას შემოსავლების უთანასწოროდ გადანაწილების აღმოფხვრასა და სოციალური უთანაბრობის დაძლევაში”.<sup>50</sup> ლოურის სოციალური კაპიტალის მნიშვნელობას ხედავს საზოგადოების შემადგენელ ინდივიდთა მიერ ერთმანეთისათვის ინფორმაციისა და ცოდნის გაზიარებაში, რაც შედეგად გამოიწვევს მეტ სამუშაო ძალასა და დასაქმებულს, სიღარიბის დონის შემცირებას და საერთო ჯამში - ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას.

მეცნიერი პენარი ფიქრობს, რომ “სოციალური კაპიტალი წარმოადგენს სოციალური ურთიერთობების ქსელს, სადაც მასის ქცევა განსაზღვრავს და ცვლის თითოეული ინდივიდის გადაწყვეტილებასა და ქმედებას”.<sup>51</sup> პენარი, სოციალური კაპიტალის ანალიზისას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მასის ფსიქოლოგიასა და ქცევის შესწავლას. მისმა ნაშრომმა დაადასტურა, რომ ინდივიდები განსხვავებულად იქცევიან სოციუმთან ერთობლიობაში, მაშინ როდესაც მათი ქმედება, განცალკევებულ ვითარებაში, შესაძლებელია სრულიად

<sup>49</sup> Boxman, E. A. 1991. ‘The Impact of Social and Human Capital on the Income Attainment of Dutch Managers.’ Social Networks 13: 51 – 73

<sup>50</sup> Loury, G. 1992. ‘The economics of discrimination: Getting to the core of the problem.’ Harvard Journal for African American Public Policy 1: 91 – 110

<sup>51</sup> Pennar, K. 1997. ‘The tie that leads to prosperity: The economic value of social bonds is only beginning to be measured.’ Business Weekly: 153 – 155

საწინააღმდეგო იყოს. ამიტომ, პენარი, რეკომენდაციას იძლევა, რომ სოციალური კაპიტალის ზრდის ხელშეწყობისათვის ასევე იქნეს გათვალისწინებული მასის ქცევის ფენომენი.

მეცნიერი კნოუკი სოციალურ კაპიტალს ორგანიზაციულ ჭრილში განიხილავს და მისეულ განმარტებას გვთავაზობს. მისი აზრით, “სოციალური კაპიტალის დაგროვება-ეს არის პროცესი, რომლის საშუალებითაც სოციალური აქტორები ორგანიზაციებში და მის მიღმა ქმნიან სოციალურ კავშირებსა და ქსელებს, რათა გაუავილდეთ რესურსებთან ხელმისაწვდომობა”.<sup>52</sup> აღნიშნული მიდგომა დღეს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ძალიან აქტუალურია, რადგან კეთილგანწყობილი პარტნიორი, ორგანიზაციებისათვის და ბიზნეს სუბიექტებისათვის, ნიშნავს დროსა და რესურსების ეკონომიას, სასურველი მიზნის მიღწევის ალბათობის ზრდას და ფინანსურ ეფექტიანობას.

მეცნიერმა ინგლეჰარტმა სოციალური კაპიტალი დააკავშირა ნდობისა და ტოლერანტობის კულტურასთან. მისი აზრით, “სოციალური კაპიტალი არსი უნდა ვეძებოთ ერთმანეთისადმი შემწყნარებლურად განწყობილ ინდივიდთა ერთობაში, რაც ქმნის კავშირებს და გამოვლინებას ჰპოვებს მოხალისეობაში”.<sup>53</sup> მისი აზრით, სოციალური კაპიტალის ზრდა შეუძლებელია ისეთ სოციუმში, რომელშიც ბატონობს აგრესია, ურთიერთდაპირისპირება და კონფლიქტები. ასეთი ვითარება ქვეყანას აკარგვინებს სოციალური კაპიტალით მისაღებ სარგებელს და ხელს უშლის მის მდგრად განვითარებას.

ევა კოქსი, ბოიერის სალექციო კურსის-“ნამდვილი სამოქალაქო საზოგადოება“-სპიკერია, მან სოციალური კაპიტალი განმარტა, როგორც “ნდობის, კოოპერაციის, ურთიერთთანამშრომლობის და სოციუმის წევრებს შორის კეთილგანწყობის სინთეზი”.<sup>54</sup> იგი აღნიშნავს, რომ ქვეყნების თანამედროვე საბაზრო სისტემაზე გადასვლამ გაამძაფრა ადამიანებს შორის კონკურენცია, რამაც გამოიწვია ინდივიდებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტის-სოციალური კავშირების რღვევა. დღევანდელი საზოგადოება ნაკლებადაა ორიენტირებული იზრუნოს, დაეხმაროს და მხარი დაუჭიროს სხვას, რადგან მაღალმა კონკურენტუმა გარემომ ადამიანებს პირადი ინტერესების წინ წამოწევა

<sup>52</sup> Knoke, D. 1999. ‘Organizational networks and corporate social capital.’ Pp. 17 – 42 in Corporate Social Capital and Liability, edited by S. M. Gabbay. Boston: Kluwer.

<sup>53</sup> Inglehart, R. 1997. Modernization and post-modernization: cultural, economic and political change in 43 societies. Princeton: Princeton University Press

<sup>54</sup> Eva Cox, A truly civil society (Boyer Lectures 1995)

აიძულა. მას, თავის სალექციო კურსში, მოჰყავს მარგარეტ ტეტჩერის სიტყვები – “არაფერია იმაზე ძლიერი ვიდრე საზოგადოება!” და ამბობს, რომ “სოციუმის სიძლიერეს მხოლოდ მასში შემავალი ადამიანების რიცხვი კი არ გამოხატავს, არამედ – სოციალური კაპიტალის სიდიდე”.<sup>55</sup>

ოჰაიოს უნივერსიტეტის სოციოლოგიური მეცნიერებების პროფესორმა-პამელა პაქსტონმა გამოავლინა დადებითი კავშირი სოციალურ კაპიტალსა და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას შორის. მისი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სოციუმში, რომელიც ხასიათდება შეკრულობის, ინტეგრაციის და მოხალისეობის მაღალი დონით, ხელს უწყობს ქვეყანაში პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებასა და მის დემოკრატიულ განვითარებას.<sup>56</sup>

აფრიკელმა მეცნიერებმა მოსე აქუაჰმა და ქვასი ამოაკო-გიამფაჰ-მა 314 მეცნიერული ნაშრომის ანალიზის შედეგად შეისწავლეს სოციალური კაპიტალის გავლენა ბიზნეს სუბიექტებზე. მათ დაადგინეს, რომ სოციალური კაპიტალი ეს არის “სოციალური კავშირების, ნდობისა და თანაზიარობის, საერთო ნორმებისა და ღირებულებების სინთეზი”.<sup>57</sup> მათი აზრით, სოციალური კაპიტალი აადვილებს ბიზნეს-სუბიექტების ურთიერთობას და მათ საქმიანობას ხდის უფრო პროდუქტიულს.

ფართო გაგებით, სოციალური კაპიტალი შეიძლება განვმარტოთ, როგორც სოციალური და პოლიტიკური ფაქტორების ჯამი, რომელთა ერთობლიობაც ქმნის სოციალურ სტრუქტურას, ნორმებსა და სტანდარტებს. სოციალური კაპიტალი მოიცავს როგორც არაფორმალურ, ადგილობრივ, ჰორიზონტალურ და იერარქიულ ურთიერთობებს, ასევე ფორმალურ სტრუქტურებსა და კავშირებს, ასეთებია მაგალითად, მთავრობა, პოლიტიკური რეჟიმი, კანონის ძალა, სასამართლო სისტემა, სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლება და ჩართულობა, მოხალისეობა. სოციალური კაპიტალი საზოგადოებრივი ფენომენია, რომელიც არ შეიძლება ეკუთვნოდეს რომელიმე კონკრეტულ ინდივიდს. იგი წარმოადგენს საზოგადოებრივი კეთილდღეობის საწინდარს, რომლის შედეგიც ყველასთვის ხელმისაწვდომი და სასიკეთოა. აღსანიშნავია, რომ სოციალური კაპიტალის ფორმირებაში დიდი წვლილი მიუძღვის კონკრეტული ქვეყნის

<sup>55</sup> Eva Cox, A truly civil society (Boyer Lectures 1995)

<sup>56</sup> Paxton, P., (2002), Social capital and democracy: An interdependent relationship, American sociological review, 254-277

<sup>57</sup> Acquah, M., Amoako-Gyampah, K., Q. Nyath, N., (2014) “Measuring and Valuing Social Capital: A Systematic Review”, p. 22-36

კულტურულ მახასიათებლებს, ქვეყნის კულტურული ნორმების, შეხედულებებისა და სტანდარტების ცვლილება გრძელვადიან პერიოდთანაა დაკავშირებული, რის გამოც სოციალური კაპიტალის ტრანსფორმაცია ძალიან რთულია.

ლიტერატურაში ცნობილია სოციალური კაპიტალის ორი ფორმა:

- **სტრუქტურული** - კავშირები, ქსელები, ასოციაციები, საზოგადოებრივი ინსტიტუტები, ალიანსები, წესები, რომელსაც ექვემდებარება მათი საქმიანობა;

- **კოგნიტური** - ურთიერთობები, ნდობა, ფასეულობები, ნორმები და ქცევის სტანდარტები.<sup>58</sup>

სტრუქტურული სოციალური კაპიტალი დამახასიათებელია ძირითადად ფორმალური გაერთიანებებისათვის, სადაც მკაცრადაა ჩამოყალიბებული ქცევის წესები, ნორმები და სტანდარტები. აღნიშნულ გაერთიანებებში შემავალი ინდივიდების ქცევის დასარეგულირებლად ხშირად გამოიყენება სანქციები. მოცემული კავშირები იქმნება წინასწარ განსაზღვრული მიზნით და მასში შემავალი ინდივიდებიც არჩეულნი არიან კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით. მაგალითად, სტრუქტურულ სოციალურ კაპიტალს ქმნიან ორგანიზაციაში დასაქმებული მუშაკები, რომელთაც ერთმანეთთან აკავშირდებთ კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული მისია და შერჩეულები არიან დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობისა და სამუშაო კვალიფიკაციის მიხედვით. კოგნიტური სოციალური კაპიტალი კი ძირითადად დამახასიათებელია არაფორმალური ურთიერთობებისათვის, ასეთია მაგალითად სამეგობრო წრე, მათ შორის საერთო ფასეულობების, პიროვნული თვისებებისა და სიმპათიის ხარჯზე ხდება ნდობის ჩამოყალიბება, როგორც წესი ასეთ კავშირებსაც ახასიათებს ქცევის ნორმების დაწესება, თუმცა, სტრუქტურული სოციალური კაპიტალისაგან განსხვავებით, არაფორმალურ ხასიათს ატარებს.

აღნიშნული ფორმები ხასიათდებიან შედარებითი თავისუფლებით, მაგალითად, შესაძლებელია, ფუნქციონირებდეს განსაზღვრული რეგლამენტის მქონე საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომელიც ხასიათდება სოციუმის მიერ გამოხატული ნდობის დაბალი ხარისხით, ამავდროულად, ინდივიდები შეიძლება, დაკავშირებულები იყვნენ ერთმანეთთან ნდობით, ნორმებით, ფასეულობებით და

---

<sup>58</sup> Mischel, W. & Shoda, Y. (1995). A cognitive-affective system theory of personality: Reconceptualizing situations, dispositions, dynamics, and invariance in personality structure. *Psychological Review*, 102, 246-268.

არ ერთიანდებოდნენ ამა თუ იმ სოციალურ, საზოგადოებრივ ან ფორმალურ ორგანიზაციაში.

ცხრილი №1

სოციალური კაპიტალის ფორმირების დონეები<sup>59</sup>

| სოციალური კაპიტალის დონეები | სტრუქტურული კაპიტალი                                                     | კოგნიტური კაპიტალი                               |
|-----------------------------|--------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------|
| მაკრო დონე                  | სამართლის ნორმები, პროფესიული ორგანიზაციები, სახელმწიფო ინსტიტუტები      | ნდობის საზოგადოებრივი ფასეულობები და სტანდარტები |
| მეზო დონე                   | საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საქმიანი კავშირები, სახელმწიფო ინსტიტუტები | ნდობის საზოგადოებრივი და პირადი ფასეულობები      |
| მიკრო დონე                  | შიდაორგანიზაციული ქსელები                                                | ნდობის კორპორაციული ფასეულობები და ნორმები       |

სოციალური კაპიტალის ყოველი დონე ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ამიტომ, არსებითი დადებითი ეფექტებისა და პროგრესის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სამივე დონის რაციონალური განვითარების შემთხვევაში.

სოციალური კაპიტალი შესაძლებელია დაგროვებულ იქნეს მარაგის სახით, ისევე როგორც რეალური კაპიტალი. ამავდროულად, სოციალური კაპიტალიც, რეალური კაპიტალის მსგავსად, საჭიროებს ძალისხმევას ინვესტირებას, რაც შემდგომში შედეგად მოგვცემს სოციალურ ურთიერთქმედების და ნდობის ხარისხის ზრდას.<sup>60</sup>

<sup>59</sup> შაბურიშვილი შ., სოციალური კაპიტალის ფორმირების თავისებურებები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო, თბილისი, 28 თებერვალი, 2011. გვ.283–293.

<sup>60</sup> Robison, L. J., A. Schmid, A.A., Siles, M. E.. 2002. "Is social capital really capital?" Review of Social Economy 60: 1-24.

მეცნიერების ბრემისა და რანის მიხედვით, “ადამიანური ურთიერთობების სტრუქტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს სოციალური კაპიტალი, რადგან სხვა ადამიანებთან კავშირით, პიროვნება იღებს მნიშვნელოვან სარგებელს”.<sup>61</sup>

სოციალური კაპიტალის ზემოთ ნახსენებმა უპირატესობებმა, განსაკუთრებით კი მისმა უნარმა-მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის სოციო-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში, ეკონომისტების დიდი დაინტერესება გამოიწვია. ყოველივე ამას დაემატა კომუნისტური სისტემის რღვევა, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში წარმოქმნილი ეკონომიკური და ინსტიტუციური პრობლემები, სამხრეთ ამერიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში წარმოქმნილი სავალუტო და ფინანსური კრიზისები, მესამე სამყაროს ქვეყნებში დაუძლეველი სიღარიბე, ყოველივე ჩამოთვლილმა მიგვიყვანა „ვაშინგტონის კონსესუსის“ კრახზე, რომლის გამომწვევი მიზეზების ახსნაც შეუძლებელი აღმოჩნდა მხოლოდ არსებული ეკონომიკური თეორიების საფუძველზე და აუცილებელი გახდა სოციალური ფაქტორების როლის გაანალიზება (უთანაბრობა შემოსავლებში, ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების მუშაობის ხარისხი, ნდობის ფაქტორი და მრავალი სხვა)<sup>62</sup>. გაჩნდა ახალი ეკონომიკური თეორიები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ეკონომიკური ეფექტიანობისათვის მხოლოდ გამართული ფასწარმოქმნის მექანიზმის შემუშავება არ კმარა და აუცილებელია სოციალური ინსტიტუტების და სოციალური ქსელების გამართული ფუნქციონირება და სოციალური ფაქტორებზე მეტად კონცენტრირება.

მსოფლიო ბანკის დაინტერესება აგრეთვე დიდია სოციალური კაპიტალისადმი, მსოფლიო ბანკი მის შემდგენაირ განსაზღვრებას გვთავაზობს: „სოციალური კაპიტალი შედგება შემდეგი ერთეულებისაგან, ესენია: ინსტიტუტები, ურთიერთობები, ნორმები და სტანდარტები რომლებიც განსაზღვრავენ სოციუმში სოციალური ქსელებისა და კავშირების რაოდენობასა და სიძლიერეს. სოციალური კაპიტალი არ არის მხოლოდ საზოგადოებრივი ინსტიტუტების ერთობა, იგი წარმოადგენს მთავარ მამოძრავებელ ძალასა და წებოს, რომელიც მათ აკავშირებს ერთმანეთთან“.<sup>63</sup>

<sup>61</sup> Brehm, J, and Rahn, W. 1997. ‘Individual-Level Evidence for the Causes and Consequences of Social Capital.’ American Journal of Political Science 41: 999 – 1023.

<sup>62</sup> Ив Партс, Роль социального капитала в экономическом развитии переходных стран, [http://dialogs.org.ua/crossroad\\_full.php?m\\_id=13246](http://dialogs.org.ua/crossroad_full.php?m_id=13246)

<sup>63</sup> The World Bank (1999). ‘What is Social Capital?’, PovertyNet, web-site: <http://www.worldbank.org/poverty/scapital/whatsc.htm> (ნანახია 22.03.2017)

თანამედროვე ლიტერატურაში სოციალური კაპიტალის ორი ტიპია ცნობილი, ესენია: შემაკავებელი (bonding) და გამაერთიანებელი (bridging).<sup>64</sup> შემაკავებელი სოციალური კაპიტალი მოიაზრებს ჯგუფურ სოლიდარობასა და მჭიდრო ურთიერთკავშირებს. ასეთი ტიპის კაპიტალი დამახასიათებელია მჭიდრო ნათესავური და ჩაკეტილი საოჯახო ურთიერთობებისათვის. შემაკავებელი სოციალური კაპიტალი ძირითადად მოიაზრებს არაფორმალურ ურთიერთიერთობებს, როგორცაა მაგალითად მეგობრული, ნათესავური და ახლობლური კავშირები. შემაკავებელი სოციალური კაპიტალი ასევე წარმოადგენს სოციოეკონომიკური და სოციოდემოგრაფიული მახასიათებლებით მსგავს ინდივიდთა ერთობას, მაგალითად, საერთო მრწამსის, რასის ან ეროვნების ადამიანებს. შემაკავებელი სოციალური კაპიტალი ამავდროულად მოიაზრებს ძლიერ კავშირ-ურთიერთობებს, რომელიც ყალიბდება საერთო ინტერესებისა და წარსულის მქონე ადამიანებს შორის, ასეთი ტიპის კავშირებში მიღებულია ერთმანეთის მატერიალური, ემოციური თუ მორალური მხარდაჭერა. შემაკავებელი სოციალური კაპიტალი დიდ როლს ასრულებს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში. იგი განსაკუთრებით აქტუალურია დაბალშემოსავლიანი მოსახლეობით დაკომპლექტებულ ტერიტორიულ ერთეულებზე, სადაც გაჭირვებისა და ჯანმრთელობის პრობლემების დაძლევა ერთმანეთის დახმარებით ხორციელდება.

გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალი მოიცავს ინდივიდთა შორის ფორმალური სახის კომუნიკაციასა და თანამშრომლობას. გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალი აკავშირებს ჯგუფებს მიღმა მეოფ ადამიანებს ერთმანეთთან და შესაბამისად აერთიანებს განსხვავებული წრის წარმომადგენლებს. გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალი გვეხმარება განსხვავებული ჯგუფების შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში, ახალი შესაძლებლობების გამოვლენასა და ზოგადად-სიახლეებთან წვდომში.<sup>65</sup> იგი საუკეთესო საშუალებაა განსხვავებულ ჯგუფებს შორის ნოვატორული იდეებისა და ინფორმაციის გაცვლისათვის. გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალის განვითარება საჭიროებს ტოლერანტული და შემწყნარებლური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას განსხვავებული ფასეულობების,

<sup>64</sup> The Saguaro Seminar: Civic Engagement in America - Harvard Kennedy School of Government, 2012, <https://www.hks.harvard.edu/saguaro/glossary.htm> (ნანახია 20.04.2017)

<sup>65</sup> Adler, Paul S. and Seok-Woo Kwon. 2002. "Social Capital: Prospects for a New Concept." Academy of Management. The Academy of Management Review 27(1):17-40

შეხედულებებისა და მრწამსის ინდივიდთა ჯგუფების მიმართ, რადგან იგი, სწორედაც რომ, სხვადასხვა ნიშნით განსხვავებულ სოცო-ჯგუფებს შორის კავშირ-ურთიერთობებს მოიაზრებს. გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალი ხასიათდება ჯგუფებს შორის მსუბუქი და მუდმივად ცვალებადი კავშირებით,<sup>66</sup> სწორედ, რომ აღნიშნული კავშირების “სიმსუბუქე” ქმნის ძლიერ კაპიტალს, რადგან ასეთი კავშირებში ურთიერთობები ნებაყოფლობითია და მარტივად ცვლადი ყოველგვარი სოციალური სანქციების გარეშე.<sup>67</sup>

სწორედ გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალია გრძელვადიანი მიზნების მიღწევის ძირითადი საშუალება და ეკონომიკური ზრდის მთავარი ინსტრუმენტი. შესაბამისად, ქვეყნის განვითარებაში, გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალის როლი უმნიშვნელოვანესია.

---

<sup>66</sup> Widén-Wulff, Gunilla et al. 2008. “Information Behaviour Meets Social Capital: A Conceptual Model.” *Journal of Information Science* 34(3):346–55

<sup>67</sup> Van Staveren, Irene and Peter Knorringa. 2007. “Unpacking Social Capital in Economic Development: How Social Relations Matter.” *Review of Social Economy* 65(1):107–35.

## 12 სოციალური კაპიტალის შეფასების მეთოდები

სოციალური კაპიტალის შესაფასებლად აუცილებელია სოციალური ურთიერთობებისა და კავშირების კომპლექსის სრული ანალიზი, რისთვისაც გამოიყენება შემდეგი მოდელები, ესენია:

- რესურსების კლასიფიკაციის;
- ურთიერთქმედების;
- განწყობების.<sup>68</sup>

**რესურსების კლასიფიკაციის მოდელი** – აღნიშნული მოდელი შემუშავებულია ელინორ ოსტრომის მიერ, რომლის მოხედვითაც თემის ეკონომიკური ინსტიტუტების სრულყოფილი მოწყობა მოიაზრებს სამი ტიპის საკუთრების ნაზავს: კერძო, სახელმწიფო და საერთო.<sup>69</sup>

საკუთრების ფორმებთან დაკავშირებული საკითხების გაგება სხვადასხვა ინტერპრეტაციითაა შესაძლებელი. მაგალითად, ის ქონება, რომელსაც საზოგადოება ერთობლივად მოიხმარს, შესაძლებელია სახელმწიფო საკუთრებაში შედიოდეს, თუმცა მისი განკარგვა სოციუმის პრეროგატივა იყოს. საერთო გადაწყვეტილებამდე მისვლა და კონსენსუსის მიღწევა, ასეთ დროს, სათემო საკუთრებითი ურთიერთობის ტიპს გულისხმობს. აღნიშნული მიდგომით, მოდელი მოიცავს საკუთრების ფორმების სამ ტიპს, ესენია: კერძო, ჯგუფური და საერთო საკუთრება.<sup>70</sup>

- კერძო ტიპის რესურსები, თავის მხრივ, მოიაზრებს კერძო საკუთრებას, ინდივიდუალურ მოგებას, სოციალურ თუ პოლიტიკურ გავლენებსა და უფლებებს, რომელსაც თითოეული ინდივიდი ფლობს.

- ჯგუფური რესურსი წარმოადგენს რომელიმე ჯგუფის მფლობელობაში არსებულ საერთო საკუთრებას, მოგებას ან ძალაუფლებას, რომლით სარგებლობაც მხოლოდ აღნიშნული ჯგუფის წევრებისათვისაა

<sup>68</sup> Dudwick N. Kathleen Kuehnast, Veronica Nyhan Jones, and Michael Woolcock, ANALYZING SOCIAL CAPITAL IN CONTEXT, 2006.

[http://siteresources.worldbank.org/WBI/Resources/Analyzing\\_Social\\_Capital\\_in\\_Context-FINAL.pdf](http://siteresources.worldbank.org/WBI/Resources/Analyzing_Social_Capital_in_Context-FINAL.pdf) (ნანახია 2.04.2017)

<sup>69</sup> Ostrom, Elinor and Hess, Charlotte, (2007). "Private and Common Property Rights". Library. Paper 24. <http://surface.syr.edu/sul/24> (ნანახია 21.04.2017)

<sup>70</sup> Gregory, Paul R.; Stuart, Robert C. (2003). Comparing Economic Systems in the Twenty-First Century. Boston: Houghton Mifflin. p. 27. ISBN 0-618-26181-8.

ხელმისაწვდომი. ამ ტიპის რესურსის გამოყენება არ შეუძლიათ იმათ, ვინც ამ გაერთიანებაში არაა გაწევრიანებული. ჯგუფური რესურსი ხასიათდება ამოწურვადობით - რაც უფრო მეტი ეკუთვნის კონკრეტულ ერთ ჯგუფს, მით უფრო ნაკლები ერგებათ სხვა ჯგუფის წარმომადგენლებს; ამის გამო, ასეთ ჯგუფს, მანკურ ოლსონმა უწოდა ექსკლუზიური.<sup>71</sup>

- საერთო რესურსები ეწოდება ისეთ რესურსებს, რომლებიც განკუთვნილია თანაბრად ყველასთვის. საერთო რესურსი იმით განსხვავდება ჯგუფურისგან, რომ იგი ამოწურვადი არ გახლავთ, საერთო რესურსები ან ყველასთვის არსებობს, ან არავისთვის არაა ხელმისაწვდომი.<sup>72</sup>

**კოოპერირების მოდელი** – კოოპერირების მოდელში შედის სამი ძირითადი მოდელი, ესენია: ქსელური, ჯგუფური და საერთო.<sup>73</sup>

- ქსელური ურთიერთობები ძირითადად გაცვლითი ტიპის ურთიერთობებს მოიაზრებს და უზრუნველყოფს ინდივიდებს შორის კავშირების დამყარებას კერძო ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით. აღნიშნული კავშირები, თავის მხრივ, მოიცავს წყვილ-წყვილად დალაგებულ ურთიერთობებს, რომელიც ძირითადად სოციალურ - ქსელურ ხასიათს ატარებს.

- ჯგუფური ურთიერთობები აერთიანებს საერთო ინტერესების მქონე ინდივიდებს, რომლებიც ჯგუფური რესურსის ფორმირებასა და მისგან სარგებლის მიღებაზე არიან ფოკუსირებულები, ჯგუფის წევრების შორის, როგორც წესი, ხორციელდება ერთობლივი შეთანხმების მიღწევა რესურსების აკუმულირებისა და სარგებლის გადანაწილების წესების თაობაზე, რათა შემდგომში არ განვითარდეს კონფლიქტური სიტუაციები. აღნიშნული მოდელისათვის დამახასიათებელია ლიდერის გამოვლენა და მისთვის ძალაუფლების მინიჭება, რათა სწორად და მიზნობრივად მოხდეს ჯგუფური საკუთრების განკარგვა.<sup>74</sup>

- საერთო რესურსების შექმნასა და შენარჩუნებაზე ორიენტირებული ინდივიდები აგრეთვე საჭიროებენ კონსენსუსის მიღწევას და შეთანხმებას იმ ინდივიდუალური რესურსების გაერთიანების შესახებ, რომლებიც საერთო

<sup>71</sup> Olson, Mancur. 2000 , POWER AND PROSPERITY: OUTGROWING COMMUNIST AND CAPITALIST DICTATORSHIPS, New York.

<sup>72</sup> Olson, Mancur. 1971. The Logics of Collective Action: Public Goods and the Theory of Groups. Harvard University Press.

<sup>73</sup> Badenhorst, PJ, Juanita M. Pienaar, and Hanri Mostert. Silberberg and Schoeman's The Law of Property. 5th Edition. Durban: LexisNexis/Butterworths, 2006, p. 9.

<sup>74</sup> ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. საქართველოს, ეკონომიკის პერსპექტივა, 2011. [http://www.osgf.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=8](http://www.osgf.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=8) (ნანახია 22.05.2017)

სიკეთის შექმნას ემსახურება, თუმცა, ჯგუფური ქცევისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში, საერთო რესურსების გადანაწილების პრობლემას არ ვხვდებით. ამდენად, “საერთო მოდელი” ინკლუზიური ხასიათის მატარებელია და მიმართულია რაც შეიძლება მასიური გაერთიანების შექმნაზე, რომლის სათავეში შესაძლოა გავლენიანი მმართველი იდგეს.<sup>75</sup>

**განწყობების მოდელი:**<sup>76</sup> ყოველ მოქმედებას და რესურსის თითოეულ ტიპს მიესადაგება შესაბამისი განწყობა, რომელიც ნდობის კატეგორიას განეკუთვნება. ნებისმიერ შემთხვევაში, თანამშრომლობის ინტენსივობა, სიძლიერე და სიხშირე დამოკიდებულია მონაწილე ინდივიდებს შორის ნდობის არსებობასა და ხარისხზე, აღსანიშნავია, რომ ზემოთ განხილულ, სამივე შემთხვევაში ნდობა განსხვავებული ხასიათითა და ხარისხით გვხვდება. მოცემული - განწყობების მოდელი ნდობის ტიპებს სიტუაციურ ვითარებასთან აკავშირებს. თავის მხრივ, კოოპერირების ეფექტიანობას განსაზღვრავს შესაბამისი განწყობა, რომელიც შემდგომ აყალიბებს ინდივიდების ქცევის თავისებურებას. განწყობის მოდელისათვის დამახასიათებელია შემდეგი დაშვებები:

- ნდობა აძლიერებს ინტერპერსონალურ კავშირებს, რომლებიც ფოკუსირებულია, როგორც კერძო, ასევე საერთო ინტერესების დაკმაყოფილებაზე;
- სოლიდარობა ხელს უწყობს საერთო სიკეთეების წარმოქმნას;
- ღოიადობა აადვილებს ჯგუფური ინტერესებისა და საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

<sup>75</sup> დომინიკ კოლა, პოლიტიკური სოციოლოგია. 1999, თავი X: სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება, გვ. 205-228

<sup>76</sup> Moses Acquah, Kwasi Amoako-Gyampah and Nceku Q. Nyathi , Measuring and valuing social capital, 2014, <http://nbs.net/wp-content/uploads/NBS-SA-Social-Capital-SR.pdf> ( ნანახია 15.03.2017

სოციალური კაპიტალის გაზომვის საფუძვლები:<sup>77</sup>

| სოციალური<br>კავშირები       | ნდობა და<br>ურთიერთკავშირი    | ნორმები               | სამოქალაქო<br>ვალდებულებები               |
|------------------------------|-------------------------------|-----------------------|-------------------------------------------|
| კავშირების<br>სტრუქტურა      | ზოგადი ნდობა                  | საერთო<br>ნორმები     | ასოციაციებში<br>გაერთიანებების<br>ხარისხი |
| ურთიერთობები<br>და კავშირები | ინსტიტუციონალიზებული<br>ნდობა | სამოქალაქო<br>ნორმები | სამოქალაქო<br>მონაწილეობა                 |
| სოციალური<br>ერთობა          | ინტერპერსონალური<br>ნდობა     | ღირებულებები          | პოტენციური<br>მონაწილეობა                 |
|                              | თანაზიარობა                   | მიზნები               | მოხალისეობა                               |
|                              |                               |                       | სოციალური<br>მხარდაჭერა                   |

სოციალური კაპიტალი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელს უწყობს არა მხოლოდ ცალკეული ინსტიტუტებისა და სტრუქტურების ნებაყოფლობით ფუნქციონირებას, არამედ ამ ინსტიტუტებს შორის კავშირ-ურთიერთობების ფორმირებასა და მათ შორის რესურსების მიმოცვლას. სოციალური კაპიტალი აძლიერებს ურთიერთობების ხარისხს და ინდივიდები მოყავს ერთიან სოციალურ წესრიგში. აღნიშნულ პროცესს ახასიათებს ციკლურობა.<sup>78</sup> რაც ნიშნავს იმას, რომ ნდობა, სოლიდარობა და ღოიალობა ერთჯერადი პროცესი არაა და მისი ციკლური ხასიათი არა მხოლოდ ხელს უწყობს რესურსების მდგრადობასა და სტაბილურობას, არამედ ქმნის წარმოდგენებს სხვა რესურსების თავსებადობის ხასიათისა და ხარისხის შესახებ.<sup>79</sup>

ნდობა, რომლის გამოვლენაც ხდება ქსელური ურთიერთობების პროცესში, მიანიშნებს იმაზე, რომ საერთო პრინციპები და ნორმები თავსებადია ჯგუფის წევრების ინდივიდუალურ ინტერესებთან და მისაღებია უმრავლესობისათვის.

<sup>77</sup> Acquah, M, Amoako-Gyampah, K, Nceku Q. N , (2014) Measuring and valuing social capital, <http://nbs.net/wp-content/uploads/NBS-SA-Social-Capital-SR.pdf> ( ნანახია 15.03.2017)

<sup>78</sup> Keane, J. (2003) Global Civil Society? Cambridge University Press;

<sup>79</sup> Shelly Shah, Theories of Social Change: Meaning, Nature and Processes , Sociology Discussion Press 2017 <http://www.sociologydiscussion.com/sociology/theories-of-social-change-meaning-nature-and-processes/2364> (ნანახია 15.04.2017)

დიდი ჯგუფების წესრიგი რეგულირდება “უმრავლესობის პრინციპით”, რადგან მისი შემადგენელი თითოეული ინდივიდის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება უმრავლესობის მიერ წესებისა და ნორმების აღიარების ძალით. ნდობის დაბალი დონის პირობებში, ადამიანისთვის საკუთარი ინტერესებისა და უფლებების დაცულობის გარანტიად შესაძლოა მოიაზრობდეს ჯგუფისადმი კუთვნილება და "მაფიის" მსგავსი გაერთიანებების ფორმირება.<sup>80</sup>

ნდობის ჩამოყალიბება პარტნიორთა საქმიან ურთიერთობაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. იგი ხშირად მოქმედებს გადაწყვეტილების მიღებაზე და განსაზღვრავს ეფექტიან თანამშრომლობას. გასათვალისწინებელია, რომ პუი-ს ნაკადების ზრდისათვის, აუცილებელია სანდო სოციუმის ფორმირება, რათა ინვესტორმა თავი დაცულად და უსაფრთხოდ იგრძნოს.

სოლიდარობა, რომელიც გამოვლინებას ჰპოვებს ჯგუფურ ქცევაში, გვიჩვენებს იმას, რომ კერძო ინტერესების აგრეგირება და მათი ინდივიდუალური დაკმაყოფილება ერთმანეთთან პოზიტიურ კავშირშია. საერთო კეთილდღეობის მისაღწევად კოოპერირება არა მხოლოდ უმრავლესობის, არამედ თითოეული ინდივიდის ინტერესებში შედის. რაც უფრო მეტია სოციუმს შორის სოლიდარობის დონე, მით უფრო მეტი ინდივიდუალური მოთხოვნილება კმაყოფილდება საერთო სიკეთის შექმნის გზით, და, შესაბამისად, მეტი კერძო რესურსი გამოიყენება მის წარმოებაზე.<sup>81</sup>

ლოიალობის გამოვლენაც ჯგუფურ ქცევაში ხდება, მისთვის დამახასიათებელია სიფართოვე ან სივიწროვე. ფართო ლოიალობა, ფაქტობრივად, მოიაზრებს სოციუმის გარკვეული ნიშნით იდენტურობას, კერძო და საერთო ინტერესებისა და ღირებულებების თანხვედრას, ინდივიდთა შორის განვითარებულ უნარს - მოახდინონ ჯგუფების ფორმირება ნებისმიერი, თუნდაც განსხვავებული ნიშნისა და ტიპის ადამიანებთან.<sup>82</sup> ვიწრო ლოიალობისათვის დამახასიათებელია ინდივიდუალური ინტერესების წინ წამოწევა, პოლარიზების მაღალი დონე და კერძო ინტერესების მეტი დოზით გამიჯვნა საერთო სიკეთესთან მიმართებაში.

ორგანიზაციები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან გრძელვადიან და სტაბილურ თანამშრომლობაზე ყოველთვის ინარჩუნებენ ლოიალურ

<sup>80</sup> Lin Nan. 2004. Social Capital A Theory of Social Structure and Action Cambridge University Press

<sup>81</sup> Grabb, Edward G., Theories of Social Inequality: Classical and Contemporary Perspectives, second edition, Toronto, Holt, Rinehart and Winston, 1990. HT609 G72


<sup>82</sup> Zeitlin, Irving M., Ideology and the Development of Sociological Theory, fourth edition, Englewood Cliffs, Prentice Hall

დამოკიდებულებას პარტნიორის მიმართ. ასეთი მიდგომა ამყარებს კავშირებს, აყალიბებს მყარ ურთიერთობებს და ქმნის ძლიერ სოციუმს.

დიაგრამაზე ნაჩვენებია გარკვეული "ციკლური" კავშირი სოციალური კაპიტალის შემადგენელ ელემენტებს შორის: რესურსების ნებისმიერი წყვილის გაცვლის "საზღაური" მესამე ტიპის რესურსის შესაბამისი განწყობებით განისაზღვრება.<sup>83</sup>

დიაგრამა №1<sup>84</sup>

საკუთრების ფორმებსა და სოციალურ კაპიტალს შორის კავშირი



მოცემული მოდელის მიხედვით, სოციალური კაპიტალი განსაზღვრავს საზოგადოების უნარს, დაამყაროს ციკლური კავშირი კერძო, კოლექტიურ და საერთო რესურსებს შორის ისე, რომ მათ შეძლონ ერთმანეთთან ჰარმონიულად ურთიერთქმედება. ასეთი გზით, სოციალური კაპიტალი, უზრუნველყოფს სტრუქტურულად განსხვავებული სოციუმის შიგნით სხვადასხვა ტიპის რესურსების მიმოქცევას, გაცვლასა და გადანაწილებას - პროცესს, რომელიც ხელს უწყობს მათი არაძალადობრივი გზით ფორმირებასა და ინტეგრირებული

<sup>83</sup> Serageldin, Ismail (Editor), Partha Dasgupta (Editor). 2001. Social Capital: A Multifaceted Perspective. World Bank Publications.

<sup>84</sup> Acquah, M, Amoako-Gyampah, K, Ncekue Q. N. , (2014) Measuring and valuing social capital, <http://nbs.net/wp-content/uploads/NBS-SA-Social-Capital-SR.pdf> ( ნანახია 15.03.2017)

სოციუმის ჩამოყალიბებას. დიაგრამა №1 გვჩვენებს, რომ სოციალურ კაპიტალს უმნიშვნელოვანესი როლი მიუძღვის საკუთრების გადანაწილების საკითხში. როდესაც საზოგადოებაში ძლიერია სოციალური კაპიტალის ელემენტები: ნდობა, სოლიდარობა და ღოიადობა- ასეთ დროს მოსახლეობისათვის გაცილებით მარტივი ხდება ინსტიტუციური, მდგრადი და სტაბილური განვითარება ხელოვნური სიმულაციებისა და სტიმულირების გარეშე. თუ სოციალური კაპიტალის აღნიშნული ელემენტები განუვითარებელია, ასეთ დროს საზოგადოებას უჭირს ეფექტიანად ურთიერთთანამშრომლობა და იზრდება მასში გარე ინსტიტუციური ინტერვენცია, რაც იწვევს რესურსების იერარქიის წარმოქმნას-და არა გაცვლას.<sup>85</sup>

სოციალური კაპიტალის ყოველი შემთხვევა სპეციფიკურია სხვადასხვა სოციუმისათვის ან მისი შემადგენელი კონკრეტული ჯგუფისათვის, სოციალური კაპიტალი ყველა ტიპის საზოგადოებაში ინდივიდუალურად ყალიბდება, რადგან შეუძლებელია ყველა ჯგუფი იდენტური ნორმებისა და პრინციპების მიხედვით ფუნქციონირებდეს. სწორედ სოციალური კაპიტალის თავისებურება განაპირობებს ინდივიდის მოტივაციას იმოქმედოს სხვა ადამიანის, გარკვეული ჯგუფისა თუ მთლიანად საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ქმედება კონფლიქტში არ უნდა მოდიოდეს მის პირად ინტერესებთან და ღირებულებებთან. ამ მოდელის გაანალიზება ხელს უწყობს სოციალური კაპიტალის ფენომენის გამოყენებას სხვადასხვა ტიპის ჯგუფურ ქცევებში, რომლებიც კერძო, ჯგუფური და საერთო ინტერესების განხორციელებას ისახავს მიზნად.

სოციალური კაპიტალის შეფასების მეთოდები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა, ესენია: რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები.

**რაოდენობრივი მეთოდები** გულისხმობს მათემატიკური და სტატისტიკური მოდელების გამოყენებას, რომლის საფუძველზეც ხდება მიღებული შედეგის სანდოობის განსაზღვრა. რაოდენობრივი კვლევის შედეგების უმნიშვნელოვანეს ღირებულება მისი რეპრეზენტატულობაა, რაც ნიშნავს იმას, რომ გამოკითხული ინდივიდები პროპორციულად წარმოადგენენ მთლიან ფოკუს ჯგუფს. რაოდენობრივ მეთოდებს შორის, მსოფლიო პრაქტიკაში, ყველაზე აპრობირებულია მასობრივი გამოკითხვა, რაც გულისხმობს საკვლევი სეგმენტის

<sup>85</sup> Alexander, J.C. (1988): The New Theoretical Movement, in: Handbook of Sociology. ed. Neil J. Smelser, Newbury Park: Sage, pp. 77-102.

აზრის შესწავლას, მათ შორის ძალიან მნიშვნელოვანია მაგარი კვლევის მეთოდი სოციალურ კაპიტალის განმსაზღვრელ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოსაპოვებლად.<sup>86</sup> აღნიშნული მეთოდი ეყრდნობა ორ დაშვებას:

1. სოციუმის მიერ სოციალური მოვლენების შეფასებების გავრცელება გარკვეულ სტატისტიკურ კანონზომიერებებს ექვემდებარება;
2. ერთმანეთის მსგავსი სოციალური მდგომარეობისა და შესაძლებლობის მქონე ინდივიდები, ძირითადად, ერთნაირად აფასებენ მოვლენებს.

მასობრივი გამოკითხვისას, თითოეულ რესპონდენტთან თანამშრომლობისას, არ ხდება იმ ინდივიდუალური და უნიკალური ნიშან-თვისებების გათვალისწინება, რაც ყოველ ადამიანს განასხვავებს ერთმანეთისგან, მასობრივი გამოკითხვა ყოველ ადამიანს განიხილავს, როგორც კონკრეტული სოციალური ჯგუფის ნაწილს, რის შედეგადაც ხდება იდენტური ინდივიდების შეხედულების გაანალიზება, სასურველი სოციალური საკითხისა თუ პრობლემის შესახებ ინფორმაციის მიღება და აღნიშნული მოვლენის შეფასება. აღნიშნული მეთოდი გულისხმობს იმას, რომ ერთნაირი სოციალური წრის წარმომადგენელი ადამიანები კვლევის პროცესში ერთმანეთის „შემცვლები“ არიან.

რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება რეკომენდებულია მაშინ, როდესაც გვინტერესებს გარკვეული სოციალური პრობლემისა თუ საკითხის რიცხობრივი შეფასება, ეს მეთოდი, ძირითადად, ვერ დაგვეხმარება ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებაში, როგორიცაა მაგალითად: რესპონდენტთა მოტივაციის შესწავლა, პრობლემის გადაჭრის გზების მათეული ინტერპრეტაციის ჩამოყალიბება და ა.შ. აღნიშნული მეთოდი არ იძლევა იმისი ახსნის საშუალებას, თუ რატომ ფიქრობენ რესპონდენტები ასე, და არა სხვაგვარად.<sup>87</sup>

კვლევის რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებისას შედეგები აისახება შემდეგი რაოდენობრივ მაჩვენებლების გამოყენებით, ესენია: პროცენტები და ქულები. აღნიშნული მოდელი მიზნად ისახავს კონკრეტული სოციალური მოვლენის მოხდენის სიხშირის განსაზღვრას. მეთოდების აღნიშნული ჯგუფი ხასიათდება ფორმალიზების მაღალი დონით და იძლევა ზუსტ ინფორმაციას, ამის გამო მას ზოგიერთ ლიტერატურაში „მკაცრ“ მეთოდებსაც უწოდებენ.

<sup>86</sup> Stam; et al. (2014). "Social capital of entrepreneurs and small firm performance: A meta-analysis of contextual and methodological moderators". Journal of Business Venturing. 29 (1): 152–173.

<sup>87</sup> Cohen, I.J. 2000: Theories of Action and Praxis, in Bryan S. Turacr (ed.), The Blackwell Companion to Social Theory (second edition). Oxford: Blackwell Publishers, pp. 73-111.

თვისებრივი მეთოდები წარმოადგენს სოციალური კვლევის მეთოდების უმნიშვნელოვანეს ჯგუფს, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ფოკუს ჯგუფების სოციალური ცხოვრების საფუძვლიანი შესწავლა. ძირითად შემთხვევაში კვლევა ხორციელდება ისეთ სიტუაციაში, რომელშიც რეალურად ადგილი აქვს ინდივიდებს შორის კავშირ-ურთიერთობებს. თვისებრივი მეთოდების გამოყენებით მიღებული მონაცემები განკუთვნილი არ არის რაოდენობრივი ანალიზის გასაკეთებლად, რადგან აღნიშნულ მეთოდებს არ გააჩნიათ მათემატიკური სიზუსტე. მათი მეშვეობით შეუძლებელია ისეთი ინფორმაციის მიღება, თუ პროცენტულად როგორი პროპორციითაა სოციუმში ესა თუ ის აზრი გავრცელებული.<sup>88</sup> აღნიშნულის საპირისპიროდ, მაძიებლებს აქვთ შესაძლებლობა თვისებრივი მეთოდების გამოყენებით გამოიკვლიონ და ახსნან ინდივიდების ქცევის ისეთი დეტალები, რომელთა ანალიზიც შეუძლებელია რაოდენობრივი მეთოდების გამოყენების შედეგად.<sup>89</sup>

თვისებრივ მეთოდებში შედის შემდეგი სახის კვლევითი აქტივობები, მაგალითად:

- დაკვირვება;
- ზეპირი ისტორია;
- ჯგუფური ინტერვიუ;
- ფოკუს-ჯგუფი;
- სიღრმისეული ინტერვიუ;
- მონოგრაფიული გამოკვლევა.<sup>90</sup>

თვისებრივ მეთოდებზე დაფუძნებული კვლევა, როგორც წესი, საჭიროებს ერთობლივად ორი ან მეტი კვლევითი მეთოდის შემუშავებასა და მათ პრაქტიკაში დანერგვას, ყოველივე ეს საუკეთესო საშუალებაა, რათა სოციალური კაპიტალის დონისა და მდგომარეობის ანალიზი გაკეთდეს სხვადასხვა კუთხიდან.

---

<sup>88</sup> Nora Dudwick, Kathleen Kuehnast, Veronica Nyhan Jones, and Michael Woolcock, ANALYZING SOCIAL CAPITAL IN CONTEXT, World Bank Institute Washington, D.C., 2006.  
[http://siteresources.worldbank.org/WBI/Resources/Analyzing\\_Social\\_Capital\\_in\\_Context-FINAL.pdf](http://siteresources.worldbank.org/WBI/Resources/Analyzing_Social_Capital_in_Context-FINAL.pdf) (განახილ 28.05.2017)

<sup>89</sup> Newman, I Carolyn R. B. 1998. Qualitative-Quantitative Research Methodology. Exploring the Interactive Continuum. Carbondale: Southern Illinois University Press.

<sup>90</sup> ზურაბიშვილი, თ. თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006. <http://www.ucss.ge/publication/012%20Tvisbrivi%20Metodebi%20Socialur%20Kvleveshi.pdf> (განახილ 21.03.2017)

მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით, კვლევის ორივე მეთოდის გამოყენება საშუალებას იძლევა ობიექტურად შეფასდეს სოციალური კაპიტალის ფონი საკვლევ სეგმენტზე და ამავდროულად:

- სოციალური კაპიტალის კვლევას გააჩნია პრაქტიკული შედეგები, რომლებიც გადამწყვეტია გარკვეული ეკონომიკური პროექტებისა და გადაწყვეტილებების მიღებისას;


- ორივე მეთოდის გამოყენებით დაინტერესებულ პირს თუ ორგანიზაციას ეძლევა თვალნათელი სურათი საკვლევი სეგმენტის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, აღნიშნული ინფორმაცია ხელს უწყობს დაინტერესებულ პირებს გადაწყვეტილებების მიღებაში.

- რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების ერთდროულად გამოყენებით დაინტერესებული სუბიექტები იღებენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა გავლენას მოახდენს გარკვეული პროექტების განხორციელება საკვლევ სეგმენტზე არსებულ სოციალურ კაპიტალზე და საერთოდ ღირს თუ არა რაიმე სახის ინვესტიციისა თუ სხვა პროექტის დანერგვა. აღსანიშნავია, რომ სოციალური კაპიტალით მდიდარ სეგმენტზე პროექტებისა და ინვესტიციების ეფექტიანად განხორციელების რისკი უფრო მაღალია ვიდრე სოციალური კაპიტალით ღარიბ სეგმენტზე.<sup>91</sup>

---

<sup>91</sup> Nora Dudwick, Kathleen Kuehnast, Veronica Nyhan Jones, and Michael Woolcock, The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank, ANALYZING SOCIAL CAPITAL IN CONTEXT, 2006, [http://siteresources.worldbank.org/WBI/Resources/Analyzing\\_Social\\_Capital\\_in\\_Context-FINAL.pdf](http://siteresources.worldbank.org/WBI/Resources/Analyzing_Social_Capital_in_Context-FINAL.pdf) (განახილ 25.05.2017)

სოციალური კაპიტალის დეტერმინანტები, განსაზღვრება, ფაქტორები და  
გაზომვის მეთოდები



მოყვანილი სქემა ნათლად გამოხატავს მიზეზშედეგობრივ კავშირებს სოციალურ კაპიტალს, ფაქტორებსა და შეფასების მეთოდებს შორის. სოციალური კავშირები, საერთო ნორმებისა და ღირებულებების ქონა იწვევს აქტივებსა და სხვადასხვა რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაადვილებას, შედეგად ვიღებთ საერთო საკუთრებას, კონტაქტების სიძლიერეს, საერთო მიზნების ჩამოყალიბებასა და სოციალურ მხარდაჭერას. აღნიშნული სოციალური კაპიტალის სტრუქტურის ზემოთ ნახსენები მეთოდების (კითხვარების შევსება, ინტერვიუების ჩამორთმევა და სხვ.) გამოყენებით საშუალება გვქვდა სასურველ სეგმენტზე შევისწავლოთ სოციალური კაპიტალის განვითარების ხარისხი.

<sup>92</sup> Grootaert, Ch., Bastelaer, Th., (The World Bank), (2001), UNDERSTANDING AND MEASURING SOCIAL CAPITAL: A SYNTHESIS OF FINDINGS AND RECOMMENDATIONS FROM THE SOCIAL CAPITAL INITIATIVE, <http://siteresources.worldbank.org/INTSOCIALCAPITAL/Resources/Social-Capital-Initiative-Working-Paper-Series/SCI-WPS-24.pdf> (ნანახია 31.01.2018)

### 1.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიები

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ჩაისახა გლობალიზაციის საწყისები, ცალკეულმა ქვეყნებმა დაიწყეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელება, 1950-1960 წლებში განვითარებულმა ქვეყნებმა ინვესტიციები მიმართეს განვითარებად ქვეყნებში, რამაც მკვლევართა დიდი ყურადღება გამოიწვია, ამის შედეგად მრავალი თეორია ჩამოყალიბდა, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია კაპიტალის საერთაშორისო ნაკადების ახსნა.

თავდაპირველად, კაპიტალის ბაზარი და პორტფელური ინვესტიცია იქნა გამოყენებული პუი-ს ასახსნელად: პირდაპირი ინვესტიცია ძირითადად ასახავდა კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობას.<sup>93</sup> რეალურად, კი პუი წარმოადგენდა პორტფელური ინვესტიციების ქვეჯგუფს. შესაბამისად კაპიტალის გადაადგილება დამოკიდებული იყო სარგებლის განაკვეთზე. აღნიშნული მიდგომის თანახმად, კომპანიები ახორციელებდნენ ინვესტიციებს იმ ქვეყნებში სადაც მაღალი იყო უკუგების ნორმა. თუმცა, აღნიშნულმა მიდგომამ არ გაამართლა, ვინაიდან პორტფელური და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განხორციელდა სხვადასხვა ქვეყნებში. პირდაპირი ინვესტიცია საჭიროებს კონტროლის მაღალ ხარისხს. სარგებლის განაკვეთის თეორიაში გამოვლინდა ნაკლოვანება კონტროლის მექანიზმის უგულებელყოფის გამო - თუ სარგებლის განაკვეთი უფრო მაღალია საზღვარგარეთ, ინვესტორი თანხას აბანდებს უცხოეთში, თუმცა არ არსებობს ლოგიკური საჭიროება, რომ ინვესტორმა განახორციელოს კონტროლი იმ საწარმოში, რომელშიც განხორციელდა ინვესტიცია.<sup>94</sup>

1960 წლიდან, მეცნიერებმა დაიწყეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციის განმარტების ჩამოყალიბება. ტრანსნაციონალური კორპორაციების როლის ზრდამ მათ უბიძგა შეემუშავებინათ პუი-ს თეორიები.<sup>95</sup>

მას შემდეგ, აღნიშნულმა თეორიებში გამოვლინდა კაპიტალის მოძრაობის გამომწვევი სხვადასხვა ფაქტორები. ზოგიერთი თეორია განიხილავს ბაზრის არასრულყოფილებას, როგორც პუი-ს მოძრაობის მიზეზს, ზოგი კი ოლიგოპოლიასა და მონოპოლიას უპირატესობად აღიქვამს. ლიტერატურაში

<sup>93</sup> Kindleberger, C.P. (1969). *American Business Abroad*. Yale University Press, New Haven, CT, United States.

<sup>94</sup> Hymer, S.H. (1976). *The International Operation of National Firms: A Study of Direct Foreign Investment*. MIT Press, Cambridge, MA, United States.

<sup>95</sup> Rayome, D. and J.C. Baker (1995). "Foreign direct investment: A review and analysis of the literature", *International Trade Journal*, vol. 9, No. 1.

არსებობს პუი-ს თეორიები, რომლებიც მას საერთაშორისო ვაჭრობასთან აკავშირებენ.

**1. სრულყოფილ კონკურენციაზე დაფუძნებული პუი-ს თეორია:** ამ თეორიის საწყისების ვხვდებით 1958 წელს მაკდუგალის ნაშრომებში,<sup>96</sup> შემდგომ, 1964 წელს, აღნიშნული თეორია განავითარა კემპმა.<sup>97</sup> სრულყოფილ კონკურენციაზე დაფუძნებული პუი-ს თეორია მოიცავს შემდეგ დაშვებებს: <sup>98</sup>

- ბაზარზე ფუნქციონირებს მხოლოდ ორი ქვეყანა, რომელთა სახელმწიფო წყობის მოდელი და კაპიტალის ზღვრული ფასები ერთნაირია.
- ამ ორ ქვეყანას შორის მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობა და კაპიტალის ზღვრული მწარმოებლურობა თანაბარია.

მათ აღმოაჩინეს, რომ ინვესტორ ქვეყანაში პროდუქციის წარმოების დონე შემცირდება, თუმცა არ შემცირდება ინვესტორი ქვეყნის შემოსავალი. აღნიშნული, მოვლენა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ინვესტიციის განხორციელებისას ხდება საწარმოებისა და ქარხნების სხვა ქვეყანაში გადატანა, რაც განაპირობებს ინვესტორ ქვეყანაში წარმოების დონის შემცირებას, თუმცა აღნიშნული ინვესტიციიდან გრძელვადიან პერიოდში ინვესტორი ქვეყანა იღებს გაცილებით მეტ შემოსავალს მის მიერ საზღვარგარეთ გაკეთებული ინვესტიციიდან რეციპიენტ ქვეყანაში არსებული სამუშაო ძალის სიიარსის, რესურსების ხელმისაწვდომობისა და სხვადასხვა ხელსაყრელი გარემოებების ხარჯზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სრულყოფილ კონკურენტულ ბაზრებზე მსგავსი კუთხით განხილული აქვთ სხვა მეცნიერებსაც: სიმფონიონს,<sup>99</sup> ფრანკელს,<sup>100</sup> პიერსს და როუანს.<sup>101</sup>

<sup>96</sup> MacDougall, G.D.A. (1958). "The benefits and cost of private foreign investment abroad: A theoretical approach", *Economic Record*, vol. 36

<sup>97</sup> Kemp, M.C. (1964). *The Theory of International Trade*. Prentice Hall, London.

<sup>98</sup> Dinkar Nayak, Rahul N. Choudhury, A selective review of foreign direct investment theories, 2014  
[http://www.unescap.org/sites/default/files/AWP%20No.%20143\\_0.pdf](http://www.unescap.org/sites/default/files/AWP%20No.%20143_0.pdf) (ნანახია 02.06.2017)

<sup>99</sup> Simpson, P.B. (1962). "Foreign investment and the national economic advantages: A theoretical analysis", in, R. Mikesell (ed.), *US Government and Private Investment Abroad*. University of Oregon Books, Eugene, United States.

<sup>100</sup> Frankel, M. (1965). "Home versus foreign investment: A case against capital exports", *Kylos*, vol. 18, No. 3.

<sup>101</sup> Press.Pearce, I. and D.C. Rowen (1966). "A framework for research into the real effects of international capital movements", in T. Bagioti (ed.), *Essays in Honour of Marco Fanno* (2 vols.). Cedam, Padova, Italy.

აღსანიშნავია, რომ რეალობაში სრულყოფილი კონკურენცია არ არსებობს. ჰაიმერმა 1960 წელს პირველმა დაიწყო არასრულყოფილ ბაზრებზე მორგებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიის მოდელის შექმნა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული თეორიების განვითარება გამოიწვია 20-ე საუკუნეში, მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა გარდაქმნებმა, მას შემდეგ, რაც ბრიტანეთმა დაკარგა მთავარი კრედიტორის ფუნქცია და აშშ გადაიქცა მთავარ ეკონომიკურ და ფინანსურ ძალად. ამ პერიოდში გაიზარდა მოთხოვნა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, რაც განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა:

- ტრანსპორტისა და კომუნიკაციების განვითარებამ და დისტანციური კონტროლის მექანიზმის ჩამოყალიბებამ.
- ევროპისა და იაპონიის ომის შემდგომმა ფინანსურმა კრიზისმა, რის გამოც გახდა საჭიროება აშშ-სგან მოეთხოვათ ფინანსური რესურსები.

**2. არასრულყოფილ ბაზრებზე დაფუძნებული პუი-ს თეორია:** აღნიშნული მიმართულება თავის მხრივ მოიცავს დარგობრივ ორგანიზაციულ მიდგომას, მონოპოლიურ ძალაზე დაფუძნებულ პუი-ს თეორიას, ინტერნალიზაციაზე დაფუძნებულ პუი-ს თეორიას, პუი-ს ოლიგოპოლიურ თეორიას და პუი-ს ეკლექტიკური პარადიგმა.

**2.1 დარგობრივი ორგანიზაციული მიდგომა:** ჰაიმერი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც შეიმუშავა სისტემური მიდგომა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კვლევის საკითხზე.<sup>102</sup> მან 1976 წელს, თავის ნაშრომში შეიმუშავა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორია დარგობრივ ორგანიზაციულ ჭრილში. ამ თეორიის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ საზღვარგარეთ მოქმედმა ფირმებმა კონკურენცია უნდა გაუწიონ ადგილობრივ კომპანიებს, რომლებიც ხელსაყრელ პოზიციაში იმყოფებიან, ვინაიდან არ მათ არ აფერხებთ კულტურული, ენობრივი და სამართლებრივი ბარიერები, ასევე არ დგანან ვალუტასთან დაკავშირებული რისკების წინაშე. ჰაიმერი განმარტავდა, რომ საერთაშორისო ინვესტიციების ეფექტიანად განხორციელებისათვის საჭიროა აღნიშნული ნეგატიური ასპექტები დაბალანსებულ იქნეს სხვა მექანიზმებით: განვითარებული ტექნოლოგიით, ბრენდინგით, მარკეტინგული სიახლეებით, მართვის სწორი პოლიტიკით და იაფი ფინანსური რესურსების მოძიებით.

<sup>102</sup> Hymer, S.H. (1976). The International Operation of National Firms: A Study of Direct Foreign Investment. MIT Press, Cambridge, MA, United States.

ჰაიმერის აზრით, ტექნოლოგიური უპირატესობა ყველაზე მნიშვნელოვანია, რომელიც ხელს უწყობს ახალი მახასიათებლების მქონე პროდუქტის დანერგვას. ასევე უმნიშვნელოვანესია მარკეტინგის სფეროში ცოდნის მაღალი დონე, რაც განაპირობებს წარმოებისა და რეალიზაციის გაუმჯობესებას. აღნიშნული თეორიის მნიშვნელოვანი ასპექტი არის ის, რომ კომპანიების უპირატესობა წარმატებით ვრცელდება კომპანიის სხვადასხვა სტრუქტურულ დანაყოფებში, მიუხედავად იმისა ეს კომპანიები ერთ ქვეყანაში ფუნქციონირებენ თუ სხვადასხვაში.<sup>103</sup>

ვინაიდან ბაზარი არასრულყოფილია საზღვარგარეთ ინვესტიციის გაკეთებისას, აუცილებელია, კომპანიებმა მოიპოვონ უპირატესობა და ძალაუფლება, რათა მიიღონ სასურველი მოგება. აღნიშნულ თეორიას ემხრობოდა ბევრი მეკლევარი, მაგალითად, გრემმა და კრიგმანმა განაცხადეს, რომ წარსულში ევროპის ქვეყნებს გააჩნდათ ტექნოლოგიური უპირატესობა და სწორედ ამიტომ ისინი წარმატებით ახორციელებდნენ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს აშშ-ში.<sup>104</sup> შოდერსტენიც ასევე ამტკიცებდა, რომ პუი-ს განხორციელებით მაქსიმალური მოგების მისაღებად ტექნოლოგიური უპირატესობის მიღწევა და უმაღლესი დონის ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავებაა აუცილებელი.<sup>105</sup>

აღსანიშნავია, რომ ჰაიმერის ზემოთ მოყვანილი თეორია არასრულყოფილია, ვინაიდან იგი არ აღწერს თუ რომელ ქვეყანაში და რა შემთხვევაშია ხელსაყრელი პუი-ს განხორციელება. აღნიშნულ საკითხებს განიხილავს პუი-ს ნეოკლასიკური მიდგომა, რომელიც სათავეს იღებს ვერნონისა<sup>106</sup> და დანინგის<sup>107</sup> ნაშრომებში.

**2.2 მონოპოლიურ ძალაზე დაფუძნებული პუი-ს თეორია:** კინდლებერგერმა მონოპოლისტური კონცეფციის წინ წამოწევით განავრცო ჰაიმერის ჰიპოთეზა,

<sup>103</sup> Hymer, S.H. (1976). The International Operation of National Firms: A Study of Direct Foreign Investment. MIT Press, Cambridge, MA, United States.

<sup>104</sup> Graham, E.M. and P. Krugman (1989). Foreign Direct Investment in USA. Institute for International Economics, Washington D.C.

<sup>105</sup> Sodersten, B. (1970). International Economics. Harper and Row, New York.

<sup>106</sup> Vernon, R. (1966). "International investment and international trade in the product cycle", Quarterly Journal of Economics, vol. 80, No. 2

<sup>107</sup> Dunning, J.H. (1977). "Trade location of economic activity and the MNE: A search of an eclectic approach", in B. Ohlin, P.O. Hesselborn and P.J. Wijkman (eds.), The International Allocation of Economic Activity. Macmillan, London.

Dunning, J.H. (1979). "Explaining changing patterns of international production: In defense of the eclectic theory", Oxford Bulletin of Economics and Statistics, vol. 41, No. 4.

(1988). "The eclectic paradigm of international production: A restatement and some possible extensions", Journal of International Business Studies, vol. 19, No. 1.

კინდლბერგერი მიიჩნევდა, რომ მულტინაციონალურ კომპანიას პუი-ს ეფექტიანად განხორციელებისათვის უნდა ჰქონოდა უმაღლესი ხარისხის ტექნოლოგიური ადჰურვილობა, მენეჯერული ცოდნა და გამოცდილება, პატენტები და ა.შ. რომლებზეც ექნებოდა მონოპოლიური მფლობელობა, აღნიშნული უპირატესობებით უნდა ესარგებლა მხოლოდ პუი-ს განმახორციელებელ მულტინაციონალურ კომპანიას და ისინი ხელმიუწვდომელი უნდა ყოფილიყო ადგილობრივი პოტენციური კონკურენტი ფირმებისათვის. მონოპოლიური თეორია ინვესტორს ჰპირდებოდა მაქსიმალურ მოგებასა და წახალისებას, თუმცა ეს თეორია წინააღმდეგობაში მოდიოდა ინვესტიციის მიმღები მრავალი ქვეყნის შიდა პოლიტიკასთან და სამართლებრივ სისტემასთან. ასევე არ იყო აღწერილი თუ რომელ ქვეყანაში რომელ უპირატესობაზე იყო ფოკუსირება საჭირო.<sup>108</sup>

ჰიმერ-კილდებერგის თეორიის, მეორე მნიშვნელოვანი ელემენტი განიხილავდა, თუ რატომ უნდა მიემართათ კომპანიებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისადმი, როდესაც ისედაც შეეძლოთ თავისი საქონლის ექსპორტირება, ლიცენზიების გაცემა, თუ სხვა.<sup>109</sup> მათივე ახსნით, ეს გამოწვეული იყო მოგების მაქსიმიზაციის სურვილით და 3 მიზეზს ასახელებდნენ: ა) ფირმის უპირატესობის ფინანსური შეფასების განხორციელება ძალიან რთული საკითხია; ბ) პირდაპირი უცხოური ინვესტიცია აუქმებს ლიცენზიის გაცემასა და მის მართვასთან დაკავშირებულ ხარჯებს; და ბოლოს, გ) ოლიგოპოლიური ძალის გაყიდვა უბრალოდ შეუძლებელია.

**2.3 ინტერნალიზაციაზე დაფუძნებული პუი-ს თეორია:** ბაკლიმ და კასონმა შემოგვთავაზეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კიდევ ერთი თეორია.<sup>110</sup> ისინი ხაზს უსვამდნენ საშუალო საწარმოო ხარჯებისა და ტექნოლოგიების მნიშვნელობას, თუმცა აქცენტს აკეთებდნენ არა ინვესტიციის მიმღები ქვეყნის თავისებურებებზე, არამედ ინვესტორი კომპანიის დონესა და მწარმოებლურობის სიმძლავრეზე, ბაკლი და კასონი ამ ფაქტორებს პუი-ს განმსაზღვრელ მთავარ დეტერმინანტებად განიხილავდნენ. აღნიშნული თეორია დაფუძნებულია შემდეგ დაშვებებზე:

- ფირმები ფუნქციონირებენ არასრულყოფილ ბაზრებზე და იღებენ მაქსიმალურ მოგებას;

<sup>108</sup> Kindleberger, C.P. (1969). American Business Abroad. Yale University Press, New Haven, CT, United States.

<sup>109</sup> W. J. Henisz. (2003). The power of the Buckley and Casson thesis: the ability to manage institutional idiosyncrasies. Journal of International Business Studies (34) , 173–184

<sup>110</sup> Buckley, P.J. and M. Casson (1976). The Future of the Multinational Enterprises. Macmillan, London.

- როდესაც შუალედური პროდუქციის წარმოების ბაზრები არასრულყოფილია, დგება შიდა ბაზრის განვითარების საჭიროება;
- მსოფლიო მასშტაბით ინტერნაციონალიზაციის პროცესს მიყვავართ მულტინაციონალური კომპანიების აქტუალურობამდე.

კომპანიებს შორის ტრანზაქციები გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული, სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ინტერნალიზაციის პროცესის დაჩქარება, რაც თავის მხრივ მოიცავს სხვადასხვა ქვეყნებში ინვესტიციების განხორციელებას.

ბაკლიმ და კასონმა ინტერნალიზაციის თეორიის ხუთი ნაკლოვანება გამოავლინეს, ესენია:

1. რესურსების კოორდინაცია მოითხოვდა დროის დიდ დანახარჯს;
2. ახალ ბაზრებზე დამკვიდრება და მათი ათვისება საჭიროებდა ფასისმიერი დისკრიმინაციული პოლიტიკის გატარებას;
3. ორმხრივი მონოპოლიის შემთხვევაში წარმოიქმნებოდა არასტაბილური ბიზნეს გარემო;
4. მეიდველს ობიექტურად აღარ შეეძლო გასაყიდი საქონელის ფასის დადგენა;
5. სახელმწიფოს ჩარევა საერთაშორისო ბაზრებში ქმნიდა პროდუქციაზე ფასების დაწესების პრობლემას.

მიუხედავად იმისა, რომ ბაკლიმ და კასონმა აღნიშნული მოდელის რისკები ჩამოაყალიბეს, მათ არ გააკეთეს სხვადასხვა დარგის ანალიზი და არ დაყვეს ისინი რისკის დონის მიხედვით, მაგალითად, ელექტროენერგიისა და კომუნიკაციების დარგში უფრო მეტადაა იმის ალბათობა, რომ სახელმწიფომ განახორციელოს ინტერვენცია ქვეყნის სოციალური ინტერესების დაცვის მიზნით.<sup>111</sup>

**2.4 პუი-ს ოლიგოპოლიური თეორია:** აღნიშნული თეორიის ფუძემდებელია ნიკერბოკერი, მას პირდაპირი უცხოური ინვესტიციის განხორციელების მთავარ მოტივად ინვესტორი კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მიაჩნია - კომპანიები კონკურენტების მსგავსად უნდა გასულიყვნენ საერთაშორისო ბაზარზე, რათა მათ არ დაეკარგათ საკუთარი სტრატეგიული მნიშვნელობა. კერძოდ, ნიკერბოკერი ამტკიცებდა, რომ ერთსა და იმავე დარგში ფუნქციონირებადი ოლიგოპოლიური კომპანიების შემთხვევაში მათ აუცილებლად უნდა

<sup>111</sup> Buckley, P.J. and M. Casson (1976). The Future of the Multinational Enterprises. Macmillan, London

გაეთვალისწინებინათ ერთმანეთის საბაზრო გადაწყვეტილებები, ადგილმდებარეობა და ა.შ., წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი იყო რისკი იმსა, რომ კონკურენტ კომპანიას ფასისმიერი მანევრით გაეძევებინა მეორე კომპანია ბაზრიდან.<sup>112</sup>

**2.5 პუი-ს ეკლექტიკური პარადიგმა:** აღნიშნული თეორია ამერიკელმა მეცნიერმა - ჯ. დანინგმა შეიმუშავა 1979 წელს, იგი დაეფუძნა ამავე დარგში მანამდე აწ უკვე არსებულ ტრანსნაციონალიზაციის თეორიებს და მისი ახლებური, განვითარებული ვერსია წარმოადგინა, რომელიც დღეს ლიტერატურაში გვხვდება ეკლექტიკური-იგივე OLI პარადიგმის სახელით.<sup>113</sup>

ეკლექტიკური პარადიგმის მიხედვით, როდესაც ფირმა უცხო ქვეყნის კომპანიებთან მიმართებაში ფლობს უპირატესობებს ნებისმიერ სფეროსა თუ დარგში, ასეთ დროს იგი ორიენტირებულია მოახდინოს თავისი უნიკალური რესურსების ინტერნალიზება და არა ექსტერნალიზება.<sup>114</sup> მოცემული პარადიგმა გვთავაზობს ჰოლისტიკურ მიდგომას, რომელიც ერთობლიობაში განიხილავს სხვადასხვა ეკონომიკური სუბიექტებისა და კომპონენტების ურთიერთქმედებას. ეკლექტიკური პარადიგმა გვთავაზობს ფირმის გაფართოების სტრატეგიას პუი-ს განხორციელების მეშვეობით.

აღნიშნული პარადიგმა მოიცავს სამ ფაქტორს, რომლებითაც შესაძლებელია იმ მოტივების ახსნა, რის გამოც კომპანიის მოგების მაქსიმიზაციისათვის უმჯობესი იქნება ახალ ბაზარზე ინვესტიციის განხორციელება და არა ექსპორტზე ორიენტირება. ეს ფაქტორებია:

1. მფლობელობის;
2. განლაგების;
3. ინტერნალიზაციის უპირატესობები.

მფლობელობის უპირატესობა თავის მხრივ მოიაზრებს ორი სახის უპირატესობის ფლობას, ესენია:

1. არამატერიალური აქტივების ფლობის უპირატესობა (მაგ.: ლიცენზია, კონსესია, პატენტი, ნოუ ჰაუ და ა.შ);

<sup>112</sup> Knickerbocker, F.T. (1973). "Oligopolistic reaction and multinational enterprise", Division of Research, Harvard University, Cambridge, MA, United States.

<sup>113</sup> Dunning, J. (1980), Toward an eclectic theory of international production – some empirical tests, Journal of International Business Studies, Vol. 11, No. 1, pp. 9-31

<sup>114</sup> Dunning J.H. (2002). Theories and Paradigms of International Business Activity. 1, 104-105.

2. აქტივების გაერთანებითა და ფლობით გამოვლენილი უპირატესობა, რომელიც ხელს უწყობს კონკურენტუნარიანობის ამაღლებას უცხო ბაზარზე (მაგ.: მართვისა და პიარის უნარები).

განლაგების უპირატესობაში იგულისხმება, რომ კომპანიას გააჩნია საჭიროება, უნარი და შესაძლებლობა გავიდეს ახალ ბაზარზე, მოგების მაქსიმიზაციის მიზნით. ამ შემთხვევაში, ფირმას გააჩნია მზაობა და საკმარისი სახსრები, რის შედეგადაც ის ეფექტიანად დამკვიდრდება ახალ ბაზარზე და გაუწევს კონკურენციას ადგილობრივ კომპანიებს. ამასთან ერთად, აღნიშნული კომპანიისათვის ახალ ბაზარზე გასვლა შესაძლოა საინტერესო იყოს დანახარჯების მინიმიზაციის მიზეზითაც, რაც ხშირად იაფი სამუშაო ძალით დაინტერესებაში გამოიხატება.

ინტერნალიზაციის უპირატესობაში მოიაზრება რესურსების ფლობის უპირატესობისა და ახალ ბაზარზე კონკურენტუნარიანი პოზიციის მიღწევის შესაძლებლობების ყველა კომბინაცია. აღნიშნული დაშვების მიხედვით, თუ კომპანიას, მფლობელობისა და განლაგების უპირატესობასთან ერთად, გააჩნია ინტერნალიზაციის უპირატესობაც, იმას ნიშნავს, რომ ფირმის მხრიდან პუი-ს განხორციელების დიდი ალბათობაა.

სამივე უპირატესობას მაშინ ექცევა ყურადღება, როდესაც კომპანია ახალი ბაზრების ათვისებას გეგმავს. დანინგი მიიჩნევს, რომ თუ ფირმას აქვს მფლობელობის უპირატესობა, მაშინ მას თავისუფლად შეუძლია განახორციელოს პუი და შეაღწიოს ახალ ბაზარზე, თუმცა ამ დროს პოდუქციის ექსპორტირებაც მიზანშეწონილია. ფირმის მხრიდან ახალ ბაზარზე ინტერნალიზაციის უპირატესობის ქონის შემთხვევაში, რეკომენდებულია პროდუქციის ექსპორტირება, ადგილმდებარეობის უპირატესობის ფლობის შემთხვევაში კი ყველაზე ხელსაყრელია პუი-ს განხორციელება.

ეკლექტიკური პარადიგმის თეორიის მიხედვით, პუი-ს განხორციელებამდე, ტრანსნაციონალური კომპანიების ქცევა შემდეგნაირია, პირველ სტადიაზე ქმნიან მფლობელობით უპირატესობას შიდა ბაზარზე და შემდეგ ადგილმდებარეობის უპირატესობის მეშვეობით იყენებენ მას ახალი ბაზრის ასათვისებლად. ინტერნალიზაციის თეორია ეკლექტიკური პარადიგმისაგან განსხვავებით, ფოკუსირებულია ბაზარზე შესვლის სტრატეგიაზე, უფრო კონკრეტულად, ინტერნალიზაციის თეორიაში არ მოიაზრება რესურსების ექსტერნალიზაცია. დანინგი ამტკიცებს, რომ მფლობელობისა და ინტერნალიზაციის უპირატესობებს

შორის არსებობს პირდაპირი კორელაციური კავშირი, იგი თვლის, რომ მხოლოდ მფლობელობის უპირატესობის მოპოვების შემდეგ ხორციელდება ინტერნალიზაცია.<sup>115</sup>

მეცნიერი რუგმანის მიხედვით, ეკლექტიკური პარადიგმის ყველაზე დიდ ნაკლოვანებას სწორედ მისი ეკლექტიკურობა და მწირი უპირატესობები წარმოადგენს. მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფაქტორების გათვალისწინებაც როგორიცაა მაგალითად: ფირმის ინფრასტრუქტურული განვითარება, ბაზრის მასშტაბები, თანამშრომელთა განათლების დონე, რესურსებზე წვდომა და სხვა.

**3. განლაგების თეორია:** განლაგების თეორიის მიხედვით, პუი-ს განხორციელებას განაპირობებს წარმოების ფაქტორების გადაადგილების შეზღუდვა. აღნიშნული თეორიით ნათლად აიხსნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების მიზეზები ისეთ ქვეყნებში, რომლებიც მდიდარია ნავთობით და განვითარებულია ტურისტულად.

განლაგების თეორია მოიაზრებს პუი-ს განსახორციელებლად საჭირო ხელსაყრელ გეოგრაფიული მდებარეობას, მაგალითად, ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე, ინვესტორისათვის შესაძლოა საწარმოს აშენება ხელსაყრელი იყოს სავაჭრო ცენტრთან, პორტთან ან სხვა სასურველ ტერიტორიასთან ახლოს, იმისათვის, რომ დროისა და რესურსების მინიმალური დანახარჯებით შეძლოს წარმოებული საქონლის რეალიზაცია.

**ვალუტის კურსის სიმყარეზე დაფუძნებული პუი-ს თეორია:** ალიბერი ერთერთი პიონერია, რომელმაც წარმოადგინა ვალუტის სიმყარეზე დაფუძნებული პუი-ს თეორია.<sup>116</sup> მან აღნიშნული თეორია დაუკავშირა ინვესტორი და მიმღები ქვეყნების ვალუტის კურსებს. მისი მოსაზრებით, ქვეყანას, რომელსაც აქვს არამყარი ვალუტა, მყარი ვალუტისაგან განსხვავებით ინვესტორების ინტერესს იწვევს და განაპირობებს პუი-ს მოზიდვას. ალიბერმა დატესტა თავისი ჰიპოთეზები, რომლითაც დაამტკიცა საკუთარი თეორია აშშ-ს, ბრიტანეთისა და კანადის მაგალითზე, სადაც ისინი წარმოადგენენ ინვესტორ ქვეყნებს, ალიბერის ალტერნატიული თეორია ამართლებს იმ შემთხვევაში თუ განვითარებადი ქვეყანა ხასიათდება კაპიტალის ბაზრის არასრულყოფილებით ან არარსებობით.<sup>117</sup>

<sup>115</sup> Rugman, A. (2010). Reconciling internalization theory and the eclectic paradigm. *Multinational Business Review*, 18, 1-12.

<sup>116</sup> Aliber, R.Z. (1970). "A theory of direct foreign investment", in C. P. Kindleberger (ed.), *The International Corporation*. MIT Press, Cambridge, MA, United States.

<sup>117</sup> Lall, S. (1976). "Theories of direct private foreign investment and multinational behaviour", *Economic and Political Weekly*, Special Issue, vol. 11, Nos. 31-33

ალიბერის თეორიას მრავალი მხარდამჭერი გამოუჩნდა, თუმცა ის მაინც ვერ გვაძლევს იმის ახსნას, თუ როგორ ხდება ინვესტიცია მსგავსი სიძლიერის ვალუტის მქონე ქვეყნებს შორის. ამასთანავე, თეორია არარელევანტურია, რომ ახსნას განვითარებადი ქვეყნის (სუსტი ვალუტა) მულტინაციონალური კორპორაციების ინვესტიციები განვითარებულ ქვეყნებში. (ძლიერი ვალუტა).

### ცხრილი №3

#### პუი-ს თეორიები და ავტორები

| პუი-ს თეორიის სახელწოდება                         | თეორიის ავტორი და წელი                                                                                |
|---------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------|
| სრულყოფილ კონკურენციაზე დაფუძნებული პუი-ს თეორია  | მაკდუგალი (1958);<br>კემპი (1964);<br>სიმფსონი (1962);<br>ფრანკელი (1965);<br>პირსი და როუენი (1966); |
| სამრეწველო ორგანიზაციული თეორია                   | ჰაიმერი (1976);<br>გრემში და კრიგმანი (1989);                                                         |
| მონოპოლიურ ძალაზე დაფუძნებული პუი-ს თეორია        | კინდელბერგერი (1969);                                                                                 |
| ინტერნალიზაციაზე დაფუძნებული პუი-ს თეორია         | ბაკლი და კასონი (1976);                                                                               |
| პუი-ს ოლიგოპოლიური თეორია                         | ნიკერბოკერი (1973)                                                                                    |
| პუი-ს ეკლექტიკური პარადიგმის თეორია               | დანინგი (1981)                                                                                        |
| ადგილმდებარეობის თეორია                           | გოლდბერგი (1972)<br>კულემი (1988)<br>ლ. კოლენი, მ. მარტენსი და ჯ. სეინენი (2012)                      |
| ვალუტის კურსის სიმყარეზე დაფუძნებული პუი-ს თეორია | ალიბერ (1970)                                                                                         |

## 1.4. სოციალური კაპიტალის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე ზემოქმედების მექანიზმი

სოციალური კაპიტალის განვითარების დონე დიდ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში. აღნიშნული საკითხის კვლევას უამრავი მეცნიერული ნაშრომი მიეძღვნა. მათ შორის აღსანიშნავია მსოფლიო ბანკის ეგიდით, 90 ქვეყნის მონაცემების მიხედვით მიღებული ანალიზის შედეგები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ შემოსავალი ერთ სულზე დაკავშირებულია სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლების, ნდობისა და მართვის მაღალ ხარისხთან.<sup>118</sup>

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ სოციალური კაპიტალი ეკონომიკური ზრდის ისეთივე მნიშვნელოვანი ფაქტორია, როგორც კაპიტალის სხვა ფორმები. ამ მოსაზრებას შემდეგი არგუმენტები ამყარებს:

- სოციალურ კაპიტალს გააჩნია გადამანაწილებელი ფუნქცია, რითიც ხელს უწყობს საბაზრო სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესებას;
- სოციალური კაპიტალის დონის ზრდა განაპირობებს ადამიანისეული კაპიტალის დაგროვებას;
- სოციალური კაპიტალი მაღალი მაჩვენებლის მიღწევა ამცირებს სიღარიბის დონეს ქვეყანაში;
- სოციალური კაპიტალი საუკეთესო მექანიზმია შემოსავლების უთანაბრობის აღმოფხვრის პრობლემის დასაძლევად და საზოგადოების გასაჯანსაღებლად;
- სოციალური კაპიტალი ხელს უწყობს ქვეყნის მართვის ხარისხის გაუმჯობესებასა და ინსტიტუციურ განვითარებას. ინსტიტუტებისა და სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობის გაუმჯობესება, როგორც წესი, გულისხმობს ინვესტიციებისათვის რისკების მინიმუმზაციას, უცხოური კაპიტალის მოდინების ზრდასა და თანმდევ დადებით ეკონომიკურ ეფექტებს.<sup>119</sup>

ეკონომიკაში, სოციალურ კაპიტალთან დაკავშირებული დაშვებები და მიდგომები შედარებით ახალია და განხვავდება ტრადიციული ეკონომიკური

<sup>118</sup> Ив Партс, Роль социального капитала в экономическом развитии переходных стран, [http://dialogs.org.ua/crossroad\\_full.php?m\\_id=13246](http://dialogs.org.ua/crossroad_full.php?m_id=13246) (ნანახია 25.03.2017)

<sup>119</sup> შაბურიშვილი შ., სოციალური კაპიტალის ფორმირების თავისებურებები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო, თბილისი, 28 თებერვალი, 2011. გვ.283–293.

თეორიებისაგან. ბოლო დროს, სოციალური კაპიტალისა და ეკონომიკური მოვლენების ურთიერთკავშირის მიმართ დიდია ინტერესი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამეცნიერო წრეების მხრიდან, აღნიშნულს ადასტურებს მსოფლიო ბანკის „ინიციატივა სოციალური კაპიტალისთვის“.<sup>120</sup>

ბოლო რამდენიმე წელიწადში, საქართველოში განხორციელდა მრავალი რეფორმა, რომელიც ხელს უწყობს და ასტიმულირებს პუი-ის მოზიდვას: საბაჟო და საგადასახადო სტრუქტურების ფუნქციონირება დაიხვეწა და გახდა უფრო გამართული, დაინერგა ეფექტიანი და მასშტაბური პრივატიზაციის პროგრამები, ასევე, პოზიტიური რეზულტატებია მიღებული კორუფციასთან ბრძოლის საკითხშიც, Transparency International Corruption Perceptions Index-ის თანახმად, 2017 წლის მონაცემებით, საქართველო მსოფლიოს 183 ქვეყნიდან 49-ე ადგილზე იმყოფებოდა, რაც საუკეთესო მონაცემია დსთ-ს ქვეყნებს შორის, აღსანიშნავია ისიც, რომ აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის ქვეყნებს შორის, საქართველოს გააჩნია ერთ-ერთი საუკეთესო ბიზნესგარემო. ასევე, გადასახადების გადახდის მაჩვენებელი გაუმჯობესებულია და საერთაშორისო ვაჭრობის კუთხით საქართველოს რეიტინგი აწეულია, რაც ამ სექტორებში გატარებული რეფორმების დადებით შედეგებს ასახავს.<sup>121</sup>

მიუხედავად საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და ზემოთ აღნიშნული რეფორმებისა, საქართველოს მაინც უჭირს ეკონომიკის მდგრადი და სტაბილური განვითარებისთვის საჭირო ინვესტიციების ნაკადების მოზიდვა, რამაც უნდა აღმოფხვრას საქართველოს ეკონომიკური დეგრადაცია. ამასთან, ვერ ხერხდება პუი-ის შემოდინების სამომავლო ტენდენციების დადგენა-პროგნოზირება.<sup>122</sup> სწორედ ამიტომ, არსებულ პერიოდში, პუი-ს ნაკადების არასაკმარისი მოცულობა საჭიროს ხდის დადგენილ და გაანალიზებულ იქნეს სოციალურ კაპიტალსა და პუი-ის შორის კავშირი.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას უმთავრესი წვლილი მიუძღვის, პუი-ს, ყველაზე ხშირად,

<sup>120</sup>Christiaan Grootaert, “SOCIAL CAPITAL: THE MISSING LINK?”, The World Bank, 1998, page 20-21; <http://siteresources.worldbank.org/INTSOCIALCAPITAL/Resources/Social-Capital-Initiative-Working-Paper-Series/SCI-WPS-03.pdf> (ნანახია 25.04.2017)

<sup>121</sup>CORRUPTION PERCEPTIONS INDEX 2017, [https://www.transparency.org/news/feature/corruption\\_perceptions\\_index\\_2017?gclid=EAIaIqObChMIi8XVsKvJ3QIVyMmyCh0c\\_Q-KEAAYASAAEgJ6fD\\_BwE](https://www.transparency.org/news/feature/corruption_perceptions_index_2017?gclid=EAIaIqObChMIi8XVsKvJ3QIVyMmyCh0c_Q-KEAAYASAAEgJ6fD_BwE) (ნანახია 20.03.2018)

<sup>122</sup> შაბურიშვილი შ., სოციალური კაპიტალის ფორმირების თავისებურებები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო, თბილისი, 28 თებერვალი, 2011. გვ.283–293.

ასორციელებენ მულტინაციონალური კომპანიები, მსოფლიოს მასშტაბით, საერთაშორისო ბიზნეს ტრანზაქციების 2/3-ს სწორედ პუი-ს ტრანზაქციები წარმოადგენს, ხოლო მულტინაციონალური ფირმების მიერ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მიღებული სარგებელი მშპ-ს 25% -ია.<sup>123</sup>

პუი, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ერთ-ერთი უმთავრესი დეტერმინანტია,<sup>124</sup> რადგან იგი ზრდის მთლიან შიდა პროდუქტს,<sup>125</sup> უზრუნველყოფს სამეწარმეო ბაზრის მრავალფეროვნებასა და ინდუსტრიის პროდუქტიულობას, ასტიმულირებს სამუშაო ადგილების შექმნას და ამცირებს უმუშევრობის დონეს.<sup>126</sup>

პუი-ს აქტუალურობის გამო, არაერთი ემპირიული კვლევა განხორციელდა იმის გამოსავლენად, თუ რომელი ეკონომიკური ფაქტორები მოქმედებდა მასზე და როგორ, თუმცა, ცოტა ნაშრომი ასახავს სოციალური კაპიტალისა და პუი-ს ურთიერთზემოქმედებას, რადგან სოციოლოგიურ ჭრილში ჩატარებულ კვლევათა რაოდენობა მწირია.<sup>127 128</sup>

სოციალური კაპიტალისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ურთიერთკავშირით დაინტერესდნენ მეცნიერები: ბარდვაჟი, დიეცი და ბემიში. მათ გამოიკვლიეს ნდობა, როგორც კულტურული ფაქტორი, რომელიც მოქმედებს პუი-ზე.<sup>129</sup> ასევე სვედბერგმა და გრანოვეტერმა სოციალური კაპიტალისა და პუი-ს მიმღებ ქვეყნებს შორის დადებითი კავშირი აღმოაჩინეს.<sup>130</sup>

ჰელიველის კვლევებმა აჩვენეს, რომ კავშირი ნდობას, სამოქალაქო ჩართულობასა და ეკონომიკური განვითარების დონეს შორის საკმაოდ მჭიდროა.<sup>131</sup> რაც უფრო ნაკლებია კრიმინოგენული ფონი ქვეყანაში, მით უფრო მეტია ნდობის ხარისხი, ეს კი იწვევს ეკონომიკური კავშირების გამყარებას და ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ურთიერთობების გამარტივებას, შედეგად კი

<sup>123</sup> United Nation Conference on Trade and Development (2007). World Investment Report, New York: United Nations.

<sup>124</sup> Borensztein, E., De Gregorio, J., Lee, J.W. (1998). How Does Foreign Direct Investment Affect Economic Growth? Journal of International Economics 45: 115-135.

<sup>125</sup> Hejazi, W. and Pauly, P. (2003). Motivations for FDI and Domestic Capital Formation, Journal of International Business Studies 34: 282-289

<sup>126</sup> Buckley, P. J., Clegg, J. and Wang, C. (2002). The Impact of Inward FDI on the Performance of Chinese manufacturing Firms, Journal of International Business Studies 33(4):637-655

<sup>127</sup> Maddison, A. (1995) Explaining the economic performance of nations, Aldershot, U.K.: Edward Elgar Publishing.

<sup>128</sup> Swedberg, R. and Granovetter, M. (2001) The Sociology of Economic Life, Cambridge: Westview Press.

<sup>129</sup> Bhardwaj, A., Dietz, J. Beamish, P. W. (2007). Host country cultural influences on foreign direct investment, Management International Review, 47, 29-50.

<sup>130</sup> Swedberg, R. and Granovetter, M. (2001) The Sociology of Economic Life, Cambridge: Westview Press

<sup>131</sup> Helliwell, J.F. and Putnam, R. (1995). Economic Growth and Social Capital in Italy, Eastern economic Journal 21(3): 295-30.

ვიღებთ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. კნეკის და კიფერის შემდგომმა კვლევამ გამოავლინა მჭიდრო კავშირი ნდობასა და სამოქალაქო რეგულაციებს შორის.<sup>132</sup> მაკროეკონომიკურ დონეზე ძლიერი სოციალური კაპიტალი ზრდის რეგიონების ცხოვრების დონეს და აყალიბებს ადამიანურ კაპიტალს.<sup>133</sup>

სოციალური კაპიტალი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბიზნესის განვითარებაში.<sup>134</sup> და ასევე დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკური ზრდის ტემპზე, თუმცადა, 43 ქვეყნის შესწავლის მაგალითზე ბარდვაჟმა პუი-სა და ნდობას შორის კავშირი ვერ აღმოაჩინა.<sup>135</sup>

სოციალურ კაპიტალსა და კომპანიაში დასაქმებულთა მოტივაციას შორის არსებობს დადებითი კორელაციური კავშირი, აღნიშნულ მიგნებას გააჩნია პრაქტიკული მნიშვნელობა, ვინაიდან იგი ეხმარება საწარმოს კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.<sup>136</sup>

სოციალური კაპიტალის გავლენა პუი-ზე აღინიშნება ბურტის ნაშრომებშიც.<sup>137</sup> საერთაშორისო ბიზნესის მწარმოებლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სოციალურ კაპიტალის დონის შესწავლას სხვადასხვა ქვეყანაში, რითიც აიხსნება მათი გადაწყვეტილება პუი-ს განხორციელებაზე,<sup>138</sup> ისინი ემპირიულად ამოწმებენ სოციალური კაპიტალისა და ორგანიზაციების მიერ უცხოურ ბაზარზე შეღწევის გადაწყვეტილების მიღებას შორის კავშირს.<sup>139</sup>

ნდობა ერთერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია როგორც პირადი, ასევე ბიზნეს ურთიერობის წარმართვისას,<sup>140</sup> საერთაშორისო ბიზნესის ლიტერატურის გაცნობის შედეგად ჩვენ აღმოვაჩინეთ ნდობის ხარისხის ზემოქმედება პუი-ზე და ვნახეთ თუ როგორ ამცირებს ტრანზაქციულ ხარჯებს თანამშრომლობითი

<sup>132</sup> Knack, S. and Keefer, P. (1997). Does Social Capital Have an Economic Payoff? A Cross-Country Investigation, *The Quarterly Journal of Economics* (November): 1251-1288.

<sup>133</sup> Serageldin, I. And Dasgupta, P. (2001) *Social Capital: a Multifaced Perspectives*, Washington, D.C.: World Bank Publications.

<sup>134</sup> Maskell, P and Malmberg, A. (1999). 'Localized Learning and Industrial Competitiveness, *Cambridge Journal of Economics*' 12: 167-185.

<sup>135</sup> Bhardwaj, A., Dietz, J. Beamish, P. W. (2007). Host country cultural influences on foreign direct investment, *Management International Review*, 47, 29-50

<sup>136</sup> Shengelia, T. (2017) Determination of Correlative Relations Between Social Capital, Trust and Motivation in the International Company, 6th Business & Management Conference, Geneva, p. 185- 195

<sup>137</sup> Burt, R. (1992). *Structural Holes: The Social Structure of Competition*, Cambridge:Harvard University Press.

<sup>138</sup> Jones, W.V. and Coviello, N.E. (2005). Internationalization: Conceptualising an international intreprenurial process of behavior in time. *Journal of International Business Studies*, 36: 284-303.

<sup>139</sup> Zhao, H. and Hsu, C. (2007). Social ties and foreign market entry: An empirical inquiry. *Management International Review* 47:6, 815-844

<sup>140</sup> Child, J. and Mollering, G. (2003). Contextual evidence and active trust development in the Chinese business development, *Organization Science*, 14, 69-80

ბიზნეს გარემო. პუი-ს გადაწყვეტილებები მიმდებ ქვეყანაში დიდადაა დამოკიდებული მის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე, ვინაიდან ბიზნესი უშუალოდ ურთიერთქმედებს ადგილობრივ მოსახლეობასთან და სახელმწიფოსთან. მძიმე სოციალური მდგომარეობა, დაბალი სოციალური კაპიტალის დონე ნეგატიურად ზემოქმედებს ბიზნეს ოპერატორებზე და მათ საქმიანობაზე.<sup>141</sup>

ნდობა, როგორც მოლოდინი უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისათვის, ვინაიდან პუი-ს განხორციელებისას ურთიერთობის საჭიროება ხდება არა მხოლოდ ადგილობრივ პარტნიორებთან, არამედ, დასაქმებულებთან, მიმწოდებლებთან, მომხმარებლებთან და სხვა ეკონომიკურ სუბიექტებთან.<sup>142</sup> გულწრფელობასა და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა უმნიშვნელოვანესია წარმატებული ინვესტიციის განხორციელებისთვის.

კვლევებმა აჩვენეს, რომ ინვესტიციები, რომლებიც განხორციელდა ნდობის მაღალი ხარისხის მქონე სოციუმში მომგებიანი აღმოჩნდა,<sup>143</sup> ამასთანავე, ქვეყანაში, რომელშიც ბატონობს უნდობლობა ნაკლებად სავარაუდოა პუი-თ დადებითი უკუგების მიღება.<sup>144</sup> აღსანიშნავია ისიც, რომ ნდობის მაღალი ხარისხი უცხოელებს ეროვნულ ბაზარზე სთავაზობს ბიზნესგარემოს საუკეთესო პირობებს.<sup>145</sup>

მეცნიერები სტენლი და სტენლი ფიქრობდნენ, რომ ტოლერანტული და სანდო სოციუმი წარმოადგენს დამატებით სარგებელს ინვესტიციებისთვის. მათ აქცენტი გააკეთეს საუკეთესო კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალის მნიშვნელობაზეც და ეკონომიკურ საქმიანობაში მათი ჩართვის აუცილებლობაზე.<sup>146</sup>

---

<sup>141</sup> Williamson, O. E. (1985) *The Economic Institutions of Capitalism*, New York: The Free Press.

<sup>142</sup> Bhardwaj, A., Dietz, J. Beamish, P. W. (2007). Host country cultural influences on foreign direct investment, *Management International Review*, 47, 29-50

<sup>143</sup> McKnight, D.H., Cummings, L. L. and Chervany, N. L. 1998. Initial trust formation in organizational relationships, *Academy of Management Review*, 23, 473-490.

<sup>144</sup> Baland, J.M. and Platteau, J.P. (1998). Division of the commons: a partial assessment of the new institutional economics of land rights. *American Journal of Agricultural Economics*, 80, 3, 644-650

<sup>145</sup> Fukuyama, F. (1995a). *Trust: Social Virtues and the Creation of Prosperity*. London: Hamish Hamilton

<sup>146</sup> Stanley, D, Stanley, D. (2003) Many happy returns: how social cohesion attracts investment, *The Economic Implications of Social Cohesion*.

მეცნიერები როსი და ვეილანდი საკუთარ კვლევებში ხაზს უსვამენ ნდობის როლს წარმატებული მოლაპარაკებების წარმოებასა და ეფექტიანი ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირებაში.<sup>147</sup>

ამასთავე, აღსანიშნავია, რომ ნდობის მაღალი ხარისხი ამცირებს კონფლიქტური სიტუაციების დონეს.<sup>148</sup>

ნდობის მაღალი დონე ამცირებს ტრანზაქციის დანახარჯებს, სადაც შესაძლებელი ხდება ღირებული ინფორმაციის დროისა და რესურსების მინიმალური დანახარჯებით მოძიება.<sup>149</sup>

ნდობაზე დაფუძნებული სოციალური კაპიტალი ხელს უწყობს ინსტიტუციური გარემოს შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და სწორ გაანალიზებას, რომელიც შემდგომ აისახება საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებაში.<sup>150</sup>

განხილული ლიტერატურა გვაძლევს საშუალებას ხაზი გავუსვათ სოციალური ნდობის ფაქტორის მნიშვნელობას, ვინაიდან სწორედ ის გვევლინება ინვესტიციების მოზიდვის ერთერთ მნიშვნელოვან წინაპირობად.

კოულმენი სოციალური კაპიტალის განხილვისას ინტეგრირებული აქტიურობის დონეს უსვამს ხაზს.<sup>151</sup> ინტეგრირებული აქტიურობა ასახავს ინდივიდების მიერ ორგანიზაციის წევრობის აღქმის დონეს.<sup>152</sup>

ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევებით გამოვლინდა ინსტიტუტების როლი სოციალურ კაპიტალზე, რომელიც ზემოქმედებს ნდობის და კავშირების გამყარებით საერთაშორისო ალიანსების წარმომადგენელთა შორის.<sup>153</sup> მეცნიერმა ბარდვაუმ აჩვენა არაინფორმირებულობის, ნდობის ნაკლებობისა და პუი-ს ნეგატიური კავშირი.<sup>154</sup>

<sup>147</sup> Ross, W. H., & Weiland, C. (1996). Effects of interpersonal trust and time pressure on managerial mediation strategy in a simulated organizational dispute. *Journal of Applied Psychology*, 81(3), 228-248

<sup>148</sup> Meyerson D, Weick K, Kramer RM. (1996). Swift trust and temporary groups, in Kramer, M. and Tyler, T. R. (eds.), *Trust in Organizations*. Thousand Oaks, CA: Sage. 166-195.

Williamson, O. E. (1975). *Markets and hierarchies: Analysis and antitrust implications*. New York: Free Press.

<sup>149</sup> Khanna, T. and Palepu, K. (2000). The future of business groups in emerging markets: Long run evidence from Chile, *Academy of Management Journal*, 41 (3): 260-285.

<sup>150</sup> Delios, A. and Henisz, W. J. (2000). Japanese Firms' Investment Strategies in Emerging Economies, *Academy of Management Journal*, 3: 305-323.

<sup>151</sup> Coleman, J. (1990). *Foundation of Social Theory*, Cambridge: Harvard University Press.

<sup>152</sup> Knack, S. and Keefer, P. (1997). Does Social Capital Have an Economic Payoff? A Cross-Country Investigation, *The Quarterly Journal of Economics* (November): 1251-1288.

<sup>153</sup> Arino, A., Torre, Jose de la. and Ring, P.S. (2001). Relational quality: Managing trust in corporate alliances, *California Management Review*, 44, 1: 109-134.

<sup>154</sup> Bhardwaj, A., Dietz, J. Beamish, P. W. (2007). Host country cultural influences on foreign direct investment, *Management International Review*, 47, 29-50.

ლეინის აზრით, რაც უფრო მაღალია ინსტიტუციონალური განვითარების დონე, მით უფრო მაღალია ნდობის ხარისხი არსებული სოციუმის წევრებს შორის, რაც დადებითად მოქმედებს ბიზნეს სუბიექტებს შორის ინვესტიციის განხორციელების გადაწყვეტილებაზე.<sup>155</sup>

ჰეიგენმა და ჩოუიმ გამოიკვლიეს, რომ ნდობის მარალი ხარისხი მხარდაჭერილია კანონმდებლობით, რომელიც დაწესებული ჩარჩო პირობებით განაპირობებს პარტნიორთა ქცევის სტილს. რეგლამენტები თავის მხრივ, კანონის დამრღვევებს უწესებს სანქციებს.<sup>156</sup>

მეცნიერებმა გასთანაგამ, ნუგენტმა და პაშამიოვამ შეისწავლეს ნეგატიური სოციალური კაპიტალის გავლენა პუი-ს ნაკადებზე, მათ დაადგინეს, რომ “პუი-ს ნაკადები მცირეა ისეთ ქვეყნებში, რომლებშიც დაბალია ინსტიტუციური განვითარების ხარისხი, მაღალია კორუფციის დონე და მიკერძოებულია სამართლებრივი სისტემა”.<sup>157</sup> ამ მოსაზრებას არ ეთანხმებიან მეცნიერები-დრეჰერი და გასბენერი, მათი აზრით “ნეგატიური სოციალური კაპიტალის ერთ-ერთი ფორმა-კორუფცია ხელს უწყობს პუი-ს მოზიდვას, რადგან იგი ბიზნეს-აქტორს თავიდან აცილებს მარეგულირებელ სისტემასთან დაკავშირებულ ბიუროკრატიულ სირთულეებს და ამარტივებს პროცესებს”.<sup>158</sup>

ინვესტიციის განხორციელების საკითხი ხშირადაა დამოკიდებული კონკრეტულ ქვეყანაში არსებული კომპანიების ორგანიზაციული კულტურის ანალიზზე, ვინაიდან ორგანიზაციაში დასაქმებული მენეჯერები, სპეციალისტები, სხვ. წარმოადგენენ, როგორც კომპანიის, ასევე ეროვნული სოციუმის ნაწილს.<sup>159</sup> OECD-ც პუი-ში არ გულისხმობს მხოლოდ კაპიტალის მოძრაობას. ეს არის წყარო, რომელიც კომპანიას აძლევს საშუალებას მიიღოს გრძელვადიანი სარგებელი იმ ქვეყნიდან, სადაც შეიძლება არ მდებარეობდეს კომპანია, ამასთანავე, პუი-ს განხორციელებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფირმის მენეჯმენტის სტრუქტურას, რაც თავის მხრივ განპირობებულია ორგანიზაციული კულტურითა და ფასეულობებით.

<sup>155</sup> Lane, C. (1997). The social regulations of inter-firm relations in Britain and Germany: Market rules, legal norms and technical standards, Cambridge Journal of Economics, 21, 197-215.

<sup>156</sup> Hagen, J.M. and Choe, S. 1998. Trust in Japanese interfirm relations: institutional sanctions matter, Academy of Management Review, 23, 589-600.

<sup>157</sup> Gastanaga, V., J. Nugent and B. Pashamiova, 1998. Host country reforms and FDI inflows: How much difference do they make? World Development, 26(7): 1299-1314.

<sup>158</sup> Dreher, A. and M. Gassebner, 2013. Greasing the wheels? The impact of regulations and corruption on firm entry. Public Choice, 155(3): 413-432.

<sup>159</sup> Hofstede G., Gert Jan Hofstede, Cultures and Organizations: Software of the Mind. 2nd Edition, McGraw-Hill USA, 2005

ეს არის სოციალური კავშირი, რომელიც ასახავს სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა ურთიერთქმედებას. კვლევების გაცნობით აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა ასოციაციები და კავშირები ხელს უწყობს სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური აქტივობების დონის ზრდას. ადრეულმა კვლევებმა არჩვენა, რომ მეწარმის პროფესიული კავშირები გავლენიან პირებთან ხელს უწყობს კაპიტალის დაბანდებებს სხვადასხვა პროექტებში, ვინაიდან ინვესტორისათვის მაღალია უსაფრთხოების დონე.<sup>160</sup>

59 ქვეყნის მაგალითზე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ინტეგრირებული აქტუობის მაღალი დონე პოზიტიურად მოქმედებს კვლევებსა და განვითარების დარგებში ინვესტიციების განხორციელებაზე, თუმცა ნაკლებად მოქმედებს მაღალტექნოლოგიური პროდუქტის ექსპორტის მოცულობაზე.<sup>161</sup>

განხილული თეორიების თანახმად, ინტეგრირებული აქტივობის დონე იზიდავს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ვინაიდან, იგი დადებითად მოქმედებს ინვესტორზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში შემდეგი ფაქტორებიდან გამომდინარე:

- ადგილობრივი ბაზარი გაჯერებულია შრომითი რესურსებითა და ღირებული ინფორმაციით. უცხოელი ინვესტორები ზედმეტი დროის ხარჯვის გარეშე ახერხებენ მათთვის საჭირო რესურსების მოძიებას.<sup>162</sup>
- ინტეგრირებული აქტივობა წარმოადგენს ღირებულ სოციალურ რესურსს, საზოგადოება მაღალი ინტეგრირებული აქტივობის დონით ხასიათდება მაღალი სოციალური კაპიტალის დონით, რაც ხელს უწყობს უცხოელ ინვესტორს გამოიყენოს ადგილობრივი კვალიფიციური კადრები. ამასთანავე, ინტეგრირებული აქტივობის დონე განსაზღვრავს სოციუმის ჰარმონიას, რომელიც შემდგომში ეკონომიკურ სტაბილურობაში ვლინდება და ქმნის პუი-ს განხორციელებისათვის საჭირო მიმზიდველ გარემოს.

სოციალური კაპიტალის თეორია ხაზს უსვამს ეკონომიკური აქტივობების სოციო-ინტუტუციურ მიდგომას და გვთავაზობს შემდეგ პრინციპებს და შეისწავლის: 1) ინვესტიციის მიმღები ქვეყნის სოციალური კაპიტალის გავლენას

<sup>160</sup> Tyebjee, T, Bruno, A (1984) A Model of Venture Capitalist Investment Activity, Management Science, 39, 9, 1051.

<sup>161</sup> Dakhli, M. and Clercq, D. (2004). Human Capital, Social Capital, and Innovation: a Multicountry Study, Entrepreneurship & Regional Development 16:107-128.

<sup>162</sup> Zaheer, S. (1995). Overcome the Liability of Foreignness, Academy of Management Journal 38(2): 341-363.

პიუზე; 2) პუი-ს მიმღები ქვეყნის მარეგულირებელი სისტემის სოციალურ კაპიტალზე ზემოქმედებას.<sup>163</sup>

მაკრო (ინსტიტუციონალური) და მიკრო (სოციალური) კავშირების ჩართულობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს სხვადასხვა მასშტაბის ეკონომიკურ აქტივობებში, ამ დროს იკვეთება სოციალური კაპიტალის როლი, ვინაიდან მაღალგანვითარებული სოციალური კაპიტალის მქონე ქვეყანა ხასიათდება ასევე მაღალი ეკონომიკური აქტივობით, შესაბამისად ასეთი ქვეყნებისადმი დიდია ინტერესი ინვესტიციების მხრიდან<sup>164</sup> აღნიშნული მოსაზრების თანახმად, ვლინდება პუი-ს დამოკიდებულება სოციალური აქტივობის მიმართ, რაც გულისხმობს, რომ ქვეყანაში დადებითი ან დამაკმაყოფილებელი სოციალური კაპიტალის შემთხვევაში პუი-ს მოცულობა გაიზრდება.<sup>165</sup>

სოციალური კაპიტალი დადებით ზეგავლენას ახდენს არამხოლოდ პუი-ზე, არამედ ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზეც. პატნემი<sup>166</sup> და ფუკუიამა<sup>167</sup> მოიაზრებენ სოციალურ კაპიტალს, როგორც ეფექტიანი და წარმატებული ეკონომიკური აქტივობების წინაპირობას. აღნიშნულ მსჯელობას მიყვავართ შემდეგ დაშვებამდე: მაღალი სოციალური კაპიტალის მაჩვენებელი ხელს უწყობს ინოვაციების განხორციელებას.<sup>168</sup>

მოყვანილი დებულებები საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ შემდეგი პიპოთეზა:

**ჰ1: სოციალური კაპიტალის განვითარება ხელს შეუწყობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას;**

19-ე საუკუნეში არსებობდა მოსაზრებები იმის შესახებ, რომ მჭიდრო კავშირი სოციალურ კაპიტალსა და დემოკრატიულ პრინციპებს შორის. ამ პერიოდში, სოციალური აქტივობებში ჩართვა გულისხმობდა დემოკრატიული პრინციპების დაცვას, სწორედ ამიტომ, ეს ორი კონცეფცია თითქმის გაიგივებული იყო ერთმანეთთან. მეცნიერები ჯეიმს მედისონი<sup>169</sup> და ალექსის დე

<sup>164</sup> Swedberg, R. and Granovetter, M. (2001) *The Sociology of Economic Life*, Cambridge: Westview Press.

<sup>165</sup> Granovetter, M. (1985) 'Economic Action and Social Structure: the Problem of Embeddedness', *American Journal of Sociology* 91(3): 481-510.

<sup>166</sup> Putnam, R. (1993) *Making Democracy Work: Civic Traditions in Modern Italy*. Princeton: Princeton University Press.

<sup>167</sup> Fukuyama, F. (1995b). *Social Capital and the Global Economy: A Redrawn Map of the World*, Foreign Affairs,

<sup>168</sup> Platteau, J.P. (1994) 'Behind the Market Stage Where Real Societies Exist: Part I. The Role of Public and Private Order Institutions', *Journal of Development Studies* 30(3): 533-577.

<sup>169</sup> Madison, J. (1999). "The Federalist papers". New York, N.Y: Mentor.

ტოქვილი<sup>170</sup> სოციალურ კავშირებსა და ინტეგრაციის დონეს საფუძვლად უდებენ ამერიკის პლურალისტულ ტრადიციებს და მიიჩნევენ, რომ ამერიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთადერთი გამოსავალი სოციალური კაპიტალის განვითარებაშია.

სოციალური კაპიტალის განხილვისას აუცილებელია პიროვნული თავისუფლების, იგივე სამოქალაქო თავისუფლების კონცეფციის გათვალისწინება, პიროვნულ თავისუფლებაში მოიაზრება სიცოცხლის, სიტყვის, პრესის, რელიგიური შეხედულებების და პროტესტის გამოხატვის თავისუფლება, იგი ასევე მოიცავს ქონების დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.<sup>171</sup> ზემოთ ჩამოთვლილი უფლებები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სახითა და დოზით გვხვდება, რაც განსაზღვრავს სოციალური კაპიტალის ფორმირების თავისებურებებს.

მეცნიერი ვიდი აღნიშნავს, რომ “პიროვნული იგივე სამოქალაქო თავისუფლება აყალიბებს სოციალურ კაპიტალს, რაც უფრო მაღალია ქვეყანაში ინდივიდუალური თავისუფლების დონე, მით უფრო განვითარებულია სოციალური კაპიტალი, რადგან თავისუფლების შეზღუდვა ართულებს საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაციას და ასუსტებს კავშირებს”.<sup>172</sup>

მეცნიერებმა ახმედმა და ბადრანმა, ისლამური სახელმწიფოების (ეგვიპტე, იემენი, ბანგლადეში, მალი, სუდანი) მაგალითზე გამოიკვილიეს სოციალურ კაპიტალში ქალთა ინდივიდუალური თავისუფლების როლი, მათ დაასკვნეს, რომ “ისლამურ სახელმწიფოებში არსებული რელიგიური შეხედულებები ზღუდავს ქალთა პიროვნულ თავისუფლებას, რაც ხელს უშლის მათ სოციალურ და საზოგადოებრივ აქტივობებში ჩართულობას და საერთო ჯამში - სოციალური კაპიტალის განვითარებას”.<sup>173 174</sup> აღნიშნულ თეორიებზე დაყრდნობით ვაყალიბებთ შემდეგ ჰიპოთეზას:

**ჰ2: პიროვნული თავისუფლების მაჩვენებელი სხვა თანაბარ პირობებში იწვევს სოციალური კაპიტალის ზრდას;**

<sup>170</sup> Tocqueville, Alexis de, 1805-1859. Democracy In America. New York :G. Dearborn & Co., 1838.

<sup>171</sup> Lawler, P, McConkey, D (2000), “Social Structures, Social Capital, and Personal Freedom”, Westport, Connecticut, London

<sup>172</sup> Weede E. 1992. Freedom, knowledge, and law as social capital. Int. J. Unity Sci. 5: 391–409

<sup>173</sup> Ahmed, L., 1992, Women and Gender in Islam: Historical Roots of a Modern Debate, Yale University Press

<sup>174</sup> Badran, M., 1991, 'Competing agenda: feminists, Islam and the state in 19th and 20th century Egypt,' in Kandiyoti, D. (ed), 1991a, Women, Islam and the State, Macmillan, London

სოციალური კაპიტალის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს ქვეყანაში არსებული დაცულობა - უსაფრთხოების ხარისხი, აღნიშნულ ტერმინში მოიაზრება სოციუმის შეგრძნება - თუ რამდენად არიან დაცულები ზიანისაგან და გრძნობენ თუ არა საფრთხეს პიროვნული თავისუფლების გამოხატვისას. იგი მოიცავს როგორც სახელმწიფოს მიერ მიღებულ კანონებს, ასევე საზოგადოებაში გავრცელებულ არაფორმალურ ნორმებსა და შეხედულებებს.<sup>175</sup>

მეცნიერი ვილდავსკი მიიჩნევს, რომ “სოციალური კაპიტალის ფორმირებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს დაცულობა - უსაფრთხოება. ეს არის საზოგადოებაში გავრცელებული ნორმებისა და წესების ერთობა, რაც განსაზღვრავს რომელი ქმედებაა მისაღები კონკრეტული სოციუმისათვის და რომელი - არა, სწორედ აღნიშნული ნორმები არეგულირებს სოციუმში დაცულობა - უსაფრთხოების დონეს და თავის მხრივ, განსაზღვრავს პიროვნული თავისუფლების ფენომენს. საბოლოოდ კი ქმნის სოციალურ კაპიტალს”.<sup>176</sup>

OECD-ის მონაცემებით, “დაცულობა-უსაფრთხოება და პიროვნული თავისუფლება წარმოადგენს ნებისმიერი სოციალური ჯგუფის ფორმირების შეუცვლელ ბაზისს, ვინაიდან, აღნიშნული კომპონენტების გარეშე შეუძლებელია წარმოიშვას ნდობა სოციალური ჯგუფის წევრებს შორის და შესაბამისად ვერ წარმოიქმნება სოციალური კაპიტალიც”.<sup>177</sup>

მეცნიერები კავაჩი, კენედი, ლოჩნერი მიიჩნევენ, რომ “სოციუმში საფრთხისა და შიშის შეგრძნება ყოველთვის დაკავშირებული არ არის კრიმინალთან, იგი შესაძლებელია გამოწვეული იყოს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვით, პირადი ცხოვრების გასაჯაროებით და სხვა ფაქტორებით, რაც საბოლოო ჯამში იწვევს სოციალური კავშირების შესუსტებას და სოციალური კაპიტალის დეგრადაციას”.<sup>178</sup> აღნიშნულ თეორიებზე დაყრდნობით ვაყალიბებთ შემდეგ ჰიპოთეზას:

**ჰ3. პიროვნულ თავისუფლებას, დაცულობა-უსაფრთხოებას და სოციალურ კაპიტალს შორის არსებობს დადებითი კავშირი;**

მეცნიერი ობვონა მიიჩნევს, რომ “ინვესტორი თავს იკავებს პუი-ს განხორციელებისაგან ისეთ ქვეყანაში, სადაც დაბალია უსაფრთხოება-

<sup>175</sup> Gastil, D. R., 1982. Freedom in the world. Greenwood Press, Westport CT.

<sup>176</sup> Wildavsky, A ; Wildavsky, A (2008). "Risk and Safety". In David R. Henderson. Concise Encyclopedia of Economics (2nd ed.). Indianapolis: Library of Economics and Liberty. ISBN 978-0865976658. OCLC 237794267

<sup>177</sup> OECD Insights:What is social capital? p.103, <https://www.oecd.org/insights/37966934.pdf> (nanaxia 12.07.2018)

<sup>178</sup> Kawachi, I., Kennedy, B. P., Lochner, K., & Prothrow-Stith, D. (1997). Social capital, income inequality, and mortality. American Journal of Public Health, 87, 1491-1498.

დაცულობისა და პიროვნული თავისუფლების დონე, ვინაიდან ასეთ ქვეყანაში ნაკლებია აქტივობებში ჩართულობის მაჩვენებელი და ნდობა სოციალური წევრებს შორის, ყოველივე ეს კი ზრდის ტრანზაქციულ ხარჯებს”.<sup>179</sup>

მეცნიერი ფრიდმანის თვალსაზრისით, “პიროვნული, იგივე სამოქალაქო თავისუფლებისა და უსაფრთხოების მაღალი დონე ახდენს თავისუფალი ბაზრის სტიმულირებას, უზრუნველყოფს მეტ შემოსავალს და ზრდის პროდუქტიულობას, რაც ინვესტორისათვის საინტერესო საინვესტიციო გარემოს ქმნის”.<sup>180</sup> აღნიშნული თეორიების საფუძველზე ვაყალიბებთ შემდეგ ჰიპოთეზას:

**ჰ4: პიროვნულ თავისუფლებას, დაცულობა-უსაფრთხოებასა და პუი-ს შორის არსებობს დადებითი კავშირი;**

მეცნიერი ლესტერი მიიჩნევს, რომ ნეგატიური სოციალური კაპიტალი უმთავრესი მიზეზია ბაზარზე კომპანიების წარუმატებლობისა, მისი აზრით, “ინვესტორები თავს არიდებენ პუი-ს განხორციელებას ისეთ ქვეყანაში, რომელშიც ყვავის ნეგატიური სოციალური კაპიტალი და მაღალია დანაშაულის დონე, რისკის მაღალ დონისა და არამდგადი ბიზნეს-გარემოს გამო”.<sup>181</sup>

მკვლევარები დაძიე, ბლანკო და დონი სწავლობდნენ დანაშაულსა და პუი-ს შორის კავშირს, მათ დაადგინეს, რომ ნეგატიური სოციალური კაპიტალის აღნიშნული ფორმა ორი კუთხით ახდენს ინვესტორზე გავლენას, ესენია: პირდაპირი და არაპირდაპირი. მათი აზრით, “დანაშაულის პირდაპირი ზემოქმედება დაკავშირებულია ბიზნესის დაწყებასთან დაკავშირებულ ხარჯებთან, ხოლო არაპირდაპირი გავლენა ელჩინება ადამიანურ, სოციალურ და ინსტიტუციონალურ ფაქტორებში. დანაშაულის მაღალი დონე ზრდის ინვესტორისათვის დანახარჯს და იწვევს ზარალს, რის გამოც ინვესტორ იძულებულია დამატებითი ხარჯები გაიღოს დაცვის სიტემებისა და აღჭურვილობის შესაძენად, ამიტომ ინვესტორმა შესაძლებელია იმ ქვეყანაშიც კი თავი შეიკავოს ინვესტიციის განხორციელებისაგან, დანაშაულის მაღალი დონის გამო, რომელიც თავისი რესურსებით მიმზიდველია და საინტერესოა.”<sup>182</sup>

<sup>179</sup> Obwona, M., 2001. Determinants of FDI and their impact on economic growth in Uganda. African Development Review 13, 46- 81

<sup>180</sup> Friedman, M., 1962. Capitalism as freedom. University of Chicago Press, Chicago.

<sup>181</sup> Lester, M. et. al (2013) Family Firms and Negative Social Capital: A Property Rights Theory Approach Journal of Behavior and Applied Management 15(11): 11-24.

<sup>182</sup> Dadzie, C., Blanco, L., & Dony, C. (2014). Study on Crime and Investment in Latin America and the Caribbean. United States. Retrieved from [http://pdf.usaid.gov/pdf\\_docs/PA00K4WM.pdf](http://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00K4WM.pdf)

მეცნიერმა ბროკმა რუსეთის მაგალითზე დაადგინა, რომ ის რეგიონები, რომლებშიც მიედინება ინვესტიციის ყველაზე დიდი ოდენობის ნაკადები, გამოირჩევა ნეგატიური სოციალური კაპიტალის დაბალი დონით.<sup>183</sup> მეცნიერი მადრაზო-როჯასი მექსიკის მაგალითზე ამტკიცებს, დანაშაულის დონე ნეგატიურად მოქმედებს პუი-ზე.<sup>184</sup>

მეცნიერებმა დანიელმა და მარიანიმ იტალიის მაგალითზე შეისწავლეს კავშირი დანაშაულის დონესა და პუი-ს შორის, მათ დაადგინეს რომ “იტალიის ისეთ რეგიონებში, რომელშიც მაღალია დანაშაულის დონე, ნაკლებად ხორციელდება პუი-ს მოზიდვა”.<sup>185</sup>

მეცნიერი მანრიქე გვარწმუნებს, რომ “დანაშაულის დონის ზრდა საჭიროებს სახელმწიფოში მისი აღკვეთის ღონისძიებებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების ხარჯების გაწევას, რაც აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და შესაბამისად ამცირებს პუი-ს ნაკადებს”.<sup>186</sup> მოცემული თეორიები გვაძლევს შემდეგი ჰიპოთეზის ჩამოყალიბების საშუალებას:

**ჰ5: ნეგატიურ სოციალურ კაპიტალს – დანაშაულის დონესა და პუი-ს შორის არსებობს ნეგატიური კავშირი;**

მარეგულირებელი სისტემის გამართული ფუნქციონირება დადებით გავლენას ახდენს სოციალური კაპიტალის ფორმირებაზე. იგი განსაზღვრავს იმ წესებსა და ნორმებს, რაც ხელს უწყობს ინდივიდებს ერთმანეთთან ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. მეცნიერი ვეგელანდი აღნიშნავს, რომ “დღეს ბიზნესის წარმოებასა და ეკონომიკის მდრად განვითარებაში დიდი როლი მიუძღვის კონტაქტებსა და კომუნიკაციას, რომელსაც განსაზღვრავს ქვეყნის მარეგულირებელი სისტემა, იგი აძლიერებს ორგანიზაციულ სტრუქტურას და კავშირებს უფრო მყარსა და გამჭვირვალეს ხდის”.<sup>187</sup>

ამერიკელი მეცნიერი ფუკუიამა აღნიშნავს, რომ “სოციალური კაპიტალის ფორმირებაში ცვლილების შეტანა შეუძლებელია მარეგულირებელი სისტემის გარეშე, ვინაიდან მთავრობას სხვა მექანიზმი არ გააჩნია, ინდივიდებს შორის ქცევა

<sup>183</sup> Brock, G. J. (1998). Foreign direct investment in Russia's regions 1993- 95. Why so little and where has it gone? *Economics of Transition*, 6(4), 349–360. <https://doi.org/10.1111/j.1468-0351.1998.tb00053.x>

<sup>184</sup> Madraza-Rojas, F. (2009). The effect of crime on FDI: The case of Mexico 1998–2006. Georgetown University.

<sup>185</sup> Daniele, Vittorio and Ugo Marani. Organized Crime and Foreign Direct Investment: The Italian Case. CESIFO Working Paper No. 2416. December 2010

<sup>186</sup> Manrique, Luis Esteban (2006). A Parallel Power: Organized Crime in Latin America. Real Instituto Elcano.

<sup>187</sup> Veggeland, N, (2009) , Taming the Regulatory State, MPG Books Group, UK

და სოციალური კაპიტალის სასურველი მიმართულებით განვითარება ვერ მოხერხდება მარეგულირებელი სისტემის მუდმივი დახვეწის გარეშე”.<sup>188</sup>

მეცნიერი მეილიმა თავის კვლევაში ასაბუთებს, რომ “ძლიერი მარეგულირებელი სისტემა გადამწყვეტია პუი-ს მოზიდვაში, რადგან სწორედ მარეგულირებელი სისტემა წარმოადგენს უცხო ქვეყანაში მისი და მისი კაპიტალის უსაფრთხოდ განთავსების გარანტს”.<sup>189</sup> მოცემული დაშვებების მიხედვით ვაყალიბებთ შემდეგ ჰიპოთეზას:

**ჰ3: პუი-ს მიმღები ქვეყნის გამართული მარეგულირებელი სისტემა დადებითად მოქმედებს სოციალურ კაპიტალზე;**

მარეგულირებელი ინსტიტუტები არის კანონებისა და რეურსების კლასტერი (დაჯგუფება), რომელიც დამკვიდრებულია სოციალურ სისტემებში გარკვეულ დროსა და სივრცეში.<sup>190</sup> ის არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი პუი-ს მოზიდვის საკითხში. მაღალხარისხიანი რეგულაციური გარემო მოქმედებს მაშინ, როდესაც კანონები და რეგლამენტები არის იურიდიულად გაწერილი, შეესაბამება ქვეყნის სტაბილურ განვითარებას და სოციალური წყობას. მაღალხარისხიანი რეგულაციური სისტემები ზემოქმედებენ სოციალურ კაპიტალზე, რომელიც თავის მხრივ ზემოქმედებს პუი-ზე.

სუსტი საკანონმდებლო გარემო უარყოფითად მოქმედებს გადაწყვეტილების მიმღებზე,<sup>191</sup> თუმცა აღმასრულებელი სისტემის მაღალი დონე უზრუნველყოფს სტაბილურ ეკონომიკურ განვითარებას და პუი-ს შემოღინებას.<sup>192</sup> რაც თავის მხრივ დადებითად მოქმედებს სოციალურ კაპიტალზე. სოციალური კაპიტალის მაღალი დონე კი ხელს უწყობს პუი-ს ზრდას.<sup>193</sup> ხოლო კანონები და რეგლამენტები უზრუნველყოფენ სოციალური კაპიტალის, მათ შორის უსაფრთხოების (რომელიც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ

<sup>188</sup> F. Fukuyama, Trust: The Social Virtues and The Creation of Prosperity [Güven, Sosyal Erdemler ve Refahın Yaratılması], Türkiye İş Bankası Kültür Yayınları, İstanbul 2005, p. 42

<sup>189</sup> Mwilima, N., 2003. Foreign direct investment in Africa. Africa Labour Research Network Report. North, D.C., 1990. Institutions, institutional change, and economic performance. Cambridge: Cambridge University Press

<sup>190</sup> Giddens, A. (1984). The Constitution of Society: Outline of the Theory of Structuration. Berkeley: University of California Berkeley.

<sup>191</sup> Williamson, O.E. (1993). Calculativeness, trust and economic organization, Journal of Law and Economics, 36, 453-486.

<sup>192</sup> Ring, P. S., & Van de Ven, A. H. (1994). Developmental processes of cooperative Interorganizational relationships. Academy of Management Review, 19: 90-118.

<sup>193</sup> Sitkin SB. (1995). On the positive effects of legalization on trust, Research in Negotiation and Organization. 5, 185.217

უფლებებით, მოქალაქეობრივი და საკუთრების უფლებებით) და ნდობის დონის ზრდას.<sup>194</sup>

მეცნიერების ფინასა და რუგმანის აზრით, “მკაცრი სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემის მქონე ქვეყნებში პუი-ს განხორციელების ალბათობა იკლებს, ვინაიდან ინვესტორი თავს არიდებს სავაჭრო ბარიერებსა და შეზღუდვებს.”<sup>195</sup>

მეცნიერი ტანენვალდმა გამოავლინა ნეგატიური კავშირი მკაცრ სახელმწიფო მარეგულირებელ სისტემასა და ინვესტორის გადაწყვეტილებაზე განხორციელოს პუი. იგი აღნიშნულს ხსნის შემდგენაირად: “სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემა წარმოქმნის ბიუროკრატიულ სირთულეებს და ზრდის ხარჯებს, რაც თავის მხრივ, ზრდის პროდუქციის ღირებულებას და საბოლოოდ, ხელს უშლის მის რეალიზაციას”.<sup>196</sup> აღნიშნული კონცეფციების საფუძველზე ვაყალიბებთ შემდეგ ჰიპოთეზას:

**ჰ7: პუი-ს მიმღები ქვეყნის გამართული სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემა უარყოფითად მოქმედებს პუი-ზე.**

---

<sup>194</sup> Fukuyama, F. (1995a). *Trust: Social Virtues and the Creation of Prosperity*. London: Hamish Hamilton.

<sup>195</sup> Fina, E., Rugman, A. M. (1996). “A test of internalization theory and internationalization theory: The Upjohn Company.” *Management International Review* 36(3): 199-213.

<sup>196</sup> Tannenwald, R. (1997). “State regulatory policy and economic development.” *New England Economic Review* March/April: 83-103.

## თავი 2. სოციალური კაპიტალისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა და დინამიკა საქართველოში

### 2.1 სოციალური კაპიტალის სტრუქტურა საქართველოში

კვლევები ცხადყოფს, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სოციალური კაპიტალის დონე დაბალია, რაც აფერხებს მათ განვითარებას. აღნიშნულ სახელმწიფოებში მშპ-ის დაბალი მაჩვენებლების ძირითად მიზეზად სწორედ სოციალური კაპიტალის დეფიციტი მიიჩნევა. გარდამავალ პერიოდში გაჩენილი საგრძნობი სოციალური უთანაბრობა ასევე ნეგატიურ გავლენას ახდენს ინდივიდებს შორის ნდობაზე, რაც პირდაპირპროპორციულად მოქმედებს ეკონომიკაზე და საზოგადოების უნარზე - გაუძღოს ცვლილებებს.

"World Values Survey" მონაცემების მიხედვით, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები ხასიათდებიან ნდობისა და სამოქალაქო აქტიურობის შედარებით დაბალი დონით, ვიდრე განვითარებული ეკონომიკის სახელმწიფოები.<sup>197</sup> აღნიშნული აიხსნება "საზოგადოების უუნარობითა და სისუსტით", რომლის უმრავლესობასაც დაბალი ან საშუალო შემოსავლის მქონე ინდივიდები შეადგენენ, ხოლო საკმაოდ მცირე ნაწილს წარმოადგეს პრივილეგირებული-ეგრეთწოდებული "ელიტარული ფენა". უნდა აღნიშნოს, რომ ყოველ ფენაში არსებობს მჭიდრო შიდა ურთიერთკავშირები ოჯახის, ახლო მეგობრებისა და ნათესავური კავშირების დონეზე, თუმცა სხვადასხვა ფენის ჯგუფებს შორის კომუნიკაცია დარღვეული და შეზღუდულია. შედეგად, სოციალური წრეები, განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში, საგრძნობლად ვიწრო და მცირეა, რასაც ვერ ვიტყვით განვითარებულ ქვეყნებზე, სადაც სოციალური კავშირები ფართოდაა გაშლილი და ნდობის ხარისხი მაღალია.<sup>198</sup> იგივენაირად შესაძლებელია ავხსნათ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მოსახლეობის ჩართულობის ფენომენიც. ახლო წარსულში, სოციალისტური წყობა

<sup>197</sup> Я. Фидрмук, К.Герчани, Формирование социального капитала в Восточной Европе: объяснение разрыва с развитыми странами. [http://dialogs.org.ua/crossroad\\_full.php?m\\_id=13206](http://dialogs.org.ua/crossroad_full.php?m_id=13206) (ნანახია 26.03.2017)

<sup>198</sup> A. Lukatela, Importance of Trust-Building in Transition: A Look at Social Capital and Democratic Action in Eastern Europe. [http://findarticles.com/p/articles/mi\\_qa3763/is\\_200703/ai\\_n19433952/](http://findarticles.com/p/articles/mi_qa3763/is_200703/ai_n19433952/) (ნანახია 31.03.2017)

აგაღებულება ინდივიდებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრობას, რამაც ნეგატიური გავლენა იქონია მათი შესხედულებების ფორმირებასა და სოციალურ ცხოვრებაზე, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ფორმალური ორგანიზაციების მიმართ გაჩნდა უნდობლობა, ხოლო პირადი კავშირების არაფორმალურმა ურთიერთობებმა შეცვალა საზოგადოებრივი სტრუქტურების ფუნქცია-მოვალეობები. არ უნდა დავივიწყოთ ის იმედგაცრუება, რომელიც ტრანსფორმაციული შოკის შედეგად, საბაზრო სისტემისადმი წარმოიშვა და სოციუმის წევრებს დაუკარგა ფორმალური თუ არაფორმალური კავშირების დამყარების სურვილი.<sup>199</sup>

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, სოციალური კაპიტალის დაბალი დონის მიზეზად, ასევე შესაძლებელია მივიჩნიოთ ნეგატიური სოციალური კაპიტალის გავრცელება, რომელიც კორუფციაში, ნეპოტიზმში, მექრთამეობასა და დამნაშავეობაში გამოიხატება.<sup>200</sup> სოციალისტური წყობისათვის დამახასიათებელი იყო რუხი და შავი სოციალური ქსელური კავშირების არსებობა და ფუნქციონირება, რომელის მიზანიც იყო ხისტი სისტემისათვის აუცილებელი მოქნილობის მიეცემა. საბჭოთა რეჟიმის დაშლის შემდეგ, კონტროლის მაქანიზმებიც გაქრა, რამაც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში შავი ქსელების ფართოდ გავრცელება გამოიწვია,<sup>201</sup> უარყოფითმა სოციალურმა კაპიტალმა კი, შეაფერხა ეკონომიკური განვითარება.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირველ ეტაპზე მოხდა სოციუმში მასიურად გავრცელებული ფასეულობების (იდეოლოგია, ეგალიტარიზმი, კოლექტიური საკუთრება) სწრაფი რღვევა. ასეთ მდგომარეობაში, შესაძლებელი გახდა ნეგატიური ფაქტორების სწრაფი გავრცელება, რამაც ხელი შეუწყო კრიმინალურ, ჩრდილოვან მეწარმეობას და წარმოიქმნა ნეგატიური სოციალური კაპიტალი.<sup>202</sup>

გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალის დეფიციტის მთავარი გამომწვევი მიზეზი ქვეყნის საბჭოური წარსულია, რადგან საბჭოთა პერიოდში სოციუმის

<sup>199</sup> შაბურიშვილი შ., სოციალური კაპიტალის ფორმირების თავისებურებები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო, თბილისი, 28 თებერვალი, 2011. გვ.283–293.

<sup>200</sup> Burt, Ron (1992) Structural Holes, Cambridge; Harvard University Press

<sup>201</sup> შაბურიშვილი შ., სოციალური კაპიტალის ფორმირების თავისებურებები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო, თბილისი, 28 თებერვალი, 2011. გვ.283–293.

<sup>202</sup> კაკულია რ., ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თეორიული ასპექტები, “ეკონომიკური პროფილი”, №3, 2007, ივლისი

წევრები ძლიერ ენდობოდნენ მეგობრებისა და ახლო ნათესავებს, თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით გამაერთიანებელ სოციალურ კაპიტალზე, რომელიც ან მიზერული დოზით არსებობდა, ან სახელმწიფოს კონტროლს ექვემდებარებოდა.<sup>203</sup> გასაკვირი არ არის, რომ ისეთი სოციუმის შემადგენელი ინდივიდები, რომლებსაც აქვთ იძულებით კავშირებში გაწევრიანების არასახარბიელო გამოცდილება (მაგალითად პიონერები), ეცდებიან ყოველგვარ ფორმალურ გაერთიანებებში გაწევრიანებზე თავის არიდებას. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლიდან საკმაოდ დროა გასული, ფერმერებს მაინც არ გააჩნიათ მოტივაცია, რომ ჩამოაყალიბონ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები. ძალიან რთული აღმოჩნდა მათი ნდობის აღდგენა და დარწმუნება, რომ მსგავსი გაერთიანება მათთვის სარგებლო შედეგის მომტანია.<sup>204</sup>

დღეს, საქართველო გარდამავალ სტადიაზეა, როდესაც ერთმანეთთან შერწყმულია ახალი-დასავლური, დემოკრატიულ-ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილება და საბჭოური წეს-ჩვეულებები. აღსანიშნავია, რომ დასავლურ საბაზრო ეკონომიკებში ყველაზე მნიშვნელოვანია გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალის ფორმა, რომლის წარმატებული მართვა მეგობრულ, ოჯახურ და კლანურ კავშირებზე ფოკუსირებით წარმოუდგენელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, კორუფცია და ნეპოტიზმი დაისადგურებს, ასე მოხდა სამხრეთ იტალიაში, სიცილიაში.<sup>205</sup> საქართველოში მმართველობის საბჭოურმა მიდგომამ ცვლილება განიცადა და ადრე თუ “ზემოდან ქვემოთ” ხდებოდა მმართველობის გაგრძელება, ახლა იგი დემოკრატიულმა - “ქვემოდან ზემოთ” მიდგომამ შეიცვალა, თუმცა ტრანსფორმაცია ჯერ ისევ კიდევ არ არის დასრულებული, რადგან თანამედროვე ქართულ სოციუმში გამაერთიანებელი კაპიტალის საგრძნობი ნაკლებობაა.

საქართველოში, „USAID- ის“ კვლევის თანახმად, სოციალური კაპიტალის სრუქტურა არაერთგავროვანია.<sup>206</sup> საქართველოში საგრძნობლად მაღალია მეგობრებს, ნათესავებსა და ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობების ხარისხი, ასეთი ნათესაურ-მეგობრული კავშირები ელინდება თანამედროვე ცხოვრების

<sup>203</sup> Mark Morje Howard, “The weakness of civil society in post-communist europe”, Cambridge University press, 2003.

<sup>204</sup> Caucasus Research Resource Centers, “An Assessment of Social Capital in Georgia - 2011

<sup>205</sup> Fabio Sabatini, „MEASURING SOCIAL CAPITAL IN ITALY“, 2005,

<http://econwpa.repec.org/eps/dev/papers/0504/0504003.pdf> (ნანახია 15.05.2017)

<sup>206</sup> USAID (2011), Social Capital in Georgia: Final Report and Recommendations,

[http://crrc.ge/uploads/tiny\\_mce/documents/Completed-projects/CRRC\\_Social\\_Capital\\_Final\\_Report.pdf](http://crrc.ge/uploads/tiny_mce/documents/Completed-projects/CRRC_Social_Capital_Final_Report.pdf) (ნანახია 26.03.2018)

ნებისმერ ასპექტსა თუ სფეროში, მაგალითად: ბიზნესის მართვა, განთლება, უძრავი თუ მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა და ა.შ. აღნიშნული ნათელს ხდის იმ ფაქტს, რომ საქართველოში განვითარებულია შემაკავებელი (bonding) სოციალური კაპიტალი, ჩვენს ქვეყანაში, შიდა სოლიდარობის დონის განსასაზღვად კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ ჩატარდა გამოკითხვა. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 93% ფინანსური პრობლემების შექმნის დროს დასახმარებლად მიმართავს ოჯახს, ხოლო 80% კი - მეგობრებს.<sup>207</sup>

თუმცა, საერთო ჯამში, სოციალური კაპიტალის დონე საქართველოში არცთუ სახარბიელოა, რაც ქართული მოსახლეობის თითოეულ კრახში ნათლად აისახება, ამის თვალნათელი მაგალითია ფერმერების წარუმატებელი ურთიერთქმედება და პრობლემები კოლექტიურ საქმიანობებში. ზემოთ აღნიშნული გვაჩვენებს, რომ საქართველოში დაბალია გამაერთიანებელი (bridging) სოციალური კაპიტალი, რომელიც ინდივიდებს აკავშირებს საზოგადოების უცხო წევრებთან. მსოფლიო ბანკის კვლევამ აჩვენა, რომ მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ 5% - ია ჩართული სამოქალაქო აქტივობებში,<sup>208</sup> რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ საქართველოში ძირითადად შემაკავებელი სოციალური კაპიტალია განვითარებული, ქართველებს აქვთ კავშირები საკუთარ ნათესავებთან თუ მეზობლებთან, ხოლო უცხოებთან ურთიერთთანამშრომლობისგან თავს იკავებენ. დაბალი გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალის თვალნათელ მაგალითად შესაძლოა მოვიყვანოთ ის ფაქტიც, რომ თანამედროვე საქართველოში სტუმართმოყვარეობის წესების დაცვა უადრესად მნიშვნელოვანია, თუმცა საგზაო მოძრაობის წესებს მხოლოდ მაშინ იცავს ქართული მოსახლეობა, როდესაც შორიახლოს საგზაო პოლიციის ეკიპაჟი ჩანს.

ლეგატუმის მსოფლიო კეთილდღეობის ინდექსის 2017 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველო მსოფლიოს 149 ქვეყნიდან 84-ე ადგილზეა, ნიკარაგუასა და გუატემალას შორის. საინტერესოა ისიც, რომ ლეგატუმის კეთილდღეობის ინდექსის მიხედვით თურქეთი 88-ე ადგილს იკავებს, რუსეთი 101-ე, აზერბაიჯანი


<sup>207</sup> მუსხელიშვილი მ., მეზურიშვილი ლ., ნაცვლიშვილი ბ., ელიზბარაშვილი მ., საზოგადოების კვლევის ცენტრი, (2012) სოციალური კაპიტალის როლი საქართველოს სოფლის განვითარებაში, <http://cssge.ge/wp-content/uploads/2013/01/socialuri-kapitali-CSS-ASCN.pdf> (ნანახია 6.04.2018)

<sup>208</sup> USAID, Social Capital in Georgia: Final Report and Recommendations, 2011, [http://crrc.ge/uploads/tiny\\_mce/documents/Completed-projects/CRRG\\_Social\\_Capital\\_Final\\_Report.pdf](http://crrc.ge/uploads/tiny_mce/documents/Completed-projects/CRRG_Social_Capital_Final_Report.pdf) (ნანახია 26.03.2018)

– 106-ე, ხოლო სომხეთი – 96-ე, აღნიშნული ინდექსის მიხედვით მოწინავე პოზიციები უჭირავთ შემდეგ ქვეყნებს: ნორვეგიას, ახალ ზელანდიას, ფინეთს, შვეიცარიას, შვეეთს და ნიდერლანდებს.<sup>209</sup> აღსანიშნავია, რომ ლეგატუმის კეთილდღეობის ინდექსი სხვადასხვა ინდიკატორის მეშვეობით ზომავს ქვეყნის განვითარების ხარისხს, მათგან უმნიშვნელოვანესია შემდეგი: სოციალური კაპიტალის განვითარების დონე, ეკონომიკური მდგრადობა, მეწარმეობის შესაძლებლობები და ბიზნეს გარემო, მმართველობა, განათლება, ჯანდაცვა, დაცულობა-უსაფრთხოება, პიროვნული თავისუფლება, გარემოს დაცვა.

დიაგრამა №2<sup>210</sup>

საქართველოში ლეგატუმის მსოფლიო კეთილდღეობის ინდექსი, 2007 - 2017 წწ




როგორც ლეგატუმის დიაგრამიდან ვხედავთ, 2007 წელს საქართველო 149 ქვეყნის რეიტინგში 99-ე ადგილას იმყოფებოდა, 2015-2016 წელს კი 85-ე ადგილზე, თუმცა 2017 წელს რეიტინგში ერთი ერთეულით დაქვეითდა.

საინტერესო აღმოჩნდა ლეგატუმის მსოფლიო კეთილდღეობის ინდექსში შემავალი ინდიკატორების ხვედრითი წილის წარმოჩენა, აღნიშნული დიაგრამა შემდეგნაირად გამოიყურება:

<sup>209</sup> Legatum Institute, The Legatum Prosperity Index™- Bringing Prosperity to Life, 2017, [http://www.prosperity.com/download\\_file/view\\_inline/3479](http://www.prosperity.com/download_file/view_inline/3479) (ნანახია 5.04.2018)

<sup>210</sup> დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, მონაცემები აღებულია ოფიციალური ვებ გვერდიდან: [http://prosperitysite.s3-accelerate.amazonaws.com/3715/1187/3481/Legatum\\_Prosperty\\_Index\\_2017\\_Rankings\\_Table.pdf](http://prosperitysite.s3-accelerate.amazonaws.com/3715/1187/3481/Legatum_Prosperty_Index_2017_Rankings_Table.pdf) (ნანახია: 01.02.2018)

ლეგატუმის ინდექსში შემავალი ინდიკატორები



როგორც ჩანს, საქართველო 149 ქვეყნიდან სოციალური კაპიტალის განვითარების დონით - 140-ე ადგილზე მოხვდა, რაც არცთუ სახარბიელო მაჩვენებელია. ეკონომიკური მდგრადობის დონით - 95-ე, მეწარმეობის შესაძლებლობების შეფასებისა და ბიზნეს გარემოს ანალიზის შედეგად - 70-ე ადგილზე, მმართველობის დონით - 52-ე ადგილზე, განათლების დონით - 58-ე ადგილზე, ჯანდაცვის დონით - 90-ე ადგილზე, დაცულობა-უსაფრთხოების ხარისხის მიხედვით - 71-ე ადგილზე, პიროვნული თავისუფლების დონით - 87-ე ადგილზე, გარემოს დაცვის ხარისხის მიხედვით - 124-ე ადგილზე.

საქართველოში, ნდობის ხარისხი დაბალია საზოგადოების წევრებს შორის. მსოფლიო ღირებულების კვლევის მონაცემებით, გამოკითხულთა მხოლოდ 18% თვლის, რომ ადამიანების უმრავლესობა იმსახურებს ნდობას. რესპონდენტთა 50%-ზე ნაკლებს მიაჩნია, რომ თავიანთი ბედ-იღბლის განსაღვრა და მართვა დამოუკიდებლად შეუძლიათ. გამოკითხულთა 15%

<sup>211</sup> მონაცემები აღებულია ლეგატუმის ინდექსის ოფიციალური ვებ-გვერდიდან: <http://www.prosperity.com/globe/georgia> (ნანახია 17.01.2018) დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ.

ინდიფერენტულადაა განწყობილი თავიანთი ცხოვრებისადმი, ისინი ფიქრობენ, რომ საკუთარ მდგომარეობა სრულიად უკონტროლოა.<sup>212</sup>

კავკასიის კვლევის ცენტრის მიერ მოწოდებული მონაცემები გვარწმუნებს, რომ საქართველოს აგრარულ სექტორში მუშავდება სახნავ-სათესად გამოსაყენებელი მიწების 50%-ზე ნაკლები, ხოლო სამუშაო ძალის ნახევარზე მეტი მოდის სოფლის მეურნეობაზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი 10%-საც კი არ შეადგენს.<sup>213</sup> არსებული მდგომარეობა გვაფიქრებინებს, რომ ქართველი მიწათმოქმედთათვის პრიორიტეტულია მხოლოდ საკუთარი პატარა ნაკვეთების მოვლა და დამუშავება, და არა ურთიერთთანამშრომლობის შედეგად პროდუქტიულობის ამაღლება. ეს კი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ქართულ სოციალურ კაპიტალში გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალის ჩამოყალიბება და ეფექტური კოჰაბიტაციის მიღწევა.

დაბალი გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალის თვალნათელი მაგალითია ისიც, რომ ქართველები უვლიან მხოლოდ თავიანთ საკუთრებაში არსებულ ქონებას, ხოლო საერთო საკუთრებაში არსებული აქტივები თითქმის ყველგან მოუვლელია, დაბინძურებული სადარბაზოები კონტრასტში მოდის მოწესრიგებულ ბინებთან.

დაბალი სოციალური კაპიტალის დონე ქართულ საზოგადოებას აკარგვინებს უზარმაზარ უპირატესობებს და აფერხებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების შესაძლებლობას, ის ასევე წარმოადგენს უდიდეს გამოწვევას დემოკრატიულ ქვეყანაში. დასავლური ქვეყნების მაგალითმა აჩვენა, რომ სხვადასხვა პროფესიულმა ასოციაციებმა და კავშირებმა წარმატებით შესაძლებელია შეითავსონ მრავალფუნქციური მარეგულირებელი პასუხისმგებლობები და გახდნენ შუამავლები მოსახლეობასა და მთავრობას შორის. ყოველივე აღნიშნული კი მთავრობის ეფექტიანად მუშაობას, მოსახლეობასთან კომუნიკაციას და პრობლემების ოპერატიულად გადაჭრას შეუწყობს ხელს.<sup>214</sup>

<sup>212</sup> WORLD VALUES SURVEY, WVS 2010-2012 Wave, revised master, 2012

<http://www.worldvaluessurvey.org/WVSDocumentationWV6.jsp> (ნანახია 10.04.2018)

<sup>213</sup> კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრი, “მოხალისეობა საქართველოში”, 2012, [http://crrc.ge/uploads/tinymce/documents/Completed-projects/Volunteerism\\_Report\\_GEO.pdf](http://crrc.ge/uploads/tinymce/documents/Completed-projects/Volunteerism_Report_GEO.pdf) (ნანახია 10.04.2018)

<sup>214</sup> Adam, F. (2008). Mapping social capital across Europe: findings, trends and methodological shortcomings of cross-national surveys. Social Science Information, 47(2):pp. 159 – 186.

საქართველოში სუსტია სამოქალაქო სოციუმი – მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციები. სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მონაცემებით, საქართველოში, არსებული მდგომარეობით, დარეგისტრირებულია 10 ათასამდე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთაგანაც ძალიან ცოტა თუ ფუნქციონირებს. საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებზე მოქმედი არსებული ორგანიზაციების გავლენა მიზერული დოზით შეინიშნება, რომლის უპირველეს გამომწვევე მიზეზს სოციალური ბაზისის შეზღუდულობა წარმოადგენს. CIVICUS Civil Society Index 2010-ის თანახმად, შესამჩნევად დაბალი სოციალური კაპიტალის მქონე სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში მოხალისეთა მონაწილეობა მინიმალურია.<sup>215</sup> ბოლო დროინდელი ტენდენციები მიანიშნებს მოხალისეობის უფრო მეტად შემცირებაზე. თანდათან კლებულობს სრულიად საქართველოს მოქალაქეთა ჩართულობის დონეც-როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ სოციალურ გაერთიანებებსა და აქტივობებში. საქართველოში ფუნქციონირებადი ფორმალური ორგანიზაციების უმეტესობა სოციალური კაპიტალის დონის ამაღლებაზე არ არის ორიენტირებული. დიდია მათი დონორებზე დამოკიდებულებისა და დაქვემდებარების ხარისხი, სწორედ ამიტომ ისინი აღნიშნული დონორების მიზნების მიღწევაზე არიან ფოკუსირებული რაც ხშირად მოდის წინააღმდეგობაში სოციუმის წევრების ინტერესებთან, მოთხოვნებთან და საჭიროებებთან, შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები ვერ ასრულებენ, საზოგადოების წარმომადგენლებისა და შუამავლების ფუნქციებს. მრავალ კვებაში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ სამოქალაქო ორგანიზაციები უუნაროები არიან პოლიტიკურ სუბიექტებთან მოლაპარაკებების წარმოებისას დიდი სოციალური ჯგუფების სახელით. ამას გარდა, CIVICUS Civil Society Index -ზე დაყრდნობით, სხვადასხვა სამოქალაქო ორგანიზაციები ერთმანეთშიც არცთუ ხშირად თანამშრომლობენ და ვიწრო სეგმენტს მოიცავენ.<sup>216</sup>

გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალის დაბალი დონე აფერხებს დონორი ორგანიზაციების ეფექტიან ფუნქციონირებას და მათი პროგრამების განხორციელებას. ოსტრომი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ “პუის მოზიდვაში

<sup>215</sup> Mati, J. M., Silva, F., Anderson, T., Assessing and Strengthening Civil Society Worldwide, 2010, [https://www.civicus.org/images/Assessing\\_and\\_Strenghtening\\_CS\\_Worldwide\\_2008-2010.pdf](https://www.civicus.org/images/Assessing_and_Strenghtening_CS_Worldwide_2008-2010.pdf) (ნანახია 21.09.2018)

<sup>216</sup> AN ASSESSMENT OF GEORGIAN CIVIL SOCIETY Report of the CIVICUS Civil Society Index 2010, <https://www.civicus.org/downloads/CSI/Georgia.pdf> (ნანახია 21.09.2018)

სოციალურ კაპიტალს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ინვესტორების მოძიება და მათი დაინტერესება მოითხოვს თანამშრომლობის მაღალ ხარისხს”.<sup>217</sup>

დაბალი სოციალური კაპიტალის მიზეზების გასაანალიზებლად აუცილებელია სამეცნიერო კვლევების შედეგების მიმოხილვა. მარკ ჰოვარდმა გამოაქვეყნა სემინარული კვლევა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითზე და დაასკვნა, რომ სოციალური კაპიტალისა და სამოქალაქო ჩართულობის დაბალ დონეს განსაზღვრავს სამი ძირითადი ფაქტორი, ესენია:<sup>218</sup>

- სოციალისტური წყობილებიდან გადმოყოლილი საზოგადოების უნდობლობა და მოხალისეობის კულტურის არქონა;
- ჩაკეტილი საკონტაქტო ქსელების არსებობა (მეგობრები, ნათესავები და ა.შ), რაც მიზეზია იმისა, რომ ინდივიდებს სოციალური წრის გაფართოების სურვილი აღარ უჩნდებათ;
- საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ გამეფებული მასობრივი იმედგაცრუება.

ბევრი მეცნიერი ეთანხმება ჰოვარდს იმ საკითხში, რომ სოციალიზმმა თუ კომუნიზმმა შეაფერხა სოციალური კაპიტალის დონის ზრდა პოსტ საბჭოთა ქვეყნებში, ვინაიდან ძალიან დაეცა ინტერპერსონალური და გარეგანი ნდობის ხარისხი. ჟოუიტი ამტკიცებს, რომ “სოციალისტურმა იდეოლოგიამ დანერგა უნდობლობა და ცინიზმი საბჭოთა კავშირში შემაგალი ქვეყნების მოსახლეობაში”.<sup>219</sup> საბჭოთა კავშირის არსებობის დროს საზოგადოების წევრები ძალდატანებით, თავიანთი ნების გარეშე იყვნენ გაწევრიანებულნი სხვადასხვა საზოგადოებრივ აქტივობებსა თუ კავშირებში, არ ხდებოდა მოხალისეობის კულტურის წახალისება და განვითარება, ამიტომ ხალხის იძულებით ჩართვამ სხვადასხვა აქტივობებში გრძელვადიან პერიოდში ნეგატიურად იმოქმედა მათზე და საპირისპირო შედეგი გამოიღო. “ლენინური კულტურა” ხასიათდებოდა მკაცრად გამიჯნული საზოგადოებრივი და კერძო სფეროებით, ნდობის დაბალი ხარისხით და დაბეზღების ინსტიტუტით. მეცნიერი ნიკოლსი აღნიშნავს, რომ “საბჭოთა კავშირის ამდაგვარმა მიდგომებმა დადი დაასვა საზოგადოებაში დემოკრატიული პრინციპების გადრმავეებასა და სოციალური კაპიტალის

<sup>217</sup> Ostrom, E., Ahn, T. K., The Meaning of Social Capital and its Link to Collective Action (2007). HANDBOOK ON SOCIAL CAPITAL, Gert T. Svendsen and Gunnar L. Svendsen, ed., Edward Elgar, 2008 ; Indiana University,

<sup>218</sup> Howard, Marc Morjé. 2002. —The Weakness of Postcommunist Civil Society. J Journal of Democracy 13(1): 157-169.

<sup>219</sup> Jowitt, Ken. 1992. —The Leninist Legacy. In Eastern Europe in Revolution, ed. Ivo Banac, Ithaca NY, Cornell University Press.

განვითარებას”.<sup>220</sup> ამგვარად, პოსტ საბჭოთა ქვეყნების საზოგადოებამ გარდამავალი პერიოდი დაიწყო სოციალური კაპიტალის ბაზისის გარეშე. ჰასანოვის მიერ ბაქოში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს მსგავსად, აზერბაიჯანულ საზოგადოებაშიც სოციალური კაპიტალისა და ნდობის ხარისხის დაბალი დონე ფართოდ გავრცელებულია "ტოტალიტარული რეჟიმის" გამოცდილებისა და სოციალისტური წყობის გამო.<sup>221</sup>

ისტორიულმა წარსულმა გამოააშკარავა დაბალი გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალის არსებობის მიზეზები, ისტორიული წარსულის მნიშვნელობის შესაფასებლად მოვიყვანოთ დასავლეთ ევროპის მაგალითი. ისტორიკოსი ჰაროლდ ბერმანი აღწერს, თუ როგორ განვითარდა დასავლეთ ევროპაში სოციალური კაპიტალისა და სამოქალაქო ჩართულობის დონე. იგი აღნიშნავს, რომ “სოციალური კაპიტალის განვითარება დაიწყო 1075 წლიდან, როდესაც დასავლეთ ევროპაში გატარებულ იქნა გრეგორიანული რეფორმა. კანონიკური სამართლის მიხედვით სოციალური ურთიერთობები დარეგულირდა კონსტიტუციაში გაწერილი ნორმების მიხედვით, რომლებიც ეფუძნებოდა სამართლიანობისა და ჰუმანურობის პრინციპებს”.<sup>222</sup> აღნიშნულმა რეფორმამ ხელი შეუწყო სხვადასხვა ტიპის ასოციაციებისა და გაერთიანებების შექმნას. სწორედ ეს ასოციაციები გახდა დასავლეთ ევროპის დემოკრატიული განვითარების სათავე. სხვადასხვა სოციალური კავშირების წარმატებით თანამშრომლობის თვალნათელი მაგალითებია დღემდე შემორჩენილი არქიტექტურული ძეგლები, საკათედრო ტაძრები და სხვადასხვა შენობა-ნაგებობები, რომლებიც აშენებულ იქნა ადგილობრივი მოსახლეობისა და თვითმმართველი ერთეულების წარმატებით თანამშრომლობის ხარჯზე.

საქართველოს ისტორიული წარსულის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, კიდევ ერთხელ ნათელი გახდება ის ფაქტი, რომ საქართველოს გააჩნდა შეზღუდული შესაძლებლობები გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალის განსავითარებლად. საქართველო საუკუნეების განმავლობაში იყო დაპყრობილი და იმყოფებოდა სხვა ქვეყნების ბატონობის ქვეშ. მე-19 საუკუნეში, კვაზი-კოლონიურ საქართველოს გააჩნდა ძლიერი ელიტარული წრე, სწორედ ილია

<sup>220</sup> Nichols, Thomas. 1996. —Russian Democracy and Social Capital. Social Science Information 35(4): 631–64.

<sup>221</sup> Hasanov, Rafail. 2007. “Social Capital, Civic Engagement and the Performance of Local Self-Government in Azerbaijan.” Caucasus Research Resource Centers (CRRC)-Azerbaijan, [http://www.crrc.az/upload/Rafael\\_Hasanov\\_2007.pdf](http://www.crrc.az/upload/Rafael_Hasanov_2007.pdf) (accessed December 8, 2010).

<sup>222</sup> Berman, Howard Joseph. 1983. Law and revolution: the formation of the Western legal tradition, Harvard University Press.

ჭაგჭაგაძე ხელმძღვანელობდა პირველ ქართულ ნაციონალურ მოძრაობას, რომლის მოღვაწეობაც მიეძღვნა ცოდნის, წიგნიერების და ქართული ლიტერატურის გავრცელებას. ელიტარულ წრეს აქტიურად ავიწროვებდა სტალინისა და ბერიას რეჟიმი, საქართველომ, დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით, სოციალური კაპიტალის განვითარების გარდამავალი პერიოდი სწორედ ამიტომ გაიარა ასე რთულად.

ისტორიული მოსაზრებების გარდა, არსებობს დამატებითი ფაქტორების მთელი რიგი, რომლებიც გამოხატულებას ჰპოვებს სხვადასხვა ხარისხით სხვადასხვა სფეროსა და დარგში. ელინორ ოსტრომმა აღნიშნა, რომ “კანონმდებლობა და ქვეყნის სამართლებრივი გარემო უზარმაზარ როლს თამაშობს სოციალური კაპიტალის განვითარების ხარისხზე”.<sup>223</sup> დღესდღეობით ეს საკითხი მწვავედ დგას საქართველოში, ვინაიდან საქართველოს თანამედროვე კანონმდებლობა არ არის ორიენტირებული სოციალური კაპიტალის განვითარებაზე.

სოციალური კაპიტალის განვითარებისას, საქართველო ოთხი უმნიშვნელოვანესი გამოწვევის წინაშე დგას. ეს გამოწვევები ითვალისწინებს საქართველოს სოციალური კაპიტალის ორივე პრობლემურ ასპექტს: ერთობლივი კოლაბორაციის ნაკლოვანებასა და საქათველოს პოსტ-სოციალისტურ გარდამავალ პერიოდს. აღნიშნული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები ქართულ საზოგადოებას დაეხმარება სოციალურ კაპიტალთან დაკავშირებული დაბრკოლებების გადალახვაში.

პირველი გამოწვევა დაკავშირებულია ქართული სოციუმის ფენომენთან. ხალხში მასობრივად გამეფებული აპათიისა და უნდობლობის შეგრძნება მნიშვნელოვნად მოქმედებს შემაკავებელი სოციალური კაპიტალის განვითარებაზე. მოსახლეობა გულგრილადაა განწყობილი ყოველივე იმ სარგებლის მიმართ, რაც შეიძლება მიღწეულ იქნას ერთობლივი საქმიანობისა და კოლაბორაციის შედეგად, ასეთი მდგომარეობა კი პოტენციურ სოციალურ მეწარმეებს მიზნების მიღწევისა და რეფორმების გატარებაში ხელს უშლის. აღნიშნული მდგომარეობა ქმნის ნეგატიურ სოციალურ კაპიტალს და აყალიბებს წრიულ ეფექტს. სოციუმში გამეფებული აპათია ხელს უშლის მათ საზოგადოებრივ წრეებში გაწევრიანებას, ეს ყოველივე იწვევს მასობრივ

<sup>223</sup> Ostrom, Elinor. 2000. Social Capital: a Fad or a Fundamental Concept?. In: Partha Dasgupta, Ismail Serageldin, Eds, Social Capital: a Multifaceted Perspective, World Bank, Washington DC.

წარუმატებლობას, რაც შემდეგ საზოგადოებას უკან უბრუნდება და სოციალური წრეების ჩამოყალიბების უაზრობის რწმენას უმყარებს. პატნემის აზრით, “სწორედ აპათია და უნდობლობა წარმოადგენს სოციალური კაპიტალის ყველაზე დიდ შემაფერხებელ ფაქტორს”.<sup>224</sup> მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით ქართული საზოგადოება თავს მოტყუებულად გრძნობს და მიაჩნია, რომ რადგან წარსულში არ გადაიდგა სასიკეთო ნაბიჯები, მომავალშიც არაფერი შეიცვლება, სწორედ ამიტომ ქართული საზოგადოება ძალისხმევას არ ხარჯავს სოციალური წრეების ფორმირებაზე. აღნიშნული საკითხის მოგვარების მთავარი გზაა სოციალური წრის შემადგენელი ინდივიდებისათვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება იმ სარგებლისა და უპირატესობების შესახებ, რასაც ისინი მიიღებენ სოციალურ ალიანსებში გაწევრიანებით. დასავლურმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ სოციალური ალიანსების წევრების დარწმუნება შეუძლებელია მათთვის საჭიროების გამოვლენის გარეშე.

მეორე გამოწვევა დაკავშირებულია ლიდერობის ფენომენთან და ქართული საზოგადოების მიერ ამ საკითხის აღქმასთან. მოსახლეობას ახასიათებს სოციალური მეწარმეებისა და მათი საქმიანობის მიმართ უნდობლობა, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ ისინი მოქმედებენ მხოლოდ პირადი კეთილდღეობის მისაღწევად. აღნიშნული კი იწვევს ინდივიდების ინდიფერენტულობას, გაწევრიანდნენ სოციალურ წრეებში. ეჭვებისა და ნეგატივის ტალღა თვით ლიდერებსაც უკარგავს მოტივაციას, რათა ჩამოაყალიბონ სოციალური ასოციაციები. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი მიუთითებს რომ 2012 წელს არასამთავრობო ორგანიზაციებს მხოლოდ 18% ენდობოდა, 23% კი - საერთოდ არ ენდობოდა მათ. მდომარეობა უფრო რთულია პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებით, რომელთა ფუნქციასაც მოქალაქეებთან მჭიდრო კავშირის დამყარება და მათთვის პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის შესაძლებლობის მიცემა წარმოადგენს. ჩატარებულმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ მათ მხოლოდ 7% ნაწილობრივ ან სრულად უცხადებს ნდობას, ხოლო 53% კი – საერთოდ ენდობა მათ, არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი გამოხატულ უნდობლობას თან ერთვის რესპონდენტთა 35%-ის აზრი, რომ აღნიშნული ორგანიზაციები უმეტეს წილად იცავენ თავისი თანამშრომლების ინტერესებს. დიდი პრობლემაა ისიც, რომ საქართველოში საზოგადოებრივი ჩართულობისა და აქტიურობის დონე

<sup>224</sup> Putnam, Robert. 2000. Bowling Alone. The Collapse and Revival of American Community. New York, Simon & Schuster.

საგრძნობლად დაბალია, გამოკითხულთა 41% მიიჩნევს, რომ პოლიტიკა ბინძური თამაშია.<sup>225</sup>

მესამე გამოწვევას წარმოადგენს ინსტრუქტებისა და მექანიზმების ფორმირება, რაც დაარეგულირებს სოციალურ წრეებში გაერთიანებული ინდივიდების უფლება-მოთხოვნებსა და პასუხისმგებლობებს. უნდა შემუშავდეს კანონები, რომელიც დაიცავს თითოეული წევრის უფლებებს. სწორედ “თამაშის წესების” ნაკლებობა იწვევს იმას, რომ დაუფასებელია სოციალური კავშირების წევრების მორალური თუ ფინანსური სარგებელი. დაუფასებელი შრომითი პირობები გულგრილად განაწყოფს სოციალური გაერთიანებების პოტენციურ წარმომადგენლებს, რათა არ გახდნენ დაუფასებელნი და მოტყუებულნი სოციალურ წრეებში გაერთიანების შედეგად.

მეოთხე და საბოლოო დაბრკოლება არის საქართველოში არსებული არასტაბილური სოციალურ-ეკონომიკური გარემო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში თითქმის გამოუმუდავებელია გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალი, მოუქნელი ინსტიტუციური გარემო და ბიუროკრატიული სირთულეები საწყის სტადიაზე სპობს სტარტ-აპ სოციალურ კავშირებს და არ აძლევს მათ განვითარების საშუალებას. ასევე აღსანიშნავია პროტექციონიზმის პრობლემა და ახლობლების, ნათესავებისა და მეგობრების საქმიან ურთიერთობებში უპიტრატესობის მინიჭება, რაც განსაკუთრებით ართულებს გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალის ფორმირებას.

სოციალური კაპიტალის მობილიზებასა და განვითარებაში დიდ როლს თამაშობენ სოციალური ლიდერები, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალური კაპიტალის ფორმირებასა და ჩამოყალიბებას. მათ გარეშე რთულია სოციუმის ინტეგრაცია. სოციალური ლიდერების ქმედებები აუცილებლად უნდა იყოს დაფუძნებული სამართლიანობის პრინციპებზე და ითვალისწინებდეს კულტურულ ასპექტებს, რათა მარტივად გახდეს შესაძლებელი არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ეფექტიანად გადაჭრა.

სოციალური ლიდერების მიზანია სოციუმის წევრებს შორის კოჰაბიტაციის პროცესის დაჩქარება და კავშირ-ურთიერთობების “დადებით მხარეებზე” ყურადღების გამახვილება. ამავდროულად, სოციალურმა ლიდერებმა

---

<sup>225</sup> კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრი, 2012, [http://crrc.ge/uploads/tinyMCE/documents/Completed-projects/Volunteerism\\_Report\\_GEO.pdf](http://crrc.ge/uploads/tinyMCE/documents/Completed-projects/Volunteerism_Report_GEO.pdf) (ნანახია 10.04.2018)

აუცილებლად უნდა გამოიყენონ ინდივიდუალური მიდგომა საზოგადოების თითოეული წევრის მიმართ და მიღებული გამოცდილება გამოიყენონ სოციალური კაპიტალის განსავითარებლად. მათ უშუალოდ მისიას წარმოადგენს იმ ყველა ასპექტის იდენტიფიცირება, რომლებიც ხელს უშლის სოციალური კაპიტალის განვითარებასა და ჩამოყალიბებას. მნიშვნელოვანია სოციალური წევრებისთვის სრულფასოვანი და კომპეტენტური ინფორმაციის მიწოდება ყველა იმ უპირატესობის შესახებ, რომლითაც ისარგებლებს სოციალურ კავშირებში ჩაბმითა და აქტიურად მოღვაწეობით. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოში დაბალია ნდობის ხარისხი არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, თუმცა ინდივიდები ხშირად მონაწილეობენ მათ მიერ წამოწყებულ საკითხებსა და აქტივობებში. მათი მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 60% თანახმაა ხელი მოაწეროს არასამთავრობო ორგანიზაციების პეტიციას, რომელიც ეხება უმუშევრობის პრობლემას, 52% დამოუკიდებლად არ წყვეტს ამ საკითხს და ითვალისწინებს მეგობრებისა და ოჯახის წევრების აზრს, 19% აცხადებს, რომ მონაწილეობას მიიღებს მიტინგებში, ხოლო 12% გამოხატავს მზაობას კარდაკარ სიარულზე.<sup>226</sup>

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით ცხადი ხდება, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს საზოგადოების წევრების სოციალურ ქსელებსა და კავშირებში გაწვევრიანების პრაქტიკის თანმიმდევრულ და მიზანმიმართულ უზრუნველყოფასა და განვითარებას. ყოველივე აღნიშნული საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას, რათა ხაზი გაესვას სოციალური კაპიტალის, სამოქალაქო ჩართულობისა და მოხალისეობის დადებით გავლენას როგორც სოციალური ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ასევე მოღიწიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. აშშ-ს ურბანულმა ინსტიტუტმა შეიმუშავა მენეჯმენტის საბაზისო პრინციპები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია სამოქალაქო ჩართულობისა და მოხალისეობის ხელშეწყობა.<sup>227</sup> ესენია:

<sup>226</sup> კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრი, 2012, [http://crrc.ge/uploads/tiny\\_mce/documents/Completed-projects/Volunteerism\\_Report\\_GEO.pdf](http://crrc.ge/uploads/tiny_mce/documents/Completed-projects/Volunteerism_Report_GEO.pdf) (ნანახია 10.04.2018)

<sup>227</sup> Jeffrey L. Brudney (1999) "მოხალისეთა ეფექტური გამოყენება: საუკეთესო პრაქტიკა საზოგადოებრივი სექტორისათვის." კანონი და თანამედროვე პრობლემები

- პროცესების სამართლიანად, მიუკერძოებლად, არადირექტიულად, და ჰუმანისტურად წარმართვა, პროცესებთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკის დაზღვევა და პირობების შესრულება;
- სოციუმის მსოფლმხედველობის ამადლებაზე მუდმივი ზრუნვა და მათი პერიოდული ტრენინგი;
- დეტალური და უტყუარი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც გაწერილია წერილობითი წესების სახით და მოიცავს საქმიანობის კონკრეტულ აღწერილობას;
- მონაწილეების აღიარება და მუდმივი წახალისება, მაგალითად ინდივიდების დაჯილდოება, მადლობის წერილის გადაცემა და ა.შ;
- განვითარების სხვადასხვა სახის პროგრამების დანერგვა ისეთი ინდივიდებითვის, ვინც სოციალურად აქტიურობენ და ჩართულნი არიან სხვადასხვა პროცესებში;
- სოციალურ აქტივობებზე, ღონისძიებებზე და მოხალისეობრივ საქმიანობაზე სხვადასხვა სახის სახსრების გამოყოფა და პოპულარიზაცია, პროცესების სწორი მართვა.

საქართველოში არსებული სოციალური კაპიტალის კულტურის დასახეწად და გასაუმჯობესებლად აუცილებელია კარგი მენეჯმენტი და პროცესების თანმიმდევრული და გონივრული მართვა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ინდივიდების სამოქალაქო აქტივობებში ჩართვა და მათი ორგანიზება საჭიროებს მეთოდოლოგიურ მიდგომას და ძალისხმევას. აღსანიშნავია, რომ საქართველოში გამოკითხულთა მხოლოდ 12% აცხადებს მზადყოფნას, რათა დაეხმაროს სხვას,<sup>228</sup> რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ ეტაპზე ძალიან რთულია საქართველოში მცხოვრები ინდივიდის დათანხმება, რათა ჩაერთოს სამოქალაქო აქტივობებში ან იმუშაოს მოხალისედ. ასევე, სირთულეებია დასახული მიზნის მიღწევის ხარისხის შეფასებისას და კონკრეტული შეთანხმების მიღწევისას.

საქართველოში სწორედ სოციალური ლიდერების მიერ უნდა მოხერხდეს მოსახლეობის სოციალურ აქტივობებში ჩართვა და მოხალისეების მოზიდვა-შენარჩუნება. ყოველივე ეს შესაძლებელია მათთვის კარგი სამუშაო თუ ცხოვრებისეული გამოცდილების მიცემის გზით. აღნუშნული პროცესი საჭიროებს მართვის დახვეწილი უნარების ქონას: აუცილებელია, რომ

<sup>228</sup> კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრი, 2012, [http://crrc.ge/uploads/tiny\\_mce/documents/Completed-projects/Volunteerism\\_Report\\_GEO.pdf](http://crrc.ge/uploads/tiny_mce/documents/Completed-projects/Volunteerism_Report_GEO.pdf) (ნანახია 10.04.2018)

აქტივობებში ჩართულ ინდივიდებს სათანადოდ გადაუწაწილდეთ ფუნქციონირება, იმისათვის, რომ არ განიცადონ დემოტივაცია და გაუჩნდეთ მიზნის მიღწევის შეგრძნება. ასევე გასათავალისწინებელია, რომ სოციალურ აქტივობაში ჩართული ინდივიდი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაიქცეს სუბიექტური მიზნების მისაღწევ ინსტრუმენტად, აქტივობაში ჩართულმა თითოეულმა პიროვნებამ თავი უნდა გააიგივოს გუნდის შემადგენელ ნაწილად.

იმისათვის, რომ საქართველოში ხელი შეეწყოს სოციალური კაპიტალის ეფექტიან განვითარებას, საჭიროა დონორი ორგანიზაციების მხიდან მოხალისეობისა და სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილების გაზიარება, ასევე, აპრობირებულ სტრატეგიას წარმოადგენს წარმატებული და გამოცდილი მოხალისეების მოწვევა და არსებული პრაქტიკის დანერგვა, ასევე მნიშვნელოვანია, რომ დროულად და ხარისხიანად მოხდეს პროცესების ორგანიზება და ახალბედა მოხალისეებისა და სოციალურ აქტივობებში ჩართული ინდივიდების უნარ-ჩვევების ამაღლება. სოციალური კაპიტალის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს დონორი ორგანიზაციების მხიდან ისეთი ღონისძიებების განხორციელება როგორებიცაა მაგალითად ტრენინგების ჩატარება, სპეციალური ლიტერატურის მომზადება-თარგმნა და ა.შ. ნდობის ხარისხის ასამაღლებლად რეკომენდებულია სოციალურ აქტივობებში ჩართულობის თემატიკაზე ტრენინგებისა და ლექციების ჩატარების უზრუნველყოფა. სოციალური კაპიტალის დონის ასამაღლებლად უმნიშვნელოვანესია პროცესების მიზანმიმართული მართვა, რომელის შედეგადაც შესაძლებელი ხდება პოზიტიური გამოცდილების მირება და მეტი მოხალისის დაინტერესება.

საქართველოში, ბოლო პერიოდში, ინვესტიციების ინტერესი გაიზარდა აგარარული სექტორისადმი. იმისათვის, რომ წარმატებით განხორციელდეს ინვესტიციების მოზიდვა და ჩადებულმა ფინანსურმა რესურსებმა გაამართლოს ინვესტორს უნდა გააჩნდეს ნათელი წარმოდგენა სოფლად არსებული სოციალური კაპიტალის თავისებურებების შესახებ. აღნიშნულ საკითხზე საზოგადოების კვლევის ცენტრმა 2012 წელს ჩატარა ემპირიული კვლევა, სადაც გამოვლინდა საქართველოში სოფლად არსებული სოციალური კაპიტალის მახასიათებელი ფაქტორები.<sup>229</sup> მოცემულმა კვლევამ მოიცვა როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მონაცემები, ინსტიტუციური

<sup>229</sup> მუსხელიშვილი მ., მეზურიშვილი ლ., ნაცვლიშვილი ბ., ელიზბარაშვილი მ., საზოგადოების კვლევის ცენტრი, (2012) სოციალური კაპიტალის როლი საქართველოს სოფლის განვითარებაში, <http://cssge.ge/wp-content/uploads/2013/01/socialuri-kapitali-CSS-ASCN.pdf> (ნანახია 6.04.2018)

ანალიზის კომბინაციის საფუძველზე კი გამომჟღავნდა საქართველოს სოფლებში არსებული სოციალური კაპიტალის შემდეგი მახასიათებლები:

- საქართველოში სოფლები ერთმანეთისგან განსხვავებულია სოციალური ინტეგრაციის ხარისხითა და ჯგუფური აქტიურობის დონის მიხედვით;
- ქართულ სოფლებში მაღალია საზოგადოებრივი ინტეგრაციის ხარისხი. განსაკუთრებით ეს შეეხება იმ ჯგუფებს, რომლებიც გამოირჩევიან რწმენის მაღალი დონით. მათ მიაჩნიათ, რომ ეკონომიკური წარმატებისათვის აუცილებელია კონკურენტული გარემოს არსებობა, მათივე შრომისა და გონებრივი თუ ფიზიკური შრომის შედეგად მიიღწევა და არა ნეპოტიზმითა და პროტექციით;
- საქართველოში, სოფლად მაცხოვრებელთა სოციალურად შეკრულობის, მაცხოვრებელთა კეთილდღეობისა და ნდობის მაჩვენებლები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, თუ სოფელში მაღალია ნდობა, მაშინ სოფლის მცხოვრებთა სოციალურად შეკრულობის ხარისხი პირდაპირპროპორციულად ცვლის ამ სოფელის მკვიდრი მოსახლეობის კეთილდღეობას;
- საქართველოში, სოფლში მოსახლეობას შორის ნდობა შესამჩნევად მაღალია იქ, სადაც სოფელი იყენებს საერთო საძოვრებს და სადაც საქონლის მოვლის ერთობლივი პრაქტიკაა შემუშავებული. საერთო საკუთრების არსებობა და მისი საზიარო მართვა აუმჯობესებს თანასოფელთა შორის ურთიერთსარგებლიან მოქმედებას და ამავე დროს, ხელს უწყობს უცხო ადამიანების მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას;
- ქართულ სოფლებში, სოციალურად მჭიდროდ დაკავშირებულ მოსახლეობა, საკუთარი ძალებით, გაცილებით მარტივად აგვარებს მათ წინაშე არსებულ პრობლემებს, ვიდრე იმ სოფლების მოსახლეობა, რომელიც ვერ ახერხებს საერთო აზრის შემუშავებას და ვერ მიდის ყველასათვის ხელსაყრელ კონსენსუსამდე;
- საქართველოში, სოფლებისათვის დამახასიათებელია მაცხოვრებელთა შორის ეკონომიკური უთანასწორობა, თუმცა ეს ხელს არ უშლის სოფლის სოციალურ ინტეგრაციას. საქართველოში, სოფელი სოციალურად მჭიდროდ დაკავშირებულია, მასში არ შეიმჩნევა მკვიდრთა შორის არსებული ინტერესთა შეუთავსებლობა;

- სოფლის იმ მცხოვრებელებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ინდიდის დადებითი რეპუტაცია წარმატების მიღწევის აუცილებელი წინაპირობაა, გააჩნიათ მეტი სტიმული იმისა, რომ შექმნან ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც სოფელსა და მის გარეთ არსებულ სტრუქტურებს ერთმანეთთან დააკავშირებს;
- ქართული სოფლებისთვის დამახასიათებელია მცირე რიცხოვანი სოციალური ქსელების არსებობა (სამეგობრო, ბირჟა) ამ ჯგუფების დახმარებით სოფლებში მიმდინარეობს სამეურნეო საკითხების ერთობლივ გადაწყვეტასთან დაკავშირებული თანამშრომლობა, რომლებიც ხასიათდება მოკლევადიანობით, არასტაბილურობითა და დროებითობით. სოფლებში, ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, ჯგუფური თანამშრომლობა არ ატარებს გრძელვადიან ხასიათს, ვინაიდან ვლინდება ჯგუფური ინტერესების ხარჯზე კერძო საკუთრების ფორმირების მცდელობები;
- საქართველოში, სოფლად, ხშირია ფორმალური სოციალური კაპიტალის ფორმირების მაგალითები, ასეთი გაერთიანებების წახალისება, უმეტესწილად ხდება გარე აქტორების ჩარევითა და ხელშეწყობით, მსგავსი ტიპის სოციალური კავშირების მდგრადობის მაჩვენებელი დაბალია და არ გამოირჩევა სტაბილურობით.<sup>230</sup>

საქართველოში სოციალური კაპიტალის განსავითარებლად საინტერესოა უცხოური პრაქტიკის გათვალისწინება. სოციალური კაპიტალის ფორმირებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამერიკაში, აღსანიშნავია არაკომერციული ორგანიზაცია-SCI, რომელიც დაარსდა 2002 წელს და მის მისიას წარმოადგენს მოსახლეობის გაძლიერება, ერთმანეთისაგან განსხვავებული ინდივიდებისა და ორგანიზაციების სამოქალაქო აქტივობებში ჩართვა. აღნიშნული ორგანიზაცია ხელს უწყობს ისეთი სოციუმის ჩამოყალიბებას, სადაც ადამიანები ერთმანეთთან მჭიდრო კონტაქტში იმყოფებიან და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ერთიანი და უსაფრთხო მომავლის ფორმირებაში. SCI-ის ჩამოყალიბების იდეა ეკუთვნის დ. ქროულის, რომელსაც არაკომერციულ ორგანიზაციებში მუშაობის ათწლიანი გამოცდილება გააჩნია. მან დაკვირვების შედეგად აღმოაჩინა, რომ ქვეყანაში ნაკლები ყურადღება ეთმობოდა მოსახლეობისა და სამოქალაქო აქტივობებში

<sup>230</sup> მუსხელიშვილი მ., მეზერიშვილი ლ., ნაცვლიშვილი ბ., ელიზბარაშვილი მ., საზოგადოების კვლევის ცენტრი, (2012) სოციალური კაპიტალის როლი საქართველოს სოფლის განვითარებაში, <http://cssge.ge/wp-content/uploads/2013/01/socialuri-kapitali-CSS-ASCN.pdf> (ნანახია 6.04.2018)

ჩართვას. ქრულის იდეის შთაგონების წყარო გახლდათ რობერტ პატნემის ნაშრომი სახელწოდებით “ბოულინგის მარტო თამაში”.<sup>231</sup>

საკუთარი იდეის განხორციელებისათვის პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა სოციუმთან არაფორმალური კომუნიკაცია, რომელზე დაყრდნობითაც შეიქმნა სამოქმედო გეგმა და ჩამოყალიბდა ორგანიზაციული სისტემა და სქემა. შემდგომ საფეხური იყო ორგანიზაციის განვითარება და პარტნიორი კომპანიების მოძებნა, ევექტიანი კოლაბორაციის შედეგად, გაიხსნა პირველი ოფისი ქალაქ ლინში და შეიქმნა საიტი, რომელიც საშუალებას იძლევა განხორციელდეს კერძო შემოწირულობები. მოცემული ორგანიზაცია ფუნქციონირებს მასში გაწევრიანებული სოციუმის შემოწირულობებით. აღნიშნულ ორგანიზაციაში გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ აღმოსავლეთი მასაჩუსეტის მაცხოვრებელთათვის. ბიუჯეტის მიზნობრიობას წარმოადგენს წევრების ჯანმრთელობის პრობლემების გადაჭრის საკითხში დახმარება, ახალგაზრდების ტრენინგებით უზრუნველყოფა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება, მოხალისეობის განვითარება.

ამჟამად, SCI-ის ბიუჯეტი შეადგენს დაახლოებით 700,000 აშშ დოლარს, მათ მიერ დატრენინგებულია 3,000-მდე მოზარდი და დაახლოებით 498,000 სამუშაო საათი დაიხარჯა საერთო კეთილდღეობის შექმნისათვის.<sup>232</sup>

საქართველოშიც ეტაპობრივად ინერგება სოციალური კაპიტალის განვითარების კულტურა. აღნიშნულს ადასტურებს სს “საქართველოს ბანკის” ინიციატივით დაარსებული ფონდი სახელწოდებით – “ჩვენი ფონდი”, რომელიც დასაქმებულებს მჭიდროდ აკავშირებს ერთმანეთთან და რომლის მიზანსაც წარმოადგენს ბანკის თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრების კრიტიკულ სიტუაციებში დახმარება.<sup>233</sup>

<sup>231</sup> Putnam, R. D. 'Bowling Alone: America's Declining Social Capital', Journal of Democracy 6:1, Jan, [http://muse.jhu.edu/demo/journal\\_of\\_democracy/v006/putnam.html](http://muse.jhu.edu/demo/journal_of_democracy/v006/putnam.html) (ნანახია 26.03.2018)

<sup>232</sup> SCI-Social Capital Inc - <http://www.socialcapitalinc.org/> (ნანახია 28.03.2018)

<sup>233</sup> ჩვენი ფონდი, სს “საქართველოს ბანკი”, <https://bankofgeorgia.ge/ge/employees> (ნანახია 28.11.2018)

## 2.2 ნეგატიური სოციალური კაპიტალი საქართველოში

სოციალური კაპიტალი შესაძლებელია ჩამოყალიბდეს უარყოფით ჭრილშიც, მაიკლ ლესტერი იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც ჩამოაყალიბა ნეგატიური სოციალური კაპიტალის კონცეფცია და განსაზღვრა სოციალური კაპიტალის განვითარების უარყოფითი ასპექტები.<sup>234</sup> ლესტერი ნეგატიური სოციალური კაპიტალის კონცეფციაში მოაზრებს “ყველა იმ ფაქტორის ერთობლიობას, რომელიც ხელს უშლის სოციალურ გაერთიანებებსა და დაჯგუფებებს ეფექტიანად და კეთილსინდისიერად თანამშრომლობაში”. ნეგატიური სოციალური კაპიტალის მაღალი დონე ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, აღსანიშნავია ისიც, რომ პუი-ს მოზიდვისას, ინვესტორის გადაწყვეტილებაზე - დააბანდოს თუ არა რომელიმე ქვეყანაში ფულადი სახსრები, ნეგატიური კაპიტალის დონე გადამწყვეტ როლს თამაშობს, ფულადი სახსრების დაბანდებად, ინვესტორისათვის უმნიშვნელოვანესია დაადგინოს, თუ რამდენად უსაფრთხოა ესა თუ ის გარემო პუი-ს განსახორციელებლად, ნეგატიური სოციალური კაპიტალის მაღალი დონე ინვესტორებში არასანდოობისა და საფრთხის განცდას იწვევს. ნეგატიური ეფექტები შესაძლებელია გამოვლინდეს როგორც შემაკავებელი (bonding), ასევე გამაერთიანებელი (bridging) სოციალური კაპიტალის დონეებზე. ნეგატიური სოციალური კაპიტალის გამოვლინებებია:

**კორუფცია:** ტერმინი “კორუფცია” ლათინური სიტყვისგან - “Corrumpere” წარმოდგება და დანაშაულს ნიშნავს. აღნიშნული ტერმინის მრავალგვარი გაგება არსებობს, თუმცა ყველაზე გავრცელებული და ზოგადი მიდგომით იგი განიმარტება, როგორც “სახელმწიფო ძალაუფლების არადანიშნულებისამებრ გამოყენება არალეგიტიმური, როგორც წესი, საიდუმლო და პირადი კეთილდღეობისთვის. მისი წარმოშობა დაკავშირებულია სოციალური კაპიტალის განვითარების ნეგატიურ ეფექტებთან”.<sup>235</sup>

საინტერესოა სხვადასხვა მეცნიერის შეხედულება კორუფციის შესახებ. სვენსონის განმარტებით, “კორუფცია წარმოადგენს ქვეყნის სამართლებრივ,

<sup>234</sup> Lester, M. et. al (2013) Family Firms and Negative Social Capital: A Property Rights Theory Approach Journal of Behavior and Applied Management 15(11): 11-24.

<sup>235</sup> Transparency International. (2007). Corruption Perceptions Index, 1999-2007. [http://www.transparency.org/policy\\_research/surveys\\_indices/cpi](http://www.transparency.org/policy_research/surveys_indices/cpi) (ნანახია 20.04.2018)

ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ინსტიტუციების ანარეკლს”,<sup>236</sup> პეტერსსა და ველჩს მიაჩნიათ, რომ “ნებისმიერი სახის ქმედება მაშინაა კორუფციული ხასიათის, თუკი ის არღვევს სამოქალაქო თუ საზოგადოებრივი წესრიგის სისტემას და თუ ამ ქმედებას კორუფციულად აღიქმას საზოგადოება”.<sup>237</sup> ლეტბრიჯი თვლის, “კორუფციის შესახებ შეხედულებები ცვალებადია დროის მსვლელობასთან და ღირებულებების ევოლუციასთან ერთად, იგი განსხვავებულია სხვადასხვა კულტურაში, რადგან კორუფცია სოციალური აღქმის, განსჯისა და შეფასების შედეგია. სტანდარტები კი ცვალებადია დროსთან ერთად”.<sup>238</sup> ლანგსეტი კორუფციას ყოფს მსხვილმან და წვრილმან კორუფციად, მისი აზრით, “მსხვილმანი კორუფცია ელინდება ხელისუფლების უმაღლეს რგოლში, რის გამოც საზოგადოებას ხელისუფლებისადმი უმცირდება ნდობის ხარისხი, იგი მიზეზია ასევე კანონის ძალის შესუსტებისა და ეკონომიკური სტაბილურობის ნგერვის. წვრილმანი კორუფციაში კი მოიაზრება მცირე რაოდენობის თანხის მოძრაობა და სამსახურის გაწევა წვრილმანი მნიშვნელობის საქმეებში, ასევე მეგობრებისა თუ ნათესავების დანიშნავს დაბალი დონის თანამდებობზე და წვრილმან ნეპოტიზმს”.<sup>239</sup> მეცნიერი სტევან მორისი მიიჩნევს, რომ კორუფცია ეს არის “საზოგადოებრივი ძალისა და რესურსების პირადი ინტერესებისათვის გამოყენება”.<sup>240</sup> ეკონომისტი იან სენიორის მიხედვით კორუფცია ეს არის “გარკვეული საქონლისა თუ მომსახურების მესამე პირისათვის საიდუმლოდ გადაცემა, რის საფუძველზეც ხორციელდება არაკანონიერი ქმედება გარიგების მონაწილე სუბიექტების სასარგებლოდ”.<sup>241</sup> ეკონომისტი და მსოფლიო ბანკის ღირეპტორი დანიელ კაუფმანი გამოარჩევს “ლეგალურ კორუფციას”, რომლის თანახმადაც კორუმპირებული პირის ძალაუფლება ჯდება კანონის საზღვრებში-ძალაუფლების მქონე ადამიანს ხშირად აქვს საშუალება მიმართოს პროტექციონიზმს, შედეგად კი ვიღებთ გაზრდილ დროით და ფინანსურ ხარჯებს და შემცირებულ სარგებელსა და ხარისხს”.<sup>242</sup>

<sup>236</sup> Svensson, J. 2005. Eight Questions about Corruption. *Journal of Economic Perspectives*, 19, 3, 19-42.

<sup>237</sup> Welch, S. & Peters, J. G. 1977. Attitudes of U.S. State Legislators toward Political Corruption: Some Preliminary Findings. *Legislative Studies Quarterly*, 2, 4, 445-463.

<sup>238</sup> Lethbridge, H.J. (1985). *Hard Graft in Hong Kong: Scandal, Corruption and the ICAC Hong Kong*: Oxford University Press.

<sup>239</sup> Langseth, P. *Measuring Corruption*. 2006. Ashgate Publishing Limited. 7-44.

<sup>240</sup> Morris, S.D. (1991), *Corruption and Politics in Contemporary Mexico*. University of Alabama Press, Tuscaloosa

<sup>241</sup> Senior, I. (2006), *Corruption – The World’s Big C.*, Institute of Economic Affairs, London

<sup>242</sup> Kaufmann, D., (2005). "Legal Corruption" (PDF). World Bank.


მმართველობის ყველა რგოლში შესაძლოა შეგვხვდეს კორუფციის ნიშნები. მისი ყველაზე გავრცელებული ფორმებია: ნეპოტიზმი და კრონიზმი, მექრთამეობა, გამოძალვა, ძალაუფლების ბოროტად ან პირადი მიზნებისათვის გამოყენება და საერთო ქონების გაფლანგვა. როგორც წესი სახელმწიფო მოხელეთა კორუფცია წარმოადგენს სოციალური კაპიტალის ნეგატიურ ფორმას, რომელიც შეიძლება გამოვლენილ იქნეს როგორც შემაკავებელი, ასევე გამაერთიანებელი ნეგატიური სოციალური კაპიტალის დონეზე. კორუფციას მიმართავენ შემდეგი კრიმინალური საქმიანობების ხელშეწყობის მიზნით: ნარკობიზნესი, ფულის გათეთრება, პროსტიტუცია და სხვა. შესაძლებელია კორუფცია სხვა სახის კრიმინალური ქმედების დაფარვის მიზნითაც ხორციელდებოდეს.

კორუფციის ყველაზე აპრობირებული საზომი არის კორუფციის აღქმის ინდექსი - Corruption Perceptions Index, CPI, სწორედ მას იყენებს საერთაშორისო გამჭვირვალობა კორუფციის დონის განსასაზღვრად. „კორუფციის აღქმის ინდექსი“ იმის მიხედვით ანიჭებს ქვეყანას შეფასების ქულას და ახდენს მის რანგირებას, თუ რამდენად კორუმპირებულად აღიქმება საჯარო სექტორი ამ კონკრეტულ ქვეყანაში. ეს ინდექსი სხვადასხვა კვლევების კომბინაციაა. აღნიშნულ კვლევებს დამოუკიდებელი და რესპექტაბელური დაწესებულებები ახორციელებენ და გამოკითხავენ კორუფციის თემაზე მომუშავე ექსპერტებსა და ბიზნესის წარმომადგენლებს. „კორუფციის აღქმის ინდექსი“ ასახავს მოსაზრებებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის იმ ექსპერტებისას, რომლების ცხოვრობენ და მუშაობენ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ანიჭებენ ქულას. ეს არის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში კორუფციის დონის შეფასების ერთ-ერთი საუკეთესო ინდიკატორი. კორუფციის დონის შეფასება მხოლოდ ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით ძალიან ძნელია. ისეთი შემთხვევები, როგორიცაა ქრთამის აღების ფაქტების გახსნილი საქმეების შედარება, სასამართლო საქმეები, რომლებიც უშუალოდ კორუფციას უკავშირდება, არაა საკმარისი იმისათვის, რომ კორუფციის დონის ზუსტი ინდიკატორი მივიღოთ. სწორედ ამიტომ, კვლევების მეთოდოლოგია ეყრდნობა საზოგადოების იმ ნაწილის აღქმას, რომლებსაც შეუძლიათ საჯარო სექტორში კორუფციის ექსპერტული შეფასება გააკეთონ. კვლევები, რომლებიც გამოიყენება CPI ინდექსის შესაფასებლად, მოიცავს საჯარო ძალაუფლების გადამეტებასთან დაკავშირებულ კითხვებს, როგორიცაა საჯარო მოხელეების მოქრთამვა, ქრთამი

სახელმწიფო შესყიდვებისას, საჯარო თანხების გაფლანგვა. კვლევები კითხვების საშუალებით ამოწმებენ საჯარო სექტორში ანტიკორუფციული აქტივობების ეფექტურობასა და სიძლიერეს. ინდექსის გამოთვლისას თითოეული ქვეყნის ქულის დასადგენად სწორედ ზემოთმოსახსენებული კვლევები და კორუფციის შესახებ კითხვები გამოიყენება წყაროებად.<sup>243</sup>

დიაგრამა №4

კორუფციის აღქმის ინდექსის (CPI) დინამიკა საქართველოში, 2010-2017 წწ<sup>244</sup>



2010 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ გამოქვეყნებული „კორუფციის აღქმის ინდექსის“ (CPI) მიხედვით, საქართველომ 178 ქვეყანას შორის 68-ე ადგილი დაიკავა. ქვეყანამ მაქსიმალური 10 ქულიდან 3.8 ქულა მიიღო, 10 ქულიან სისტემაში 0 ნიშნავს ძალიან კორუმპირებულს, ხოლო 10 სრულიად არაკორუმპირებულს. 2011 წელს, საქართველო 183 ქვეყნიდან 64 ადგილზე იმყოფებოდა და მაქსიმალური 10 ქულიდან მას 4.1 ქულა მიენიჭა. 2012 წელს, წინა წელთან შედარებით CPI-ის მაჩვენებელი კიდევ უფრო გაუმჯობესდა, ვინაიდან აღნიშნულ წელს საქართველომ 5.2 ქულა მიიღო „კორუფციის აღქმის ინდექსის“ მიხედვით და 51-ე ადგილი დაიკავა 176 ქვეყანას შორის. 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, მაჩვენებელი მცირედით გაუარესდა და მაქსიმალური 10 ქულიდან შეადგინა 4.9 ქულა, აღნიშნულ წელს, საქართველო 55-ე ადგილზე

<sup>243</sup> Transparency International Georgia. (2010). Corruption Perceptions Index, [http://www.transparency.org/policy\\_research/surveys\\_indices/cpi](http://www.transparency.org/policy_research/surveys_indices/cpi) (nanaxia 20.04.2018)

<sup>244</sup> Transparency International Georgia. (2010-2017). Corruption Perceptions Index

იმყოფებოდა მსოფლიოს 177 ქვეყანას შორის. 2014 და 2015 წლებში CPI-ის მაჩვენებელი დასტაბილურდა და შეადგინა 5.2 ქულა, ქვეყანა 2014 წელს 50-ე ადგილზე იმყოფებოდა 175 ქვეყანას შორის, ხოლო 2015 წელს 48-ე ადგილზე ამოიწია 168 ქვეყანას შორის. 2016 წელს, წინა წელთან შედარებით მაჩვენებლის მკვეთრი გაუმჯობესება აღინიშნა, CPI-ის მაჩვენებელი გაიზარდა 5.7-მდე, ხოლო საქართველომ რეიტინგში 44-ე ადგილი დაიკავა 175 ქვეყანას შორის. რაც შეეხება, 2017 წელს, „კორუფციის აღქმის ინდექსის“ უმნიშვნელო კლება დაფიქსირდა წინა წელთან შედარებით და რეიტინგში საქართველო 46-ე ადგილზე აღმოჩნდა 180 ქვეყანას შორის. 2017 წლის ინდექსის მიხედვით, კორუფციის აღქმის დონე ყველაზე დაბალია ახალ ზელანდიასა - 89 ქულა და დანიაში -88 ქულა, ხოლო ყველაზე მაღალი – სომალიში -9 ქულა, სამხრეთ სუდანსა-12 ქულა და სირიაში -14 ქულა.<sup>245</sup>

„კორუფციის აღქმის ინდექსის“ მიხედვით, ის ქვეყნებში, რომლებიც რეიტინგში დაბალ ადგილებს იკავებენ, ნაკლებია საზოგადოების ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ და არაეფექტიანია ამ დაწესებულებების-მაგალითად, პოლიციისა და სასამართლოს - მუშაობა. ასეთ ქვეყნებში თითქმის არ მუშაობს კანონები, რომლებიც, შესაძლოა, არსებობდეს მხოლოდ ფორმალურად, ხოლო სახელმწიფო მოხელეები მდიდრდებიან, ქვეყნის განვითარების შეფერხების ხარჯზე.

არადამაკმაყოფილებელი კორუფციული ფონი პუი-ს მოზიდვისას გადაწყვეტილების მიღებზე დიდ გავლენას ახდენს, რადგან სახელმწიფო მოხელეების მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებამ, მაღალმა კრიმინოგენულმა ფონმა, მექრთამეობამ და სხვა კორუფციულმა აქტივობებმა შესაძლოა ინვესტორი გაკოტრებამდე მიიყვანოს. ქვეყნის წარმომადგენლობით ორგანოებს სწორედ რომ სახელმწიფო სტრუქტურები წარმოადგენენ და მათი გაუმართავი და არაკეთილსინდისიერი მუშაობა პირდაპირპროპორციულად მოქმედებს ინვესტორის გადაწყვეტილებაზე – განახორციელოს თუ არა პუი.

**ნეპოტიზმი და კრონიზმი:** ნეპოტიზმი არის სოციალური კაპიტალის ნეგატიური ფორმა, რომლის დროსაც ხდება მეგობრებისა და ნათესავებისათვის განსაკუთრებული უპირატესობის მინიჭება მათი დამსახურებისა და მიუხედავად, იგი ძირითადად ვლინდება შემთავსებელი სოციალური კაპიტალის დონეზე და კორუფციის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს. სიტყვა “ნეპოტიზმი”

<sup>245</sup> Transparency International Georgia. (2010-2017). Corruption Perceptions Index

წარმოსდგება ლათინური სიტყვისაგან „ნეპო“, რაც დისშვილს/ძმისშვილს ან შვილიშვილს ნიშნავს. ნეპოტიზმის განმარტებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ნათესავის დანიშვნა ნებისმიერი სახის თანამდებობაზე, სხვა პირის დისკრიმინაციის ხარჯზე. ნეპოტიზმს წარმოადგენს სამსახურში ისეთი ადამიანის დასაქმება, რომელიც არაა საკმარისად კვალიფიციური და მხოლოდ ნაცნობობის ან ნათესაობის გამო საქმდება ამა თუ იმ ორგანიზაციაში. კრონიზმი ნეპოტიზმის უფრო ვიწრო გაგებას გულისხმობს. ტერმინში -“კრონიზმი” მოიაზრება ოჯახის წევრებისათვის პრივილეგიების მინიჭება საზოგადოების ხარჯზე. სოციალური კავშირებისა და კონტაქტების ჩამოსაყალიბებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნდობისა და კოლაბორაციის განვითარება, თუმცა ორივე მახასიათებელი წარმოადგენს ნეპოტიზმისა და კრონიზმის წარმოშობის დიდ საფრთხეს. კონკრეტული ინდივიდებისადმი გამოხატული ნდობის გადაჭარბებული ხარისხი განაპირობებს მიკერძოებულობას და არაობიექტურობას, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ნეპოტიზმისა და კრონიზმის მყარ ბაზისს, სწორედ ნეპოტიზმი და კრონიზმი წარმოშობს მრავალ პრობლემას, ესენია: სამუშაო ადგილების არაპროფესიონალი კადრებით დაკომპლექტება, კომპანიის ეფექტიანად განვითარების შეფერხება, პროფესიონალი კადრების დაჩაგვრა და უმუშევრობის გამო სხვა ქვეყნებში ტვინების გადინება, ნეპოტიზმიც და კრონიზმიც ეწინააღმდეგება დემოკრატიულ პრინციპებს და ხელს უშლის ქვეყნის განვითარებას. საქართველოში დღესდღეისობით ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას სწორედ ნეპოტიზმი და კრონიზმი წარმოადგენს, რაც განსაკუთრებით მწვავედ გამოიხატება საჯარო სექტორში, ვინაიდან აღნიშნულ სექტორში მომუშავე თანამშრომლების ანაზღაურება უშუალოდ საზოგადოების მხრიდან გადახდილ გადასახადებზეა დამოკიდებული. საჯარო სექტორში გამოვლენილი ნეპოტიზმი და კრონიზმი ქვეყნის განვითარების მთავარ შემაფაერხებელ ფაქტორს წარმოადგენს შემდეგი მიზეზების გამო:

- თუ პიროვნება თანამდებობაზე ნეპოტიზმის ან კრონიზმის საფუძველზე ინიშნება, დიდია ალბათობა იმისა, რომ, მას არ გააჩნდეს სათანადო კომპეტენცია, რითიც აფერხებს მთავრობის ეფექტიანად ფუნქციონირებას. საქართველოში საჯარო სექტორის ყველა რგოლში შეხვდებით არაკვალიფიციურ საჯარო მოხელეებს, აღნიშნულს კი კარგად ხსნის ნეპოტიზმი და კრონიზმი;

- ქართველ ახალგაზრდებს ეუფლებათ განცდა, რომ კარიერული წინსვლისთვის სულაც არ არის საჭირო ცოდნის მიღება და თავდაუზოგავი შრომა. თუ დაწინაურებას და წარმატების მიღწევას, პირველ რიგში, განსაზღვრავს ნათესაური და ახლობლური კავშირები, მაშინ ქრება ადამიანური კაპიტალის განვითარების სტიმული. განათლების დონის გაუმჯობესების ყველა მცდელობა ფუჭი იქნება, თუ, საბოლოოდ, კვალიფიცირებული ინდივიდები ვერ დაიწყებენ მუშაობას;
- ნეპოტიზმი/კრონიზმი ხელს უწყობს მახინჯი ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებას, პროტექციით დანიშნული ადამიანები ერიდებიან კოლეგების შეცდომების აღნიშვნას, რადგან პროტექტორებისაგან პირადად არიან დავალებული. ასევე, რთულია იმ კოლეგებისგან საეჭვო დავალებებისა და მოთხოვნების შესრულებაზე უარის თქმა, რომელთანაც პირადი კავშირებია გაბმული.

სუბიექტურ შეხედულებებზე დამყარებული გადაწყვეტილებების მიღება დაუშვებელია და საჭიროა საჯარო სექტორის თანამშრომელთა შერჩევისას ან იერარქიულ საფეხურებზე დაწინაურებისას დაცული და გათვალისწინებული იქნეს ის სტანდარტები და უნარები, რომლებიც საჯარო სამსახურში მომუშავე ინდივიდს უნდა გააჩნდეს. მეცნიერები ხათრი და ცანგი მსჯელობენ ორგანიზაციაში ნეპოტიზმით გამოვლენილ ნეგატიურ სოციალურ კაპიტალზე. ისინი ამტკიცებენ, რომ “კომპანიაში ნეპოტიზმი შეიძლება ორგვარად, როგორც ჰორიზონტალურად, ისე ვერტიკალურად, გამოვლინდეს. ისინი ჰორიზონტალურ ნეპოტიზმად განიხილავენ იერარქიის დაახლოებით ერთ საფეხურზე მყოფ თანამშრომლებს შორის ურთიერთობას და პრივილეგიების მინიჭებას, როდესაც მათ გააჩნიათ რაიმე სახის ახლობლური კავშირი. რაც შეეხება ვერტიკალურ ნეპოტიზმს, იგი ვლინდება ხელმძღვანელ რგოლსა და მასთან დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომელს შორის, რის შედეგადაც დაბალი რგოლში დასაქმებული მენეჯერი ხელშეუხებლობით, პრემიებით და სხვადასხვა პრივილეგიებით სარგებლობს სხვა თანამშრომლებისაგან განსხვავებით”.<sup>246</sup> ასევე საინტერესოა მეცნიერ ჰერნანდესის კვლევა, სადაც იგი აღწერს იმ ორგანიზაციულ

<sup>246</sup> Khatri, N., & Tsang, E. W. K. (2003). Antecedents and Consequences of Cronyism in Organizations. *Journal of Business Ethics*, 43(4), 289-303.

გართულებებს, რაც მოჰყვება ნათესავებისა და ნაცნობების დასაქმება – დაწინაურებას.<sup>247</sup> მაღდერი აღნიშნავს, რომ “უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში ნეპოტიზმმა გარკვეული სახეცვლილება განიცადა. იგი აღნიშნულ საკითხის კლასიფიკაციას ახდენს და მათ კლასიკურ და თანამედროვე ნეპოტიზმად ყოფს. კლასიკურ ნეპოტიზმში მოიაზრება მმართველი რგოლის მიერ საკუთარი ნათესავების დასაქმება, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ საჭირო უნარები.<sup>248</sup> მეცნიერი ადამ ბილოუ მიიჩნევს, რომ თანამედროვე ორგანიზაციის მმართველი იდეოლოგია დაფუძნებულია ნეპოტიზმზე”.<sup>249</sup> აღნიშნულს ეთანხმება მეცნიერი ბრენდონ კონვეი, რომელიც ფიქრობს, რომ “თანამედროვე ნეპოტიზმის პირობებში, ხელმძღვანელები ცდილობენ, რომ კვალიფიციური კადრები მოიძიონ საკუთარი ნათესავებისა თუ ახლობლების წრეში დისტანციურად და არა უცხო წრეებში კვალიფიკაციის გათვალისწინებით”.<sup>250</sup>

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ დაკვეთით „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა“ (CRRC), 2015 წელს ჩაატარა კვლევა საქართველოს მოქალაქეების განწყობის გამოსავლენად საჯარო და კერძო სამსახურში ნეპოტიზმსა და კრონიზმთან დაკავშირებით. როგორც კვლევის შედეგებიდან გაირკვა, გამოკითხულთა 5% (სრულად ამართლებს 1%, ხოლო ნაწილობრივ -4%) ამართლებს თანამდებობის პირების მიერ, ღია კონკურსის ორგანიზების გარეშე, თავიანთი ნათესავების, მეგობრების ან პარტიის წევრების საჯარო სექტორში დასაქმებას. კერძო სექტორში ახლობლების დასაქმება კი 19%-ისათვის აღმოჩნდა მისაღები. (სრულად ამართლებს -4%, ხოლო ნაწილობრივ -15%). აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა 68%-ისთვის თანამდებობის პირების მხრიდან ნათესავების, მეგობრების ან პარტიის წევრების საჯარო სექტორში დასაქმება ნაწილობრივ (20%) ან საერთოდ (48%) მიუღებელია, კერძო სექტორში კი რესპონდენტთა 34%-ისთვის ნაწილობრივ (17%) გაუმართლებელად, სრულად გაუმართლებელად (27%) მიიჩნევს.<sup>251</sup> (იხ. დიაგრამა №5 )

<sup>247</sup> Hernandez, E. H., & Page, R. A. (2006). Nepotism in the employment recruitment process: How nepotism builds organizational commitment. *Journal of Business Management and Change*, 1(1), 3–13.


<sup>248</sup> Mulder, B K, 2008 RISKING THE BUSINESS OR REAPING THE ANTECEDENTS AND CONSEQUENCES OF NEPOTISM *Prorquestjournals*, 3(12), pp 26-167

<sup>249</sup> Bellow, A. (2003). *In Praise of Nepotism: A Natural History*. Garden City, NY: Doubleday

<sup>250</sup> Conway, B. "The new nepotism." *Public Interest*, no. 154, 2004, p. 130+. Academic OneFile, Accessed 22 May

<sup>251</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, (2015). ნეპოტიზმი, თანამდებობის ბოროტად გამოყენება, მექრთამეობა: საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები, <http://www.transparency.ge/ge/blog/nepotizmi-tanamdebobis-borotad-gamoqeneba-mekrtameoba-sazogadoebrivi-azris-gamokitkhvis-shedegebi> (ნანახია 26.05.2018)

გამოკითხვის შედეგები ნეპოტიზმსა და კრონიზმზე საჯარო და კერძო სექტორებში 2015 წელს. (%)



აღნიშნული გამოკითხვა ადასტურებს, რომ ქართული მოსახლეობა განსაკუთრებით სენსიტიურია და ნეგატიურად რეაგირებს საჯარო სექტორში განვითარებულ ნეპოტიზმსა და კრონიზმზე, ვიდრე კერძო სექტორში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნეპოტიზმისა და კრონიზმის მასობრივმა განვითარებამ შესაძლოა შეაფერხოს საჯარო სტრუქტურების ფუნქციონირება, რაც შესაძლოა გახდეს პუის მოზიდვის შემაფერხებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ნათესავურ-მეგობრული კონტაქტებით დანიშნული არაინფორმირებული და არაკვალიფიციური კადრები თავს ვერ ართმევენ დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას, რაც პროცესების დროში გაწელვის, ვადლებულებების სხვა თანამშრომელზე დელეგირების, უხარისხოდ შესრულებული პროექტების მიზეზია. პუი-ს მოზიდვისას მოვლენებზე სწორი და ოპერატიული რეაგირება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამ დროს ყალიბდება ნდობა გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის მხრიდან, ნდობის მაღალი ხარისხი კი დადებითად მოქმედებს ინვესტორის მხრიდან გადაწყვეტილების მიღებაზე და პუი-ს განხორციელებაზე.

**მექრთამეობა:** სოციალური კაპიტალის ნეგატიური ფორმაა, რომელიც წარმოადგენს კორუფციის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ნაირსახეობას. მექრთამეობა დამახასიათებელია ადამიანთა ფორმალური გაერთიანებებისათვის, სწორედ ამიტომ იგი ძირითადად გვხვდება გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალის დონეზე და მის ნეგატიურ გამოვლინებას წარმოადგენს. ტერმინში “მექრთამეობა” მოიაზრება ნებისმიერი სახის ფასეულობის გაცემის ან მიღების პროცესი, რომელის მიზანია ქრთამის მიმღების გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა და მისი ქცევის ან აზრის შეცვლა ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ.<sup>252</sup> მექრთამეობის სხვადასხვა ფორმა არსებობს, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს როგორც მატერიალურ, ასევე არამატერიალურ ფორმაში, ესენია: ფულის, სხვადასხვა სახის საჩუქრის აღება, საჭირო ინფორმაციის მიწოდება, სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევა და ა.შ. მექრთამეობაში ასევე იგულისხმება პირის მიერ სამსახურობრივი პრივილეგიის გამოყენება გარკვეული მატერიალური თუ არამატერიალური საფასურის მიღების სანაცვლოდ.<sup>253</sup> მექრთამეობა, პროცესში მონაწილეობის მიხედვით, იყოფა აქტიურ და პასიურ მექრთამეობად, აქტიურ მექრთამეობაში იგულისხმება ქრთამის მიცემა, ხოლო პასიურში – აღება.<sup>254</sup>

ქვეყნების სოციალური კაპიტალის დონისა და სტრუქტურის განსხვავებულობის გამო სხვადასხვანაირია კანონმდებლობა და მექრთამეობის ფაქტზე რეაგირება სხვადასხვა ქვეყანაში. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, 338-ე მუხლით, ქრთამის აღება და თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენება ისჯება ექვსიდან ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ათი ათას ლარისა და მასზე მეტით შეფასებული ქრთამის აღება – ისჯება შვიდადნ თეთომეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ხოლო, ოცდაათი ათასი ლარის ზემოთ თანხის ქრთამის სახით აღების შემთხვევაში თერთმეტიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთით.<sup>255</sup> ქრთამის აღებისთვის ყველაზე მკაცრი სადამსჯელო ფორმა, სიკვდილით დასჯა, მოქმედებს კუბაში და ჩინეთში, რომლებიც წარმოადგენს კომუნისტური წყობილების ქვეყნებს.<sup>256</sup> კუბაში,

<sup>252</sup> Staff, LII (2007). "Bribery". LII / Legal Information Institute. Archived from the original on 8 March 2018. Retrieved 8 May 2018.

<sup>253</sup> Hamilton, A.; Hudson, J. (2014). "Bribery and Identity". Bath Economic Research Papers, No 21/14. Archived (PDF) from the original on 2014-05-02.

<sup>254</sup> Hamilton, A.; Hudson, J. (2014). "The Tribes that Bind: Attitudes to the Tribe and Tribal Leader". Bath Economic Research Papers 31/14. Archived (PDF) from the original on 2015-02-06.

<sup>255</sup> saqarTvelos sisxlis samarTlis kodeqsi, 1991, muxli 338. qrTamis aReba (25.07.2006 N 3530)

<sup>256</sup> Feldbrugge, F.J.M. 1989. "The Soviet Second Economy in a Political and Legal Perspective." In Edgar L. Feige, editor, *The Underground Economies*, pp. 297-338. Cambridge: Cambridge University Press.

ჩინეთთან შედარებით შემწეარებლური სოციალური კაპიტალის არსებობის გამო, უფრო ღმობიერად უდგებიან ქრთამის აღების მოვლენას, ჩინეთში აღნიშნული კანონი ყველაზე მკაცრად მქომედებს, რის გამოც ბოლო ათი წლის განმავლობაში დაახლოებით 10 ათასი სახელმწიფო მოხელე დახვრიტეს.<sup>257</sup> დიდ ბრიტანეთში მექრთამეობის წინააღმდეგ ორი კანონი მოქმედებს: პატიმრობა ან ქრთამის მოცულობის თანხის გადახდა, ამასთან ერთად, საჯარო მოხელეს შვიდი წლის განმავლობაში არ გააჩნია უფლება იმუშავოს საჯარო სამსახურში. განმეორებითი სასჯელის შემთხვევაში დამნაშავე სამუდამოდ კარგავს შესაძლებლობას იმუშაოს საჯარო სტრუქტურაში და ვედარ მიირებს ვერანაირ კომპენსაციას ან პენსას.<sup>258</sup> აშშ-ს კანონმდებლობა ითვალისწინებს ქრთამის თანხის სამმაგი ოდენობით დაბრუნებას ჯარიმის სახით ან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას. შესაძლებელია სასამართლომ ერთდროულად გამოიტანოს ორივე სასჯელი.<sup>259</sup> ევროპის ქვეყნებში მექრთამეობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით: გერმანიაში –სამ წლამდე (ქრთამის მიმღები თუ აღმოჩნდა მოსამართლე, იგი დაისჯება ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთით), იტალიაში –ოთხიდან თორმეტ წლამდე, ფინეთში –ორ წლამდე, საფრანგეთში – კერძო სექტორში მომუშავეები ისჯებიან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ხოლო საჯარო სექტორში დასაქმებულები-ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთით.<sup>260</sup>

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ 2018 წლის 11 მაისს გამოაქვეყნა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები, რომელიც „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა“ ჩაატარა. კვლევა განხორციელდა 2018 წლის 3-28 მარტის პერიოდში, გამოკითხვა საქართველოს მასშტაბით 1843 ადამიანი. გამოკითხულთა დაახლოებით 1%-მა განაცხადა, რომ ბოლო 1 წლის განმავლობაში მათ ან მათი ოჯახის წევრებს ქრთამი მოსთხოვეს სახელმწიფო მომსახურების სანაცლოდ; (გამოკითხვის საშუალო ცდომილება 2,8 პროცენტს

<sup>257</sup> Teresa Welsh (June 11, 2015). "China's Corruption Crackdown: Progress or Politics?". U.S. News & World Report. Retrieved 2015-06-30.

<sup>258</sup> Transparency International: Lifting the Lid on Lobbying: The Hidden Exercise of Power and Influence in the UK, February 2015.

<sup>259</sup> Genovese, M. A; V. A Farrar-Myers (2010). Corruption and American Politics. Cambria Press. ISBN 978-1-60497-638-0

<sup>260</sup> European Commission - Press Release, "Commission fights corruption: a stronger commitment for greater results", 6 June 2011

შეადგენს.)<sup>261</sup> საქართველოს სტატისტიკის ბიუროს მონაცემებით, 2016 წელს საქართველოში დაფიქსირდა ქრთამის აღების თერთმეტი ფაქტი, აქედან გახსნილია მხოლოდ ოთხი, აქედან ერთ მათგანს მიესაჯა ერთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა, სამს- ორიდან სამ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ერთს- სამიდან ხუთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა. 2017 წელს მხოლოდ ექვსი ადამიანია ქრთამის აღების ფაქტზე რეგისტრირებული, აქედან ჯერ არცერთი საქმე არ გახსნილა.<sup>262</sup>

OECD-ის უახლოესი ბოლო პერიოდის კვლევის მიხედვით, პუი-ს განხორციელებისას ხშირად ფიქსირდება ქრთამის მიცემის ფაქტები ისეთ ქვეყნებში, რომელბსაც გააჩნიათ სასურველი საინვესტიციო გარემო და ამასთან ერთად გამართულად არ ხორციელდება საკანონმდებლო სტრუქტურების ფუნქციონირება. ამით ინვესტორები თავიდან იცილებენ ბიუროკრატიულ სირთულეებს და ახორციელებენ ისეთ ქმედებებს, რაც კანონით გაუშვრთლებელია. მაგალითად, კონკრეტულ ტერიტორიებზე გათხრების წარმოება და ნედლეულის მოპოვება, მშენებლობის დაწყება და ა.შ. ქრთამის მიცემა ინვესტორებისათვისაც და ქრთამის ამღებისათვისაც სარისკო ქმედებას წარმოადგენს, ვინაიდან ინვესტორისათვის, დაბალი სოციალური კაპიტალის მქონე ქვეყნებში ინვესტიციის განხორციელებისას და ქრთამის მიცემისას, დიდია იმის რისკი, რომ დანაპირები არ შესრულდეს და ინვესტორმა ფინანსური ზარალი განიცადოს, ქრთამის ამღების მხრიდან არსებობს პასუხისგებაში მიცემის რისკი და ამავედროულად არამართლზომიერი ქმედების შედეგად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შეფერხების რისკი. (მათ შორის ინვესტორზე ისეთი აქტივის მისხვისება, რაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს, ტერიტორიების უვადოდ მიყიდვა და ა.შ.) ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით საერთაშორისო თანამეგობრობის დელეგირებით, 2005 წელს გაეროს კონვენცია ძალაში შევიდა კორუფციის, მათ შორის მექრთამეობის წინააღმდეგ. OECD-ის მიერ შემუშავებული მექრთამეობის საწინააღმდეგო კონვენცია არეგულირებს ინვესტორებსა და ქვეყნის მთავრობებს შორის კეთილსინდისიერ თანამშრომლობას და კრძალავს ისეთ ქმედებებს,

<sup>261</sup> საერთაშორისო გამჭვირვალეობა საქართველო: ნეპოტიზმი, თანამდებობის ბოროტად გამოყენება, მექრთამეობა: საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები, 2018, <http://www.transparency.ge/ge/post/sazogadoebri-azris-kvleva-korupcia-ndoba-institutebis-mimart-da-sajaro-politikis-sakitxebi> (ნანახია 05.06.2018)

<sup>262</sup> სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა საქართველოში, 2016-2017 წწ

როგორცაა საერთაშორისო ბიზნეს ტრანზაქციების განხორციელებისას უცხო ქვეყნის საჯარო მოხელეების მოსყიდვა (მათ შორის ქრთამის შეთავაზება და დაპირება).<sup>263</sup>

**კოლექტიური ქცევა:** ნეგატიური სოციალური კაპიტალის ერთ-ერთი ფორმაა კოლექტიური ქცევა, იგი წარმოადგენს ადამიანთა ჯგუფურ მოქმედებას, სადაც სხვა ადამიანთა თანაარსებობა და ზემოქმედება აყალიბებს სტანდარტული ქმედებისგან გადახრის ტენდენციას. კოლექტიური ქცევა, ძირითადად, არის უეცრად წარმოქმნილ, კრიტიკულ სიტუაციებზე ადამიანთა მასობრივი, სპონტანური რეაქციები. კოლექტიური ქცევის გარემოს ახასიათებს ინდივიდუალური ნება-სურვილისა და გონის დაკარგვა და ჯგუფური ფსიქოლოგია, ამიტომ ასეთი მოქმედება ჩვეულებრივზე უფრო ხშირად ფეთქებადი, აგრესიული და არაპროგნოზირებადია. პანიკა არის კოლექტიური ქცევის კლასიკური მაგალითი. კოლექტიური ქცევა ასევე ვლინდება ომების, რევოლუციების და სტიქიური უბედურებების დროს. მრავალ სოციოლოგიურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ<sup>264</sup> თეორიაში გვხვდება ამგვარი ქცევის სხვადასხვაგვარი გამოვლინება,<sup>265</sup> მაგ.: მასობრივი მიტინგები, ბუნტი, აჯანყება, აღნიშნული აქტივობები წარმოადგენს სოციალური წესრიგის დარღვევის მექანიზმს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალურ-პოლიტიკურ გადატრიალებებში, აღნიშნული მოქმედებები ხშირად იწვევს ქვეყნის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ დესტაბილიზაციას და რყევებს, სწორედ ამაში მდგომარეობს კოლექტიური ქცევის ნეგატიური ეფექტები. კოლექტიური ქცევის სამი ფორმა არსებობს, ესენია: მასობრივი ქცევა, ხალხის მასის ქცევა და სოციალური მოძრაობა.<sup>266</sup>

მასობრივი ქცევა გამოიხატება მაშინ, როდესაც ინდივიდები ცალცალკე იდენტურად რეაგირებენ ერთსა და იმავე მოვლენაზე, მაგალიტად, მოდის ტენდენციების ფართოდ გავრცელება, პანიკა და ა.შ, მასობრივი ქცევის ნეგატიური ასპექტს წარმოადგენს პროპაგანდა, იგი არის ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთი სახე. პროპაგანდა მცდელობაა საზოგადოებას ესა თუ ის შეხედულება დანერგოს საზოგადოებაში „არაპატიოსანი გზით“ ანუ

<sup>263</sup> Blundell-Wignall, A. and C. Roulet (2017), "Foreign direct investment, corruption and the OECD Anti-Bribery Convention", OECD Working Papers on International Investment, 2017/01, OECD Publishing, Paris.

<sup>264</sup> Le Bon, G. (1895). "The Crowd: A Study of the Popular Mind". Retrieved November 15, 2005.

<sup>265</sup> Smelser, Neil J. Theory of Collective Behavior, Free Press, Glencoe, Ill., 1962.

<sup>266</sup> Zomeren, M.; Postmes, T.; Spears, R. (2012). "On conviction's collective consequences: Integrating moral conviction with the social identity model of collective action". British Journal of Social Psychology. 51 (1): 52–71.

საპირისპირო თვალსაზრისის მიწოდების გარეშე. პროპაგანდა მანიპულირებს ინდივიდთა ემოციებით. მისი მიზანია სასურველი შეხედულებები ჩამოუყალიბოს მსმენელს.<sup>267</sup>

ხალხის მასის ქცევა არის ერთად შეკრებილი ინდივიდების ერთობლივი მოქმედება. მაგ.: ქუჩის არეულობები და მიტინგები. ხალხის მასის ქცევას ახასიათებს რიგი თავისებურებები, მე-20 საუკუნის დასაწყისის ფრანგი სოციოლოგი გუსტავ ლებონი მიიჩნევდა, რომ “ხალხის მასა ხასიათდება ამორალური და შეუზღუდავი ქცევით.” ლებონი ამტკიცებდა, რომ ბრბოს ქცევას განაპირობებს სამი მექანიზმი:

1. არაიდენტიფიკაცია -ადამიანი ნაკლებად არის პასუხისმგებელი საკუთარ ქცევაზე, როდესაც იგი ხვდება, რომ ხალხში მისი ამოცნობა შეუძლებელია;
2. ”ემოციური ინფიცირება” - განწყობის გადაცემა ერთი ინდივიდიდან მეორეზე;
3. ინსპირაცია -ჯგუფში წამოყენებული ყველა მოწოდებისა და მოთხოვნის მიღება და შესრულება კრიტიკის გარეშე, ჰიპნოზის მსგავსად.<sup>268</sup>

ხალხის მასის ქცევასთან დაკავშირებით, არსებობს მრავალი თეორია, ასეთია მაგალითად ერნესტ ბორმანის მიერ შემუშავებული კონვერგენციის თეორია, რომლის თანახმადაც “ხალხის მასის შეკრებისას მსგავსი შეხედულებებისა და საერთო განწყობის მქონე ინდივიდები ერთიანდებიან”.<sup>269</sup> მისი აზრით მასას ქმნიან ინდივიდები, რომლებსაც გააჩნიათ საერთო განწყობა კონკრეტული მოვლენისადმი, მაგალითად, საპროტესტო დემონსტრაცია - ინდივიდს დემონსტრაციაზე მისვლამდე გააჩნდა გარკვეული შეხედულება და განწყობა, ეს კი იმაზე მიაჩნებოდა, რომ მასას ქმნის საერთო შეხედულების მქონე ინდივიდთა ერთობა. კონვერგენციის თეორიას არ ეთანხმებიან მეცნიერები რაღაც ტერნერი და ლუის კილიანი, მათ ჩამოაყალიბეს მეისიერი ნორმის თეორია, რომლის მიხედვითაც “მასაში საზოგადოებრივი ნორმები სპონტანურად ყალიბდება”.<sup>270</sup> დამატებითი ღირებულების თეორია ხსნის იმ მიზეზებს, რომელშიც განაპირობებს ხალხის მასის ქცევას. აღნიშნული თეორიის მიხედვით, “თუ სახელმწიფოში არ ხდება საერთო-საზოგადოებრივი ნორმებისა და წესების

<sup>267</sup> Garber, William (1942) ‘Propaganda Analysis —To What Ends?’ p. 240, The American Journal of Sociology, Vol. 48, No. 2, September, The University of Chicago Press, had previously

<sup>268</sup> Le Bon, G. (1895). "The Crowd: A Study of the Popular Mind". Retrieved November 15, 2005.

<sup>269</sup> Bormann, E. (1985). Symbolic convergence theory: A communication formulation. Journal of Communication, 35(4), 128–155.

<sup>270</sup> Turner, R., Killian L., (1987) Collective Behavior. Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall

დაცვა, ამ შემთხვევაში წარმოიქმნება მასობრივი უკმაყოფილება, რაც გამოხატულებას ჰპოვებს საპრიოტესტო აქციებში, მიტინგებში, გაფიცვებსა და სხვა მსგავს აქტივობებში”.<sup>271</sup> ხსენებულ თეორიას იმიტომ ეწოდება დამატებითი ღირებულების, რადგან სოციალური პროტესტის ფორმას გააჩნია სხვადასხვა სტადია და ყოველი წინა აქტივობა „მატებს ღირებულებას“ შემდგომი სტადიის მიღწევას. ეს სტადიებია: სოციუმში დაძაბულობის ჩამოყალიბება, დაძაბულობის გამომწვევი მიზეზების აღმოჩენა, სამოქმედო სქემის შედგენა და ა.შ.

სოციალური მოძრაობები- ორგანიზებული კოლექტიური რეაქციებია სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე. მაგ.: მხარდამჭერი აქციები.<sup>272</sup> აღნიშნულ საკითხს ხსნის რამდენიმე თეორია:

ფარდობითი დეფიციტის (დეპრივაციის) თეორიის მიხედვით “სოციალურ მოძრაობებს საზოგადოების წევრთა შორის არსებული სოციალური კაპიტალის დეფიციტი წარმოქმნის”.<sup>273</sup> არსებობს ფარდობითი და აბსოლუტური სოციალური კაპიტალის დეპრივაცია, ფარდობით დეფიციტთან გვაქვს საქმე, როცა ადამიანები თავს იმედგაცრულებულად გრძნობენ მათთან შედარებით, ვისაც ყოველდღიურ ცხოვრებაში, თავს ადარებენ. რაც უფრო დიდია ფარდობითი დეფიციტის შეგრძნება მით მეტია გულგატეხილობისა და იმედგაცრუებულობის განცდა, რაც აგრესიას და მდგომარეობის შეცვლის მცდელობებს ბადებს.

რესურსების მობილიზების თეორია ხსნის, რომ “რესურსთა მობილიზება დაკავშირებულია საერთო მიზნების მისაღწევად ჯგუფის შემადგენელ ინდივიდთა მიერ რესურსების მოგროვისა და ორგანიზების პროცესთან.”<sup>274</sup> ამ თეორიებში გაანალიზებულია სოციალური მოძრაობის კავშირები და კონტაქტები სხვადასხვა ჯგუფურ გაერთიანებებთან, აღნიშნულ თეორიას გააჩნია რიგი ნაკლოვანებები:

- სოციალური მოძრაობების მიმართ გავლენიანი პირების მხრიდან გაწეული პროტექციონიზმი ნაკარნახევია არა სოციალური სამართლიანობის ნორმების დასაცავად, არამედ მიზნად ისახავს მასის ძალის ბოროტად და სუბიექტური მიზნებისათვის გამოყენებას;

<sup>271</sup> Neil J. Smelser, (1962) Theory of Collective Behavior, Free Press, Glencoe, Ill.,

<sup>272</sup> Stephen C. Wright; Donald M. Taylor; Fathali M. Moghaddam (June 1990). "Responding to Membership in a Disadvantaged Group: From Acceptance to Collective Protest". Journal of Personality and Social Psychology. 58 (6): 994–1003.

<sup>273</sup> Rydgren, J. 2007. The Sociology of the Radical Right. Annual Review of Sociology, 33, 241-262.

<sup>274</sup> Seltzer, Judith B. "What is Resouce Mobilization". Health Communication Capacity Collaborative. Management Sciences for Health. Retrieved 20 October 2014

- სოციალურ მოძრაობათა პროფესიონალიზაციამ შეიძლება უფრო ზიანი მიაყენოს, ვიდრე ხელი შეუწყოს აღნიშნულ მოძრაობებს. მოძრაობა წარმატებულად მაშინ აღიქმება, როდესაც საზოგადოების პროგრესულად მოაზროვნე ინდივიდები ერთიანდებიან საერთო მიზნის მისაღწევად, რომლებიც შეიმუშავენ ტაქტიკურ სიახლეებსა და ლიდერებს მიაწოდებენ პრობლემური საკითხების გადაჭრის ახალ გზებსა და იდეებს.

**დანაშაული და ნეგატიური არაფორმალური კავშირები:** ნეგატიური სოციალური კაპიტალის ერთ-ერთი ყველაზე ყურადსაღები და მნიშვნელოვანი გამოვლინებაა დანაშაული და კრიმინალი, რომელიც სათავეს იდებს ნეგატიურ არაფორმალურ კავშირებისა და დაჯგუფებებთან ურთიერთმედების შედეგად. ცნობილია, რომ თითოეული ინდივიდი სოციუმის ნაწილია და მისი საზოგადოებასთან კოჰაბიტაციით იქმნება სოციალური კაპიტალი, როდესაც ინდივიდი ერთიანდება არაჰუმანურ, ამორალურ, სუბიექტური მიზნების განხორციელებაზე ორიენტირებულ და კრიმინალური აზროვნების მქონე დაჯგუფებებთან ასეთ დროს წარმოიქმნება ნეგატიური სოციალური კაპიტალი. საზოგადოების წევრები, ნებით თუ გაუცნობიერებლად, ხვდებიან სხვა ადამიანების ან სოციალური გაერთიანებების ზემოქმედების ქვეშ. ლიტერატურაში ცნობილია სოციალური გავლენის სამი ტიპი: კონფორმულობა, დათმობა და ავტორიტეტისადმი მორჩილება.<sup>275</sup> აღნიშნული კავშირები წარმოშობს ნეგატიურ სოციალურ კაპიტალს. კონფორმულობა ადამიანის მიერ საკუთარი რწმენებისა და ქცევის შეცვლის ტენდენციით ხასიათდება იმ სოციუმის წევრების ქცევის შესაბამისად, რომელთანაც მას უწევს ურთიერთობა. კონფორმულობა დადებითი მოვლენა მხოლოდ მაშინაა, როდესაც ინდივიდი სწორი მორალური და ეთიკური ღირებულებების მქონე წრეში ხვდება, ხოლო როდესაც ინდივიდი საქმეს იჭერს კრიმინალური მორალის მქონე საზოგადოებასთან, მისი ქცევა ჯგუფის მოთხოვნების მიხედვით იცვლება ნეგატიური კუთხით, სწორედ ამ დროს იზრდება ნეგატიური კაპიტალისა და დანაშაულის ჩადენის რისკი.

კონფორმულად მოქცევის სხვადასხვა მიზეზი არსებობს. მათგან აღსანიშნავია ორი ძირითადი მიზეზი: პირველი არის ის, რომ სოციუმის შემადგენელი ინდივიდების ქცევა იმ შედეგის მომტანია, რაც მიმბაძველისათვის სასურველია, ადამიანი გარკვეულ ინფორმაციას იღებს კონკრეტული

<sup>275</sup> Cialdini, R. B., and V. Griskevicius. 2010. Social influence. In *Advanced social psychology: The state of the science*. Edited by R. Baumeister and E. Finkel, 385–418. New York: Oxford Univ. Press.

დაჯგუფებისაგან თუ როგორ უნდა მიაღწიოს ამა თუ იმ მიზანს. აღნიშნულ მოვლენას ინფორმაციული გავლენას უწოდებენ.<sup>276</sup> კონფორმულობის მეორე - ნორმატიული გავლენის მნიშვნელოვანი მიზეზი არის საზოგადოებრივი კეთილგანწყობის მიღების სურვილი.<sup>277</sup> კონფორმულობის ხარისხზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები, ეს ფაქტორებია: ჯგუფის ზომა, ჯგუფის შეკრულობის ხარისხი და ჯგუფთან დამოკიდებულების ხარისხი. აღსანიშნავია, რომ ადამიანები განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რამდენად გააჩნიათ სურვილი – გამოირჩეოდნენ საკითარი ინდივიდუალიზმით, რაც ასევე გავლენას ახდენს კონფორმულობის ხარისხზე. ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან მზაობით – მოიქცნენ სხვებისგან გამორჩეულად. ზოგიერთი მათგანი უფრო კომფორტულად გრძნობს თავს, როდესაც ჯგუფისაგან გამორჩეული არ არის და იქცევა ისე, როგორც ჯგუფის სხვა წევრები, ზოგიერთი კი პირიქით – სურთ გამორჩეულები იყვნენ. კონფორმულობის ხარისხი უმრავლესობის რაოდენობის ზრდასთან ერთად მატულობს. ასევე კონფორმულობაზე გავლენას ახდენს სოციუმის წევრების ერთსულოვნების ხარისხიც, პიროვნება, რომელიც ერთსულოვან ჯგუფს უპირისპირდება, კონფორმულობის თვალსაზრისით მნიშვნელოვან ზეწოლას განიცდის. კონფორმულობაზე გავლენას ასევე ახდენს ის კავშირი, რომელიც ინდივიდსა და ჯგუფს შორის არსებობს.

სოციალური გარემოს მახასიათებლებსა და დანაშაულს შორის კავშირის კვლევის შედეგად მეცნიერებმა გლასერმა და საკერდოტმა ახსნეს, რომ “სოციუმში, რომელიც ხასიათდება ნაკლები მიგრაციის ხარისხით, ხასიათდება გაცილებით მაღალი სოციალური კაპიტალის დონით და შესაბამისად პატარა ქალაქებსა თუ სოფლებში ნაკლებია დანაშაულის დონე”.<sup>278</sup> მათი აზრით, დიდ ქალაქებსა და სოფლებში მაღალია ანონიმურობის ხარისხი, ასევე გაცილებით რთულია დამნაშავის გამოაშკარავება და სანქციების აღსრულება, ეს კი კიდევ ზრდის კრიმინოგენულ ფონს აღნიშნულ სეგმენტზე. მეცნიერები ვილიამსი და სიკლესი ხსნიან ინდივიდუალურად ჩადენილი დანაშაულის არსს სოციალურ კაპიტალთან მიმართებაში, მათი აზრით, “გაცილებით რთულია დანაშაულის

<sup>276</sup> Vallacher, R. R., A. Nowak, and M. E. Miller. 2003. Social influence and group dynamics. In *Handbook of psychology*. Vol. 5, Personality and social psychology. Edited by T. Millon and M. J. Lerner, 383–417. New York: Wiley.

<sup>277</sup> Forgas, J. P., and K. D. Williams, eds. 2001. *Social influence: Direct and indirect processes*. Philadelphia: Psychology Press.

<sup>278</sup> Glaeser, E. L., and B. Sacerdote (1999): “Why is there more crime in cities?,” *Journal of Political Economy*, 107(6), S225–S258.

ჩადენა ინდივიდუალურად, ვიდრე ჯგუფურად, რადგან ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულის დროს პასუხისმგებლობა ნაწილდება მონაწილეებზე, ხოლო ინდივიდუალურად ჩადენილი დანაშაულის დროს, დამნაშავე დგას დიდი რისკის ქვეშ, დაკარგოს სარგებელი იმ სოციალური წრისაგან, სადაც მას უწევს ცხოვრება და ურთიერთმედებს, ეს რისკებია: სამსახურის დაკარგვის, რეპუტაციული, ოჯახის დანგრევის და ა.შ.”<sup>279</sup> ყოველივე ზემოთ აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ რაც უფრო მაღალია სოციალური კაპიტალის დონე, მით უფრო ნაკლებია რისკი იმისა, რომ ადამიანმა ჩაიდინოს დანაშაული, ზოგადი მიდგომით კი სოციალური კაპიტალის განვითარება კრიმინოგენულ ფონს უკეთესობისკენ ცვლის.<sup>280</sup>


კრიმინალური ვითარების გავლენა პუიზე და ზოგადად ეკონომიკაზე დიდია: ის ხელს უშლის როგორც ადგილობრივი, ისევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ამცირებს კომპანიების კონკურენტუნარიანობას, იწვევს რესურსების არარაციონალურად გადანაწილებას, ქმნის გაურკვეველ ეკონომიკურ გარემოს და აქვეითებს ეფექტიანობას. ცხადია, რომ უცხოელი ინვესტორი არ მოინდომებს საკუთარი კაპიტალის დაბანდებას იქ, სადაც კრიმინოგენული ფონი მაღალია და მომავალი ბურუსით მოცული. კრიმინალი ნეგატიურად მოქმედებს ქვეყნის ბიუჯეტზეც, რადგან მაღალი კრიმინალის შემთხვევაში მეტი სახსრებია გამოსაყოფი მასთან საბრძოლველად.

ბოლო წლებში საქართველოში კრიმინოგენული ფონი გაუარესებულია, რის მიზეზადაც შესაძლოა განვიხილოთ დაბალი სოციალური კაპიტალის დონე, ყოველივე აღნიშნულმა კი გამოიწვია პუი-ს არადამაკმაყოფილებელი ზრდა ქვეყანაში. (იხ. დიაგრამა №6)

<sup>279</sup> Williams, J., and R. C. Sickles (2002): “An Analysis of the Crime as Work Model: Evidence from the 1958 Philadelphia Birth Cohort Study,” *Journal of Human Resources*, 37(3), 479–509.

<sup>280</sup> Case, A. C., and L. F. Katz (1991): “The Company You Keep: The effect of family and neighborhood on disadvantaged youth,” *National Bureau of Economic Research, Working Paper No. 3705*

დანაშაულისა და პუის ზრდის დინამიკა საქართველოში, 2010-2017წწ.<sup>281</sup>



როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2009-2011 წლებში რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობა უკუპროპორციულ დამოკიდებულებაში იყო პუი-ს შემოდინების მოცულობასთან, ანუ დანაშაულის რაოდენობის კლებასთან ერთად იზრდებოდა პუი-ს მოცულობა, 2015-2017 წლებში კი კრიმინოგენული ფონი გაუარესდა, რის გამოც პუი-ს მოცულობა არადამაკმაყოფილებელი მოცულობით გაიზარდა.

გამაერთიანებელი ნეგატიური სოციალური კაპიტალის ნეგატიურ გამოვლინებას წარმოადგენს პირადი ინფორმაციის გავრცელება. სოციალური კაპიტალის სიმჭიდროვე ხელს უწყობს ინდივიდების ერთმანეთთან დაკავშირებას და არაფორმალური ურთიერთობების გამყარებას, ამ დროს კი დიდია ინფორმაციის გავრცელების საფრთხე, რამაც შესაძლოა ინდივიდს პრობლემები შეუქმნას.<sup>282</sup> ხშირია შემთხვევები, როდესაც პერსონალურ ინფორმაციას საექსპლუატაციო ტიპის დაჯგუფებები საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად იყენებენ, პირადი ინფორმაციით მანიპულირება და შანტაჟი უცხო არ არის საქართველოს

<sup>281</sup> სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), რეგისტრირებული დანაშაული და პუი საქართველოში, 2009-2017 წწ

<sup>282</sup> Granovetter, M. (1983). The strength of weak ties: A network theory revisited, Sociological Theory, 201-233.

ახლო წარსულისთვისაც. კონფიდენციალურობის დარღვევის მაგალითებში ასევე მოიაზრება კორპორატიული ჯაშუშობა და სხვა განზრახ თუ უნებლიე უფლებების დარღვევის ფაქტები. დღესდღეისობით ინფორმაციული უსაფრთხოება ყველაზე ძვირადღირებული აქტია, კონფიდენციალურობის დაცვა ნებისმიერი ინვესტორიათვის მნიშვნელოვანია, წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოიშვება კომპანიის სხვადასხვა სახის რისკი, რაც შემდგომ საფრთხეს შეუქმნის ორგანიზაციის არსებობას, მაგალითად: ინვესტორის პირადი ინფორმაცია მისივე საწინააღმდეგოდ იქნეს გამოყენებული სხვადასხვა დაჯგუფებების მიერ-კონკურენტს მიეწოდოს ფინანსური თუ სხვა სახის შეტყობინება, რაიმე ფაქტზე დაყრდნობით განხორციელდეს ინვესტორის მანიპულირება და ა.შ ციფრული ტექნოლოგიების გამოგონებამ და ფართოდ გავრცელებამ კიდევ უფრო ადვილი გახადა პირადი ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება. ტექნოლოგიურმა მიღწევებმა დროის უმოკლეს ვადაში შესაძლებელი გახადა სხვადასხვა მონაცემის შეგროვება, დამუშავება-დახარისხება, სხვა ბაზასთან შედარება და მისი სასურველი სუბიექტებისათვის მიწოდება. მსოფლიოს ტექნოლოგიურ განვითარებამდე, დროის ასეთ მოკლე პერიოდში, აღნიშნული პროცესების უზრუნველყოფა შეუძლებელი იყო. ინტერნეტ-სივრცის რეგულირების საკითხი აქტუალურობას დღესაც არ კარგავს. აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში უდიდეს როლს თამაშობს სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემა, რომელის მიზანიცაა პერსონალური ინფორმაციის დასაცავად სპეციალური, მარეგულირებელი სქემების შემუშავება. ასეთ სქემებს მიეკუთვნება:

- პატერნალისტური სქემა-მოიაზრებს სუსტ პოზიციაში მყოფი ინდივიდისა თუ ბიზნეს სუბიექტის დაცვას სხვადასხვა მექანიზმების მეშვეობით, აღნიშნული სქემის გამართული ფუნქციონირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინვესტორისათვის, რადგან პუი-ს განხორციელება თავის მხრივ გულისხმობს მისთვის უცხო ბიზნეს გარემოში საქმიანობას, სადაც ხშირია სხვადასხვა სახის ბარიერები (ენობრივი, კულტურული და ა.შ), აღნიშნული ფაქტორები მას სუსტ პოზიციაში ამყოფებს კონკურენტებთან მიმართებაში.<sup>283</sup>

<sup>283</sup> Peter P. Swire, Financial Privacy and the Theory of High-Tech Government Surveillance, 77 Wash. Univ. L.Qart. 461 (1999)

- “Laissez Faire”<sup>284</sup> ნორმები, რომლებიც იქმნება ბიზნეს სუბიექტების წასახალისებლად, რათა შემდგომ მათვე შექმნან მათივე პირადი ინფორმაციის დასაცავად სხვადასხვა სახის მექანიზმები.

პირადი ინფორმაციის გავრცელებასთან ერთად აღსანიშნავია სოციალური ქსელები, რომლებიც დღეს ძალიან აქტუალურია მსოფლიოს მასშტაბით და მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ნეგატიური გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალის განხილვისას. სოციალურმა ქსელებმა წარმოშვა უზარმაზარი გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალი, მათში გაწევრიანებული ადამიანების უმეტესობას არ გააჩნია ახლო ნათესავური კავშირი. დღეს, სოციალურ ქსელებს დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ბიზნეს სუბიექტების საქმიანობაზე, სწორედ სოციალური ქსელები წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დაბალბიუჯეტიან, მოქნილ და ეფექტიან საშუალებას მიზნობრივ სეგმენტზე გასასვლელად, სარეკლამო კამანიების საწარმოებლად, ახალი მომხმარებლების მოსაზიდად, მათთან გრძელვადიანი კავშირ-ურთიერთობების დასამყარებლად და მომხმარებელთა უზარმაზარი ბაზების შესაქმნელად. თუმცა, აღსანიშნავია ის ნეგატიური ეფექტებიც, რომელთა წინაშეც შესაძლოა დადგეს ინვესტორი თავისი ბიზნეს-საქმიანობის განხორციელების პროცესში:

- სოციალური ქსელები ხშირად არ იძლევა ზუსტ რაოდენობრივ მონაცემებს, რამაც შესაძლოა ინვესტორი შეცდომაში შეიყვანოს, აღნიშნული გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორებით: სოციალურ ქსელებში გაწევრიანების სიმარტივით, დანახარჯების მინიმალურობით (სოციალურ ქსელებში გაწევრიანება ძირითადად უფასოა) და ა.შ. კონკურენციის პირობებში, ძალიან მარტივია რეალური მაჩვენებლების ცვლილება და დაინტერესებული მხარის შეცდომაში შეყვანა.
- სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ინფორმაციაზე კონტროლის მექანიზმების არარსებობა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და გასათვალისწინებელ ნეგატიურ ასპექტს. დაინტერესებული, კონკურენტი მხარის მიერ ძალიან მარტივად შესაძლებელი არასასურველი უკუკავშირების გამოვლენა, რაც სოციუმზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენს, ამგვარი ქმედებით მომხმარებელთა დაკარგვის რისკები საგრძნობლად

<sup>284</sup> M. d'Argenson, "Lettre au sujet de la dissertation sur le commerce du marquis de Belloni", Avril 1751, Journal Oeconomique p. 111. See A. Oncken, Die Maxime Laissez faire et laissez passer, ihr Ursprung, ihr Werden, 1866

იზრდება და შესაძლებელია კომპანიის ბაზრიდან განდევნაც კი გამოიწვიოს.

- სოციალურ ქსელებში დაშვებული შეცდომების გამოსწორება ძალიან რთულია, რადგან აღნიშნულ სივრცეში ინფორმაცია ძალიან სწრაფად ვრცელდება, აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მწვავედება კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელებისას, ყოველივე ამან კი შესაძლოა ინვესტორს დიდი პრობლემები შეუქმნას საქმიანობისას და დააყენოს რეპუტაციული რისკის ქვეშ.

აღნიშნულ სივრცეში, მწვავე პრობლემას წარმოადგენს დეზინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა ჯგუფების მიერ, რითიც ხშირად მანიპულირებენ დაინტერესებული მხარეები. სხვადასხვა ჯგუფების მიერ ხშირად ვრცელდება კონკრეტული ბიზნეს-საქმიანობის საწინააღმდეგო დეზინფორმაცია, რაზეც საზოგადოება სენსიტიურად რეაგირებს. აღნიშნული ფაქტორი ინვესტორისათვის რისკ-ფაქტორს წარმოადგენს, ვინაიდან მის წინააღმდეგ აგორებული ანტისაპიარო აქტივობებმა, შავმა პროპაგანდამ, ყალბმა რეკლამებმა, ცრუ სიახლეებმა და დეზინფორმაციის სხვადასხვა საშუალებებმა შესაძლოა ფინანსური ზარალი მიაყენოს.

## 2.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა და დინამიკა საქართველოში

პუი-ს მოზიდვაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზისას, აუცილებელია კონკრეტული ქვეყნებიდან შემოდინებული ინვესტიციების დინამიკისა და სტრუქტურის შესწავლა გეოგრაფიულ და დარგობრივ ჭრილში.


პუი-ს მოზიდვამდე, აუცილებელია იმ ქვეყნის სოციალური კაპიტალის დონის შესწავლა და გათვალისწინება, რომელის წარმომადგენელ ინვესტორთანაც ხორციელდება მოლაპარაკებების წარმოება, რათა რაციონალური მიდგომით და ინვესტორისათვის მისაღები “ენით” მოხდეს ოპტიმალური შედეგის მიღება საქართველოსთვის. როგორც ცნობილია, ყველა ქვეყანას გააჩნია იდენტობა და თავისებურება, რაც ქმნის კონკრეტული ქვეყნის სოციალურ კაპიტალს და მეტნაკლებად დამახასიათებელია მისი თითოეული წარმომადგენლისათვის, ამიტომ, აუცილებელია, ინვესტორთან კომუნიკაციის დროს გაკეთდეს სწორი აქციენტები და გათვალისწინებულ იქნეს მისი ქვეყნისათვის დამახასიათებელი სოციალურ-კულტურული ფონი. გარდა აღნიშნულისა, საინტერესოა, თუ როგორი სტრუქტურისა და დონის სოციალური კაპიტალის მქონე ქვეყნების წარმომადგენლები ინტერესდებიან საქართველოს საინვესტიციო გარემოთი, აღნიშნული ინფორმაცია საშუალებას მოგვცემს, თავიდან ავიცილოთ სოციალურ-კულტურულ ასპექტებთან დაკავშირებული გაუგებრობები.

2005 წლიდან 2017<sup>285</sup> წლამდე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში ასე გამოიყურება:

---

<sup>285</sup> 2017\* წლის მონაცემი წარმოადგენს წინასწარ მაჩვენებელს


პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, 2005-2017 წწ



როგორც დიაგრამაზე ვხედავთ, 2017 წლის მონაცემებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ მაქსიმუმს მიაღწია და 2014 წლის მაჩვენებელს მცირედით გაუსწრო, თუმცა იმ რეფორმების ფონზე, რაც საქართველოში ახლო წარსულში გატარდა და რომელზეც ნაშრომის პირველ თავში ვისაუბრეთ, უცხოური ინვესტიციების აღნიშნული ტემპით ზრდა არ წარმადგენს სახარბიელო მაჩვენებელს.

<sup>286</sup> სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, 2010-2017 წწ. [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo) (ნანახია 16.02.2017)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით, (%)  
2017 წელი



2017 წელს მთლიანი მოზიდული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე მეტი – 28 პროცენტი განხორციელდა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში, მთლიანი ინვესტიციების 16 პროცენტი განხორციელდა საფინანსო სექტორში, 16 პროცენტი - სამშენებლო, 10 პროცენტი - ენერგეტიკის, 9 პროცენტი - უძრავი ქონების, 5 პროცენტი - სასტუმროებისა და რესტორნების, 4 პროცენტი - დამამუშავებელი მრეწველობის, ხოლო 12 პროცენტი - სხვა დანარჩენ სექტორებში. ამავე პერიოდში რეინვესტიციის ოდენობამ მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 38.2 პროცენტი შეადგინა. (რეინვესტირებაში იგულისხმება სხვაობა მოგება -ზარალსა და დივიდენდებს შორის.) აღსანიშნავია, რომ უცხოური კაპიტალისათვის მომგებიანი ე.წ. სპეციალიზაციის გაგლენით საქართველოში უპირატესად ვითარდება შრომატევადი და არა მეცნიერება და კაპიტალტევადი დარგები, რადგან


<sup>287</sup> სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, 2010-2017 წწ. [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo) (ნანახია 16.02.2017)

უცხოური კაპიტალი, ძირითადად, იაფი მუშახელისა და ბუნებრივი რესურსების გამო შემოდის ჩვენს ქვეყანაში.

2010 წლიდან 2017 წლამდე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკის განხილვისას აღმოჩნდა, რომ წლიდან წლამდე, არცერთ სექტორში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მოცულობა არ ხასიათდება სტაბილურობით. მაგ.: ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორი 2010-2012 წლებში კლების, 2013-2016 წლებში ზრდის, ხოლო 2017-ში კი ისევ კლების ტენდენციით ხასიათდებოდა.

დიაგრამა №9<sup>288</sup>

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით დინამიკაში, 2010-2017 წწ.



2010 წლიდან 2017 წლამდე გამოიკვეთა ოთხი ძირითადი სექტორი, რომლებშიც აქტიურად ხორციელდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ესენია: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, დამამუშავებელი მრეწველობა, ენერგეტიკა და მშენებლობა. როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2011 და 2013

<sup>288</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) (ნანახია 16.02.2017)

წლებში – ყველაზე მეტი ინვესტიცია მოზიდული იყო ენერგეტიკის სექტორში, 2012 წელს დამამუშავებელი მრეწველობის, ხოლო 2010 წელს და 2014 წლიდან 2017 წლამდე ლიდერობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის სექტორებში. ინვესტორთა დაინტერესების მიხედვით, მოწინავე პოზიციებზეა ასევე მშენებლობის სექტორიც.

2017 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები ასე განაწილდა:

ცხრილი №4<sup>289</sup>

ძირითადი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2013-2017 წლის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

|                                  | 2013           | 2014           | 2015           | 2016           | 2017           |
|----------------------------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|
| <b>სულ</b>                       | <b>1 020.6</b> | <b>1 818.0</b> | <b>1 652.5</b> | <b>1 602.9</b> | <b>1 894.5</b> |
| აზერბაიჯანი                      | 84.6           | 340.5          | 581.7          | 558.2          | 465.0          |
| თურქეთი                          | 51.4           | 73.9           | 74.6           | 205.2          | 284.0          |
| გაერთიანებული სამეფო             | 55.2           | 108.9          | 386.4          | 119.6          | 284.9          |
| ნიდერლანდები                     | 158.2          | 376.8          | 115.1          | 62.7           | 356.7          |
| ჩეხეთი                           | 43.6           | 52.0           | 16.7           | 64.1           | 142.5          |
| ა.შ.შ                            | 44.8           | 184.7          | 19.5           | 56.4           | 79.7           |
| არაბეთის გაერთიანებული ემირატები | 63.7           | 4.4            | 8.2            | 34.1           | 57.8           |
| პანამა                           | 25.8           | 70.7           | 9.5            | 75.9           | 52.8           |
| ჩინეთი                           | 101.1          | 220.1          | 66.9           | 27.4           | 40.3           |
| დანარჩენი ქვე ქვეყნები           | 392.2          | 386.1          | 373.9          | 399.3          | 130.8          |

მოცემული ცხრილიდან ჩანს, რომ 2013-2014 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი ნაწილი შემოედინებოდა ევროკავშირის ქვეყნებიდან, ხოლო 2015-2017 წლებში მკვეთრად იზრდება ნიდერლანდებიდან და გაერთიანებული სამეფოდან მოზიდული ინვესტიციები, ხოლო აზერბაიჯანიდან


<sup>289</sup> სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, 2010-2017 წწ. [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo) (ნანახია 16.10.2018)

მოზიდული ინვესტიციების ნაკადი კი იკლებს წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით.

დიაგრამა №10<sup>290</sup>

საქართველოში უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი პუი-ში 2017

წელს (%)



სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მოლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, 2017 წლის მონაცემების მიხედვით, 54.3 პროცენტი შეადგინა. ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით გვიჩვენებს ზემოთ მოყვანილი სექტორული დიაგრამა, რომლის მიხედვითაც პირველ ადგილზე აზერბაიჯანი იმყოფება 25.9 პროცენტით, რომელმაც 482.1 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა, მეორეზე - თურქეთი 15 პროცენტით და 179 მლნ. აშშ დოლარის ინვესტირებით, ხოლო მესამეზე - გაერთიანებული სამეფო 13.4 პროცენტით და 250 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიციით.

საქართველოს საინვესტიციო გარემოში უკეთესად გასარკვევად და იმის დასადგენად, თუ რომელი ქვეყნები არიან დაინტერესებულნი საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განსახორციელებლად ყველაზე მეტად,

<sup>290</sup> სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, 2010-2017 წწ. [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo) (ნანახია 16.10.2018)


აუცილებელია პუის ნაკადების განხილვა ქვეყნების, რეგიონების და საერთაშორისო ორგანიზაციების ჭრილში.

#### ა) ევროკავშირის ქვეყნები

ევროკავშირის ქვეყნებიდან ინვესტიციების მოცულობა 2007 წლიდან 2017 წლამდე არასტაბილურად შემოედინება, საქართველოს ეკონომიკაში, 2007 წელს, პუი ევროკავშირის ქვეყნებიდან ყველაზე დიდი მაჩვენებლით ხასიათდებოდა, 2008-2010 წლებში, რუსეთსა და საქართველოს შორის განვითარებულმა ომმა შეაფერხა ინვესტიციების მოზიდვა, მას შემდეგ, როგორც დიაგრამაზეც ჩანს, პუი ევროკავშირიდან მერყევი ტენდენციით ხასიათდება. 2014-2016 წლებში განსაკუთრებით მცირდებოდა ინვესტიციების შემოდინება, 2017 წლის მონაცემებით კი - 2016 წლიდან 2017 წლამდე კვლავ გამძფრდა ინტერესი საქართველოს საინვესტიციო გარემოთი ევროკავშირის ქვეყნების მიერ.

დიაგრამა №11<sup>291</sup>

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან საქართველოში, 2015-2017 წწ



აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოცემულ პერიოდში ევროკავშირის დღევანდელი 28 ქვეყნიდან, 26 მათგანს აქვს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, გამონაკლისს კი ხორვატია და სლოვენია წარმოადგენენ. 2017 წლის მონაცემებით, ამავე წელს განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით ასე გამოიყურება:

<sup>291</sup> ცხრილი შედგენილია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით – [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ევროკავშირიდან (2017 წწ)


| ქვეყანა              | პირდაპირი უცხოური ინვესტიციების<br>მოცულობა (ათასი აშშ დოლარი) |
|----------------------|----------------------------------------------------------------|
| ავსტრია              | 7,027.3                                                        |
| ბელგია               | 4,231.9                                                        |
| ბულგარეთი            | 4,773.8                                                        |
| კვიპროსი             | -3,870.7                                                       |
| ჩეხეთი               | 142,519.2                                                      |
| დანია                | -4,457.1                                                       |
| ესტონეთი             | 17,734.2                                                       |
| ფინეთი               | -435.8                                                         |
| საფრანგეთი           | 21,106.7                                                       |
| გერმანია             | -94,735.6                                                      |
| საბერძნეთი           | 675.7                                                          |
| უნგრეთი              | 1,933.3                                                        |
| ირლანდია             | -10.1                                                          |
| იტალია               | 8,243.3                                                        |
| ლატვია               | -33,854.2                                                      |
| ლიტვა                | 2,427.4                                                        |
| ლუქსემბურგი          | 68,325.2                                                       |
| მალტა                | 9,320.7                                                        |
| ნიდერლანდები         | 356,717.0                                                      |
| პოლონეთი             | 1,243.0                                                        |
| პორტუგალია           | 885.5                                                          |
| რუმინეთი             | 316.5                                                          |
| სლოვაკეთი            | 146.4                                                          |
| ესპანეთი             | 5,835.9                                                        |
| შვედეთი              | 1,385.5                                                        |
| გაერთიანებული სამეფო | 248,865.6                                                      |
| <b>სულ</b>           | <b>766,350.6</b>                                               |

<sup>292</sup> ცხრილი შედგენილია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით – [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) (ნანახია 19.10.2018)

აღნიშნული ცხრილიდან ნათელია, რომ ევროპის ქვეყნებიდან ყველაზე დიდ დაინტერესებას საქართველოს საინვესტიციო სექტორისადმი იწვევს გაერთიანებული სამეფო, ნიდერლანდები და ჩეხეთი. აღნიშნული სამი მოწინავე ინვესტორ ქვეყნიდან პირველი იყო გაერთიანებული სამეფო, რომელმაც განახორციელა 1997 წელს განახორციელა პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საქართველოში.

დიაგრამა №12<sup>293</sup>


გაერთიანებული სამეფოს მიერ საქართველოში განხორციელებული პუი ეკონომიკის სექტორების მიხედვით, 2017 წელი (ათასი აშშ დოლარი)



2017 წლის მონაცემებზე დაყრდნობით ნათელია, რომ გაერთიანებული სამეფოდან ყველაზე დიდი მოცულობის პუი ბანდება საქართველოს საფინანსო სექტორში. საქსტატის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, გაერთიანებული სამეფოდან 2010 წლიდან სტაბილურად იზრდება ინტერესი საქართველოს საფინანსო სექტორისადმი, რაც პუი-ს ზრდაშიც აისახება.

<sup>293</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) (ნანახია 19.10.2018)

ნიდერლანდების მიერ საქართველოში განხორციელებული პუი ეკონომიკის  
სექტორების მიხედვით, 2017 წელი (ათასი აშშ დოლარი)




2017 წლის მონაცემების საფუძველზე შედგენილი დიაგრამიდან ჩანს, რომ ამ წელს ნიდერლანდიდან პუი-ს ძირითადი მოცულობა დაბანდა საფინანსო, დამამუშავებელი მრეწველობისა და საბითუმო ვაჭრობითი მრეწველობის დარგებში.

აღსანიშნავია, რომ განვითარებული ქვეყნებიდან საქართველოში პუი-ს განხორციელება განპირობებულია საქართველოში არსებული სამუშაო ძალის სიიარით, რესურსების მრავალფეროვნებითა და მათზე მარტივად წვდომით. შემოსული თანხები ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და ისეთი პრობლემების დაძლევას, როგორიცაა სიღარიბე, საგარეო ვალების შემცირება, ქვეყნის ინფრასტრუქტურული განვითარება, სამუშაო ადგილების შექმნა და სხვა.

ინვესტიციები ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა ნიდერლანდები ხელს უწყობს საქართველოში სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებას, ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვასა და “ნოუ ჰაუს” შემოღინებას.

<sup>294</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) (ნანახია 19.10.2018)

ჩეხეთის მიერ საქართველოში განხორციელებული პუი ეკონომიკის  
სექტორების მიხედვით, 2017 წელი (ათასი აშშ დოლარი)



რაც შეეხება ჩეხეთს, 2017 წლის მონაცემებით ნათელია, რომ ჩეხეთიდან ინვესტიციების ძირითადი მოცულობა ბანდდება ენერგეტიკის სექტორში.

საქართველოს საინვესტიციო გარემოზე დიდ გავლენას ახდენს ევროკავშირში მიმდინარე პროცესები, ვინაიდან აღნიშნული რეგეები პირდაპირპროპორციულად მოქმედებს საქართველოში ინვესტიციების შემოდინებაზე.

ევროკავშირის ქვეყნები სოციალური კაპიტალის განვითარების დონით მოწინავე პოზიციებს იკავებენ, აღნიშნულს ადასტურებს ლეგატუმის კეთილდღეობის 2017 წლის ინდექსის მაჩვენებლებიც, რომლის მიხედვითაც გაერთიანებული სამეფო მსოფლიოს 149 ქვეყნიდან მე-10 ადგილას იმყოფება, ხოლო უშუალოდ სოციალური კაპიტალის განვითარების დონით-მე-16 ადგილზე, თუმცა უნდა აღნიშნოს, რომ წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, 2017 წლის

<sup>295</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) (ნანახია 19.10.2018)

სოციალური კაპიტალის განვითარების დონის ინდექსი 4 საფეხურით გაუარესებულია.<sup>296</sup> გაერთიანებული სამეფოს სტატისტიკის ბიუროს 2017 წელს გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, მაცხოვრებელთა უმეტესობა ამყარებს მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობას მინიმუმ ერთ ადამიანთან, სოციუმს შორის ნდობის მაჩვენებელი 2%-ით შემცირებულია 2010 წლიდან 2014 წლამდე, თუმცა 2014-2015 წლებში 2%-ით გაიზარდა მოხალისეობის მაჩვენებელი 2010-2011 წლის მაჩვენებელთან შედარებით.<sup>297</sup> გაერთიანებული ერების კულტურა და სოციუმი მთელს მსოფლიოში გამორჩეულია კონსერვატორული ბუნებით, ნორმებისა და ღირებულებების დაცვა-შენარჩუნებისაკენ მიდრეკილებით, საზოგადოებრივი წესრიგის მაღალი ხარისხით.

ნიდერლანდები ლეგატუმის 2017 წლის კეთილდღეობის ინდექსის მაჩვენებლის მიხედვით რეიტინგში მე-6 ადგილზეა მსოფლიოს 149 ქვეყანას შორის, მან აღნიშნული მაჩვენებელი 1-ით საფეხურით გააუმჯობესა წინა წელთან შედარებით, იგი სოციალური კაპიტალის განვითარების დონით მე-11 ადგილს იკავებს, OECD-ის მიერ 2017 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით, ამავე წელს ნიდერლანდებში საზოგადოებრივი ჩართულობის დონე 2010 წელთან შედარებით, 7 ერთეულითაა გაზრდილი, ხოლო რაც შეეხება სოციალურ კავშირებს, ბოლო 10 წლის განმავლობაში, სოციალური შეკრულობის დონემ 4%-ით იკლო აღნიშნულ ტერიტორიაზე.<sup>298</sup>

---

<sup>296</sup> Legatum Institute, The Legatum Prosperity Index™- Bringing Prosperity to Life, 2017, [http://www.prosperity.com/download\\_file/view\\_inline/3479](http://www.prosperity.com/download_file/view_inline/3479) (ნანახია 5.04.2018)

<sup>297</sup> Office for National Statistics, Social capital in the UK, 2017, <https://www.ons.gov.uk/peoplepopulationandcommunity/wellbeing/bulletins/socialcapitalintheuk/may2017> (ნანახია 5.05.2018)

<sup>298</sup> OECD, How's Life in the Netherlands?, 2017, <https://www.oecd.org/statistics/Better-Life-Initiative-country-note-Netherlands.pdf> (ნანახია 20.05.2018)

## სოციალური კაპიტალი ნიდერლანდებში, 2005-2013წწ

| ინდიკატორი             | ქულა | წელი      |
|------------------------|------|-----------|
| უცხო პირებისადმი ნდობა | 1    | 2013      |
| პოლიციის მიმართ ნდობა  | 2    | 2013      |
| მთავრობის მიმართ ნდობა | 1    | 2005-2016 |
| ამომრჩეველთა აქტივობა  | 1    | 2006-2017 |
| მთავრობის ჩართულობა    | 3    | 2014      |
| მოხალისეობა            | 1    | 2011/2012 |

|                      |                  |               |
|----------------------|------------------|---------------|
| 1 ქულა- ძალიან კარგი | 2 ქულა – საშუალო | 3 ქულა - ცუდი |
|----------------------|------------------|---------------|

მოცემული ცხრილის მიხედვით, ნიდერლანდებში მცხოვრები მოსახლეობა გამოიჩინა მოხალისეობის, ამომრჩეველთა აქტივობის დონის, უცხო პირებისა და საკუთარი მთავრობის მიმართ ნდობის მაღალი მაჩვენებლებით, საშუალოა პოლიციის მიმართ ნდობის ხარისხი და მაცხოვრებლები უკმაყოფილონი არიან მთავრობის მუშაობით.

ჩეხეთი ლეგატუმის 2017 წლის კეთილდღეობის ინდექსის მაჩვენებლის მიხედვით მსოფლიოს 149 ქვეყნიდან 26 ადგილზე იმყოფება, სოციალური კაპიტალის დონით, სოციალური კაპიტალის დონით, ჩეხეთი იმყოფება 149 ქვეყნიდან 73-ე ადგილზე. OECD-ის მონაცემებით, კლების ტენდენციით ხასიათდება სამოქალაქო აქტივობის მაჩვენებელი, რომელიც 2006 წლიდან 2013 წლამდე 6 ერთეულით შემცირდა, სოციალური კავშირების სიმჭიდროვე სტაბილურად ვითარდება ჩეხეთში.<sup>300</sup>

<sup>299</sup> OECD, How's Life in the Netherlands?, 2017, <https://www.oecd.org/statistics/Better-Life-Initiative-country-note-Netherlands.pdf> (ნანახია 20.05.2018)

<sup>300</sup> OECD How's Life in the Czech Republic?, 2017 <https://www.oecd.org/statistics/Better-Life-Initiative-country-note-Czech-Republic.pdf> (ნანახია 20.05.2018)

## სოციალური კაპიტალი ჩეხეთში, 2005-2017წწ

| ინდიკატორი             | ქულა | წელი      |
|------------------------|------|-----------|
| უცხო პირებისადმი ნდობა | 3    | 2013      |
| პოლიციის მიმართ ნდობა  | 3    | 2013      |
| მთავრობის მიმართ ნდობა | 2    | 2005-2016 |
| ამომრჩეველთა აქტივობა  | 3    | 2006-2017 |
| მთავრობის ჩართულობა    | 1    | 2014      |
| მოხალისეობა            | 3    | 2011/2012 |

|                      |                  |               |
|----------------------|------------------|---------------|
| 1 ქულა- ძალიან კარგი | 2 ქულა – საშუალო | 3 ქულა - ცუდი |
|----------------------|------------------|---------------|


აღნიშნული მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ ჩეხეთში დაბალია უცხო პირებისადმი და პოლიციისადმი ნდობის ხარისხი, მთავრობას მიმართ ნდობა საშუალოა, ამომრჩეველთა აქტივობა ძალიან ცუდია, ასევე არ არის დანერგილი მოხალისეობის კულტურა, თუმცა ჩეხები კმაყოფილები არიან საკუთარი მთავრობის მუშაობით.

### ბ) დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ)

ინვესტიციების მოზიდვის კუთხით დსთ-ს ქვეყნები ძალიან საინტერესოა, ვინაიდან ბოლო წლებში განსაკუთრებით მაღალია აღნიშნული ქვეყნებიდან შემოდინებული პუი-ს მოცულობა.

<sup>301</sup> OECD How's Life in the Czech Republic?, 2017 <https://www.oecd.org/statistics/Better-Life-Initiative-country-note-Czech-Republic.pdf> (ნანახია 20.05.2018)

შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2007-2017 წლებში,  
“დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის” რეგიონიდან (მლნ \$)



როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბოლო წლებში დსთ-ს ქვეყნებიდან კლებადი ტენდენციით შემოედინება პუი, თუმცა მისი წილი ჯამში შემოსული ინვესტიციების მოცულობაში მაინც დიდია, აღსანიშნავია, რომ საქართველოში დსთ-ს ყველა წევრი ქვეყანა ახორციელებს ინვესტიციებს, 2013-2015 წლებში დსთ-ს ქვეყნებიდან მზარდი ტენდენციით შემოედინებოდა პუი და პიკს სწორედ 2015 წელს მიაღწია, როდესაც 632,481.8 ათასი აშშ დოლარი დაბანდდა, 2017 წლის მონაცემებით ნათელია, რომ 2015-2017 წლებში მაჩვენებელმა დაიკლო 516,960.6 აშშ დოლარამდე.

<sup>302</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) (22.10.2018)


## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დსთ-ს წევრი ქვეყნებიდან (2017 წწ)

| ქვეყანა     | პირდაპირი უცხოური ინვესტიციების<br>მოცულობა (ათასი აშშ დოლარი) |
|-------------|----------------------------------------------------------------|
| აზერბაიჯანი | 465,040.8                                                      |
| სომხეთი     | 6,803.7                                                        |
| ბელარუსი    | 541.9                                                          |
| ყაზახეთი    | -9,422.1                                                       |
| ყირგიზეთი   | 122.4                                                          |
| მოლდოვა     | 43.6                                                           |
| რუსეთი      | 47,706.7                                                       |
| თურქმენეთი  | -254.3                                                         |
| უკრაინა     | 5,295.7                                                        |
| უზბეკეთი    | 1,082.2                                                        |
| <b>სულ</b>  | <b>516,960.6</b>                                               |

აღნიშნული ცხრილი გვიჩვენებს, რომ დსთ-ს ქვეყნებიდან, საქართველოს საინვესტიციო გარემოსადმი ყველაზე დიდ ინტერესს იჩენს აზერბაიჯანი, რომელსაც ინვესტიციების მოცულობით მოსდევს რუსეთი, მესამე ადგილზე ინვესტიციების განხორციელების მოცულობით სომხეთი დგას.

<sup>303</sup> ცხრილი შედგენილია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით – [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) (22.10.2018)


აზერბაიჯანის მიერ საქართველოში განხორციელებული პუი ეკონომიკის  
სექტორების მიხედვით, 2017 წელი (ათასი აშშ დოლარი)



აზერბაიჯანის მიერ საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებიდან უდიდესი ნაწილი ენერგეტიკის სექტორზე მოდის, აღნიშნულ დარგში აზერბაიჯანს წამყვანი პოზიცია უჭირავს რეგიონში. აზერბაიჯანული ინვესტიციის ყველაზე ცნობილი მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ სოკარ ენერჯი პეტროლეუმ ჯორჯია, რომელმაც ბოლო წლებში საქართველოში განსაკუთრებულად განავითარა საქმიანობა.

<sup>304</sup> ცხრილი შედგენილია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით – [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) (22.10.2018)


ინვესტიციები რუსეთიდან, 2007-2017 წწ  
(ათასი აშშ დოლარი)



საინტერესოა რუსეთიდან შემომავალი პუი-ს ანალიზი, აღსანიშნავია, რომ არასტაბილური და დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობის გამო, რუსეთიდან შემოდინებული ინვესტიციები მერყევი ტენდენციით ხასიათდება. საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, ბოლო 10 წლის განმავლობაში რუსეთიდან შემოდინებულმა ინვესტიციებმა მაქსიმუმს 2015 წელს მიაღწია, როდესაც 87,951.5 აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, 2015-2017 წლებში კი ინვესტიციების მკვეთრი შემცირება შეინიშნება.

<sup>305</sup> ცხრილი შედგენილია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით – [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) (23.10.2018)

რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული პუი ეკონომიკის  
სექტორების მიხედვით, 2017 წელი (ათასი აშშ დოლარი)



2017 წლის წინასწარი მონაცემების თანახმად, გამოვლინდა, რომ რუსეთიდან ყველაზე მეტი ინვესტიციის მოცულობა გადანაწილებულია უძრავი ქონების, საფინანსო და დანარჩენი სექტორებზე, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ვაჭრობის, განათლების, კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების დარგებს, 2015 წელს რუსი ინვესტორები ყველაზე მეტად დაინტერესებულები იყვნენ კაფე-ბარების სექტორით, თუმცა 2017 წელს სურათი რადიკალურად შეცვლილია.

ვინაიდან, დსთ-ს ქვეყნებიდან ყველაზე დიდი დაინტერესება საქართველოს საინვესტიციო გარემოთი აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან შეინიშნება, საინტერესოა აღნიშნულ ქვეყნებში სოციალური კაპიტალის დონის ანალიზი.

აზერბაიჯანი, 2017 წლის ლეგატუმის კეთილდღეობის ინდექსის მიხედვით, 106-ე ადგილზე იმყოფება 149 ქვეყნიდან, სოციალური კაპიტალის

<sup>306</sup> ცხრილი შედგენილია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით – [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) (24.10.2018)

განვითარების დონით კი -137 ადგილზე. “CAUCASUS ANALYTICAL DIGEST”-ში გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით, აზერბაიჯანის მოსახლეობას ახასიათებს ნდობის დაბალი ხარისხი ინსტიტუციებისა და სამთავრობო დაწესებულებების მიმართ, თუმცა განცალკევებულად პრეზიდენტის მიმართ მაღალია მოსახლეობის ნდობის მაჩვენებელი.<sup>307</sup> აღნიშნული კვლევის მიხედვით, აზერბაიჯანში, დაბალია საკანონმდებლო სისტემისადმი მოსახლეობის ნდობის მაჩვენებელი, აზერბაიჯანში მაღალია შემაკავებელი სოციალური კაპიტალი, რაც გულისხმობს ნათესავებსა და ოჯახის წევრებს შორის მჭიდრო ურთიერთობებს, აღნიშნული განაპირობებს ნეგატიური სოციალური კაპიტალის წარმოქმნას და წარმოშობს ნეპოტიზმისა და პროტექციონიზმის პრობლემას, აზერბაიჯანელ ხალხს უჭირს სამსახურის მოძებნაც კი ნათესავებისა და ახლობლების ჩარევის გარეშე. აზერბაიჯანში დაბალია გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალი, რაშიც იგულისხმება უცხო ადამიანებთან ურთიერთქმედების ასპექტებს გულისხმობს. მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით, აზერბაიჯანში დაბალია სოციალური აქტივობისა და მოხალისეობის განვითარების მაჩვენებლებიც.<sup>308</sup>

რუსეთი ლეგატუმის კეთილდღეობის 2017 წლის ინდექსის მიხედვით, 101 ადგილას დგას მსოფლიოს 149 ქვეყნიდან, ხოლო, სოციალური კაპიტალის განვითარების დონით კი -130 ადგილზე.<sup>309</sup>

### გ) დანარჩენი ქვეყნები

დანარჩენი ქვეყნები, ინვესტიციების მოცულობით, საკმაოდ დიდი ნაკადებით გამოირჩევა. მათგან ყველაზე დიდი ოდენობით ინვესტიცია განახორციელა თურქეთმა. (იხ. ცხრილი №9 )

<sup>307</sup> Valiyev, A., Social Capital in Azerbaijan: Does It Help to Build Democracy?, 2011, CAUCASUS ANALYTICAL DIGEST No. 31, 21, [https://www.researchgate.net/publication/52010441\\_Social\\_Capital\\_in\\_Azerbaijan\\_Does\\_it\\_help\\_to\\_build\\_democracy/figures](https://www.researchgate.net/publication/52010441_Social_Capital_in_Azerbaijan_Does_it_help_to_build_democracy/figures) (ნანახია 20.04.2018)

<sup>308</sup> THE WORLD BANK, Azerbaijan: Building Assets and Promoting Self Reliance: The Livelihoods of Internally Displaced Persons, Report No. AAA64 – AZ, 2011, [http://siteresources.worldbank.org/EXTSOCIALDEVELOPMENT/Resources/244362-1265299949041/6766328-1265299960363/ESW-Report-complete\\_highres.pdf](http://siteresources.worldbank.org/EXTSOCIALDEVELOPMENT/Resources/244362-1265299949041/6766328-1265299960363/ESW-Report-complete_highres.pdf) (ნანახია 23.04.2018)

<sup>309</sup> Legatum Institute, The Legatum Prosperity Index™- Bringing Prosperity to Life, 2017, <http://www.prosperity.com/globe/russia> (ნანახია 5.05.2018)

## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დანარჩენი ქვეყნებიდან (2017 წწ)

| ქვეყანა                | პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა, 2017 წ (ათასი აშშ დოლარი) |
|------------------------|---------------------------------------------------------------------|
| არგენტინა              | 69.4                                                                |
| ავსტრალია              | 198.4                                                               |
| ბაჰამები               | 97.5                                                                |
| ბელიზი                 | 2,103.0                                                             |
| ვირჯინის კ-ები (ბრიტ.) | -35,072.7                                                           |
| კანადა                 | 193.0                                                               |
| კაიმანის კ-ები         | 185.6                                                               |
| ჩინეთი                 | 40,346.9                                                            |
| გიბრალტარი             | 1,914.3                                                             |
| ისლანდია               | -653.1                                                              |
| ინდოეთი                | 9,304.1                                                             |
| ირანი                  | 5,354.9                                                             |
| ერაყი                  | 163.7                                                               |
| ისრაელი                | 6,767.8                                                             |
| იაპონია                | 18,364.0                                                            |
| იორდანია               | 139.0                                                               |
| კორეა                  | 36,238.8                                                            |
| ლიბანი                 | 2,322.2                                                             |
| ლიბია                  | 90.8                                                                |
| ლისტენშტაინი           | 2,861.3                                                             |
| მავრიკი                | -7,454.2                                                            |
| ნორვეგია               | 190.2                                                               |
| მარშალის კ-ები         | 2,861.8                                                             |
| პანამა                 | 52,800.5                                                            |
| ფილიპინები             | -0.4                                                                |
| სენტკიტს-ნევისი        | 1,090.1                                                             |
| საუდების არაბეთი       | -4,858.7                                                            |
| სეიშელები              | 7,499.9                                                             |

<sup>310</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) (25.10.2018)


|                                  |                  |
|----------------------------------|------------------|
| შვეიცარია                        | 20,379.2         |
| სირია                            | 408.5            |
| არაბეთის გაერთიანებული ემირატები | 57,796.1         |
| თურქეთი                          | 284,081.0        |
| ეგვიპტე                          | -264.1           |
| აშშ                              | 79,710.6         |
| დანარჩენი ქვეყნები               | 69.4             |
| <b>სულ</b>                       | <b>608,663.9</b> |

როგორც ცხრილიდან ჩანს, თურქეთმა 2017 წელს განახორციელა 284,081.0 აშშ დოლარის მოცულობის ინვესტიცია, დანარჩენი ქვეყნებიდან ასევე ღიდერობენ არაბეთის გაერთიანებული ემირატები და აშშ.

დიაგრამა №19<sup>311</sup>

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები „დანარჩენი ქვეყნებიდან“ 2007-2017წწ.

(ათასი აშშ \$)




<sup>311</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) (25.10.2018)

დიაგრამა №20<sup>312</sup>

| სექტორი                   | პროცენტული წილი (%) |
|---------------------------|---------------------|
| სოფლის მეურნეობა          | ~1,000              |
| მრეწველობა                | ~1,000              |
| მშენებლობა                | ~180,000            |
| მომსახურეობითი მრეწველობა | ~1,000              |
| ენერგეტიკა                | ~1,000              |
| მშენებლობა და რესტორნები  | ~1,000              |
| ტრანსპორტი                | ~1,000              |
| კავშირებადობა             | ~1,000              |
| კაპიტალიზმი               | ~1,000              |
| უძრავი ქონება             | ~1,000              |
| საფინანსო და სოც.         | ~1,000              |
| საგარეო სექტორი           | ~1,000              |
| დანარჩენი სექტორები       | ~1,000              |

<sup>312</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) (26.10.2018)


არაბეთის გაერთიანებული ემირატების მიერ საქართველოში განხორციელებული პუი ეკონომიკის სექტორების მიხედვით, 2017 წელი (ათასი აშშ დოლარი)



2017 წლის მონაცემებით, 2017 წელს არაბეთის გაერთიანებული ემირატების წარმომადგენელი ინვესტორები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ საქართველოს უძრავი ქონების სექტორის მიმართ, აღნიშნულ დარგში დაბანდებული ფინანსური რესურსების მოცულობამ, 2017 წელს, შეადგინა 40,769.1 ათასი აშშ დოლარი. უძრავი ქონების სექტორში იგულისხმება: ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა. წინა წელთან შედარებით, უმნიშვნელოდ, თუმცა გაზრდილია ინვესტიციები მშენებლობის და საფინანსო სექტორებში, შემცირებული კი- ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობისა და თევზჭერის, სექტორებში.

<sup>313</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) (27.10.2018)


პუი აშშ-დან, 2010-2017 წ. (ათასი აშშ. დოლარი)



აშშ-დან ინვესტიციების მოცულობა 2010-2017 წლებში არასტაბილურად შემოედინებოდა, ამ პერიოდში, ყველაზე დიდი მაჩვენებელი დაფიქსირებულია 2014 წელს, როდესაც 184,656.10 აშშ დოლარი დაბანდა საქართველოში. ბოლო 3 წლის განმავლობაში აღინიშნება პუი-ს სტაბილური ზრდა აშშ-დან და 2017 წლის მონაცემებით, აღნიშნულ წელს პუი-ს მოცულობამ შეადგინა 79,710.6 აშშ დოლარი.

<sup>314</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) (27.10.2018)

აშშ-ს მიერ საქართველოში განხორციელებული პუი ეკონომიკის  
სექტორების მიხედვით, 2017 წელი (ათასი აშშ დოლარი)



2017 წლის მონაცემებმა აჩვენა, რომ აშშ-დან მოზიდული ინვესტიციების უმეტესობა დაბანდებულ იქნა კავშირგაბმულობის სექტორში, აღნიშნულმა პუი-მ, 2017 წელს, შეადგინა 38,716.3 აშშ დოლარი. აღნიშნული სექტორით დაინტერესება დიდი იყო 2016 წელსაც.

სოციალური კაპიტალის განვითარების დონით, თურქეთი, აშშ და არაბეთის გაერთიანებული ემირატები განსხვავებულ დონეებზე არიან.

თურქეთი 2017 წლის, ლეგატუმის კეთილდღეობის ინდექსის მიხედვით 88-ე ადგილზეა 149 ქვეყანას შორის, ხოლო სოციალური კაპიტალის განვითარებით - 96-ე ადგილზე, წინა წელთან შედარებით, მაჩვენებელი გაუმჯობესებულია, თუმცა, თურქეთში დაბალია სამოქალაქო აქტიურობის, მოხალისეობის და ნდობის ხარისხი. ასევე აღსანიშნავია, რომ თურქეთისათვის დამახასიათებელია კორუფციის მაღალი დონე.<sup>316</sup>

<sup>315</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) (27.10.2018)

<sup>316</sup> Legatum Institute, The Legatum Prosperity Index™- Bringing Prosperity to Life, 2016-2017, <http://prosperitysite.s3-accelerate.amazonaws.com/3014/7816/3739/Turkey.pdf> (ნანახია 12.05.2018)

არაბეთის გაერთიანებული ემირატები 2017 წლის, ლეგატუმის კეთილდღეობის ინდექსის თანახმად მსოფლიო რეიტინგში 39-ე ადგილზეა, ხოლო სოციალური კაპიტალის განვითარების დონით-27-ე ადგილზე, 2016 წელს არაბეთის გაერთიანებული ემირატები სოციალური კაპიტალის დონით 25-ე ადგილზე იმყოფებოდა, თუმცა 2017 წელს მაჩვენებელი 2 ერთეულით გაუარესდა. მიუხედავად გენდერულ-კულტურული თავისებურებებისა, გაერთიანებული ემირატები მაინც ახერხებს რეიტინგში მოწინავე პოზიციების შენარჩუნებას. მათ ახასიათებთ მთავრობის მიმართ განსაკუთრებით ნდობის მაღალი ხარისხი, გაცილებით განვითარებულია შემაკავებელი სოციალური კაპიტალი, ვიდრე გამაერთიანებელი.<sup>317</sup>

ამერიკის შეერთებული შტატები, ლეგატუმის 2017 წლის ინდექსის მიხედვით, იმყოფება 149 მოწინავე ქვეყანას შორის-მე-18, სოციალური კაპიტალის განვითარების დონით კი – მე-9 ადგილზე. დონალდ ტრამპის პრეზიდენტად არჩევის შემდგომ, სოციალური კაპიტალის მაჩვენებელი გაუარესებულია, მიუხედავად ამისა, ამერიკის მოსახლეობა ხასიათდება მაღალი პიროვნული თავისუფლების, სამოქალაქო აქტივობის საუკეთესო მაჩვენებლითა და განვითარებული მოხალისეობის კულტურით.<sup>318</sup>


საქართველოს საინვესტიციო გარემოს ანალიზისას, აუცილებელია პუი-ს ნაკადების განხილვა, რომელიც შემოდის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, საქსტატის მონაცემებით, 2007-2011 წლამდე პუი სტაბილურად მზარდად შემოედინებოდა საქართველოში, 2011-2014 წლამდე კლების ტენდენცია აღინიშნა, 2014-2015 წლებში პუი-ს მოცულობა კვლავ გაიზარდა, თუმცა 2015 წლიდან 2017 წლამდე, პუი-ს მოცულობამ ისევ დაიკლო (იხ. დიაგრამა №24 )

---

<sup>317</sup> Legatum Institute, The Legatum Prosperity Index™- Bringing Prosperity to Life, 2016-2017, [http://prosperitysite.s3-accelerate.amazonaws.com/6014/7816/3740/United\\_Arab\\_Emirates.pdf](http://prosperitysite.s3-accelerate.amazonaws.com/6014/7816/3740/United_Arab_Emirates.pdf) (ნანახია 15.05.2018)

<sup>318</sup> Legatum Institute, The Legatum Prosperity Index™- Bringing Prosperity to Life, 2016-2017, <http://prosperitysite.s3-accelerate.amazonaws.com/3914/7816/6348/United-States.pdf> (ნანახია 16.05.2018)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საერთაშორისო ორგანიზაციებიდან  
(ათასი აშშ \$)




საქსტატის მონაცემებით, 2008-2011 წლებში გაცილებით მაღალი იყო პუი-ს მოცულობა, რომელიც შემოედინებოდა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, აღნიშნული მდგომარეობა დაკავშირებული იყო საქართველო-რუსეთის ომის შემდგომ კრიზისთან და მცდელობასთან დახმარებოდნენ საქართველოს ფინანსური სიძნელეების დაძლევაში. 2017 წლის მონაცემებით, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოხდა 2,516.1 ათასი აშშ დოლარის ინვესტირება ენერგეტიკის სექტორში.

რაც შეეხება რეგიონალურ განვითარებას, 2017 წლის მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უდიდესი წილი (63%) დედაქალაქზე მოდის, მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 18% აჭარის რეგიონში განხორციელდა, ხოლო 15% სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში.<sup>320</sup>

<sup>319</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) (27.10.2018)

<sup>320</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) (27.10.2018)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით, 2017 წ



დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უდიდესი წილი დედაქალაქზე მოდის (78%), მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 9% აჭარის რეგიონში განხორციელდა, ხოლო 15% ქვემო ქართლის რეგიონში- 3%.

საქართველოში, პუი-ს მოსაზიდად აქტიურად დაიწყო თავისუფალი ინდუსტრიული ზონების პრაქტიკის დანერგვა. აღნიშნულ ზონებზე ვრცელდება შეღავათები. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ფუნქციონირებს ოთხი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა:

- თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა.
- ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა;
- ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა;
- ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა.<sup>322</sup>

<sup>321</sup> სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, 2010-2017 წწ. [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo) (ნანახია 24.10.2018)

ინვესტორს, თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში საქმიანობის დაწყების შემთხვევაში, შეუძლია ისარგებლოს მთელი რიგი უპირატესობებით:

- თავისუფალ ინდუსტრიული ზონაში ფუნქციონირებადი საწარმოს მიერ გადახდილი პროცენტი/დივიდენდი არ არის შეტანილი მიმღების დასაბეგრ საშემოსავლო ბაზაში და არ იბეგრება;
- საწარმო, რომელიც მოღვაწეობს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში, თავისუფლდება მოგების გადასახადისგან;
- თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ორგანიზაციები არ არიან ვალდებული თანამშრომლებს დაუკავონ საშემოსავლო გადასახადი;
- თავისუფალი ინდუსტრიული ზონის კომპანიებს არ გააჩნიათ ვალდებულება გადაიხადონ და შეაფასონ დღგ-ზე დაბრუნებადი გადასახადი;
- დღგ-გან თავსუფლდება ექსპორტი, საგადასახადო შეღავათზე უფლებით;
- დღგ-სგან გათავისუფლებულია კომპანიებს შორის ვაჭრობა თავისუფალ ინდუსტრიალ ზონაში;
- ქონების გადასახადისგან თავისუფლდება ის საკუთრება, (მათ შორის მიწა), რომელიც განთავსებულია თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე.<sup>323</sup>

---

<sup>322</sup> შემოსავლების სამსახური, თავისუფალი ზონის სასაქონლო ოპერაცია, 2017, <http://www.rs.ge/6290> (ნანახია 01.06.2018)

<sup>323</sup> შემოსავლების სამსახური, თავისუფალი ზონის სასაქონლო ოპერაცია, 2017, <http://www.rs.ge/6290> (ნანახია 01.06.2018)

## თავი 3. კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა ანალიზი

### 3.1. კვლევის მეთოდოლოგია

მოცემული პარაგრაფში აღწერილია ის მეთოდები, რომლებიც საფუძვლად უდევს სადისერტაციო ნაშრომში განხორციელებულ კვლევას.

სადისერტაციო ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა სხვადასვა მეთოდების და მათი კომბინაციების გამოყენება. კერძოდ, შევეცადეთ მოგვეხდინა თეორიული, ემპირიული-რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების უპირატესობების მაქსიმიზაცია და შეზღუდვების მინიმიზაცია. საწყის ეტაპზე მოვიპოვეთ შესაბამისი ლიტერატურა, სტატისტიკური მონაცემები, ინტერნეტით მოვიძიეთ მონაცემები სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებულ კვლევებზე, გამოვიყენეთ საჯარო დაწესებულებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საინფორმაციო ბაზები. განხორციელდა ლიტერატურის, დოკუმენტის და სხვა ინფორმაციის ანალიზი.

ანალიზის მეთოდი გამოყენებულია როგორც დამოუკიდებელი მეთოდი, რომლის საშუალებითაც მოვიპოვეთ საკვლევ საკითხზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია. დოკუმენტების შეგროვებისთვის გამოვიყენეთ ინტერნეტი. ძებნა ძირითადად განხორციელდა ელექტრონული სამეცნიერო ბაზების Researchgate, Scopus, Web of Science, Erih Plus, Google Scholar და სხვა ბაზების საფუძველზე. ცალკეულ შემთხვევაში მოხდა პოპულარული საძიებო სისტემის <http://www.google.com>-ის გამოყენება. მონაცემების შესაგროვებლად ვისარგებლეთ საკანძო სიტყვების სხვადასხვა კომბინაციით.

მონაცემთა ანალიზისათვის გამოყენებული გვაქვს პროგრამა “STATA”, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ასობით სხვადასხვა მეთოდი გამოვიყენოთ რაოდენობრივი კვლევისათვის. პროგრამა “STATA” წარმოადგენს თანამედროვე მეცნიერების მიერ აღიარებულია მონაცემთა დახარისხების, სტატისტიკური ანალიზის, მონაცემების გრაფიკულად წარმოდგენის ეფექტიან ინსტრუმენტად.<sup>324</sup>

კვლევაში გამოყენებული ძირითადი მონაცემები აღებულია ლეგატუმის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული “ლეგატუმის კეთილდღეობის ინდექსი”- დან. მისი დახმარებით შესაძლებლობა მოგვეცა მოგვეპოვებინა ისეთი მონაცემები,

<sup>324</sup> “stata”-ს ოფიციალური ვერს. გვერდი: <https://www.stata.com/> (ნანახია: 20.07.2018)

როგორცაა: სოციალური კაპიტალის, პიროვნული თავისუფლების, მარეგულირებელი სისტემის, დაცულობა/უსაფრთხოების მაჩვენებლების შესახებ.

ლეგატუმის კეთილდღეობის ინდექსი 149 ქვეყანას 104 ერთმანეთისაგან განსხვავებული ინდიკატორის მეშვეობით აფასებს, რომელიც თავის მხრივ შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებს მოიცავს: გელაპის მსოფლიო გამოკითხვა (Gallup World Poll), მსოფლიო განვითარების ინდიკატორები (World Development Indicators), ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო გაერთიანება (International Telecommunication Union), განვითარებადი ქვეყნების ინდექსი (Fragile States Index), მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები (Worldwide Governance Indicators), თავისუფლების სახლი (Freedom House), ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (World Health Organisation), მსოფლიო ღირებულებათა კვლევა (World Values Survey), ამნისტია ინთერნეიშენალი (Amnesty International), სისტემური მშვიდობის ცენტრი (Centre for Systemic Peace).

ლეგატუმის კეთილდღეობის ინდექსი მოიცავს 200 ცვლადს, რომელიც მოქმედებს საზოგადოების კეთილდღეობასა და სიმდიდრეზე. სტატისტიკური კავშირების დადგენის შემდეგ აღნიშნული 200 ცვლადი შემცირდა სტატისტიკურად მნიშვნელოვან 104-მდე. ყოველ ქვეყანას მინიჭებული აქვს ქულები ცალკეული კატეგორიების მიხედვით, რომელიც იზრდება კონკრეტული ცვლადის მნიშვნელობის შესაბამისად. ლეგატუმის ინდექსის მაჩვენებლებად გამოყენებულია როგორც თვისებრივი ასევე რაოდენობრივი ინდიკატორები. აღნიშნული 104 ცვლადი, თავის მხრივ, მოიცავს 9 სუბ-ინდექსს: ეკონომიკის ხარისხი, ბიზნეს გარემო, მმართველობა, განათლება, ჯანდაცვა, დაცულობა/უსაფრთხოება, პიროვნული თავისუფლება, სოციალური კაპიტალი და ბუნებრივი გარემო. განხორციელებულ კვლევაში გამოვიყენეთ შემდეგი ცვლადები:

 **სოციალური კაპიტალი.** ლეგატუმის ინსტიტუტის კვლევებში ეს ცვლადი წარმოდგენილია სამი მაჩვენებლით: სოციალური ჩართულობა და შეთანხმებულობა (გამაერთიანებელი (Bridging) სოციალური კაპიტალი); ოჯახური და ნათესაური კავშირ-ურთიერთობები (შემაკავებელი (Bonding) სოციალური კაპიტალი); პოლიტიკური ჩართულობა და ინსტიტუციური ნდობა (დამაკავშირებელი (Linking) სოციალური კაპიტალი). ეს მაჩვენებელი აფასებს თუ როგორ მოქმედებს ეკონომიკურ მდგომარეობასა

და ცხოვრების პირობებზე ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: მოხალისეობა, უცნობი ადამიანების დახმარება და ქველმოქმედება. იგი ზომასვს ნდობის დონეს – თუ რამდენად შეუძლია მოსახლეობას ენდოს სხვა ინდივიდებს ან ინსტიტუტებს, მაგალითად პოლიციას. ის ასევე ზომავს თუ რამდენად არიან მოქალაქეები ჩართული პოლიტიკურ პროცესებში და როგორ ზემოქმედებენ მასზე. სოციალური კაპიტალის ემპირიულმა კვლევები გვჩვენებს, რომ მოქალაქეების კეთილდღეობა უმჯობესდება საზოგადოებაში ნდობის ამადლებითა და კავშირების გამყარებით. ანალოგიურად საზოგადოება რომელსაც გააჩნია ნდობის დაბალი ხარისხი ეკონომიკის ზრდის დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება.<sup>325</sup>

 **პერსონალური თავისუფლება.** ლეგატუმის ინსტიტუტის მეთოდოლოგიით პიროვნული თავისუფლების მაჩვენებელი ასახავს ქვეყნისათვის დამახასიათებელ ორ ფაქტორს: პიროვნული თავისუფლება და სოციალური ტოლერანტობა. პიროვნული თავისუფლების მაჩვენებელი გულისხმობს თავისუფლების სხვადასხვა გამოხატულებებს, ესენია, არჩევანის, გამოხატვის (მათ შორის პრესის), მოქმედების, რწმენის უმცირესობებისა და იმიგრანტების მიმართ ტოლერანტობას. ქვეყნები, რომლის მოქალაქეებსაც გააჩნიათ გამოხატვის თავისუფლება და რწმენა, ხასიათდებიან შემოსავლის და კეთილდღეობის მაღალი დონით<sup>326</sup>.

 **დაცულობა/უსაფრთხოება.** ქვეყნისა და პიროვნული უსაფრთხოების დარღვევა საფრთხეს უქმნის როგორც ეკონომიკურ ასევე სოციალურ კეთილდღეობას. დაცულობისა და უსაფრთხოების მაჩვენებელი გაზომილია ქვეყნის სამი პარამეტრის მიხედვით: ერგნული უსაფრთხოება; კრიმინოგენური ფონი და პიროვნული დაცულობა. სტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო (იზომება პოლიტიკური ტერორის შკალით) აუცილებელია ინვესტიციების მოზიდვისა და ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის. როდესაც მოქალაქეები წუხან პირად უსაფრთხოებაზე (იზომება პასუხით კითხვაზე: გრძნობთ თუ არა თავს უსაფრთხოთ დამე მარტო სეირნობისას) ეცემა საერთო კეთილდღეობა. დაცულობისა და უსაფრთხოების მაჩვენებელი აერთიანებს პიროვნული

<sup>325</sup> Legatum Prosperity Index, 2007-2017, <https://www.prosperity.com/> (ნანახია 20.10.2018)

<sup>326</sup> Legatum Prosperity Index, 2007-2017, <https://www.prosperity.com/> (ნანახია 20.10.2018)

თავისუფლების სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებს. კერძოდ: არასტაბილურობა, რომელიც გამოწვეულია ჯგუფური ნეგატიური მოვლენებით, მაგალითად ეთნოკომფლიქტები ზღუდავს მშპ-ის ზრდას. როდესაც ხალხს არ გააჩნია სტაბილური და დამაკმაყოფილებელი საცხოვრებელი პირობები და როდესაც ინსტიტუტებს არ შეუძლიათ მათი დახმარება ისინი გარბიან, ასეთ დროს ადამიანები იძულებულნი ხდებიან დატოვონ ქვეყანა. სამეცნიერო კვლევებმა აჩვენა, რომ ორგანიზებული პოლიტიკური ძალადობა, როგორცაა სამოქალაქო ომები, კრიმინალი ხელს უშლის ეკონომიკურ ზრდას. ასევე გარემოში სადაც სუფევს შიში და გაურკვევლობა ნეგატიურად მოქმედებს ცხოვრებისეულ კმაყოფილებაზე.<sup>327</sup>

 **მარეგულირებელი სისტემა.** კარგად მართული დემოკრატიული საზოგადოების შემადგენელი ყოველი ინდივიდი ხასიათდება ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის მაღალი დონით და კეთილდღეობით. მთავრობის მარეგულირებელი სისტემის მაჩვენებელი ზომავს ქვეყნების მდგომარეობას ოთხი ფაქტორის მიხედვით, ესენია: ეფექტიანი და მოწესრიგებული მთავრობა; სამართლიანი არჩევნები და პოლიტიკური ჩართულობა; სამართლებრივი სისტემის გამართულობა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების დონე. სტაბილური და დემოკრატიული მმართველობითი ინსტიტუტები იცავს პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისუფლებას და ქმნის სამოქალაქო ჩართულობის გარემოს, ამადლებს ეკონომიკურ შემოსავალსა და კეთილდღეობას. აღნიშნული მაჩვენებელი ასევე აფასებს მთავრობაში კორუფციის დონესა და მოქალაქეების ნდობას არჩევნების სამართლიანობისა და პოლიტიკური პროცესების მიმართ<sup>328</sup>.

 **დანაშაულის დონის** მონაცემები მიღებულია ქრაუდსორსინგული, გლობალური მონაცემთა ბაზიდან - <https://www.numbeo.com>. აღნიშნულ მონაცემთა ბაზაში კონკრეტული ქვეყნის დანაშაულის მაჩვენებელი მიღებულია მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად. კითხვარში შედის შემდეგი სახის შეკითხვები: „თქვენი აზრით როგორი კრიმინოგენული ფონია ქვეყანაში“; „გასული სამი წლის განმავლობაში როგორ შეიცვალა

<sup>327</sup> Legatum Prosperity Index, 2007-2017, <https://www.prosperity.com/> (ნანახია 20.10.2018)

<sup>328</sup> Legatum Prosperity Index, 2007-2017, <https://www.prosperity.com/> (ნანახია 20.10.2018)

კრიმინოგენული ფონი“; „გრნობთ თუ არა თავს უსაფრთხოდ დღისით, ღამით ქუჩაში მოძრაობისას“; „რამდენად ხშირია ძარცვის ფაქტები ქვეყანაში“; „ხშირია თუ არა მანქანის ქურდობისა და უცნობთა მხრიდან თავდასხმის ან შეურაწყოფის მიყენების ფაქტები“; „რამდენად ხშირია თავდასხმა კანის ფერის, ეროვნების ან რელიგიოუს მიზეზით“; „რამდენად აქტუალურია მოსახლეობაში ნარკოტიკების გამოყენების და რეალიზაციის საკითხები“; „რამდენად ხშირია ქონებასთან დაკავშირებული დანაშაული“; „როგორია ძალადობის დონე ქვეყანაში“<sup>329</sup>.

ცალკეული ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ მონაცემები აღებულია მსოფლიო ბანკის ოფიციალური მონაცემთა ბაზებიდან.<sup>330</sup>

საკვლევ ობიექტად შევარჩიეთ 10 პოსტ-საბჭოთა ქვეყანა (საქართველო, აზერბაიჯანი, ბელარუსია, ესტონეთი, უკრაინა, ატვია, ლიტვა, მოლდოვა, რუსეთი და სომხეთი) საქართველოსთან მსგავსების გამო მთელი რიგი პარამეტრებით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სოციალური კაპიტალისა და პუი-ს შორის კავშირის შესწავლას ქვეყნის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია. ეს განსაკუთრებით გამოკვეთილია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის. ყოფილი სოციალისტური ქვეყნების უმრავლესობამ დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოიპოვა და უახლოეს წარსულში ამ ქვეყნებში გეგმურიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის მტკივნეული პროცესი მიმდინარეობდა.

ცნობილია აგრეთვე, რომ გარდამავალ პერიოდში ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ არსებით ორიენტირს უცხოური კაპიტალისათვის ხელსაყრელი გარემოს ფორმირება და მისი მდგალი შემოდინება წარმოადგენს. ამდენად ლოგიკურია, რომ ისედაც არამდგრადი ბუნების უცხოური ინვესტიციების ნაკადები გარდამავალ პერიოდში საერთო არასტაბილური ეკონომიკური კლიმატის შესაბამისად, კიდევ უფრო მეტი ცვალებადობით ხასიათდება. მართლაც პუი-ზე პირდაპირ თუ ირიბ გავლენას ახდენენ ქვეყნის შიგნით მიმდინარე ეკონომიკური პროცესები და სოციალური ფაქტორები.

<sup>329</sup> NUMBEO, Crime, <https://www.numbeo.com/crime/> (ნანახია 19.10.2018)

<sup>330</sup> The World Bank Data, Foreign direct investment, net inflows (% of GDP), <https://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.WD.GD.ZS> (ნანახია 20.10.2018)

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში 10 პოსტ სოციალისტური ქვეყნის მაგალითზე შესწავლილი გვაქვს, პუი-ს, სოციალური კაპიტალის, დანაშაულის დონის, უსაფრთხოება/დაცულობის, თავისუფლების დონის და მარეგულირებელი სისტემის ურთიერთკავშირები. აღნიშნული პოსტსოციალისტური ქვეყნები შევარჩიეთ შემდეგი მიზეზების გამო:

1. ამ ქვეყნების მოსახლეობას ისტორიულად ყოველთვის ჰქონდა საერთო ეკონომიკური ინტერესები;
2. ეს ქვეყნები განსაკუთრებით მჭიდროდ იყვნენ ურთიერთდაკავშირებული საბჭოთა კავშირის პერიოდიდან მოყოლებული;
3. ამჟამად, ამ ქვეყნების ეკონომიკა, უფრო ნაკლებად, მაგრამ მაინც კვლავ არის ურთიერთდაკავშირებული ისტორიული, გეოგრაფიული, კულტურული თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით;
4. მიუხედავად წარსულში მსგავსი გამოცდილებისა, ამ ქვეყნებს დღეს განსხვავებული ახლო და გრძელვადიანი მიზნები გააჩნიათ, როგორც ეკონომიკის ასევე პოლიტიკის თვალსაზრისით.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ცხადი ხდება, რომ მოცემული 10 ქვეყნის მაგალითზე უნიკალური შესაძლებლობა გვუძლევს შევისწავლოთ პუი-სა და სოციალური კაპიტალის ურთიერთკავშირის თავისებურებები მსგავსი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ქვეყნების განსხვავებულ მაკროეკონომიკურ კონტექსტში.

საქართველომ სხვა ყოფილი სოციალისტური რესპუბლიკების მსგავსად დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოიპოვა. ვვარაუდობთ, რომ სოციალური კაპიტალის კავშირი პუი-სთან მსგავსი იქნება საერთო წარსულის და მსგავსი ეკონომიკური სისტემის მქონე ქვეყნებისათვის, და ასეთი კავშირების ხასიათი განსხვავებულია ტრადიციული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებისაგან. მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით ემპირიული კვლევა ჯერ არ განხორციელებულა და აღნიშნული კვლევის შედეგები ერთგვარი სიახლეა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში სოციალური კაპიტალისა და პუის შორის კავშირის დადგენაში.

## 3.2. ჰიპოთეზების შემოწმება

სოციალური კაპიტალი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

- H<sub>0</sub>: სოციალური კაპიტალის განვითარება ხელს შეუწყობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას;
- H<sub>1</sub>: სოციალური კაპიტალის განვითარება ხელს არ შეუწყობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად კვლევა ითვალისწინებს სოციალურ კაპიტალსა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის კავშირის გამოვლენას 10 პოსტ-საბჭოთა ქვეყნის ბოლო 11 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მაგალითზე (იხ. ცხრილი 10 და ცხრილი 11).

ცხრილი 10<sup>331</sup>

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი მთლიან შიდა პროდუქტში  
პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, 2007-2017 წწ

| ქვეყანა       | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 |
|---------------|------|------|------|------|------|------|------|------|------|------|------|
| 1 საქართველო  | 18.5 | 12.5 | 6.1  | 7.7  | 8.1  | 6    | 6.4  | 11   | 11.9 | 11   | 12   |
| 2 აზერბაიჯანი | 13.9 | 8.2  | 6.5  | 6.3  | 6.8  | 7.6  | 3.5  | 5.9  | 7.6  | 11.9 | 7    |
| 3 ბელარუსია   | 4    | 3.6  | 3.8  | 2.4  | 6.5  | 2.2  | 3    | 2.4  | 3    | 2.6  | 2.3  |
| 4 ესტონეთი    | 15.4 | 7.7  | 9.5  | 13.3 | 4.8  | 7.8  | 4.4  | 6.8  | -3.1 | 4    | 6    |
| 5 უკრაინა     | 7.1  | 5.9  | 4.1  | 4.7  | 4.4  | 4.6  | 2.5  | 0.6  | 3.4  | 3.7  | 2.5  |
| 6 ლატვია      | 8.8  | 4    | -0.1 | 1.8  | 5.3  | 3.8  | 3.2  | 3    | 3.1  | 0.9  | 3.8  |
| 7 ლიტვა       | 5.8  | 4    | 0.1  | 2.3  | 3.5  | 1.3  | 1.5  | 1    | 2.3  | 2.2  | 2.3  |
| 8 მოლდოვა     | 12.2 | 12   | 4.7  | 4.9  | 5    | 3.4  | 3    | 4.3  | 3.3  | 1.3  | 2.6  |
| 9 რუსეთი      | 4.3  | 4.5  | 3    | 2.8  | 2.7  | 2.3  | 3    | 1.1  | 0.5  | 2.5  | 1.8  |
| 10 სომხეთი    | 7.3  | 8.1  | 8.8  | 5.7  | 6.4  | 4.7  | 3.1  | 3.5  | 1.7  | 3.2  | 2.2  |

ცხრილიდან ჩანს, რომ ცალკეულმა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს პუი-ს მოზიდვის საქმეში, რამაც ბუნებრივია, არსებითი წვლილი შეიტანა ეკონომიკური ზრდის ტემპების ამაღლებაში და

<sup>331</sup> The World Bank Data, Foreign direct investment, net inflows (% of GDP),  
<https://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.WD.GD.ZS> (ნანახია 20.10.2018)

ტრანსფორმაციული კრიზისის დაძლევაში. ამ თვალსაზრისით, წარმატებულ ქვეყნებს შეიძლება მივაკუთვნოთ საქართველო, სადაც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში პუი-ს წილი მთლიან შიდა პროდუქტში ორნიშნა მაჩვენებელი 11%-ს აღემატება. ამ მონაცემის მიხედვით, საქართველო მკვეთრად უსწრებს ბალტიისპირეთის ქვეყნებს, რუსეთს და მოლდოვას.

ცხრილი 11<sup>332</sup>

სოციალური კაპიტალი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, 2007-2017 წწ

| ქვეყანა       | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 |
|---------------|------|------|------|------|------|------|------|------|------|------|------|
| 1 საქართველო  | 39.3 | 42.5 | 41.5 | 43.4 | 42.3 | 43.1 | 43.9 | 44.2 | 42   | 42   | 41   |
| 2 აზერბაიჯანი | 39.5 | 42.9 | 42.8 | 39.6 | 40.6 | 42.6 | 41.8 | 42.3 | 42.9 | 42.9 | 41.1 |
| 3 ბელარუსია   | 40.7 | 40.8 | 42.9 | 45.5 | 43.7 | 43.2 | 44.9 | 42.4 | 44.4 | 44.4 | 44   |
| 4 ესტონეთი    | 46.7 | 49.1 | 47.7 | 47.7 | 51.4 | 49.8 | 49.9 | 49.7 | 49.7 | 49.7 | 51.8 |
| 5 უკრაინა     | 39.1 | 40.2 | 37.9 | 43.5 | 42.5 | 42.2 | 42   | 42.7 | 42.5 | 42.5 | 45.5 |
| 6 ლატვია      | 46.3 | 47.2 | 46.1 | 46.3 | 48.7 | 47.4 | 49.1 | 48   | 47.8 | 47.8 | 46.7 |
| 7 ლიტვა       | 37.8 | 38   | 36.2 | 37.4 | 40.3 | 40.6 | 40.4 | 40   | 44   | 44   | 42.2 |
| 8 მოლდოვა     | 45.4 | 46.6 | 44   | 45   | 45.2 | 44   | 43.4 | 42.3 | 44.2 | 44.2 | 44.4 |
| 9 რუსეთი      | 43   | 41   | 41.6 | 43.3 | 41.2 | 41.3 | 42   | 44.5 | 45.4 | 45.4 | 43.9 |
| 10 სომხეთი    | 44.6 | 41.6 | 39.3 | 38.2 | 39.1 | 41   | 41.2 | 41.6 | 41.5 | 41.5 | 42.1 |

ცხრილი საშუალებას გვაძლევს, რომ დინამიკაში დავაკვირდეთ სოციალური კაპიტალის დონეს პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში. სოციალური კაპიტალის მდგომარეობით, აღნიშნულ ქვეყნებს შორის, საუკეთესო მაჩვენებელი გააჩნია ესტონეთს. 2017 წელს, ესტონეთი 51,8 ქულით იყო შეფასებული, რაც საუკეთესო მაჩვენებელია განსახილვევ 10 ქვეყანაში, ამავე წელს კი საქართველოს მაჩვენებელი 41 ქულას შეადგენს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. თუ დავუკვირდებით დინამიკაში ესტონეთის მაჩვენებელი ბოლო წლებში იზრდებოდა. ხოლო, საქართველოს მაჩვენებელს კი 2014 წლიდან კლებადი ტენდენცია ახასიათებს. საინტერესოა მოლდოვის შემთხვევა, სადაც სოციალური კაპიტალის დონე წლების განმავლობაში სტაბილურია და უმნიშვნელო ცვლილებებით ხასიათდება.

<sup>332</sup> Legatum Prosperity Index, 2007-2017, <https://www.prosperity.com/> (ნანახია 20.10.2018)

ჰიპოთეზის (სოციალური კაპიტალის გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე) შესამოწმებლად გამოვიყენეთ წრფივი რეგრესული ანალიზი. სადაც დამოკიდებულ (y) ცვლადად ავიღეთ პუი, ხოლო დამოუკიდებელ (x) ცვლადად კი – სოციალური კაპიტალი.

ცხრილი 12<sup>333</sup>

სოციალური კაპიტალისა და პუი-ს ურთიერთკავშირი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

```
Random-effects GLS regression              Number of obs   =       110
Group variable: ID                        Number of groups  =        11

R-sq:  within = 0.0037                    Obs per group: min =       10
        between = 0.4328                      avg   =      10.0
        overall = 0.0009                      max   =       10

                                           Wald chi2(1)     =       0.02
corr(u_i, X)  = 0 (assumed)                Prob > chi2      =      0.9017
```

| FDIGDP | Coef.    | Std. Err. | z    | P> z  | [95% Conf. Interval] |          |
|--------|----------|-----------|------|-------|----------------------|----------|
| SOCCAP | .0127792 | .1034699  | 0.12 | 0.902 | -.190018             | .2155764 |
| _cons  | 4.500117 | 4.519716  | 1.00 | 0.319 | -4.358363            | 13.3586  |

ფორმალური სახით რეგრესული განტოლება შემდეგნაირად გამოიყურება

$$\frac{FDI}{GDP} = \beta_0 + \beta_1 SOCCap_t + \omega$$

პანელური მონაცემთა ბაზის საშუალებით განვახორციელეთ ემპირიული დაკვირვება სოციალური კაპიტალისა და პუის ნაკადებს შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვიკვლევთ თუ რა გავლენას ახდენს სოციალური კაპიტალი პუი-ს ნაკადებზე. რეგრესული ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილი №12-ში როგორც ცხრილიდან ჩანს, სოციალური კაპიტალის გავლენა პუი-ზე არის დადებითი (coef დადებითია) თუმცა, მოცემული ცვლადის გავლენა პუი-ზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის.

<sup>333</sup> გაანგარიშებები გაკეთებულია პროგრამაში STATA

აღნიშნულ ცვლადებს შორის კავშირი გადავამოწმეთ მხოლოდ საქართველოს მაგალითზე, ამასთან, კვლევაში ჩავრთეთ 1 წლიანი დროითი ლაგი, იმის გათვალისწინებით, რომ სოციალურ კაპიტალის ცვლილება დაუყოვნებლივ არ აისახება პუი-ზე. როგორც წესი, პარტნიორებს შორის ნდობის ჩამოყალიბებიდან კონკრეტული საინვესტიციო პროექტის განხორციელებამდე რამდენიმე თვიდან 1 წლამდე პერიოდია საჭირო.

ცხრილი 13<sup>334</sup>

სოციალური კაპიტალისა და პუი-ს ურთიერთკავშირი დროითი ლაგის გათვალისწინებით

. regress FDIGDP SOCCAP L2.SOCCAP

| Source   | SS         | df | MS         | Number of obs = 9      |  |  |
|----------|------------|----|------------|------------------------|--|--|
| Model    | 25.218388  | 2  | 12.609194  | F( 2, 6) = 2.82        |  |  |
| Residual | 26.7905009 | 6  | 4.46508349 | Prob > F = 0.1367      |  |  |
| Total    | 52.0088889 | 8  | 6.50111111 | R-squared = 0.4849     |  |  |
|          |            |    |            | Adj R-squared = 0.3132 |  |  |
|          |            |    |            | Root MSE = 2.1131      |  |  |

| FDIGDP | Coef.     | Std. Err. | t     | P> t  | [95% Conf. Interval] |          |
|--------|-----------|-----------|-------|-------|----------------------|----------|
| SOCCAP |           |           |       |       |                      |          |
| --.    | -1.172362 | .710367   | -1.65 | 0.150 | -2.910567            | .5658438 |
| L2.    | 1.124132  | .5288117  | 2.13  | 0.078 | -.1698242            | 2.418087 |
| _cons  | 11.11559  | 31.83658  | 0.35  | 0.739 | -66.78572            | 89.0169  |

როგორც ცხრილი №13 დან ჩანს, 1 წლიანი დროითი ლაგის გათვალისწინებით, სოციალური კაპიტალის პუი-ზე გავლენის მნიშვნელობა მკვეთრად გაიზარდა ( $P=0.078$ ) და გარკვეულწილად მნიშვნელოვანი გახდა. გამოვლინდა დადებითი კავშირი სოციალურ კაპიტალსა და პუი-ს შორის, რაც გულისხმობს იმას, რომ სოციალური კაპიტალის ზრდა შემდეგ წლებში მნიშვნელოვნად გაზრდის პუი-ს ნაკადებს. ამრიგად, სოციალური კაპიტალი წარმოადგენს პუი-ზე მოქმედ არსებით ფაქტორს. სოციალური ჩართულობა და შეთანხმებულობა, ოჯახური და ნათესაური კავშირ-ურთიერთობები, პოლიტიკური

<sup>334</sup> გაანგარიშებები გაკეთებულია პროგრამაში STATA

ჩართულობა და ინსტიტუციური ნდობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეკონომიკური მდგომარეობისა და ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, არამედ ხელსაყრელი საინვესტიციო ფუნდამენტის შესაქმნელად, რაც საბოლოო ანგარიშით ზრდის ქვეყანაში პუი-ს მოდინებას.

თუმცა იმისათვის, რომ სოციალური კაპიტალის ცვლილება აისახოს პუი-ზე საჭიროა გარკვეული დრო კერძოდ, 6 თვიდან 1 წლამდე პერიოდი. ეს ის დროა, რომელიც აუცილებელია ბიზნეს პარტნიორების და ინსტიტუტების მიმართ ნდობის ჩამოყალიბების, სოციალურ ქსელში გაერთიანების, მათ შორის საქმიანი კავშირ-ურთიერთობების გამყარების, კონკრეტული საინვესტიციო პროექტის მომზადებისა და ამოქმედებისათვის.

### **პიროვნული თავისუფლება და სოციალური კაპიტალი**

$H_0$ : პიროვნული თავისუფლების მაჩვენებლის გაუმჯობესება სხვა თანაბარ პირობებში იწვევს სოციალური კაპიტალის ზრდას;

$H_1$ : პიროვნული თავისუფლების მაჩვენებლის გაუმჯობესება სხვა თანაბარ პირობებში არ იწვევს სოციალური კაპიტალის ზრდას.

აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად კვლევა ითვალისწინებს პიროვნულ თავისუფლებასა და სოციალურ კაპიტალს შორის კავშირის გამოვლენას. ჩვენს კვლევაში ასახულია 10 პოსტ-საბჭოთა ქვეყნის ბოლო 11 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები (იხ. ცხრილი 11 და ცხრილი 14).

## პიროვნული თავისუფლების მაჩვენებლები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, 2007-2017 წწ

| ქვეყანა       | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 |
|---------------|------|------|------|------|------|------|------|------|------|------|------|
| 1 საქართველო  | 50.5 | 52.4 | 52.8 | 55.1 | 57.7 | 55.8 | 58.1 | 57.9 | 56.6 | 56.6 | 54.8 |
| 2 აზერბაიჯანი | 44.9 | 47.3 | 44.9 | 43.9 | 43.3 | 43.8 | 43.2 | 44   | 44.3 | 44.3 | 42.5 |
| 3 ბელარუსია   | 38.8 | 36.9 | 35.7 | 37.7 | 37.2 | 36.4 | 37.7 | 37.1 | 37.4 | 37.4 | 38.2 |
| 4 ესტონეთი    | 69.1 | 68.9 | 66.8 | 66   | 70.2 | 70.3 | 71.2 | 74.4 | 72.9 | 72.9 | 73.4 |
| 5 უკრაინა     | 58   | 55.4 | 55.6 | 50.2 | 53.1 | 51.3 | 53.2 | 53.3 | 51.5 | 51.5 | 51.4 |
| 6 ლატვია      | 65.5 | 61.7 | 60   | 57.3 | 57.8 | 57.9 | 67.1 | 67.7 | 64.4 | 64.4 | 65.3 |
| 7 ლიტვა       | 66.7 | 66.1 | 67   | 67.7 | 67.8 | 66.5 | 68.2 | 67.5 | 69.3 | 69.3 | 67.7 |
| 8 მოლდოვა     | 50.7 | 48.9 | 48.6 | 54.6 | 53.8 | 53.7 | 54.7 | 54.6 | 54.1 | 54.1 | 53.3 |
| 9 რუსეთი      | 39   | 37.6 | 34.6 | 33.7 | 33.3 | 31.7 | 33.3 | 31.4 | 32.5 | 32.5 | 32.6 |
| 10 სომხეთი    | 55   | 50.7 | 49.8 | 47.9 | 46.9 | 48.2 | 47.6 | 48.4 | 48.7 | 48.7 | 51.1 |

ცხრილი №14 ჩანს, რომ პიროვნული თავისუფლების დონით გამოირჩევიან ბალტიისპირეთის ქვეყნები, კერძოდ, 2017 წელს ესტონეთში პიროვნული თავისუფლება შეფასებული იყო 73.4 ქულით, ლიტვაში 67.7 ქულით, ხოლო ლატვიაში 65.3 ქულით, დანარჩენი ქვეყნები მკვეთრად ჩამორჩებიან მათ-დაახლოებით 18-20 ქულით. პიროვნული თავისუფლების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, განსახილველ 10 ქვეყანაში ახასიათებს რუსეთს, კერძოდ 32.6 ქულა, ასევე ბელარუსიას -38.2 და აზერბაიჯანს-42.5 ქულა. აღსანიშნავია, რომ პიროვნული თავისუფლების დონე ამ სამ ქვეყანაში, ბოლო 11 წლის მონაცემით, სტაბილურად დაბალია და უმნიშვნელო ცვლილებებით ხასიათდება. დინამიკაში თუ დავაკვირდებით პიროვნული თავისუფლების მაჩვენებელს, 2013 წლიდან საქართველოში გამოკვეთილია პიროვნული თავისუფლების მაჩვენებლის შემცირების ტენდენცია.

<sup>335</sup> Legatum Prosperity Index, 2007-2017, <https://www.prosperity.com/> (ნანახია 20.10.2018)

სოციალური კაპიტალისა და პიროვნული თავისუფლების ურთიერთკავშირი  
პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

```
. xtreg SOCCAP PERSONALFREEDOM, re
```

```
Random-effects GLS regression           Number of obs   =       110
Group variable: ID                     Number of groups =        11

R-sq:  within = 0.1243                  Obs per group: min =        10
      between = 0.1262                      avg =       10.0
      overall  = 0.1203                      max =        10

Wald chi2(1) =       14.77
corr(u_i, X) = 0 (assumed)             Prob > chi2      =       0.0001
```

| SOCCAP          | Coef.     | Std. Err.                         | z     | P> z  | [95% Conf. Interval] |          |
|-----------------|-----------|-----------------------------------|-------|-------|----------------------|----------|
| PERSONALFREEDOM | .0941191  | .024489                           | 3.84  | 0.000 | .0461215             | .1421166 |
| _cons           | 38.498    | 1.321616                          | 29.13 | 0.000 | 35.90768             | 41.08832 |
| sigma_u         | 0         |                                   |       |       |                      |          |
| sigma_e         | 3.0510371 |                                   |       |       |                      |          |
| rho             | 0         | (fraction of variance due to u_i) |       |       |                      |          |

ჰიპოთეზის (პიროვნული თავისუფლების გავლენა სოციალურ კაპიტალზე) შესამოწმებლად გამოვიყენეთ წრფივი რეგრესული ანალიზი. სადაც დამოკიდებულ (y) ცვლადად ავიღეთ სოციალური კაპიტალი, ხოლო დამოუკიდებელ (x) ცვლადად კი – პიროვნული თავისუფლება.

ფორმალური სახით რეგრესული განტოლება შემდეგნაირად გამოიყურება

$$SOCCap = \beta_0 + \beta_1 PersFreedom_t + \omega$$

პანელური მონაცემთა ბაზის საშუალებით განვახორციელეთ ემპირიული დაკვირვება პერსონალური თავისუფლებისა და სოციალური კაპიტალს შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოვიკვლიეთ თუ რა გავლენას ახდენს პიროვნული თავისუფლების დონე სოციალურ კაპიტალზე. რეგრესული ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილი №15-ში. პიროვნული თავისუფლება დადებით კორელაციურ კავშირშია სოციალურ კაპიტალთან (coef=0,094) და აღნიშნული

<sup>336</sup> გაანგარიშებები გაკეთებულია პროგრამაში STATA

ცვლადის გაგლეხა სოციალურ კაპიტალზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ( $P=0$ ). ამრიგად, ნულოვანი ჰიპოთეზა: პიროვნული თავისუფლების მაჩვენებლის გაუმჯობესება სხვა თანაბარ პირობებში იწვევს სოციალური კაპიტალის ზრდას - მხარდაჭერილია.

ქვეყნები, რომლის მოქალაქეებსაც გააჩნიათ გამოხატვის თავისუფლება და რწმენა, ხასიათდებიან სოციალური კაპიტალის მაღალი დონით. პიროვნული თავისუფლების მაჩვენებელი გულისხმობს თავისუფლების სხვადასხვა გამოხატულებებს, ესენია, არჩევანის გამოხატვის (მათ შორის პრესის), მოქმედების, რწმენის უმცირესობებისა და იმიგრანტების მიმართ ტოლერანტობას. საზოგადოებებს, რომლებსაც აქეთ ძლიერი მოქალაქეობრივი უფლებები და თავისუფლებები ხასიათდებიან მოხალისეობის, უცნობი ადამიანების დახმარებით და ქველმოქმედებით, ასევე ნდობის მაღალი დონით, მოქალაქეების მაღალი ჩართულობით პოლიტიკურ პროცესებში.

ამრიგად, თუ სოციალურ კაპიტალს ჩავთვლით პუი-ზე მოქმედმნიშვნელოვან ფაქტორად, რაც პირველი ჰიპოთეზის შემოწმებამ გვიჩვენა, მისი გაუმჯობესების ერთ-ერთი გზა პიროვნული თავისუფლების განვითარებაზე გადის.

### **პიროვნული თავისუფლება, დაცულობა-უსაფრთხოება და სოციალური კაპიტალი**

$H_0$ : პიროვნულ თავისუფლებას, დაცულობა-უსაფრთხოებას და სოციალურ კაპიტალს შორის არსებობს დადებითი კავშირი

$H_1$ : პიროვნულ თავისუფლებას, დაცულობა-უსაფრთხოებას და სოციალურ კაპიტალს შორის არ არსებობს დადებითი კავშირი

აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოვიყენეთ პიროვნულ თავისუფლებას, დაცულობა-უსაფრთხოებასა და სოციალურ კაპიტალს შორის კავშირი. ჩვენს კვლევაში ასახულია 10 პოსტ-საბჭოთა ქვეყნის ბოლო 11 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები (იხ. ცხრილები 11, 14 და 16).

## დაცულობა/უსაფრთხოება პოსტ საბჭოთა ქვეყნებში, 2007-2017 წწ

| ქვეყანა       | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 |
|---------------|------|------|------|------|------|------|------|------|------|------|------|
| 1 საქართველო  | 60   | 57   | 62.7 | 64.8 | 65.8 | 65.9 | 67.4 | 65.8 | 64.9 | 65   | 66.9 |
| 2 აზერბაიჯანი | 64.3 | 61.9 | 63.7 | 61.7 | 62.3 | 61.2 | 66.7 | 64.4 | 66.8 | 66.8 | 67   |
| 3 ბელარუსია   | 66.6 | 65.9 | 66.3 | 68.3 | 67.1 | 67.7 | 70   | 69.5 | 69.2 | 69.7 | 70.4 |
| 4 ესტონეთი    | 70.1 | 71.9 | 72.1 | 72.2 | 71.5 | 71.6 | 73.4 | 73.9 | 73.4 | 73.5 | 75   |
| 5 უკრაინა     | 62   | 64.5 | 65.1 | 66.4 | 65.3 | 64.3 | 67.4 | 57.3 | 54.8 | 53.5 | 50.2 |
| 6 ლატვია      | 70.8 | 70.7 | 68.4 | 69.4 | 69.4 | 70.3 | 72.7 | 72.3 | 74   | 74   | 74.4 |
| 7 ლიტვა       | 69   | 69.5 | 67   | 69.3 | 69.4 | 69.9 | 71.1 | 71.5 | 72.7 | 72.7 | 74   |
| 8 მოლდოვა     | 62.4 | 62.6 | 61.6 | 63.1 | 65   | 64.8 | 67.6 | 67   | 66.6 | 66.6 | 68.1 |
| 9 რუსეთი      | 53.3 | 52.5 | 53.3 | 54.6 | 55.4 | 54   | 56.3 | 57.4 | 56.9 | 57   | 58.6 |
| 10 სომხეთი    | 71.6 | 69.4 | 67.6 | 68.8 | 67.1 | 63.9 | 68.4 | 68.3 | 66.8 | 66.8 | 62.3 |

ცხრილი №16-დან ჩანს, რომ დაცულობა-უსაფრთხოების მაღალი ხარისხით გამოირჩევიან ბალტიისპირეთის ქვეყნები, კერძოდ, 2017 წელს ესტონეთში დაცულობა-უსაფრთხოების დონე შეფასებული იყო 75 ქულით, ლატვიაში 74,4 ქულით, ხოლო ლიტვაში 74 ქულით, დანარჩენი ქვეყნები ჩამოუვარდებიან მათ. ბოლო წლებში დაცულობა-უსაფრთხოების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, განსახილველ 10 ქვეყანაში ახასიათებთ უკრაინასა და რუსეთს, რაც მათ შორის საომარი მოქმედებითაა განპირობებული. კერძოდ უკრაინაში 2017 წელს დაცულობა-უსაფრთხოება შეფასებულია 50,2 ქულით, ხოლო რუსეთი კი – 58,6. 2008 წელს საქართველოსა და რუსეთს ჰქონდათ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, რაც ასევე მათ შორის სამხედრო კონფლიქტით იყო გამოწვეული. თუმცა, საქართველომ მომდევნო წლებში მდგომარეობა გაიუმჯობესა და 2017 წელს დაცულობა-უსაფრთხოება 66,9 ქულით შეფასდა.

ცხრილ 11, 14 და 16-ის მონაცემები შევამოწმეთ რეგრესული განტოლებით, რომელიც შემდგენიარად გამოიყურება:

$$soccap_{ti} = \beta_0 + \beta_1 persfree_{it} + \beta_2 security_{ti} + \omega_{ti}$$

აღნიშნული განტოლების საშუალებით შევისწავლით და ვაანალიზებთ პერსონალური თავისუფლებისა და დაცულობა-უსაფრთხოების გავლენას სოციალურ კაპიტალზე.

<sup>337</sup> Legatum Prosperity Index, 2007-2017, <https://www.prosperity.com/> (ნანახია 20.10.2018)

| SOCCAP          | Coef.    | Std. Err. | z    | P> z  | [95% Conf. Interval] |          |
|-----------------|----------|-----------|------|-------|----------------------|----------|
| PERSONALFREEDOM | .0526635 | .0317786  | 1.66 | 0.097 | -.0096215            | .1149484 |
| SECURITY        | .1323801 | .0659501  | 2.01 | 0.045 | .0031203             | .2616398 |
| _cons           | 31.94331 | 3.516004  | 9.09 | 0.000 | 25.05207             | 38.83455 |

ეროვნული უსაფრთხოება, კრიმინოგელური ფონი, პიროვნული დაცულობა, სტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო აუცილებელია ინვესტიციების მოზიდვისა და ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის. თუ მოქალაქეები წუხან საკუთარ პიროვნულ უსაფრთხოებაზე ეცემა მათ შორის ნდობის დონე და მცირდება სოციალური კაპიტალი. არასტაბილურობა, რომელიც გამოწვეულია ჯგუფური ნეგატიური მოვლენებით, მაგალითად ეთნოკონფლიქტები ზღუდავს მშპ-ის ზრდას. როდესაც ხალხს არ გააჩნია სტაბილური და დამაკმაყოფილებელი საცხოვრებელი პირობები, ინსტიტუტებს არ შეუძლიათ

160

მათი დახმარება რთულია ნდობასა და სოციალურ კაპიტალზე საუბარი და პირიქით.

ამრიგად, სოციალური კაპიტალი ზრდა საჭიროებს ქვეყანაში ადამიანების არჩევანის, გამოსატვის (მათ შორის პრესის მეშვეობით), მოქმედების, რწმენის თავისუფლების უზრუნველყოფას, უმცირესობებისა და იმიგრანტების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების განვითარებას, ასევე ეროვნული უსაფრთხოების დონის ამაღლებაზე, კრიმინოგელური ფონის გაუმჯობესებასა და პიროვნული დაცულობის ხარისხის სრულყოფაზე მუდმივ ზრუნვას.

### **პიროვნული თავისუფლება, დაცულობა-უსაფრთხოება და პუი**

$H_0$ : პიროვნულ თავისუფლებას, დაცულობა-უსაფრთხოებასა და პუი-ს შორის არსებობს დადებითი კავშირი;

$H_1$ : პიროვნულ თავისუფლებას, დაცულობა-უსაფრთხოებასა და პუი-ს შორის არ არსებობს დადებითი კავშირი;

აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოვიკვლიეთ პიროვნულ თავისუფლებას, დაცულობა-უსაფრთხოებასა და სოციალურ კაპიტალს შორის კავშირი. ჩვენს კვლევაში ასახულია 10 პოსტ-საბჭოთა ქვეყნის ბოლო 11 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები (იხ. ცხრილები 11, 14, 16).

აღნიშნულ ცხრილებში მოცემული მონაცემები შევამოწმეთ რეგრესული განტოლებით, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება

$$FDI/GDP_{ti} = \beta_0 + \beta_1 persfree_{it} + \beta_2 security_{ti} + \omega_{ti}$$

აღნიშნული განტოლების საშუალებით ვაანალიზებთ პერსონალური თავისუფლებისა და დაცულობა უსაფრთხოების გავლენას პუი-ზე, შესაბამისად დამოკიდებულ ცვლადს წარმოადგენს პუი, ხოლო დამოუკიდებელ ცვლადებს- პერსონალური თავისუფლება და დაცულობა-უსაფრთხოება.

პიროვნული თავისუფლების, დაცულობა/უსაფრთხოებისა და პუი-ს  
ურთიერთკავშირი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

. xtreg FDIGDP PERSONALFREEDOM SECURITY, re

```

Random-effects GLS regression              Number of obs   =       110
Group variable: ID                        Number of groups  =        11

R-sq:  within = 0.0052                    Obs per group: min =        10
        between = 0.6963                      avg =       10.0
        overall = 0.0157                      max =        10

Wald chi2(2) =       1.52
corr(u_i, X) = 0 (assumed)                Prob > chi2      =       0.4668

```

| FDIGDP          | Coef.    | Std. Err. | z     | P> z  | [95% Conf. Interval] |          |
|-----------------|----------|-----------|-------|-------|----------------------|----------|
| PERSONALFREEDOM | .0465462 | .0380769  | 1.22  | 0.222 | -.0280832            | .1211756 |
| SECURITY        | -.073322 | .0791738  | -0.93 | 0.354 | -.2284999            | .0818559 |
| _cons           | 7.443437 | 4.222392  | 1.76  | 0.078 | -.8322996            | 15.71917 |

ცხრილი №18-დან ჩანს, რომ ორივე ცვლადი – დაცულობა და უსაფრთხოება და პიროვნული თავისუფლება არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი და ამხსნელი ცვლადების გავლენა პუი-ს მოზიდვაზე უმნიშვნელოა. ამრიგად, ჰიპოთეზა არ არის მხარდაჭერილი.

მართალია პიროვნული, იგივე სამოქალაქო თავისუფლებისა და უსაფრთხოების მაღალი დონე ახდენს თავისუფალი ბაზრის სტიმულირებას, უზრუნველყოფს მეტ შემოსავალს და ზრდის პროდუქტიულობას, რაც ინვესტორისათვის საინტერესო საინვესტიციო გარემოს ქმნის, მაგრამ პოსტ-საბჭოთა ქვეყნების უმეტესობა ხასიათდება არაფორმალური ურთიერთობების მაღალი ხარისხით და ხშირად ვხვდებით ბიუროკრატიულ სამართლებრივ სისტემებს. ასეთ პირობებში უცხოური კაპიტლის ნაკადები დამოკიდებულია პოლიტიკურ ელიტების წარმომადგენლებთან ფარული გარიგებების არსებობაზე. ასევე, განცდილი ღრმა ტრანზორმაციული კრიზისის შედეგად, პოსტ-საბჭოთა ქვეყნების დიდი ნაწილი იძულებულია ეკონომიკური ჩამორჩენა დაძლიოს საკუთარი სანედლეულო ბაზის ექსპლუატაციის ხარჯზე და ძირითადად

<sup>339</sup> გაანგარიშებები გაკეთებულია პროგრამაში STATA

რესურსების ათვისებაზე ორიენტირებული პუი-ს ობიექტებად გვევლინებიან. ამ ქვეყნებში ასევე ჭარბობს ოფშორული იურისდიქციებიდან საპრივატიზაციო ობიექტების შეღავათიან პირობებში შესაძენად შემოსული პუი. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში რთულია დადგინდეს კავშირი უსაფრთხოება-დაცულობის, პიროვნული თავისუფლებას და პუი შორის.

აღსანიშნავია ისიც, რომ დაცულობა-უსაფრთხოებისა და პიროვნული თავისუფლების მაღალი დონე ირიბად, თუმცა დადებითად მაინც მოქმედებს პუი-ს ნაკადების ზრდაზე. წინა ჰიპოთეზებმა გვაჩვენა, რომ პიროვნული თავისუფლებისა და დაცულობა-უსაფრთხოების დონის გაუმჯობესება პოზიტიურ გავლენას ახდენს სოციალურ კაპიტალზე, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს პუი-ს შემოდინებას. ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ აღნიშნულ ცვლადებს პუი-ზე დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლიათ.

ამრიგად, ადამიანების არჩევანის, გამოხატვის (მათ შორის პრესის მეშვეობით), მოქმედების, რწმენის თავისუფლება, უმცირესობებისა და იმიგრანტების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება, ეროვნული უსაფრთხოების დონე, კრიმინოგელური ფონი და პიროვნული დაცულობის ხარისხი თვალდავითავე მნიშვნელოვანია ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, მაგრამ პოსტსაბჭოთა ქვეყნების დიდი ნაწილის წარსული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გადამწყვეტი როლი სხვა ფაქტორებს ეკუთვნის.

### **დანაშაულის დონე და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები**

H<sub>0</sub>: დანაშაულის დონესა და პუი-ს შორის არსებობს ნეგატიური კავშირი.

H<sub>1</sub>: დანაშაულის დონესა და პუი-ს შორის არსებობს დადებითი კავშირი.

აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად კვლევა ითვალისწინებს დანაშაულის დონესა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის კავშირის გამოვლენას. აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოვიკვლიეთ დანაშაულის დონესა და პუი-ს შორის კავშირი. ჩვენს კვლევაში ასახულია 10 პოსტ-საბჭოთა ქვეყნის ბოლო 6 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები (იხ. ცხრილები №10 და 19)

## დანაშაულის დონე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, 2012-2017 წწ

| ქვეყანა       | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 |
|---------------|------|------|------|------|------|------|
| 1 საქართველო  | 31.3 | 19.6 | 20   | 22   | 22.1 | 20.8 |
| 2 აზერბაიჯანი | 38.5 | 36.7 | 34.1 | 35.5 | 32.4 | 27   |
| 3 ბელარუსია   | "-   | 26.8 | 32.9 | 30.5 | 27.6 | 22.3 |
| 4 ესტონეთი    | 25   | 24.3 | 29   | 28.1 | 24.7 | 23   |
| 5 უკრაინა     | 55.4 | 49   | 49.4 | 49.4 | 48.6 | 51   |
| 6 ლატვია      | "-   | 45.7 | 43.7 | 37.2 | 37.8 | 36.5 |
| 7 ლიტვა       | 39   | 34.6 | 34.7 | 36.7 | 43.2 | 40   |
| 8 მოლდოვა     | "-   | 41.7 | 46.3 | 49.7 | 48.2 | 45.4 |
| 9 რუსეთი      | "-   | 52.4 | 52.7 | 51.3 | 47.3 | 46   |
| 10 სომხეთი    | "-   | 41   | 35   | 29.1 | 31.1 | 27   |

ცხრილი №19-დან ჩანს, რომ დანაშაულის მაღალი დონით გამოირჩევიან უკრაინა და რუსეთი. კერძოდ, 2017 წელს უკრაინაში დანაშაულის დონე შეფასებული იყო 51 ქულით, ხოლო რუსეთში 46 ქულით, დანარჩენ ქვეყნებში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. ბოლო წლებში დანაშაულის დონის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, განსახილველ 10 ქვეყანაში ახასიათებს საქართველოს. კერძოდ 2017 წელს დანაშაულის დონე შეფასებულია 20.8 ქულით.

№10 და 19 ცხრილებში მოცემული მონაცემები შევამოწმეთ რეგრესული განტოლებით, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:

$$FDI/GDP_{ti} = \beta_0 + \beta_1 crime_{ti} + \omega_{ti}$$

აღნიშნული განტოლების საშუალებით შევისწავლით და ვაანალიზებთ დანაშაულის დონის გავლენას პუი-ზე. დამოკიდებულ ცვლადად მიჩნეულია პუი, ხოლო დამოუკიდებელ ცვლადს წარმოადგენს დანაშაულის დონე.

<sup>340</sup> NUMBEO, Crime, 2012-2017, <https://www.numbeo.com/crime/> (ნანახია 19.10.2018)

## დანაშაულის დონისა და პუი-ს ურთიერთკავშირი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

```
. xtreg FDIGDP CRIME, re
```

```
Random-effects GLS regression           Number of obs   =       55
Group variable: ID                     Number of groups =        6

R-sq:  within = 0.2479                  Obs per group:  min =        5
      between = 0.0039                      avg   =       9.2
      overall  = 0.2370                      max   =       10

Wald chi2(1)      =      16.46
corr(u_i, X)      = 0 (assumed)         Prob > chi2       =      0.0000
```

| FDIGDP | Coef.     | Std. Err. | z     | P> z  | [95% Conf. Interval] |           |
|--------|-----------|-----------|-------|-------|----------------------|-----------|
| CRIME  | -.1502716 | .0370359  | -4.06 | 0.000 | -.2228606            | -.0776826 |
| _cons  | 9.492564  | 1.404184  | 6.76  | 0.000 | 6.740414             | 12.24471  |

ცხრილი 20-დან ჩანს, რომ დანაშაულის დონე არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი და პუი-ს მოზიდვაზე ახდენს ძლიერ გავლენას. დანაშაულის დონესა და პუი-ს შორის არსებობს უკუპროპორციული დამოკიდებულება ( $\text{coef.} < 0$ ), რაც გულისხმობს იმას, რომ დანაშაულის დონის ზრდა ამცირებს პუი-ს ნაკადების შემოდინებას და პუი-ს მოზიდვაზე უარყოით გავლენას ახდენს. ჰიპოთეზა “დანაშაულის დონესა და პუი-ს შორის არსებობს ნეგატიური კავშირი” - მხარდაჭერილია.

ამრიგად ქვეყანაში კრიმინოგენული ფონის გაუმჯობესება, ის თუ რამდენად დაცულია მეწარმე და ზოგადად მოქალაქე ძარცვის, ქურდობისა თუ სხვა ნებისმიერი სახის კრიმინალისაგან პირდაპირ აისახება პუი-ის მოცულობაზე. შესაძლებელია, ქვეყანა გამოირჩეოდეს მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსებით, მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ მაღალია კრიმინოგენული ფონი, ინვესტორისათვის რთულია ფულადი თუ სხვა ნებისმიერი სახის სახსრების დაბანდება ასეთ პირობებში. ლოგიკურია, რომ არცერთი ინვესტორი არ მოინდომებს საკუთარი კაპიტალის ისეთ ქვეყანაში დაბანდებას, სადაც მისი დაკარგვის რისკი მაღალია და მომავალი ბუნდოვანი. ქვეყნები, სადაც კრიმინალის დონე მაღალია, გამოირჩევა არასტაბილური ეკონომიკური,

<sup>341</sup> გაანგარიშებები გაკეთებულია პროგრამაში STATA

პოლიტიკური თუ სოციალური მდგომარეობით, პროცესების უმართავობით, არაეფექტიანი მარეგულირებელი სისტემით და ქაოტურობით. დანაშაულის მაღალი დონე იწვევს რესურსების არმიზნობრივ გადანაწილებას, წარმოშობს გაურკვევლობებს და ხელს უშლის ქვეყნის მდგრად განვითარებას.

### მარეგულირებელი სისტემა და სოციალური კაპიტალი

Hi: პუი-ს მიმღები ქვეყნის გამართული მარეგულირებელი სისტემა დადებითად მოქმედებს სოციალურ კაპიტალზე.

Hi: პუი-ს მიმღები ქვეყნის გამართული მარეგულირებელი სისტემა უარყოფითად მოქმედებს სოციალურ კაპიტალზე.

აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად კვლევა ითვალისწინებს მარეგულირებელ სისტემასა და სოციალურ კაპიტალს შორის კავშირის გამოვლენას. აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოვიკვლიეთ დანაშაულის დონესა და პუი-ს შორის კავშირი. ჩვენს კვლევაში ასახულია 10 პოსტ-საბჭოთა ქვეყნის ბოლო 11 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები (იხ. ცხრილები №10 და 21)

ცხრილი 21<sup>342</sup>

სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემა პოსტ საბჭოთა ქვეყნებში, 2007-2017

წწ

| ქვეყანა       | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 |
|---------------|------|------|------|------|------|------|------|------|------|------|------|
| 1 საქართველო  | 40.9 | 45.3 | 44.4 | 47.5 | 49.1 | 51.8 | 53.2 | 54.6 | 52.6 | 52.6 | 53.5 |
| 2 აზერბაიჯანი | 32.2 | 36.1 | 36.9 | 34.7 | 35.9 | 35.6 | 36.1 | 36.5 | 35   | 35   | 36.1 |
| 3 ბელარუსია   | 30.8 | 30.5 | 31.1 | 31.4 | 31.2 | 32.1 | 31.2 | 32.7 | 32.7 | 32.7 | 33.8 |
| 4 ესტონეთი    | 66   | 66.5 | 65.7 | 66.2 | 68   | 66   | 66.5 | 69.4 | 69.2 | 69.2 | 69.7 |
| 5 უკრაინა     | 37.2 | 37.7 | 35.8 | 36.9 | 35.1 | 35.9 | 34.4 | 36   | 34.6 | 34.6 | 35.8 |
| 6 ლატვია      | 54.6 | 54.4 | 53.3 | 53.4 | 53.3 | 56.1 | 57   | 58   | 57.9 | 57.9 | 57.5 |
| 7 ლიტვა       | 56.5 | 55.9 | 56.7 | 56.1 | 56.2 | 58.1 | 60   | 60.4 | 60.6 | 60.6 | 61.1 |
| 8 მოლდოვა     | 42.2 | 40.2 | 42.4 | 42.6 | 42.5 | 42.5 | 40.9 | 41.7 | 41.7 | 41.7 | 39.6 |
| 9 რუსეთი      | 34.2 | 36.7 | 36.4 | 36.1 | 35.7 | 35.2 | 35.4 | 39   | 39   | 39   | 38.6 |
| 10 სომხეთი    | 38.1 | 38   | 37.4 | 37.8 | 38.5 | 41.3 | 41.6 | 40   | 39.5 | 39.5 | 40.5 |

<sup>342</sup> Legatum Prosperity Index, 2007-2017, <https://www.prosperity.com/> (ნანახია 20.10.2018)

ცხრილიდან ჩანს, რომ სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან ბალტიისპირეთის ქვეყნები, კერძოდ, 2017 წელს ესტონეთში რომ სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემის დონე შეფასებული იყო 69,7 ქულით, ლიტვაში 61,1 ქულით, ხოლო ლატვიაში 57,5 ქულით. ბოლო წლებში სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, განსახილველ 10 ქვეყანაში ახასიათებთ ბელარუსიას, უკრაინას და რუსეთს. კერძოდ ბელარუსიაში 2017 წელს სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემა შეფასებულია 33,8 ქულით, უკრაინაში -35,8-ით, ხოლო რუსეთში კი – 38,6-ით.

№10 და 21 ცხრილებში მოცემული მონაცემები შევამოწმეთ რეგრესული განტოლებით, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:

$$soccap_{ti} = \beta_0 + \beta_1 Gov_{ti} + \omega_{ti}$$

აღნიშნული განტოლების საშუალებით შევისწავლით და ვაანალიზებთ სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემის გავლენას სოციალურ კაპიტალზე. დამოკიდებულ ცვლადს წარმოადგენს სოციალური კაპიტალი, ხოლო დამოუკიდებელ ცვლადს კი- სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემა.

ცხრილი 22<sup>343</sup>

სოციალური კაპიტალისა და სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემის ურთიერთკავშირი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

```
. xtreg SOCCAP GOV, re
```

```
Random-effects GLS regression              Number of obs   =       110
Group variable: ID                        Number of groups =        11

R-sq:  within = 0.2531                     Obs per group: min =        10
        between = 0.7857                               avg  =       10.0
        overall = 0.2571                               max  =        10

Wald chi2(1) =       37.38
corr(u_i, X) = 0 (assumed)                 Prob > chi2      =       0.0000
```

| SOCCAP | Coef.    | Std. Err. | z     | P> z  | [95% Conf. Interval] |          |
|--------|----------|-----------|-------|-------|----------------------|----------|
| GOV    | .1403548 | .0229551  | 6.11  | 0.000 | .0953637             | .185346  |
| _cons  | 37.11067 | 1.070779  | 34.66 | 0.000 | 35.01198             | 39.20935 |

<sup>343</sup> გაანგარიშებები გაკეთებულია პროგრამაში STATA

ცხრილი 11-დან ჩანს, რომ სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემა არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი და სოციალური კაპიტალის ფორმირებაზე ახდენს ძლიერ და დადებით გავლენას. ამრიგად, ჰიპოთეზა “პუი-ს მიმღები ქვეყნის გამართული მარეგულირებელი სისტემა დადებითად მოქმედებს სოციალურ კაპიტალზე” - მხარდაჭერილია.

ამრიგად, კარგად მართული დემოკრატიული საზოგადოება, ეფექტიანი და მოწესრიგებული მთავრობა, გამართული სამართლებრივი სისტემა, სამართლიანი არჩევნები პირდაპირ კავშირშია სოციალური კაპიტალის ისეთ დეტერმინატებთან, როგორიცაა: ქველმოქმედება, ინდივიდების ან ინსტიტუტების მიმართ ნდობა, მოქალაქეების ზემოქმედება პოლიტიკურ პროცესებზე.

### მარეგულირებელი სისტემა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

H<sub>0</sub>: პუი-ს მიმღები ქვეყნის გამართული მარეგულირებელი სისტემა უარყოფითად მოქმედებს პუი-ზე.

H<sub>1</sub>: პუი-ს მიმღები ქვეყნის გამართული მარეგულირებელი სისტემა მოქმედებს დადებითად პუი-ზე.

აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად კვლევა ითვალისწინებს მარეგულირებელ სისტემასა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის კავშირის გამოვლენას, აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოვიკვლიეთ დანაშაულის დონესა და პუი-ს შორის კავშირი. ჩვენს კვლევაში ასახულია 10 პოსტ-საბჭოთა ქვეყნის ბოლო 11 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები (იხ. ცხრილები №10 და 21)

აღნიშნულ ცხრილებში მოცემული მონაცემები შევამოწმეთ რეგრესული განტოლებით, რომელიც შემდგენიარად გამოიყურება:

$$FDI/GDP_{ti} = \beta_0 + \beta_1 Gov_{ti} + \omega_{ti}$$

აღნიშნული განტოლების საშუალებით შევისწავლით და ვაანალიზებთ სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემის გავლენას პუი-ზე. დამოკიდებულ

ცვლადს წარმოადგენს პუი, ხოლო დამოუკიდებელ ცვლადს კი – სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემა.

ცხრილი 23<sup>344</sup>

პუი-ს და სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემის ურთიერთკავშირი  
პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

. xtreg FDIGDP GOV, re

|                               |                      |   |        |
|-------------------------------|----------------------|---|--------|
| Random-effects GLS regression | Number of obs        | = | 110    |
| Group variable: ID            | Number of groups     | = | 11     |
| R-sq: within = 0.0122         | Obs per group: min = |   | 10     |
| between = 0.5911              | avg =                |   | 10.0   |
| overall = 0.0032              | max =                |   | 10     |
|                               | Wald chi2(1)         | = | 0.56   |
| corr(u_i, X) = 0 (assumed)    | Prob > chi2          | = | 0.4535 |

| FDIGDP | Coef.    | Std. Err. | z    | P> z  | [95% Conf. Interval] |          |
|--------|----------|-----------|------|-------|----------------------|----------|
| GOV    | .0216561 | .0288882  | 0.75 | 0.453 | -.0349637            | .0782759 |
| _cons  | 4.076343 | 1.36591   | 2.98 | 0.003 | 1.399209             | 6.753477 |

ცხრილი №23-დან ჩანს, რომ სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემა არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პუი-ს მოზიდვის საკითხში და ახდენს სუსტ, თუმცა დადებით გავლენას. გამართული სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემა უმნიშვნელოდ ზრდის პუი-ს ნაკადების შემოღინებას. ამრიგად, ჰიპოთეზა, რომ “პუი-ს მიმღები ქვეყნის გამართული მარეგულირებელი სისტემა უარყოფითად მოქმედებს პუი-ზე” - მხარდაჭერილი არ არის.

ამრიგად, დემოკრატიული საზოგადოება, ეფექტიანი და მოწესრიგებული მთავრობა, გამართული სამართლებრივი სისტემა, სამართლიანი არჩევნები უზრუნველყოფს ქვეყანაში სტაბილურობას და ამცირებს პოლიტიკურ რისკებს, რაც ინვესტორებისთვის არის დადებითი სიგნალი, რათა გაზარდონ ქვეყანაში დაბანდებული კაპიტალის მოცულობა.

<sup>344</sup> გაანგარიშებები გაკეთებულია პროგრამაში STATA

## დასკვნა

სოციალური კაპიტალის კონცეფცია მრავალი მეცნიერის ყურადღების ობიექტს წარმოადგენს. ტერმინი “სოციალური კაპიტალი” პირველად შემუშავებულ იქნა 1916 წელს, ამერიკაში, ლიდ დჯადსონ ხანიფანის ავტორობით გამოცემულ წიგნში. თუ ფიზიკური კაპიტალი დაკავშირებულია მატერიალურ აქტივებთან, ხოლო ადამიანური კაპიტალი კი თითოეული ინდივიდის პიროვნულ მახასიათებელთან და თვისებებთან, სოციალური კაპიტალი იქმნება ადამიანებს შორის კავშირის საფუძველზე - სოციალური ქსელები, ურთიერთობისა და ნდობის ნორმები. აღნიშნული შეხედულებით, სოციალური კაპიტალი პირდაპირ კავშირშია „მოქალაქეობრივ ღირსებასთან“. როდესაც მაღალია ურთიერთდახმარებისა და მხარდაჭერის ხარისხი ინდივიდთა შორის ეს ნიშნავს იმას, რომ უფრო და უფრო მტკიცე ხდება ურთიერთობები და იზრდება სოციალური კაპიტალის დონე. მისი ფორმები: სოციალური ჩართულობა და ურთიერთთანამშრომლობა, მეტად მყარდება გამოყენებისას და მცირდება გამოყენების გარეშე.

ფართო გაგებით, სოციალური კაპიტალი შეიძლება განვმარტოთ, როგორც სოციალური და პოლიტიკური ფაქტორების ჯამი, რომელთა ერთობლიობაც ქმნის სოციალურ სტრუქტურას, ნორმებსა და სტანდარტებს. სოციალური კაპიტალი მოიცავს როგორც არაფორმალურ, ადგილობრივ, პორიზონტალურ და იერარქიულ ურთიერთობებს, ასევე ფორმალურ სტრუქტურებსა და კავშირებს, ასეთებია მაგალითად, მთავრობა, პოლიტიკური რეჟიმი, კანონის ძალა, სასამართლო სისტემა, სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლება და ჩართულობა, მოხალისეობა. სოციალური კაპიტალი საზოგადოებრივი ფენომენია, რომელიც არ შეიძლება ეკუთვნოდეს რომელიმე კონკრეტულ ინდივიდს. იგი წარმოადგენს საზოგადოებრივი კეთილდღეობის საწინდარს, რომლის შედეგიც ყველასთვის ხელმისაწვდომი და სასიკეთოა. აღსანიშნავია, რომ სოციალური კაპიტალის ფორმირებაში დიდი წვლილი მიუძღვის კონკრეტული ქვეყნის კულტურულ მახასიათებლებს, ქვეყნის კულტურული ნორმების, შეხედულებებისა და სტანდარტების ცვლილება გრძელვადიან პერიოდთანაა დაკავშირებული, რის გამოც სოციალური კაპიტალის ტრანსფორმაცია ძალიან რთულია.

ლიტერატურაში ცნობილია სოციალური კაპიტალის ორი ფორმა:

- სტრუქტურული – კავშირები, ქსელები, ასოციაციები, საზოგადოებრივი ინსტიტუტები, ალიანსები, წესები, რომელსაც ექვემდებარება მათი საქმიანობა;

- კოგნიტური - ურთიერთობები, ნდობა, ფასეულობები, ნორმები და ქცევის სტანდარტები.

თანამედროვე ლიტერატურაში სოციალური კაპიტალის ორი ტიპია ცნობილი, ესენია: შემაკავებელი (bonding) და გამაერთიანებელი (bridging). შემაკავებელი სოციალური კაპიტალი მოიაზრებს ჯგუფურ სოლიდარობასა და მჭიდრო ურთიერთკავშირებს. ასეთი ტიპის კაპიტალი დამახასიათებელია მჭიდრო ნათესავური და ჩაკეტილი საოჯახო ურთიერთობებისათვის. შემაკავებელი სოციალური კაპიტალი აკავშირებს ისეთ ადამიანებს, რომლებსაც გააჩნიათ ერთგვაროვანი მახასიათებლები, ასეთებია მაგალითად, საერთო მრწამსის, რასის ან ეროვნების მქონე ჯგუფები. შემაკავებელი სოციალური კაპიტალისათვის დამახასიათებელია ძლიერი კავშირ-ურთიერთობები, რომელიც ყალიბდება საერთო ინტერესებისა და წარსულის მქონე პირებს შორის, ასეთი ტიპის გაერთიანებებისათვის მიღებულია ერთმანეთის მატერიალური, ემოციური თუ მორალური დახმარება. შემაკავებელი სოციალური კაპიტალის მნიშვნელობა დიდია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში. იგი განსაკუთრებით აქტუალურია დაბალშემოსავლიანი მოსახლეობით დასახლებულ ტერიტორიულ ერთეულებზე, სადაც სიდუხჭირისა და ჯანმრთელობის პრობლემების დაძლევა ხორციელდება ერთმანეთის დახმარებით.

გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალი მოიცავს ინდივიდთა შორის ფორმალური სახის კომუნიკაციასა და თანამშრომლობას. იგი ერთმანეთთან აკავშირებს ჯგუფებს გარეთ მყოფ ინდივიდებს და შესაბამისად აერთიანებს განსხვავებული წრის წარმომადგენლებს. გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალი აადვილებს სხვა ჯგუფების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას, ახალი შესაძლებლობების გამოვლენას და ზოგადად-სიახლეებთან წვდომას. იგი საშუალებას იძლევა განსხვავებულ ჯგუფებს შორის ეფექტიანად განხორციელდეს ნოვატორული იდეებისა და ინფორმაციის გაცვლა. გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალის განვითარება, თავის მხრივ, მოიაზრებს ტოლერანტული და შემწყნარებლური შეხედულებების ჩამოყალიბებას სხვადასხვა ფასეულობების, შეხედულებებისა და მრწამსის ჯგუფებს შორის,

რადგან იგი, სწორედაც რომ, განსხვავებულ სოციო-ჯგუფებს შორის კავშირ-  
ურთიერთობებს გულისხმობს.

სოციალური კაპიტალის შეფასების მეთოდები ორ ძირითად ჯგუფად  
იყოფა, ესენია: რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები. რაოდენობრივი  
მეთოდები გულისხმობს მათემატიკური და სტატისტიკური მოდელების  
გამოყენებას, რომლის საფუძველზეც ხდება მიღებული შედეგის სანდოობის  
განსაზღვრა. თვისებრივი მეთოდები წარმოადგენს სოციალური კვლევის  
მეთოდების უმნიშვნელოვანეს ჯგუფს, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება  
ფოკუს ჯგუფების სოციალური ცხოვრების საფუძვლიანი შესწავლა.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ სოციალური  
კაპიტალი ეკონომიკური ზრდის ისეთივე მნიშვნელოვანი ფაქტორია, როგორც  
კაპიტალის სხვა ფორმები. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, პირდაპირი  
უცხოური ინვესტიციებს უმთავრესი წვლილი მიუძღვის მიუხედავად  
საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და ზემოთ აღნიშნული რეფორმებისა,  
საქართველოს მაინც უჭირს ეკონომიკის მდგრადი და სტაბილური  
განვითარებისთვის საჭირო ინვესტიციების ნაკადების მოზიდვა, რამაც უნდა  
აღმოფხვრას საქართველოს ეკონომიკური დეგრადაცია. ამასთან, ვერ ხერხდება  
პუი-ის შემოდინების სამომავლო ტენდენციების დადგენა-პროგნოზირება. სწორედ  
ამიტომ, არსებულ პერიოდში, პუი-ს ნაკადების არასაკმარისი მოცულობა  
საჭიროს ხდის დადგენილ და გაანალიზებულ იქნეს სოციალურ კაპიტალსა და  
პუი-ის შორის კავშირი.

პუი-ს აქტუალურობის გამო, არაერთი ემპირიული კვლევა განხორციელდა  
იმის გამოსავლენად, თუ რომელი ეკონომიკური ფაქტორები მოქმედებდა მასზე  
და როგორ, თუმცა, ცოტა ნაშრომი ასახავს სოციალური კაპიტალისა და პუი-ს  
ურთიერთზემოქმედებას, რადგან სოციოლოგიურ ჭრილში ჩატარებულ კვლევათა  
რაოდენობა მწირია. მაკრო (ინსტიტუციონალური) და მიკრო (სოციალური)  
კავშირების ჩართულობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს სხვადასხვა მასშტაბის  
ეკონომიკურ აქტივობებში, ამ დროს იკვეთება სოციალური კაპიტალის როლი,  
ვინაიდან მაღალგანვითარებული სოციალური კაპიტალის მქონე ქვეყანა  
ხასიათდება ასევე მაღალი ეკონომიკური აქტივობით, შესაბამისად ასეთი  
ქვეყნებისადმი დიდია ინტერესი ინვესტიციების მხრიდან აღნიშნული მოსაზრების  
თანახმად, ვლინდება პუი-ს დამოკიდებულება სოციალური აქტივობის მიმართ,

რაც გულისხმობს, რომ ქვეყანაში დადებითი ან დამაკმაყოფილებელი სოციალური კაპიტალის შემთხვევაში პუი-ს მოცულობა გაიზრდება.

კვლევები ცხადყოფს, რომ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში სოციალური კაპიტალის დონე დაბალია, რაც აფერხებს მათ განვითარებას. აღნიშნულ სახელმწიფოებში მშპ-ის დაბალი მაჩვენებლების ძირითად მიზეზად სწორედ სოციალური კაპიტალის დეფიციტი მიიჩნევა. გარდამავალ პერიოდში გაჩენილი საგრძნობი სოციალური უთანაბრობა ასევე ნეგატიურ გავლენას ახდენს ინდივიდებს შორის ნდობაზე, რაც პირდაპირპროპორციულად მოქმედებს ეკონომიკაზე და საზოგადოების უნარზე-გაუძღოს ცვლილებებს.

საქართველოში სოციალური კაპიტალის სრუქტურა არაერთგავროვანია საქართველოში საგრძნობლად მაღალია მეგობრებს, ნათესავებსა და ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობების ხარისხი, ასეთი ნათესავურ-მეგობრული კავშირები ვლინდება თანამედროვე ცხოვრების ნებისმერ ასპექტსა თუ სფეროში, მაგალითად: ბიზნესის მართვა, განთლება, უძრავი თუ მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა და ა.შ. აღნიშნული ნათელს ხდის იმ ფაქტს, რომ საქართველოში განვითარებულია შემაკავებელი (bonding) სოციალური კაპიტალი.

სოციალური კაპიტალის დონე საქართველოში არცთუ სახარბიელოა, რაც ქართული მოსახლეობის თითოეულ კრახში ნათლად აისახება, ამის თვალნათელი მაგალითია ფერმერების წარუმატებელი ურთიერთქმედება და პრობლემები კოლექტიურ საქმიანობებში. კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში დაბალია გამაერთიანებელი (bridging) სოციალური კაპიტალი, რომელიც ინდივიდებს აკავშირებს საზოგადოების უცხო წევრებთან.

საქართველო 149 ქვეყნიდან სოციალური კაპიტალის განვითარების დონით- 140-ე ადგილზე მოხვდა, რაც არცთუ პოზიტიური მაჩვენებელია. ეკონომიკური მდგრადობის დონით – 95-ე, მეწარმეობის შესაძლებლობების შეფასებისა და ბიზნეს გარემოს ანალიზის შედეგად – 70-ე ადგილზე, მმართველობის დონით – 52-ე ადგილზე, განათლების დონით – 58- ე ადგილზე, ჯანდაცვის დონით – 90 –ე ადგილზე, დაცულობა-უსაფრთხოების ხარისხის მიხედვით – 71-ე ადგილზე, პიროვნული თავისუფლების დონით -87-ე ადგილზე, გარემოს დაცვის ხარისხის მიხედვით- 124-ე ადგილზე.

სოციალური კაპიტალის განვითარებისას, საქართველო ოთხი უმნიშვნელოვანესი გამოწვევის წინაშე დგას:

1. ხალხში მასობრივად გამეფებული აპათიისა და უნდობლობის შეგრძნება;

2. ქართული საზოგადოების მიერ ლიდერობის ფენომენის აღქმა;
3. სოციალური კაპიტალის ინსტრუმენტებისა და მექანიზმების ფორმირება;
4. საქართველოში არსებული არასტაბილური სოციო-ეკონომიკური გარემო.

აღნიშნული გამოწვევები ითვალისწინებს საქართველოს სოციალური კაპიტალის ორივე პრობლემურ ასპექტს: ერთობლივი კოლაბორაციის ნაკლოვანებასა და საქათველოს პოსტ-სოციალისტურ გარდამავალ პერიოდს. აღნიშნული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები ქართულ საზოგადოებას დაეხმარება სოციალურ კაპიტალთან დაკავშირებული დაბრკოლებების გადალახვაში.

იმისათვის, რომ საქართველოში ხელი შეეწყოს სოციალური კაპიტალის ეფექტიან განვითარებას, საჭიროა დონორი ორგანიზაციების მხიდან მოხალისეობისა და სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილების გაზიარება, ასევე, აპრობირებულ სტრატეგიას წარმოადგენს წარმატებული და გამოცდილი მოხალისეების მოწვევა და არსებული პრაქტიკის დანერგვა, ასევე მნიშვნელოვანია, რომ დროულად და ხარისხიანად მოხდეს პროცესების ორგანიზება და ახალბედა მოხალისეებისა და სოციალურ აქტივობებში ჩართული ინდივიდების უნარ-ჩვევების ამაღლება. სოციალური კაპიტალის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს დონორი ორგანიზაციების მხიდან ისეთი ღონისძიებების განხორციელება როგორებიცაა მაგალითად ტრენინგების ჩატარება, სპეციალური ლიტერატურის მომზადება-თარგმნა და ა.შ. ნდობის ხარისხის ასამაღლებლად რეკომენდებულია სოციალურ აქტივობებში ჩართულობის თემატიკაზე ტრენინგებისა და ლექციების ჩატარების უზრუნველყოფა. სოციალური კაპიტალის დონის ასამაღლებლად უმნიშვნელოვანესია პროცესების მიზანმიმართული მართვა, რომელის შედეგადაც შესაძლებელი ხდება პოზიტიური გამოცდილების მიღება და მეტი მოხალისის დაინტერესება.

ნეგატიური სოციალური კაპიტალის მაღალი დონე ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, აღსანიშნავია ისიც, რომ პუი-ს მოზიდვისას, ინვესტორის გადაწყვეტილებაზე - დააბანდოს თუ არა რომელიმე ქვეყანაში ფულადი სახსრები, ნეგატიური კაპიტალის დონე გადამწყვეტ როლს თამაშობს, ფულადი სახსრების დაბანდებად, ინვესტორისათვის უმნიშვნელოვანესია დაადგინოს, თუ რამდენად უსაფრთხოა ესა თუ ის გარემო პუი-ს განსახორციელებლად, ნეგატიური სოციალური კაპიტალის მაღალი დონე ინვესტორებში არასანდოობისა და საფრთხის განცდას იწვევს. ნეგატიური

ეფექტები შესაძლებელია გამოვლინდეს როგორც შემაკავებელი (bonding), ასევე გამაერთიანებელი (bridging) სოციალური კაპიტალის დონეებზე. ნეგატიური სოციალური კაპიტალის გამოვლინებებია: კორუფცია, ნეპოტიზმი და კრონიზმი, მექრთამეობა, კოლექტიური ქცევა, დანაშაული და ნეგატიური არაფორმალური კავშირები.

კორუფციას მიმართავენ შემდეგი კრიმინალური საქმიანობების ხელშეწყობის მიზნით: ნარკობიზნესი, ფულის გათეთრება, პროსტიტუცია და სხვა. მაღალი კორუფციული ფონი, პუი-ს მოზიდვისას, გადაწყვეტილების მიღებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, რადგან სახელმწიფო მოხელეების მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებამ, მაღალმა კრიმინოგენულმა ვითარებამ, მექრთამეობამ და სხვა კორუფციულმა აქტივობებმა შესაძლოა ინვესტორს საგრძნობი ფინანსური თუ მორალური ზარალი მიაყენოს. მიიყვანოს. ქვეყნის წარმომადგენლობით ორგანოებს სწორედ რომ სახელმწიფო სტრუქტურები წარმომადგენენ და მათი გაუმართავი და არაკეთილსინდისიერი მუშაობა უშუალოდ აისახება ინვესტორის გადაწყვეტილებაზე – განახორციელოს თუ არა პუი.

გამოვლენილია, რომ ნეპოტიზმისა და კრონიზმის მასობრივმა განვითარებამ შესაძლოა შეაფერხოს საჯარო სტრუქტურების ფუნქციონირება, რაც შესაძლოა გახდეს პუის მოზიდვის შემაფერხებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ნათესავურ-მეგობრული კონტაქტებით დანიშნული არაინფორმირებული და არაკვალიფიციური კადრები თავს ვერ ართმევენ დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას, რაც პროცესების დროში გაწელვის, ვალდებულებების სხვა თანამშრომელზე დელეგირების, უხარისხოდ შესრულებული პროექტების მიზეზია. პუი-ს მოზიდვისას მოვლენებზე სწორი და ოპერატიული რეაგირება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამ დროს ყალიბდება ნდობა გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის მხრიდან, ნდობის მაღალი ხარისხი კი დადებითად მოქმედებს ინვესტორის მხრიდან გადაწყვეტილების მიღებაზე და პუი-ს განხორციელებაზე.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ ინვესტორები მექრთამეობას უმეტესად მიმართავენ ბიუროკრატიული სირთულეების თავიდან აცილების მიზნით და ახორციელებენ ისეთ ქმედებებს, რაც კანონით გაუმართლებელია. მაგალითად, კონკრეტულ ტერიტორიებზე გათხრების წარმოება და ნედლეულის მოპოვება, მშენებლობის დაწყება და ა.შ. ქრთამის მიცემა ინვესტორებისათვისაც და

ქრთამის ამღებისათვისაც სარისკო ქმედებას წარმოადგენს, ვინაიდან ინვესტორისათვის, დაბალი სოციალური კაპიტალის მქონე ქვეყნებში ინვესტიციის განხორციელებისას და ქრთამის მიცემისას, დიდია იმის რისკი, რომ დანაპირები არ შესრულდეს და ინვესტორმა ფინანსური ზარალი განიცადოს, ქრთამის ამღების მხრიდან არსებობს პასუხისგებაში მიცემის ალბათობა და ამავდროულად, არამართლზომიერი ქმედების შედეგად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შეფერხების რისკიც იზრდება.

კვლევაში ასევე განხილულია ნეგატიური სოციალური კაპიტალის ერთ-ერთი ფორმა - კოლექტიური ქცევა, იგი გულისხმობს ხალხის მასის ქცევას და ერთად შეკრებილი ინდივიდების ერთობლივ მოქმედებას. მაგ.: ქუჩის არეულობები და მიტინგები. იგი ქმნის არასტაბილურობისა და არეულობის განცდას, რაც ინვესტორისათვის არამიმზიდველ გარემოს აყალიბებს.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ ნეგატიური სოციალური კაპიტალის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოვლინებაა დანაშაული და კრიმინალი, რომელიც სათავეს იღებს ნეგატიურ არაფორმალურ დაჯგუფებებთან ურთიერთმედების შედეგად. ბოლო წლებში საქართველოში კრიმინოგენული ფონი გაუარესებულია, რის მიზეზადაც მიჩნეულია დაბალი სოციალური კაპიტალის დონე, რამაც გამოიწვია პუი-ს არადამაკმაყოფილებელი ზრდა ქვეყანაში.

იმ ქვეყნის სოციალური კაპიტალის დონის შესწავლამ რომლიდანაც საქართველოში ხორციელდება პუი გვიჩვენა, რომ აუცილებელია რაციონალური მიდგომით და ინვესტორისათვის მისაღები “ენით” მოხდეს ოპტიმალური შედეგის მიღება მათთან მოლაპარაკებების წარმოებისას. როგორც ცნობილია, ყველა ქვეყანას გააჩნია იდენტობა და თავისებურება, რაც ქმნის კონკრეტული ქვეყნის სოციალურ კაპიტალს და მეტნაკლებად დამახასიათებელია მისი თითოეული წარმომადგენლისათვის, ამიტომ, აუცილებელია, ინვეტორთან კომუნიკაციის დროს გაკეთდეს სწორი აქციენტები და გათვალისწინებულ იქნეს მისი ქვეყნისათვის დამახასიათებელი სოციალურ-კულტურული ფონი. გარდა აღნიშნულისა, საინტერესოა, თუ როგორი სტრუქტურისა და დონის სოციალური კაპიტალის მქონე ქვეყნების წარმომადგენლები ინტერესდებიან საქართველოს საინვესტიციო გარემოთი, აღნიშნული ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს, თავიდან ავიცილოთ სოციო-კულტურულ ასპექტებთან დაკავშირებული გაუგებრობები და გავზარდოთ ქვეყანაში პუი-ს ნაკადების ეფექტიანობა.

2017 წლის მონაცემებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ მაქსიმუმს მიაღწია და 2014 წლის მაჩვენებელს „მცირედით გაუსწრო, თუმცა იმ რეფორმების ფონზე, რაც საქართველოში ახლო წარსულში გატარდა, უცხოური ინვესტიციების აღნიშნული დინამიკა არ წარმადგენს სახარბიელო მაჩვენებელს და ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის საჭირო ტემპს.

10 პოსტ-სოციალისტური ქვეყნის მაგალითზე პუი-ს, სოციალური კაპიტალის, დანაშაულის დონის, უსაფრთხოება/დაცულობის, თავისუფლების დონის და მარეგულირებელი სისტემის ურთიერთკავშირების ანალიზმა ცხადყო, რომ ისედაც არამდგრადი ბუნების უცხოური ინვესტიციების ნაკადები გარდამავალ პერიოდში საერთო არასტაბილური ეკონომიკური კლიმატის შესაბამისად, კიდევ უფრო მეტი ცვალებადობით ხასიათდება. პუი-ზე პირდაპირ თუ ირიბ გავლენას ახდენენ ქვეყნის შიგნით მიმდინარე არა მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორები, არამედ სოციალური და პოლიტიკური პროცესებიც.

